# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 29 აგვისტო 2008 №18(70)

1516
2008



ადამიანური, ერთობ ადამიანური

1924 წლის აჯანყების მეორე დღე

დავით წერედიანი გალაკტიონზე

სოფიკო ჭიაურელის პორტრეტი

ვახტანგ ჯავახაძის ლექსები

ლექსთა შეჯიბრებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქაქუცა ჩოლოყაშვილი
1924 წლის აჯანყების მეთაური

# „დიოგენე“ გთავაზობთ
























მისამართი: კეკლიძის 6 ტელეფონი: (+995 32) 95 63 94

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | ნოე ჟორდანია ორი მიმართვა ქართველ ერს |
| ერი და ბედისწერა | 3 | ინტერვიუ ასმათ-ჟორდანია ფალავასთან |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 7 | მანანა არველაძე ხუთი წლისა სადირიჟორო პულტთან |
| პროზა | 8 | გივი ალხაზიშვილი მომავალი წარსული |
| პოეზია | 17 | ვახტანგ ჯავახაძე რუსთაველის ქადრები და სხვა ლექსები |
| | 20 | კატო ჯავახიშვილი ალსარება |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 22 | ენრიკე ვილა-მატასი მკითხველის ჩანაწერებიდან |
| თქმა მართლისა | 23 | იოსებ ჭუმბურიძე ვარდი, შადრევანი, თვითმფრინავი (ანუ „საკითხავი“ აი ეს არის) |
| როგორ ვკითხულობთ კლასიკას | 27 | დავით წერედიანი „ედგარი მესამედ“ |
| ფიქრი და განსჯა | 29 | გიორგი გოგოლაშვილი „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის |
| თეატრალური პორტრეტი | 32 | მანანა გეგეჭკორი გამქრალი ცივილიზაციის სახალხო არტისტი |
| წუთები და წლები | 37 | როსტომ ჩხეიძე ტერასაზე ელსინორისა (ბიოგრაფიული რომანიდან „აგვისტოს შვილები“) |
| რეპორტაჟი | 48 | ეკა ბუჯიაშვილი კონსერვატიზმის ტრადიცია და დიალექტიკა (ვერჯილ ნემოიანუს საჯარო ლექცია) |
| | 49 | ლექსთა შეჯიბრებაზე (შეხვედრა მურმან ჯინორიასა და თინათინ ელბაქიძესთან) |
| ჩემი პატარა ქალაქი | 52 | ვანო ჩხიკვაძე ზუგდიდური დღიური |
| კრიტიკა | 56 | რევაზ სირაძე „ადამიანური, ერთობ ადამიანური“ („ნიცშე საქართველოში“) |
| ახალი თარგმანები | 58 | ჯოზეფ ჰელერი ტეხასელი |
| მოზაიკა | 63 | გაკვეთილები გამომცემლისა |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 98-80-34
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბა „ომეგა თეგი“ საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – გელა გარდაფხაძე

გარეკანზე: ნიუ-იორკი
ვახტანგ ჯავახაძე, ლია ბეროზაშვილის ფოტოეტიუდი


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 12 სექტემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ოციოდე წლის წინათ ცნობილმა ქართველმა ემიგრანტმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ, მწერალმა და ჟურნალისტმა კარლო ინასარიძემ გურამ შარაძეს საჩუქრად გადასცა რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის აუდიო-არქივი. ბატონ კარლოს, რომელიც ათეული წლების მანძილზე იყო ამ რედაქციის დირექტორი, ამასთანავე, ემიგრანტული ჟურნალების – „ჩვენი დროშა", „მებრძოლი საქართველო" – რედაქტორი, გურამ შარაძესთან ოცდაათწლიანი გულითადი მეგობრობა აკავშირებდა და ამ ხნის განმავლობაში არაერთი უნიკალური წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთი გადაუცია მისთვის.

დღეს ეს ყველაფერი, მათ შორის – ნოე ჟორდანიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, გრიგოლ ურატაძის, ნოე ცინცაძის და სხვათა უნიკალური ხმები, დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გურამ შარაძის პირად ფონდში (ათიოდე წლის წინათ მამამ საქართველოს სახელმწიფო რადიოკომიტეტის ოქროს ფონდს საჩუქრად გადასცა ნოე ჟორდანიას და გრიგოლ რობაქიძის უნიკალური ჩანაწერები). აქვეა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ქალიშვილის – ასმათ ჟორდანიას საზოგადოებისთვის უცნობი ინტერვიუ, რომელიც მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია როგორც ნოე ჟორდანიას ბიოგრაფების, ასევე ზოგადად, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

ალბათ, სიმბოლურია, რომ გურამ შარაძის მკვლელობიდან ძალიან მალე – 2007 წლის ივნისში ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კარლო ინასარიძე. მისი ცხედარი დაკრძალულ იქნა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

რუსუდან შარაძე

ნოე ჟორდანია

# ორი მიმართვა ქართველ ერს

## 1924 წლის აჯანყების მეორე დღე

საქართველო აჯანყდა, საქართველო დამარცხდა. აი, ორი უდიდესი მოვლენა, რომლის მსგავსი საქართველოს არ განუცდია კარგა ხანია. საქართველო ხშირად აჯანყებულა ისტორიულ წარსულში სპარსთა უღელის წინააღმდეგ. მას არაერთხელ ამოუღია ხმალი თავის თავის, თავის ვინაობის და თავისუფლების დასაცავად. ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მოდიოდა სიცოცხლის გზაზე – ხან მარცხდებოდა, ხან იმარჯვებდა. დამარცხება მას გულს არ უტეხდა, გამარჯვება არ აბნევდა და ერთი საუკუნის დასვენების შემდეგ, მის ხელში ხმალმა კვლავ გაიელვა. ის ამეტყველდა ძველებურად, ქართველურად და ქვეყანას ამცნო თავისი ფიქრი და მისწრაფება მამაცურად და რა სთქვა მან? – ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცელზე, რომ მას სურს იყოს თავის თავის ბატონი, თავის ქვეყნის პატრონი, საკუთარი სახელმწიფო მოითხოვა აჯანყებულმა ერმა! ეს არის უაღრესად ეროვნული აჯანყება.

„თავისუფალი საქართველო, თავისუფალი ხალხი!" – მედგრად გაისმა ქვეყნად აგვისტოს დასასრულს და ამ ყიჟინამ შეაშფოთა ერთნი, გაახარა მეორენი. შეაშფოთა ბნელის მოციქული მოსკოვი და მისი დაქირავებული აგენტები. გაახარა ყველა დანარჩენი, მთელი კაცობრიობა, სიმართლის და თავისუფლების [...]. მოსკოვმა ნიღაბი საქვეყნოდ აიხადა და დაფარული, სისხლიანი ძირი დასანახავად გახადა. ისტორიის შავ დაფაზე აღბეჭდილია პოლონეთის აჯანყების ჯალათი მურავიოვი. მარა, ეს პირი უმანკო ბალღია შედარებით საქართველოს დღევანდელ ჯალათებთან – სტალინ-ორჯონიკიძეებთან. ამათ დააყენეს ქართველების სისხლის ტბა და შიგ ცურაობენ... სანამ ქვეყნად იქნება ქართველი ერი, მისი გულიდან არ აღმოიფხვრება ერთა შვილების ხვედრი. დავიწყებას მიეცემა არსებული შემოსევა-აკლება. არ დაივიწყება მხოლოდ სისხლის-მსმელთა სახელი, საქართველოში მოკალათებული სიმხეცე მათი გაუგონარი საუკუნეებს გადაეცემა.

დღეს ქართველი ერი გლოვის ძაძებშია გახვეული. ის დასტირის ვერაგულად დაღუპულ საუკეთესო შვილთ. მოვიგონოთ ძველი თქმულება: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა". ნუ სტირი, მომავალი ჩვენია. გადახედეთ ისტორიას – სადღა არიან საქართველოს ძველი მტარვალნი. ჟამთა ბრუნვამ მათ გაუთხარა საფლავი. გაივლის მოკლე დრო და ჩვენ ვიკითხავთ – სადღა არიან საქართველოს დღევანდელი მტარვალნი? მათ საფლავსაც ვერ მიაგნებს ვერავინ. მახვილის ამღებნი მახვილითვე დაეცემიან. ამ განაჩენს ვერ ასცდება მტარვალი. ქართველ ხალხს მართებს მოთმინება, გამაგრება და მომავალისაკენ იმედიანად გახედვა. მისთვის მოსკოვი სამუდამოდ მოკვდა! ახლა მასაც აეხილა თვალი და დაინახა სისხლიანი ტირანია. ჩვენ და მას შორის უკვე გზა არის კლდიანი. საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი. იქ ანთებულია ლამპარი სისხლით მორწყული.

## ოცი წლის წინათ

*1938 წელი, 26 მაისი, პარიზი*

ამ ოცი წლის წინ საქართველოს ღრუბლიან ციდან 26 მაისმა ჩამოანათა. ერმა მას ჩასჭიდა მაგარი ხელი და უდიდეს დღესასწაულად გამოაცხადა. მან იცნო მასში თავისი თავი, თავისი სული და გული, თავისი აწმყო და მომავალი და თავისი სვე-ბედი მას გადააბა. 26 მაისი გახდა [მწვავე გავლენის] ისტორიული დაბოლოება და ახალი ცხოვრების დაწყება. ქართველმა ერმა ამ დღეს უარყო სხვისი ბატონობა და გადაწყვიტა თვითბატონობა. „საქართველო ეკუთვნის საქართველოს ხალხს!" – შესძახა მან მსოფლიოს და ამ გზაზე მამაცურად შედგა. 26 მაისი

არის დაბადების დღე ახალი საქართველოისა. ამ დღეს გამოჩნდა ის ერთი მთლიანი, მორიგებული და ერთი აზრით გამსჭვალული. ამ დღეს გამოჩნდა ქართველი ხალხი შეგნებული, შეკავშირებული და თვითმმართველი. 26 მაისს ქართველობა ერთსულოვნად გამოეყო ჩრთილოეთს, გამოვიდა მის ტყვეობიდან, დალეწა მისი ბორკილები და მოიპოვა თავისუფლება. ის თვით შეიქმნა თავისი ცხოვრების, კულტურის და შემოქმედების ამწყობი და დამწყობი. ის ამ გზაზე ამაყად ვიდოდა, ამ ხაზზე მუშაობდა სამ წელიწადს. მუშაობდა შეუჩერებლად, შეუდრკელად, თავდადებულად. მან ისტორიიდან გამოგავა ძველი, მობერებული ცხოვრება. დაშალა ძველი, დამპალი შინაური ურთიერთობა, ჩაუყარა საძირკველი ახალ ხალხურ და ეროვნულ დაწესებულებას. დახსნა ყველა შეკრული არტახები აზროვნების, შემოქმედების და მოძრაობის. 26 მაისს საერთაშორისო ოჯახს მიემატა ერთი ახალი წევრი. ის შევიდა ამ ოჯახში თავისუფალი, მხიარული სახით, ნათელი აზრით. ისიც იცვნეს აქ თავის ტოლად და მას ხელი გაუწოდეს ჩამოსართმევად. საქართველო იშვა 26 მაისს, იშვა თავის ქვეყანაში, იშვა მსოფლიოში ნაციონალურად, ინტერნაციონალურად.

რაღა არის დღ;ეს საქართველო? ის აღარ არის, მას მოუბრუნდა ძველი მტერი, მას მოეპარა ჩრდილოეთი და მოსტაცა [თავისუფლება]. მან შესწყვიტა ერის მაჯისცემა და შეაბა ძველი ბორკილები. პატივაყრილი, უფლება ართმეული, ენა-ამოგლეჯილი ქართველი ერი დღეს ამაშია ჩამწყვდეული და ცხოველმყოფელს მოკლებული. მისთვის ერთგული იდევნება და მის ორგულთ ფიანდაზად ეფინება. სწორ გზაზე სიარული [გარეკილია], მრუდე გზაზე სიარული დაჯილდოებულია. ქართველი ხალხისათვის დედა-სამშობლო დედინაცლად გადაქცეულია. მტერნი მოყვრულად გარს ეხვევიან და მოითხოვენ გუნდრუკის კმევას. ხელის მომთბობნი და გონებით მკრთალნი მას უგალობენ ქებათაქებას. ხალხი ძაძებში გახვეულია, 26 მაისი აკრძალული, უცხო ხილია.

მაგრამ 26 მაისი მაინც ანათებს და ერს აგონებს მისსავე დაცვას. ეს დღე რჩება ახლაც ისეთსავე მიმზიდველ ბრძოლად, როგორიც იყო პირველ წლებში. ხალხი ვერ დააგდებს ამ ძველ გზას, ვერ დააგდებს იმიტომ რომ ის მუდამ ახალია, მუდამ სანატრელია, მუდამ ცხოველია – ის ჩვენი მომავალია. 26 მაისი არ მომკვდარა, არცა სძინავს, ის მოგვიწოდებს სიფხიზლისა და ბრძოლისაკენ. არა გვმართებს უიმედობა, განთიადი მოახლოვებულია!".

# ინტერვიუ ასმათ ჟორდანია-ფაღავასთან

**ასმათ ჟორდანია:** მთელი ჩვენი ბავშვობა – ჩემი, ჩემი უფროსი ძმის (რომელიც 12 წლისა გარდაიცვალა საქართველოში), იყო სულ გადასვლა ერთი ქალაქიდან მეორეში, რადგან ჩემი მშობლები რევოლუციონერები იყვნენ და სულ იმალებოდნენ. მართალი გითხრათ, ძალიან ძნელი ცხოვრება გვქონდა ჩვენ, ბავშვებს.

მე დავიბადე 1908 წელს (?), თბილისში. იმ დროს მამაჩემი იმალებოდა სხვაგან. დედაჩემი მარტო იყო, არავის არ იცნობდა. ერთმა ჩვენმა კარგმა მეგობარმა – ზაქარია ჩიჩუამ უშველა დედაჩემს, წაიყვანა საავადმყოფოში და ყველაფერი უყიდა, რაც საჭირო იყო ბავშვისთვის.

დედაჩემი ჩაბმული იყო რევოლუციაში. მერე მეუბნებოდა: „ყველაზე ძნელი საქართველოში იყო ხალხის დარწმუნება, რომ საქართველოს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი. ეშინოდათ თურქების – თუ რუსეთს მოვშორდით, რა გვეშველებაო".

მამაჩემი ხან იყო, ხან არა. მახსოვს, ბაქოში, სულ პატარა ვიყავი, როდესაც ერთხელ ღამით დაბრუნდა. ამიყვანა ხელში და მე მოვრთე ყვირილი, ვერ ვიცანი თუ ვინ იყო ეს შავწვერიანი კაცი, იმიტომ, რომ უწვერო იყო, როცა ვნახულობდი.

ხშირად დავდიოდით ბებიასთან ლანჩხუთში. იქ კარგი სახლი გვქონდა. ბებიაჩემი, ჩიქვანის ქალი იყო, ძალიან ლამაზი ქალი, მეგრელი. ბაბუაჩემმა ორჯერ მოიტაცა. როცა გაჯავრდებოდა, ამბობდა: „შინ მივდივარო". მამაჩემი ეხუმრებოდა: ,,კი მაგრამ, უკვე ორმოცდაათ წელიწადზე მეტია აქა ხარ, სად არის შენი შინა, აქ არის შენი შინაო". – „არა, შინ მივდივარო".

საწყალი ქალი, ძალიან ბევრი გადაიტანა. სულ შეწუხებული იყო თავის ვაჟზე. ქალიშვილი დამოუკიდებლობის დროს მოუკვდა, გულჩინა ერქვა. ბედნიერი იყო, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, მაგრამ ეუბნებოდა მამაჩემს: „მეუბნებიან პრეზიდენტი ხარ და მე უნდა გარჩინოო?". იმიტომ, რომ მართალი იყო. მამაჩემი იყო ნამდვილი სოციალისტი, ფულის შესახებ არაფერი არ აინტერესებდა, მაგრამ საჭმელი საჭირო იყო და ბებია გვიგზავნიდა ლანჩხუთიდან ქათმებს, ყველს, ფქვილს, ლობიოს, სიმინდს, ხილს... მახსოვს, როცა ჩვენი გამზრდელი ნინუცა მამულაიშვილი დაიძახებდა: „ბებიასგან ამანათია", დავტოვებდით ყველაფერს და გავრბოდით ბავშვები. სიხარულით აღარ ვიცოდით, რა გვექნა. მერე, რომ მოხდა ეს მიწის რეფორმა, ჩავედით ლანჩხუთში და ბებიამ (მაღალი ქალი, ლეჩაქში მუდამ ჩაცმული) შეხედა მამაჩემს და უთხრა: „შენ რას მიბედავ, ჩემი მიწები გლეხებს მიეცი? დამიბრუნე ამ წუთშივე!" საწყალი ბებია თბილისში არ უნდოდა ჩამოსვლა, იყო თავის ოჯახში, ქათმებს უვლიდა, წიწილებს, ინდაურებს, ხილი ჰქონდა. ჩვენს ეზოში, სახლის პირდაპირ ორი ნაძვის ხე იდგა, ერთი მამაჩემის წლის იყო, მეორე უფრო ხნიერი.

ბავშვებს ყოველთვის გვიხაროდა ლანჩხუთში ჩასვლა, იმიტომ, რომ ბევრი მეგობარი გვყავდა იქ. მაგალითად,

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

გიგო და თათუშა ჟორდანიები. მათი მამა მუშაობდა ბათუმში, დადიოდა ჩოხით და ნაბდით. შაბათობით, როდესაც ჩამოდიოდა, დავინახავდით შორიდან და მივეგებებოდით, ვეცემოდით ჯიბეებში, ფოჩიანი კამფეტები იყო მაშინ.

ომი რომ გამოცხადდა (იგულისხმება 1921 წლის თებერვლის მოვლენები, რ.შ.), ჩვენი გამზრდელი ნინუცა მამაჩემს დაჰყვებოდა, სულ მის გვერდში იყო. ჩვენ ლანჩხუთში ვიყავით. შემდეგ იძულებულნი გავხდით ბათუმში წავსულიყავით, სადაც იტალიური გემი გვიცდიდა. პატარა ვიყავი და მართალი გითხრათ, გამეხარდა გემზე ასვლა და წასვლა სადღაც სხვაგან. მამაჩემი და დედაჩემი საშინლად მოწყენილები იყვნენ. კონსტანტინეპოლში რომ ჩავედით, მამაჩემი ძალიან ავად გახდა. ალბათ, იმოქმედა მასზე ამ ამბებმა. მართალი გითხრათ, ვფიქრობდით, რომ ვერ მორჩებოდა როდესაც გამოკეთდა, ჩავჯექით მატარებელში და ჩავედით პარიზში. ჩემი უმცროსი და თბილისშია დაბადებული, ძმა რეჯები – პარიზში. ახლა ამერიკაშია.

პარიზში დაგვხვდა ერთი დელეგატი. წაგვიყვანა შესანიშნავ ოტელში, დაგვაბინავა. მამაჩემი მეორე დღეს დაპატიჟეს, გამოკითხეს ყველაფერი. ფული არ გვქონდა, ვიშოვეთ ბინა და გადავედით პატარა ბინაში. მამაჩემი წავიდა ინგლისში, მერე ბელგიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში. ყველგან ჩვენს საკითხზე ჰქონდა ლაპარაკი, მაგრამ რა უნდა ექნა?!. თითქოს, ყველას ეგონა, რომ დიდხანს არ გასტანდა ეს კომუნისტური რეჟიმი მთელი მისი ცხოვრება მაინც სულ მუშაობდა, წერდა ჩვენს საკითხზე. ბევრი მომხრეები ჰყავდა, მაგრამ რა უნდა ექნათ

**კარლო ინასარიძე:** 1923 წლის ბოლოს მოგივიდათ ცნობა, რომ ბებია ავად გახდა ლანჩხუთში და გადაწყვიტეთ საქართველოში ჩასვლა.

**ასმათ ჟორდანია:** მივიღეთ წერილი საქართველოდან, გავიგეთ, რომ ბებია ძალიან ავად არის. მამაჩემი ძალიან მოწყენილი იყო, ამბობდა: „მე არაფერია გამიკეთებია დედაჩემისთვის, სულ წასული ვიყავი, ხან მიჭერდნენ საწყალი დედაჩემი, როგორ დაიტანჯა". მაშინ ვუთხარი: „მე მინდა წავიდე და ვნახო ჩემი ბებია ქრისტინე!". მამაჩემმა მითხრა: „თუ მართლა გინდა წასვლა, მისწერე წერილი აბელ ენუქიძეს მოსკოვში". მეც დავჯექი და დავწერე წერილი. ძალიან ჩქარა მივიღე პასუხი და ვიზა.

**კარლო ინასარიძე:** აბელ ენუქიძე დახვრიტეს 1937 წელს. იგი იყო ბოლშევიკი და იცნობდა პირადად ლენინს. ბოლოს კი იყო საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი.

### ბლოკი საკუთარ ქედმაღლობაზე

მე-20 საუკუნის დასაწყისში ხშირად საუბრობდნენ და წერდნენ კიდეც ალექსანდრ ბლოკის ცივ, გულგრილ და ზოგჯერ ქედმაღალ მზერაზე. თვითონ ბლოკი სიცილით ლაპარაკობდა ამის თაობაზე: " მამაჩემის სახელი ალექსანდრ ბლოკია — ანბანის ორი პირველი ასო: "ა" და "ბე". დედაჩემის — ალექსანდრა ანდრეის ასულის ქალიშვილობის გვარი ბეკეტოვაა, სამი პირველი ასო: „ა", „ა" და „ბე". მამამისი, ჩემი პაპა ანდრეი ბეკეტოვი იყო, ესეც „ა" და „ბე". თავად ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბლოკი ვარ, ე.ი. „ა", „ა", „ბე". მე დავიბადე და ვცხოვრობ ანბანის პირველ რიგებში და ეტყობა, ამიტომ ვითვლები თამამად და ქედმაღლად.

პოეზიაში ჩემთან ერთად დგანან ანდრეი ბელი — „ა", „ბე". ჩვენთანაა, უფრო სწორად ჩვენს წინაა ანა ანდრეის ასული ახმატოვა — „ა", „ა", „ა". მართალია, მისი ნამდვილი გვარი გორენკოა, მაგრამ ინსტიქტურად „ა"-თი დაწყებული არჩია. მისი და ანდრეი ბელის თვალებიც ბევრს ყინულით სავსე ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ასეთები არა ვართ.

**ასმათ ჟორდანია:** ამ დროს გავიგე, რომ ხუნდაძის ოჯახი სამუდამოდ ბრუნდებოდა საქართველოში. ჩავედი ბერლინში. იქ იყო ირაკლი წერეთელი, რომელიც არის ჩემი დის ნათლია. გაეგო, რომ მივდიოდი საქართველოში. მოვიდა და მოიტანა ფული, – „გოგიტა ფალავას გადაეცი იქო". მეც ავიღე ის ფული და ჩავდე ჩანთაში. მე მქონდა პატარა ჩემოდანი. ხუნდაძეები იყვნენ დედ-მამა, ვაჟი ლევანი და ქალიშვილი – ბაიკო. ჩავედით მოსკოვში. აბელ ენუქიძე დამხვდა სადგურზე და წამიყვანა გორკის ცოლთან – პეშკოვასთან. თვითონ გორკი იმ დროს იყო იტალიაში. ხუნდაძეები წავიდნენ „ობშჩეჟიტიაში". ძალიან კარგად მიმიღეს. ის ქალი დადიოდა ციხეებში, ტუსაღებს ნახულობდა, უმეტესად, ქართველებს. მის სახლში დღე და ღამ დუღდა სამოვარი და მაგიდა გაწყობილი იყო. მოდიოდა ხალხი – მეგობრები, ნაცნობები, ჭამდნენ, სვამდნენ – მიდიოდნენ. ორი დღე დავრჩი. მერე მატარებელით წავედით თბილისში. ძალიან ნელა მიდიოდა მატარებელი, დამღლელი იყო მგზავრობა. როსტოვში მომპარეს ჩემოდანი. გასაკვირი ამბავი იყო, პატარა ჩემოდანი მქონდა, ულამაზო, ხუნდაძეებს მშვენიერი „ბაგაჟი" ჰქონდათ. ალბათ, იფიქრეს, რომ მამაჩემმა გამომატანა ქაღალდები ან რამე. ჩავედი თბილისში. დამხვდა დედაჩემის უმცროსი და (რომელიც მათემატიკის მასწავლებელი იყო თბილისში და დარჩა იქ) და მისი ქალიშვილი ირა. ძალიან გამეხარდა, როცა დავინახე ჩემი ქალაქი. წამიყვანეს თავის სახლში. ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ, მაგრამ ბევრი მეგობარი ჰყავდათ. გამართეს ჩემთვის სადილი. მოვიდნენ მეგობრები, უფრო მეტად ახალგაზრდები. დამაყარეს კითხვები, აინტერესებდათ პარიზის ცხოვრება და პარიზის ჩაცმა, მუზეუმები და „ტურეფელი"... მერე ჩამოვიდა ჩვენი გამზრდელი ნინუცა მამულაიშვილი. ნინუცა ობოლი იყო და ბებიაჩემმა იშვილა. არც გათხოვდა, დარჩა ბებიასთან და სიკვდილამდე უვლიდა. რადგან დედ-მამას იშვიათად ვხედავდით, ბავშვებს ძალიან გვიყვარდა ნინუცა, რომელიც გვივლიდა. რა თქმა უნდა, გახარებული ვიყავი მისი ნახვით. ჩავედით ლანჩხუთში. საწყალი ბებია, ჭიშკართან იდგა და რომ დაგვინახა, გული წაუვიდა. ახლა, ნინუცამ გამართა დიდი მიღება, მთელი ნათესაობა და მეზობლები ვისხედით მაგიდასთან უცებ, სროლაა და შემოვიდა ლანჩხუთის კომისარი (ტყვიები მეორე დღით ნახეს)

ხალხი მოდიოდა ჩვენს სანახავად. ვიყავი შორეულ ნათესავებთანაც. აგვისტოში ბებიამ მითხრა: „წავიდეთ ბათუმში, იქ ბევრი ნათესავი მყავს, შენი ნახვა უნდათო". ნინუცა დარჩა, რათა სახლისთვის მიეხედა. წავედით, ვნახეთ ნათესავები. უცებ, გავიგეთ, რომ აჯანყება მომხდარიყო (იგულისხმება 1924 წლის აჯანყება, რ.შ.). მოვიდა ორი კაცი, გვითხრეს: „უნდა წამოგვყვეთ!" – „სად?". – „უნდა წამოგვყვეთ და ნახავთო".

ჩაგვაჯინეს ავტომობილში და წაგვიყვანეს ჩეკაში. რა უნდა გვექნა?! ავედით, რაღაც სალონი იყო და დაგვაჯინეს იქ. გვერდიდან მესმოდა ტირილი, ხმაური. ძალიან გაკვირვებული ვიყავი, არ ვიცოდი რა ამბავი იყო. უცებ, კარები გააღეს და გამოიყვანეს ორი ახალგაზრდა ბიჭი. სახეები გასიებული ჰქონდათ. უმცროსი ატირებული იყო. ესენი იყვნენ ძმები ჩიქვანები. იმ ღამესვე, ორივე ძმა დახვრიტეს.

მერე შეგვიყვანეს ოთახში. ბებიამ შეხედა და დაიყვირა: „რას მიბედავ, შენ, მაიმუნო!" შევხედე – პატარა კაცი იჯდა იქა და ბებია რომ დაინახა, სულ დაპატარავდა. თურმე, ლანჩხუთის „საპოჟნიკის" ვაჟი, მოადგილე იყო სერიოჟა ქავთარაძესი, რომელიც შერჩა თბილისში. დავჯექით და დაგვიწყო ამ კაცმა ლაპარაკი, რომ მამათქვენმა მოაწყო ეს აჯანყება. მე ვუთხარი: „რა სისულელეს ლაპარაკობ, როგორ გამიშვებდა მამაჩემი ბებიასთან, რომ სცოდნოდა აჯანყების შესახებ. ესაა ხალხის სურვილი. მამაჩემი არაფერ შუაში არაა!". მერე შემოვიდა ერთი ჩეკისტი და მოიტანა ტყვია. – „ეს ტყვია ვიპოვე იმ სკამზე, სადაც ეს გოგო იჯდაო". მე ვუთხარი: „რა სულელი ხარ, ვერ მოიტანე რევოლვერი? რა არის ეს, რა უნდა გამეკეთებინა ტყვიით?".



*ნოე ჟორდანია დედასა და ცოლ-შვილთან ერთად*

მერე აგვიყვანეს ზევით და ჩაგვკეტეს ერთ ოთახში. სხვა ტუსაღები სარდაფში იყვნენ. ღამე გვესმოდა, მოდიოდა „კამიონი", მიჰყავდა ტუსაღები. მერე სროლა ისმოდა. ჩვენ ზევით ვიყავით, პატარა კიბე იყო, ვიწრო. ამოდიოდნენ, გააღებდნენ კარს და მე მაშინვე ვიწყებდი ყვირილს: „რაშია საქმე, როცა ჩავალ საფრანგეთში, ყველას ყველაფერს მოვუყვები. რა არის, რა უნამუსოები ხართ, ბებიაჩემი ავადმყოფი ქალია, წადით აქედან!".

მართალი გითხრათ, მეშინოდა, მაგრამ ვფიქრობდი, არ მეჩვენებინა ეს. ვუყვიროდი და ვეჩხუბებოდი. მაშინ, ჯერ კიდევ მამაჩემის სახელს გავლენა ჰქონდა, ვერ ბედავდნენ მაინდამაინც ჩვენს შეწუხებას. გავიდა დრო. ბებიაჩემი ავად გახდა. საშინელი სიცხე იყო. ვფიქრობდით, რა უნდა ქნან. აჯანყება თავდებოდა. მე ვუთხარი: „ბებიაჩემს გული სუსტი აქვს, თუ აქ მოკვდება, ეს იქნება თქვენი სირცხვილი!" და ბებია გაუშვეს. მაგრამ, საწყალი ბებია, სულ ჩეკისტების წინ იყო და სულ ლოცულობდა

შემდეგ, მოვიდა სერიოჟა ქავთარაძე და გამომკითხა – „როგორ არის მამაშენიო". მერე მითხრა: „ახლავე უნდა წახვიდე. მე თუ რამე განკარგულებას მივიღებ, რა უნდა ვქნაო". გამომიყვანა იქიდან და საჩქაროდ, დიდი ყვავილებით ჩამაჯინა გემში. ბებიაჩემმა არაფრით არ ქნა – „ვერ დავტოვებ ჩემს სახლს, ჩემს ოჯახსო" და საწყალი ბებია დარჩა.

მე წამოვედი. კონსტანტინოპოლში რომ ჩავედი, გემზე ავიდა ერთი ძალიან ლამაზი კაცი. შევხედე – მამაჩემს ჰგავდა. როცა ნახა ჩემი პასპორტი, თქვა: „ჩიქოვანი ვარ, ჩემი დიდი ბებია-ბაბუა სხვა ქართველებთან ერთად მოიტაცეს თათრებმა. მეც ქართველი ვარ, მაგრამ, ამავე დროს თურქი ვარო". ჩვენი წარმომადგენელი მაშინ იქ იყო კოწია გვარჯალაძე და მოვიდა ჩემს შესახვედრად. წამიყვანა სახლში. იქ ვიყავი რამოდენიმე დღე. სულ ვტიროდი, სულ თვალწინ ვხედავდი საწყალ ახალგაზრდებს, ასე რომ დატანჯეს. მთელი საქართველო ტიროდა იმდენი ხალხი დახვრიტეს. მერე კოწიამ და ბაბულიამ, მისმა ცოლმა, ჩამაჯინეს მატარებელში. ხუთი დღე ვიარე და ჩავედი პარიზში. მამაჩემი საშინლად შეწუხებული იყო, დედაჩემიც. ვუამბე ყველაფერი. მამაჩემმა წამოიტირა – საწყალი ხალხი, რა დღეშიაო.

ასე გათავდა ჩემი მგზავრობა. ერთი დამავიწყდა: როდესაც მოვიდნენ ჩვენთან, ბებია და მე რომ ვიყავით, გვითხრეს – „ეს რა ქნა მამაშენმა, ჩვენ დავიჭირეთ ჯუღელი და ხომერიკი და დავხვრიტეთო". რა უნდა მექნა, ვიტირე და ვიტირე. კარგად ვიცნობდი ორივეს.

***

დედაჩემი ინა კორენევა დაიბადა რუსეთის სოფელ კრონში, რუსი იყო. მამამისი მღვდელი იყო პატარა სოფელში. მისმა უფროსმა დამ, რომელიც თბილისში მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად, წამოიყვანა სოფლიდან ქალაქ არიოლში. დედა გამოდგა ძალიან ნიჭიერი, და-

ამთავრა გიმნაზია, მერე წავიდა უნივერსიტეტში, თან მუშაობდა. მერე წავიდა პარიზში, იქირავა დიდი ბინა (მამაჩემმა მაჩვენა, პანთეონთან არის ის ბინა) და აქირავებდა ოთახებს. მისი პირველი მდგმურები იყვნენ ლენინი და ტროცკი. მერე ლენინი და ტროცკი წავიდნენ ჟენევაში და დედას დაუბარეს, რომ ჩამოვიდა ახალგაზრდა ქართველი სოციალისტი, რომელიც ეძებს ოთახს. ასე გაიცნეს ერთმანეთი ჩემმა მშობლებმა. დედა ამბობდა: „მამაშენი ისეთ რუსულს ლაპარაკობდა და ისეთი აქცენტი ჰქონდა, ძლივს ვხვდებოდი რას ამბობდაო" ისინი წავიდნენ საქართველოში და დაქორწინდნენ 1904 წელს, თბილისში.

დედას დედამ გაიგო, რომ მისი შვილი ცხოვრობს „ს დიკიმ გრუზინომ" და ჯვარდაწერილი არ არის. ეს საწყალი ქალი, თავის დღეში არ უნახავს მატარებელი, ყრუ სოფელში ცხოვრობდა, ჩაჯდა მატარებელში და ჩამოვიდა თბილისში. ჩვენ ვიყავით. დედაჩემი და მამაჩემი იყვნენ ლანჩხუთში. მერე ლანჩხუთში ჩავიდა.

ბებიაჩემი ქრისტინე – მაღალი ქალი, ლეჩაქში გამოწყობილი და ჩემი „ბაბუშკა" – პატარა ქალი, თავშალით, ერთი სიტყვა არ იცოდა, რა თქმა უნდა, ქართულად. ბებიაჩემმა იცოდა, მხოლოდ, სიტყვა „დურაკ". „,ბაბუშკამ" ჩამოუტანა ხატი. ბებიაჩემი ძალიან მორწმუნე ქალი იყო, მაგრამ არ დადიოდა ეკლესიაში, ერთ კუთხეში ჰქონდა ხატები და სულ ლოცულობდა. ბებიები სვამდნენ ჩაის ერთად, ლოცულობდნენ ერთად.

ერთ დღეს, თურმე, ჰკითხა დედაჩემს: „სად არიან „მუჟიკები" აქო". დედამ უთხრა: „ესენი არიან „მუჟიკები", რომ დადიან ქუჩაშიო". – „კი მაგრამ, როგორ, ფეხზე აცვიათ, კარგად აცვიათ, ესენი არიან „მუჟიკებიო?".

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ როდესაც ლონდონში იყო მამაჩემი (იგულისხმება 1907 წელი, როდესაც ლონდონში გაიმართა პარტიის მეხუთე ყრილობა, რ.შ.), ლენინმა უთხრა: „თქვენ მოუარეთ თქვენს ქართველებს, რადგან ქართველები ბევრად უფრო წინ არიან, ვიდრე ჩვენი „მუჟიკები", ჩვენ „მუჟიკებს" ჩვენ მოუვლითო". ისიც დამავიწყდა მეთქვა, რომ ბებიამ ჯვარი დააწერინა ეკლესიაში მამაჩემს და დედაჩემს. „ბაბუშკა" მერე დაწყნარებული იყო, მაგრამ დიდიხანს არ დარჩა. დედამ გააცილა თბილისამდე და ჩააჯინა მატარებელში. კმაყოფილი წავიდა. გაატანეს ჩურჩხელები და ჩვენებური რამეები, არასოდეს რომ არ უნახავს. სულ უკვირდა: „რა არის ამდენი ღვინო. ამდენი ფული გაქვთ, რომ ამდენი ღვინო არისო?".

ერთხელ, ლანჩხუთში ვიყავით დედასთან და მამასთან ერთად და მოუვიდათ ტელეგრამა „ნამესტნიკის". ძალიან გახარებულები იყვნენ. ვკითხე: „რაშია საქმე"-მეთქი. – „რაშია საქმე და მეფე აღარ იქნება, საქართველო თავისუფალი იქნებაო". წაგვიყვანეს ბავშვები და წავედით თბილისში. „ნამესტნიკმა" უთხრა: უნდა წავიდე, რევოლუცია მოხდა და ჩემი ადგილი აქ აღარ არის!

მერე, როცა საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მამაჩემს არ უნდოდა პრეზიდენტი ყოფილიყო, ამბობდა: „მე მინდა ვიყო ოპოზიციაში, სჯობია, რათა უფრო კარგად გავიგო რა ხდება ქვეყანაში". მერე შესთავაზეს, რომ დადგეს სასახლეში, სადაც „ნამესტნიკი" იდგა, მაგრამ მამაჩემმა თქვა – „არა! მე უნდა ავილო ბინა და ვიცხოვრო ისე, როგორც სხვა ქართველები ცხოვრობენ თბილისში". ერთ დღეს, რაღაც საშინელი ხმაური ატყდა, აუარება ხალხი მოვიდა. მე ძალიან მშიშარა ვიყავი და მეგონა ჩვენი მოკვლა უნდოდათ. ხალხი იძახოდა – „პრეზიდენტად ნოე ჟორდანია გვინდა, ის უნდა იყოს პრეზიდენტი". მამაჩემი გამოვიდა „ბალკონზე" და მიმართა მაგენს. ჩვენ, ბავშვები, სკოლაში დავდიოდით და მაინცადამაინც არ ვიღებდით მონაწილეობას, არც ვიცოდით რა ხდებოდა.

მამაჩემი ამბობდა, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობს ხალხი. მაშინ, ბებიაჩემი გვიგზავნიდა ძალიან ბევრ ამანათებს – ღომი, ყველი, ქათმები როცა ლანჩხუთში ჩავდიოდით, მამაჩემს ეუბნებოდა: „მეუბნებიან, რომ შენ პრეზიდენტი ხარ საქართველოსი და მე უნდა გარჩინო?" მერე, როდესაც მოხდა მიწის რეფორმა, საშინელი გაჯავრებული იყო. როცა ჩავიდა მამაჩემი ლანჩხუთში, უთხრა: „რა მიქენი შენ უსვინდისო, ჩემი მიწები გლეხებს მიეცი? მე თავადიშვილის ქალი ვარ და შენ რა გამიბედე ესო".

**კარლო ინასარიძე:** კიდევ რას იტყვით აბელ ენუქიძეზე?

**ასმათ ჟორდანია:** ვიტყოდი, რომ ძალიან სასიამოვნო კაცი იყო. როცა ვნახე, ძალიან მომეწონა და ვკითხე კიდეც: ,,რატომ ხარ კომუნისტი და არა სოციალისტი". – ,,რა ვქნა, ასე მოხდაო", რა უნდა ეთქვა. პეშკოვაც შესანიშნავი ქალი იყო. სულ დარბოდა ციხეებში, ქართველებთან მიჰქონდა საჭმელ-სასმელი. თვით გორკი მაშინ იყო იტალიაში.

ჩემი ყველაზე დიდი უბედურება იყო მაშინ, როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა. მე ძალიან მეცოდებოდა ის. მთელი ცხოვრება შესწირა თავის ქვეყანას და ასე ცუდად გათავდა ყველაფერი. ყოველ დღე დავდიოდი მასთან (ნოე ჟორდანია, ბოლოს, ვანვში დასახლდა, რ.შ.). ყველაფერი ვქენი, რათა გამეხარებინა – ეთერი (იგულისხმება ასმათ ჟორდანიას ქალიშვილი ეთერ ფალავა, რ.შ.) ლაპარაკობდა ქართულად, მისი ცეკვაც ნახა. მერე, ქრისტინეს დავარქვი ბებია ქრისტინეს სახელი.

უკანასკნელად როცა მივედი, საშინელი სიცივე იყო. რომ უნდა წამოვსულიყავი, მამაჩემმა ჩაიცვა თავისი პალტო და მეუბნება: „უნდა გაგაცილო". მე ვუთხარი: „მამა, ნუ გამოდიხარ, ხნიერ ხალხიზა არ ვარგა". – „არაფერი არ მიჭირს, თბილი შუბა მაქვსო". ის შუბა, რომელიც ეცვა სულ, ციმბირში რომ იყო იქაც ცოტა გამაცილა და ვუთხარი: „ახლა გეყოფა". მითხრა: „იცოდე, დედ-მამა კვდება და შვილები რჩებიან, არ დაგავიწყდეს ეს!". იმ ღამესვე გარდაიცვალა 1953 წელს, იანვრის თვეში. საშინელი სიცივე იყო.

ეს მართლა ძალიან ძნელი ასატანი იყო ჩემთვის, რადგან ძალიან მიყვარდა და პატივს ვცემდი, იმიტომ, რომ უბრალო კაცი იყო, ფულის არაფერი არ იცოდა. პრეზიდენტი იყო და ხომ შეიძლებოდა, რამე ქონება ჰქონებოდა, სხვები ბევრად უკეთესად ცხოვრობდნენ. იცით, მამაჩემი, მორწმუნე კაცი იყო. მის მაგიდაზე იდო ბიბლია, ხშირად კითხულობდა. ახლა, ისეთი მორწმუნე კი არა, ბავშვური. მაგალითად, მითხრა: „პირველი სოციალისტი მოსე იყოო". სულ წერდა, სულ მუშაობდა

*14 აგვისტო, 1983 წელი*
*ლევილი*

მანანა არველაძე

# ხუთი წლისა სადირიჟორო პულტთან

*

## საუბარი ირაკლი ჩოლოყაშვილთან

ერთი ჩვეულებრივი მზიანი, თანაც ივლისის მზიანი დღე იყო... მარჯანიშვილის თეატრში ათი წუთით ადრე მივედი, ეს ჩემს საქციელს არ ჰგავდა, თუმცა ამ ბოლო დროს ან ადრე მივდივარ, ან დათქმულ დროს... რომ იცოდეთ, რა კარგია დათქმულ დროს, ან ცოტა ადრე მისვლა... ეს მათთვის, ვინც არ იცის...

...და იმ ივლისის ერთ მზიან დღეს, მაშინ, როცა ძალიან ცხელოდა, ანაზდად გრილ ადგილას აღმოვჩნდი; მარჯანიშვილის თეატრის გვერდით ყველასათვის ცნობილ, ლამაზ მწვანე შენობას რომ ჩაუვლი, კიბის რამდენიმე საფეხური სარდაფში ჩაგიყვანს. იქ სარემონტო ვითარებაა და სიგრილე დაგვხვდა; თურმე ნუ იტყვით და ჩემი მასპინძელი მეგობრის (ერთ-ერთი ძმის) თხოვნით „ძმები ასკანელების" სარდაფის შელამაზების თვალყურის დევნებითაა დაკავებული... და არა მხოლოდ ამით...

სარდაფში შესვლისთანავე ნაცნობი ხმა შემოგვეგება – რომ იცოდეთ, როგორ ჩაჯდა დაუსრულებელი სარდაფის ინტერიერში! უმალ გამახსენდა მისი „ქართული" ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „ქეთო და კოტესა" თუ „დაისში". რადინ ხელაშვილი მისთვის ჩვეული კეთილი ღიმილით იმ ადგილისაკენ გაგვიძღვა, სადაც ირაკლი ჩოლოყაშვილსა და მე ინტერვიუ უნდა შეგვედგინა, რათა შემდგომ თქვენს სამსჯავროზე გამოგვეტანა.

...ირაკლი ჩოლოყაშვილზე შეიძლება ისაუბრო როგორც საინტერესო რესპონდენტზე, ნიჭიერ მსახიობზე, მუსიკოსზე, რომელიც მღერის, უკრავს რამდენიმე ინსტრუმენტზე და ვისაც სულ ცოტა ხანში სადირიჟორო პულტთან იხილავს საზოგადოება, თუმცა რამდენიმე ხნის წინათ ირაკლი ჩოლოყაშვილი უკვე შეაფასეს როგორც დირიჟორი, მაშინ, როცა იგი სიმფონიურ ორკესტრთან დირიჟორობდა (სოლისტი დავით არჩვაძე) – „სიმშვენიერე სულის" – მუსიკა ლევან მიზანდარისა; „დამისხი დამალევინე" კიაზოსა და ცანგალას დუეტი ოპერის თეატრის სოლისტებმა სულხან გველესიანმა და გოჩა დათუსეანმა შეასრულეს.

– მე მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო არაჩვეულებრივი შესრულებისა და გვერდით დგომისათვის.

იმდენად ახლოსაა ჩემთან ეს მუსიკა და ისე შევეწყვეთ შემოქმედებითად მე და მომღერლები, რომ ჩაწერას მხოლოდ ორი დუბლი დასჭირდა.

**– ახლა ცოტა რამ პრემიერის შესახებ**

– ჩვენს თეატრში მცირე სცენა გაიხსნა, სადაც რეჟისორ ლევან წულაძის „ფერხულის" პრემიერა შედგა. ჩემი გმირი ამ სპექტაკლში უარყოფითი პერსონაჟია და მინდა გითხრათ, ჩემთვის საინტერესოა, ახალს ვპოულობ... ქოლა მეჩხუბება – ნუ მიგყავს კომიკურობისაკენო;

**– „რომეო და ჯულიეტა" ოპერის და ბალეტის თეატრის სცენაზე.**



– მსახიობი დასჭირდათ და მეც იქვე ვიყავი, ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში ჩემი პოვნა რთული არ არის.

**– ახალს აილებდით რამეს.**

– ბატონი რეზო ტაკიძე დირიჟორობდა; მუსიკაში უნდა ჩავმჯდარიყავი.

**– ხომ არ გაგიჭირდათ? (რა თქმა უნდა ხუმრობით)**

(გულიანად იცინის) სპექტაკლის ბოლოს ბატონ რეზოს ვუთხარი – ბატონო რეზო, არაჩვეულებრივი ტემპი იყო-მეთქი...

**– მან?**

– როგორც ყველა კულტურულ ადამიანს, მასაც დიდი იუმორი აქვს.

**– ხუმრობის გარეშე?!**

– თუ ოდესმე მიმიწვიეს ბალეტის დასთან სადირიჟოროდ, ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე; დირიჟორზე ბევრია დამოკიდებული, მან უნდა იცოდეს თითოეული მოცეკვავის (სოლისტის) ტემპი, უნდა მიჰყვეს მსახიობს.

**– სურვილი დირიჟორობისა როდის გაჩნდა?**

– გაგეცინებათ და მანამ, ვიდრე სურვილი მსახიობობისა; პირველად ხუთი წლისამ ბაღის ორკესტრ „თაიგულს" ვუდირიჟორე და საკმაოდ წარმატებულადაც, როგორც აღნიშნეს.

**– გასტროლები.**

– იყო ნიუ-იორკი, სანტა-ბარბარა „შექსპირის ფესტივალი".

**– უცხოეთში ბევრი მიდის...**

– ჩემი აზრით, დღეს უკვე არ არის აუცილებელი უცხოეთში ნახვიდე შენი ნიჭის გამოსამჟღავნებლად, ვერ ვიტყვი, რომ აქ ყველაფერი რიგზეა ამ მხრივ, მაგრამ გამონათქვამს „ყველგან კარგია, სადაც ჩვენ არ ვართ" – ნაწილობრივ ვეთანხმები; თუ მონდომება, ინტერესი და შრომისმოყვარეობა არსებობს, შეიძლება აკეთო საყვარელი საქმე.

**– „არტ-ათეული".**

– „არტ-ათეული" ახლახან ჩამოყალიბდა, რამდენიმე დამფუძნებელთა შორის მეც ვარ; ჩვენს საიტზე ფოტოს განთავსება შეუძლია ნებისმიერი ასაკისა და ეროვნების ადამიანს, მათ მთელ მსოფლიოში ნახავენ რეჟისორები და შესაბამისად მოხდება კონტრაქტის გაფორმება არჩეულსა და მოწონებულთან.

**...მას კი მუდამ ნახავთ იქ, სადაც კლასიკური მუსიკის ჰანგებია, მუდამ ნახავთ იქ, სადაც კულტურული სიახლეებია. არცთუ დიდი ხნის წინათ მან აირჩია სავალი გზა, რომელზეც მყარად და სიმართლით სავსე, მხრებში გამართული დააბიჯებს...**

**...და უცილობლად ნახავთ ოპერისა და ბალეტის თეატრის მაყურებელთა დარბაზის მისთვის უცვლელ ადგილზე ფოტო ან ვიდეო გადაღებით დაკავებულს, როცა სცენაზე მისი ბიძაშვილი, მშვენიერი ბალერინა ცისია ჩოლოყაშვილი ცეკვავს.**

**...და ვემშვიდობებით ჩვენს მასპინძელს მომავალი სიახლეების, წარმატებებისა და შეხვედრის იმედით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ყაიდის რომანი, როგორიცაა გივი ალხაზიშვილის „მომავალი წარსული“, თითო-ოროლაა ქართულ სინამდვილეში და, მათ შორის, ერთი ისევ მასვე ეკუთვნის — „რკინის კარს აქეთ და იქით“. ეს ახალი ბელეტრისტულ-დოკუმენტური ნიმუში უშუალოდ მას აგრძელებს ჟანრობრივადაც და ქრონოლოგიურადაც — ავტორის თავგადასავლის შემდგომი მონაკვეთები.

ჩვენს აღიარებულ პოეტსა და პუბლიცისტ-ესეისტს აქამდე სამი რომანი ჰქონდა დაწერილი: ზემოდასახელებულის გარდა — „ამოდის თუ ჩადის მზე?!“ და „სოდომიდან სოდომამდე“, რომელნიც წარმოდგენენ ქართული სალიტერატურო პროცესის მნიშვნელოვან შენამატად, ეს მნიშვნელობა კი შთამბეჭდავადაა გამოკვეთილი თეიმურაზ დოიაშვილის კრიტიკულ-ესთეტიკურ სტატიაში „მევიოლინე სიმონის მეტაფორმოზები“. საერთოდაც ამ რომანებს არ მოჰკლებია კრიტიკოსთა თუ მკითხველთა კეთილი სიტყვა, რაც ძალაუნებურად უბიძგებს მწერალს, ამ ჟანრშიც განაგრძოს მოღვაწეობა და პოეტურ კრებულებს დროდრო ბელეტრისტული ქმნილებანიც ამოუყენოს გვერდით.

„ჩვენი მწერლობა“ ჯერჯერობით ოთხ ნომერში გაგრძელებით გამოაქვეყნებს ამ რომანის ერთ მონაკვეთს. მისი მოზაიკური აგებულება საშუალებას აძლევს ავტორს, განაგრძოს შევსება და თანდათანობით გამოკვეთოს ის კომპოზიციური მთლიანობა, რასაც მისგან მოელის მკითხველი.

წინასწარ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება:

განსხვავებით ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანისა“ და ნაირა გელაშვილის „სარკის ნატეხებისაგან“, სადაც მხოლოდ რეალური პერსონაჟები მოქმედებენ, გივი ალხაზიშვილის ამ ავტობიოგრაფიულ რომანში, ისევე, როგორც წინამორბედში, ერთმანეთს ერწყმის რეალობა და ფანტაზია, სინამდვილიდან პირდაპირ თხრობაში გადასახლებულ ადამიანებს ენაცვლებიან შეთხზული პერსონაჟები თუ ეპიზოდები (რისი კვალიც აშკარად აჩნევია, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცსაც“).

ამიტომაც მკითხველი ყოველთვის ნუ დაუწყებს ძებნას პროტოტიპებს — რაღაც თვისებით შესაძლოა ესა თუ ის ლიტერატორი ეცნოთ კიდეც, მაგრამ სხვა თვისებებითა თუ ცხოვრების წესით ის „ამოცნობილი“ პიროვნება სრულიად განსხვავდებოდეს პერსონაჟისაგან.

საჩხრეკი აქ ეს არც არის — მთავარია სინამდვილის ზოგადი, მიუკერძოებელი და დაკვირვებული თვალით წარმოსახული სურათი; მასთან ერთად კი უამრავი ისეთი ცნობა თუ დეტალი, რაც უამრომანოდ იქნებ დაკარგულიყო ანდა მიჩქმალულიყო.

### გივი ალხაზიშვილი

# მომავალი წარსული

## თავისუფალი თემა

შეაღე კარი და შედი, ნუ გეშინია. შენ იქ იხილავ ყველაფერს, რაც ადრე გინახავს, შენ იქ შეხვდები მომავალ წარსულსაც, გაურკვევლობაში რომ არის, ისე კი აქვეა და ღვთის ნების მომლოდინეა. რაც შენში ცოცხლობს, ის ჯერ კიდევ ცოცხლობს და მისი გაქრობა შეუძლებელია მანამ, ვიდრე თაობიდან თაობაში გადავა სიტყვა. შიში იმისა, რომ სხვა ხალხით არის დასახლებული აწმყო, ბუნებრივია, მაგრამ მცდარი, რადგან მათ შორის არიან ისინიც, ვინც აგრძელებენ სიტყვის ერთგულებას, როგორც ოდესღაც ჩვენ ვაგრძელებდით ბაგრატის ტაძრის უთალო გუმბათის ქვეშ, ღამეში ალმართულ კედლებს შორის ჩურჩულით ლექსების კითხვას, რადგან ღვთის სიტყვა მაშინ უცნობი იყო ჩვენთვის და პოეზიაში ვეძებდით იმას, რაც ღვთის სიტყვაში უნდა გვეძებნა.

დანიელის შიში, რომ გარეთ სხვა ხალხია, უცხო და სხვა ენაზე მეტყველი, რომ კავშირი იკარგება მომდევნო თაობებთან და საერთოდ თაობებს შორის, კიდევ უფრო ჩააგონებდა იმის აუცილებლობას, რომ თვითონ გაეხსენებინა ის, რასაც სხვები წაიკითხავდნენ მომავალ წარსულში, დროში, მარადმედინი რომ არის და დასავიწყებელს ივიწყებს, ინახავს მხოლოდ იმას, რაც შესანახია.

შუაღამემდე იდგნენ ტაძარში თედო, ჯარჯი, დანიელი და სეტიდანი და ლექსებს უკითხავდნენ ერთმანეთს და კიდევ რაღაც ძალას, რომელიც მაღლიდან დაჰყურებდა



ოთხივეს, ისე რომ იგრძნობოდა და არ ჩანდა, მაგრამ ესენი ექსტაზში ველარ აღწევდნენ, თავისუფლად ვერ გაჰყვიროდნენ, ჩურჩულით ამბობდნენ და უხერხული პაუზები ღვინის წრუპვაში გაჰყავდათ.

დანიელს არ სჩვეოდა ხელის ჩაქნევა, მაგრამ ხანდახან აღრენილი უყურებდა ცხოვრების ახლებურ წესს, მისთვის რომ მიუღებელი იყო, განსხვავებულს კომუნისტური რეჟიმისაგან, აკრძალვათა ქვეყნისგან, რომელსაც გამოაღწია და შემოვიდა რეჟიმში, დიახ, განსხვავებულ რეჟიმში, რადგან საქართველოში დამოუკიდებლობის წლებში, დღევანდლამდე არ არსებულა კანონის უზენაესობა, მხოლოდდამხოლოდ შეიცვალა რამდენიმე რეჟიმი და ყოველ რეჟიმს თავის საკუთარი სახელი დაარქვა ხალხმა. ყველა თავის დილიხორზე ჭრიდა და კერავდა. ამიტომ მთავარი იგივე რჩებოდა დანიელისთვის – არ მისადაგებოდა ხელისუფლებას და ქრისტიანული წესით ეცხოვრა. ამიტომაც წერდა თავისთვის და კიდევ ვილაცებისთვის, მკითხველად რომ ეგულებოდა, რასაც წერდა დროდადრო და რაც წვეთწვეთად აგროვა დღემდე მისმა მეხსიერებამ და გამოცდილებამ. ისიც ახსოვდა, როგორ გაანწილეს მისივე თაობის მკითხველებმა, როცა მისი წიგნი წაიკითხეს ჯარზე და ტენდენციურობაში დაადანაშაულეს, უფასოდ გვაჭმევდნენ და გვაცმევდნენ, რას აგიკვიატებია რუსის ჯარი, რითი იყო ცუდიო. სხვა თაობაში კი მკითხველი ცოტა იყო და თუ იყო სხვაგვარ წიგნებს კითხულობდა. დანიელმა

---

ფრაგმენტები ავტობიოგრაფიული რომანიდან

ვერ მიაგნო ვერც საჭირო დროს და ვერც საჭირო მკითხველს, ახლაც ასე იყო, ხვდებოდა; იმ რამდენიმე მკითხველისთვის წერდა, ყოველთვის რომ ჰყავდა.

რა შეიძლება ეფიქრა ორწყალში მარტო დარჩენილ ხეიბარ კაცს, შუა ზამთარში, თოვლსა და ყინვაში. იქვე მხოლოდ მეგზავეების ნახევრადდანგრეული სახლი იდგა და იქ თუ შეძვრებოდა, მაგრამ რითი უნდა ეკვება ან გამთბარიყო. როგორც იქნა თვალი მოკრა ვილაც სულიერს, სოფლისკენ მიმავალს, სოფლამდე რამდენიმე კილომეტრი იყო და მანქანაც ვერ ადიოდა. ხეიბარი კაცი ვერ ივლიდა. გასძახა მგზავრს. ისიც მოვიდა, გაუკვირდა ხელჯოხიანი, ცალფეხა კაცი რომ ნახა წელამდე თოვლში. გიგლიუსმა:

– ძმაო, აი ხედავ რა დღეში ჩავიგდე თავი?! თუ სოფლისკენ მიდიხარ, იქნებ ციგროშვილებს შესძახო და უთხრა, ჯარჯის მეგობარი, ასეთი და ასეთი კაცი, აქა და აქ არის გაჩხერილი და იქნებ რამე უშველოთ.

მგზავრი შეფიქრიანდა.

– როგორ არ ვეტყვი, იქით მივდივარ, მაგრამ შენ ამ ნაგრევებში მაინც შედი და იქ ცეცხლს გავაჩალებ, თორემ ასე გაიყინები. მიეხმარა და შეიყვანა ნახევრადდანგრეულ მეგზავეების ნასახლარში. ნახევრადდანგრეულ შენობაშივე მოიძია ძველი შეშა, იჩალიჩა, ინვალა და ცეცხლი გაუჩალა გიგლიუსს, თვითონაც ჩამოუჯდა ცოტა ხნით და გამოელაპარაკა. სადაურობა გამოჰკითხა და მალევე წავიდა თხილიანასკენ, შეაგულიანა, ემანდ შეშა კიდევაა და ნაუმატე, ჩამოვალთო.

ერთი ის გააგებინა დანიელს, რას ფიქრობდა უკაცრიელ, ჩამოთოვლილ დუმილში ჩარჩენილი გიგლიუსი. ან რამ აიყვანა შუა ზამთარში ამ ტყე-ღრეში. აქ ცალფეხა, ხელჯოხიანი ინვალიდი კი არა, ნადირიც ვერ გადაადგილდება.

დიდხანს იცადა გიგლიუსმა, მაგრამ ღირდა ლოდინი. ჩამოაკითხეს ციგროშვილებმა პურმარილით, ორი დღე იქ იქეიფეს ყიპიტაურით, ხინკლითა და მწვადით, მერე გიგლიუსი როგორღაც აიტანეს სოფელში, მოუარეს, გაათბეს, ისევ აქეიფეს. ის კი იჯდა ლუმელთან და ეშმაკურად იღიმოდა. ნეტა რას ფიქრობდა გიგლიუსი?

ახლა მეც ორწყალში ვარ, იმერულად რომ ვთქვა წყალთაშუა, ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით და არ ვიცი ვინ გამოვიხმო საშველად ჩემი ხსოვნიდან და ისევ გიგლა ვარჩიე თავის ხელჯოხითა და პროთეზით და რაც მთავარია ძველბერძნული და ლათინური ლექსების ციტატებით, ხმამაღალი კითხვით – ჯერ დედანი, მერე იქვე თარგმანი. შენ კი გეეჭვება ზოგჯერ, ალარავის არაფერი ახსოვსო. როგორ არ ახსოვთ? ახსოვთ და თუ არ ახსოვთ უნდა შეახსენო. აბა რისთვის ხარ ამ სოფელში თუ ხსოვნას არ ერთგულებ?! შენ ხომ გახსოვს?!

**მისთვის მიყვარს ცაბაურთა**
**ქალებ დადის საცა უნდა,**
**საწყლის კაცის სალონისი**
**სუ თან დააქვთ, სად რა უნდა.**

იყო, ცაბაურთა, მაშინაც მიტოვებული სოფელი, როცა დანიელს ბიჭურ ბადრიშვილის შვილიშვილი ახლდა მეგზურად და უძილაურთასკენ მიუყვებოდნენ. ბოლო დროს ხშირად ახსენდებოდა დანიელს ომარ თურმანაულის პაპის ნათქვამი., როცა ჰკითხეს, ასე რამ გაგახდუნა, კაცოო? ძვალი და ტყავი ყოფილა დარჩენილი, მხოლოდ სვამდა და არაფერს აყოლებდა. ასე უპასუხნია:

– აბა, ხორცს ხომ არ შავაჭმევ მიწას, მარტო ძვლები უნდა ჩავყარო მიწაშიო.

არ დაგიმალავ და ხანდახან წარმართული ღრეობა მენატრება, აი, ისეთი, დღეობებში რომ იციან, მზის გულზე, რომ ზიხარ და თბილ არაყს ხუხავ ყელგამშრალი და ვილაც აგიშარდება, შენ კი მართლა ორწყალში ან წყალთაშუა აღმოჩნდები და ცეცხლი გიკიიდიააა. ბოლო ორი სიტყვა ბაიათურად უნდა წაიმღერო გიგუშა შახნაზარივით.

ასეა, ჩემო გიგლიუს, ჩვენი ყოფა ისეთივეა, როგორიც იყო, წარმართულსა და ქრისტიანულს შორის მერყეობს კვლავინდებურად.

## სულ მე ვწერო?!

სამოციანი წლების მიწურულს, თებერვლის ბოლოს , მე და ჯარჯი ფხოველს მარჯანიშვილის თეატრთან შემოგვხდა ერთი ჟურნალის მთავარი რედაქტორი და თბილად გაგვესაუბრა.

– ხომ გინდათ, რომ დროზე დავბეჭდო თქვენი ლექსები? – თავი დავუქნიეთ მოკრძალებულად და თან მხრებიც ავიჩეჩეთ.

– მეც მინდა თქვენი ლექსების დაბეჭდვა, მაგრამ საშუალებას არ მაძლევთ, რომ დავბეჭდო.

– გამოდის რომ ჩვენ გიშლით ხელს, ჩვენი ლექსების დაბეჭდვაში? კი მაგრამ როგორ?

– ამ ერთ კვირაში, ისე რომ სააპრილო ნომრისთვის მოვასწრო,მომიტანეთ ლენინზე ლექსები და მერე უკვე თავისუფლად შევძლებ თქვენი ლექსების დაბეჭდვას.

ორივემ ვიუარეთ, თან კატეგორიულად. ეს მაინც არ გვეშვებოდა.

– აბა ვის ვთხოვო, სააპრილო ნომრისთვის მჭირდება.

– ვინმე სხვას, არიან მსურველები.

ამან ხელები გაშალა და:

– სულ მე ვწერო ლენინზე, ამის დედაც?! – და მას მერე სულ ის წერდა. სხვებიც წერდნენ. ახლა კი სინანულის განცდაც არ ეუფლებათ. მაშინ სხვა დრო იყოო, თავს იმართლებენ. ახლაც სხვა დროა.

## ლევან ბუტკელის პირველი ამბავი

ლევან ბუტკელი, საიდუმლო აგენტი, საქვეყნოდ ცნობილ პარნასელთა კავშირში დანიშნეს კანცელარიის რიგით თანამშრომლად, სამსახურებრივი დოკუმენტაციის შედგენა და მთავარი პარნასელის ნაკარნახევი ტექსტის გადოკუმენტება ევალებოდა, რასაც მხოლოდ ქათამაძის, შაშიაქეს, ციცქას, შნოს ან სხვა რომელიმე მთავრის ხელმოწერით დადასტურება სჭირდებოდა.

ქათამაძე, შაშიაქე, ციცქა, შნო და მისთანანი სხვადასხვა დროს მუშაობდნენ პარნასის მთავრებად და საიდუმლო დოკუმენტებში ამ ფსევდონიმებით მოიხსენიებოდნენ. კანცელარიის რიგითი თანამშრომელი, კაგებედან ჩანერგილი ბუტკელი უცვლელი იყო, თუმცა თანდათან იცვლე-

ბოდა მისი თანამდებობრივი საფეხურები და ერთ მშვენიერთ დღეს კანცელარიის გამგედ დანიშნეს. ეს ამბავი კი მაშინ მოხდა, როცა შემცირების გამო ყველა გაათავისუფლეს კანცელარიიდან და დატოვეს მხოლოდ ის, როგორც გამგე, რომელსაც ორი მემანქანე ექვემდებარებოდა.

კანცელარიულ საქმიანობაში განაფული ბუტკელი ოფიციალური ტექსტების შედგენის დიდოსტატი იყო და საქმიან ქაღალდებთან ერთად, ასლების და ორიგინალების ოდენობა მის საქაღალდეებში მრავალ ათასს აღემატებოდა. იგი ასევე სიამოვნებით ითავსებდა ნეკროლოგებისა და საიუბილეო, მისალოცი წერილების თხზვას, რომელთაც დროდადრო, იმის მიხედვით, ვის როდის უსრულდებოდა მრგვალი თარიღი, ვინ აიკრეფდა გუდა-ნაბადს ამ ქვეყნიდან და მოუსვლელში წავიდოდა, აწვდიდა პარნასის საუწყებო გაზეთს „პარნასელის ხმას" და ისინიც სიამოვნებით აქვეყნებდნენ საიუბილეო თუ სამგლოვიარო უწყებებს, რომელთა შექმნაში ბუტკელს ღამეების თევა უწევდა და რაც ყველაზე სასიამოვნო იყო, კუთვნილი ჰონორარის მიღების მოლოდინში გატრუნვა და წინასწარი სიხარულის გულით ტარება ძალიან უყვარდა. პროფესიულ ჩვევად ექცა, ბოლომდე ვერ მიივიწყა და ამიტომაც კონფიდენციალურ ინფორმაციებს აგროვებდა ყველა პარნასელზე, მათ შემოქმედებაზე, ცდილობდა ჩაეწერა ახალი წიგნების სათაურები, მინიჭებული პრემიების და ჯილდოების ნუსხა და მრავალი სხვა რამ, რასაც რამდენიმე საქაღალდეში გულდასმით ინახავდა, სეიფის გასაღები კი კისერზე ეკიდეა ჯვარივით და მხოლოდ საჭიროებისას იხსნიდა, რათა სანუკვარი ჭუჭრუტანისთვის მოერგო და თავისი საგანძური შეეთვალიერებინა. ამ დროს იგი გაურკვეველი სიამოვნებით ალივსებოდა ხოლმე და თუ რაიმე შეგრძნებასთან გაავლებდა პარალელს, ალბათ ის ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც დროდადრო ხსნიდა ამ სეიფივით და იქაც უცნობ საბუთს ინახავდა დროებით და რაც იმ საბუთში ეწერა, ცხადია, ყველასთვის უცნობი იყო, მაგრამ ამავე დროს ნაცნობი, როგორც გასაიდუმლოებული სეიფური დოკუმენტაცია. ბუტკელის უპირატესობა ქრონოლოგია და ქაღალდების საშიში მეხსიერება იყო, რასაც იგი წარმატებით იყენებდა საჭირო დროს. პარნასის მთავრებზე შეუმჩნევლად ახდენდა ზეგავლენას და ზოგჯერ გადაწყვეტილებასაც კი აცვლევინებდა. ერთხელ აღმოვაჩინე ჩემს მოხუც კოლეგას ისე უყურებდა, როგორც სანეკროლოგო პერსონაჟს, მერე მე გადმომხედა და შემახსენა, რომ მალე ორმოცდაათის ვხდები და დამპირდა საიუბილეო მოლოცვის ტექსტს პარნასის პრეზიდიუმის სახელით სიამოვნებით მოამზადებდა. ბუტკელისთვის ორ ნაწილად იყოფოდა პარნასელები – სანეკროლოგო და საიუბილეო ტექსტების პერსონაჟებად და მათთან ურთიერთობაც ფრიად საქმიანი ჰქონდა, რადგან ბევრი მოხალისე მიმართავდა: ამდენი წლის ვხდები და იქნებ მომილოცოს პარნასის ხელმძღვანელობამო. ჩემმა მაშინდელმა უარმა გააკვირვა ბუტკელი და ცოტა დაალონა კიდეც, რადგან წინასწარ გათვლილ ჰონორარს ველარ აიღებდა და სიბრაზისგან მგონი ჩემზე დასაწერი ნეკროლოგის ტექსტზე დაიწყო ფიქრი, რადგან მასზე რამდენიმე წლით ვიყავი უფროსი. მის გამომეტყველებაში ამოვიკითხე, რომ აი, მაშინ კი ხელს ველარ შევუშლიდი გამოსათხოვარი წერილის გამოქვეყნებაში, როცა საამისო დრო დადგებოდა. ბუტკელს სამგლოვიარო და საიუბილეო ტექსტებისთვის რამდენიმე ტრაფარეტი ჰქონდა შემუშავებული. წერისას ითვალისწინებდა პარნასის მთავრის და პრეზიდიუმის დამოკიდებულებას არსებულ თუ არარსებულ სუბიექტთან მიმართებაში და იმის მიხედვით პოულობდა ეპითეტებს, შემდეგ კი ხელმძღვანელთან ათანხმებდა. ერთ ასეთ შეთანხმებას მეც შევესწარი.

ბუტკელი ხმამაღლა უკითხავდა სამძიმრის ტექსტს მთავარს. „ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი მწერალი" და შემდეგ სახელი და გვარი. მთავარმა შეაწყვეტინა და ურჩია "უდიდესი" შეეცვალა "დიდით" , ამოეღო სიტყვა "თანამედროვეობის" და "ღრმა მწუხარებით იუწყება" ჩვეულებრივი "მწუხარებით" ჩაენაცვლებინა. ბუტკელმა ჩაასწორა, გადააბეჭდვინა მემანქანეს და ხელახლა წაუკითხა მთავარს ბოლო ვარიანტი. მთავარი ჩაფიქრდა და ბუტკელს მოსთხოვა "დიდი" შეეცვალა "ცნობილით" , "მწუხარება" კი საერთოდ გაექრო ტექსტიდან და დაეტოვებინა "იუწყება", ოლონდ როგორ იუწყება, ამის აღნიშვნა, აღარ იყო საჭირო.

ბუტკელი ყოველი ახალი მთავრის დანიშვნისთანავე იცვლიდა სტილსა და დამოკიდებულებას მთავრის შეხედულებების მიხედვით და არც გადაწყობა უჭირდა, რადგან შიდა სამზარეულოს კარგად იცნობდა. ამ საქმეში განაფული ბუტკელი კარგად იცნობდა აგრეთვე, ჯილდოებზე წარდგენის ტექსტუალურ ტექნოლოგიებს. მთავარი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისას აქტიურობდა, თვითონ წყვეტდა ვინ რითი დაეჯილდოებინათ, იმის მიხედვით, როგორ იყო განწყობილი ამა თუ იმ პერსონასთან ქვეყნის მთავარი – მთავართა მთავარი ანუ უმთავრესი.

ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, საკავშირო სახელმწიფო პრემია, არცთუ იშვიათად რუსთაველის პრემია, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია – მთავრის გადასაწყვეტი იყო, რადგან იგი უმთავრესის დანიშნული მთავარი იყო, რაც შეეხება ღირსების ორდენს, მოგვიანებით რომ შემოიღეს, განურჩევლად, ყველას ურიგებდნენ, თუკი რომელიმე უწყება წარადგენდა მოთხოვნას და შესაბამის სიას. თვით ბუტკელიც კი "განსაკუთრებული დამსახურებისთვის ქვეყნის წინაშე" ღირსების ორდენით დააჯილდოვეს და მისი ფარული პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა გულისამრევ გაბღენძილობაში გადაიზარდა.

90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს ბუტკელმა სოლოლაკში სასურსათო ჯიხური გახსნა, სადაც ჰუმანიტარული დახმარებით მოპოვებულ პროდუქტს დაქირავებული გამყიდველი ყიდდა. ჰუმანიტარულ დახმარებას პარნასელთა საზოგადოება უფასოდ და სტაბილურად ღებულობდა. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ყოველგვარი ბეგარისგან გაეთავისუფლებინა საპატრიარქო და ეგზომ სათაყვანებელი პარნასელთა საზოგადოება, რათა სიდუხჭირისა და შიმშილისგან ეხსნათ მართლაც დამსახურებული ადამიანები. პარნასში კი შეიქმნა კოოპერატივი, რომელიც ნავთობპროდუქტების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული და დაუბეგრავ ფულს ათეთრებდა. აფორმებდნენ, თითქოს საკვებ პროდუქტს ეს კოპერატივი ყიდულობდა და შემდეგ პარნასელებს ურიგებდა უფა-

სოდ. სინამდვილეში კი ჰუმანიტარულ დახმარებას საპატრიარქოსა და სხვა უწყებების მეშვეობით, ცხადია, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შოულობდა პარნასის მთავარი , კოპერატივი კი აფორმებდა თითქოს ეს პროდუქტი შეიძინეს ბაზარში. მილიონებს ათეთრებდნენ და იყვედრებოდნენ, თავი მოჰქონდათ, რომ ქართულ მწერლობას ეხმარებოდნენ ამ გაჭირვებისას.

ბუტკელს, როგორც ნდობით აღჭურვილ პირს ჰყავდა თავისი მიმწოდებელი და თავის ჯიხურში (ბუტკაში) ყიდდა უფასოდ მიწოდებულ ბრინჯს, კარაქს, შაქარს, ზეთს და ა.შ. ფინანსურმა კავშირებმა და შემოსავლებმა კიდევ უფრო გაფუყა იგი და ზოგჯერ ტოლს არ უდებდა პრეზიდიუმის წევრებსაც, ისე იყო გაყოყოჩებული.

ეს ის დროა, როცა ჯაბა საქართველოს რუკას ასწავლიდა სრულიად საქართველოს და აჩვენებდა, სად უნდა განლაგებულიყო რუსის სამშვიდობოები. სკოლაში მაინც არ გისწავლიათ გეოგრაფიაო? აბუჩად იგდებდა ყველას და ხითხითებდა. საზღვრად აქცევენო, არაერთხელ უთხრეს, გააფრთხილეს, იუარეს კიდეც, მაგრამ ეს: მე ვიღებ ჩემს თავზეო. ახლა რაღას აიღებს თავისთავზე, გვერდით უწევს დიდუბეში მშვენიერ პოეტს მურმან ლებანიძეს. ასე, რომ აქციეს კიდეც საზღვრად მდინარე ენგური, რომლის შორი-ახლოსაც ჯაბა ხელს ნერვიულად აცეცებდა და გვასწავლიდა საქართველოს რუკას.

მთელმა საქართველომ იცის ის საზღვარი, შევარდნაძე– ჯაბას და კიტოვანის სახელს რომ ატარებს. ხალხი ასე უწოდებს ანექსირებულ აფხაზეთთან მოღალატურად წარმოქმნილ საზღვარს.

ბუტკელი ყოველივე ამას ხედავდა და მშვიდად მიჰყვებოდა ცხოვრებას, თვითონ რა შეეძლო, ვერაფერს შეცვლიდა და ამიტომაც არსებულ ვითარებაში ტივტივი ამჯობინა, რომ გადარჩენილიყო. ჰოდა ტივტივებდა. არც იძირებოდა. აბა, რა ჩაძირავდა ჩაუძირავს?! თანდათან უნდა გახრწნილიყო და იხრწნებოდა კიდეც , არამარტო ის, არამედ მრავალი. გაუბედურებული ადამიანი. ხალხი კი ანყდებოდა კედლებს, ღობე-ყორეს, სასოწარკვეთილების ზღვარს. ბევრი ვერც უძლებდა უიმედობასა და ამოქოლილ გამოსავალს, უხილავი ჯებირივით რომ შემოვლებოდა გატანჯულ ფსიქიკას.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ჯერ კიდევ ტრიუმვირატის არსებობისას, ვიდრე შევარდნაძე დააპატიმრებდა თავის თანამოაზრეებს, მას შემდეგ, რაც მათ ბოლომდე გამოიყენებდა სათავისო საქმისთვის, ზოგიერთმა პარნასელმა გადაწყვიტა საბჭოური ბიოგრაფიის დავარცხნა და ძველი ჩინ-მედლების გადამალვა. ბუტკელს ერთი მათგანი ხშირად ურეკავდა და რაც ყველაზე მეტად უკვირდა, – პირადადაც აკითხავდა. მისი სტუმარი, ამჯერად იყო ჯუზეპე დი მედუზა, როგორც ერთმა მოსკოველმა გოგომ შეარქვა ამ სუბიექტს. დი მედუზა ბუტკელს სთხოვდა არქივიდან გაექრო იმის დამადასტურებელი საბუთები, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით რომ იყო დაჯილდოებული, რომ კარგახანს თბილისის საქალაქო პარტიული ბიუროს წევრი იყო და რომ. . . ბევრ რამეს თხოულობდა. ბუტკელი უარზე იდგა, უსინდისოდ ვერ მოვიქცევიო. დი მედუზა ბრდღვინავდა: არ მინდოდა და ძალით მომცეს, მოაშორე საბუთები! მთავარმა მითხრას და მოვაშორებო. მთავართან მისულ დი მედუზას სავარძელი შეაგებეს, ნახევარი საათი ისაუბრა ქართული მწერლობის მნიშვნელობასა და წარსულზე, მის დიდებაზე და ბოლოს, როცა საიდუმლოს გამხელის დრო დადგა, მთავარს რაღაც უჩურჩულა ყურში. კაბინეტში სამნი დარჩნენ – მთავარი, დი მედუზა და ბუტკელი.

მთავარმა მოისმინა შეწუხებული დი მედუზას სათხოვარი და ჩაილიმა: კარგი, ვთქვათ, გავაქრეთ ეგ საქაღალდეები, სადაც ჩვენი დაჯილდოების საბუთები და ჯილდოზე წარდგენის ასლებია შენახული, რას ვუზამთ მრავალათასიანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემას, მთლიანად გავანადგურებთ თუ მარტო იმ ტომებს გავაქრობთ, სადაც ალფაბეტის მიხედვით ჩვენი ბიოგრაფიებია დაბეჭდილი, სადაც წერია, რომ ვართ საბჭოთა ჩინ-მედლებისა და პრემიების მფლობელები, რომ ვართ...

დი მედუზამ წყალი მოითხოვა, ფერდაკარგულმა მზერა ღია ფანჯრისკენ გააპარა, საიდანაც შაშვის გალობა შემოისმოდა მთავრის უზარმაზარ კაბინეტში და რატომღაც აუფასურებდა ყველაფერს, რაც იქ ითქმებოდა ხმამაღლა ან გაფიქრებით და ბუტკელი მიხვდა, დროდადრო რატომ ეუფლებოდა გაურკვეველი ძალის შიში თუ რიდი. ასეთ დროს ყველა დუმდებოდა ერთხანს და ეს იყო უცნაური პაროლი ამ საბრალო ადამიანებისათვის საკუთარი უმეცრებიდან გამოსასვლელ გზას რომ უხსნიდა იქითკენ, საითკენაც, თუმცა ეშინოდათ გახედვა და არც აღიარებდნენ, მაგრამ თვალს მაინც აპარებდნენ შეშინებულები.

ბუტკელმა, როგორც ყური მოკრა, დი მედუზა მურმან ლებანიძეს აეფორიაქებინა.

პრემიების კომიტეტს გადაუწყვეტია რუსთაველის პრემიების ლაურეატების სია და ბიოგრაფიები გამოექვეყნებინა. ეს ამბავი რომ გაიგო დი მედუზამ ბევრი ემუდარა, თურმე, მურმანს, ბიოგრაფიაში ნურაფერს ჩაწერ ოქტომბრის რევოლუციის ორდენზე და საბჭოურ ჯილდოებზე, ქალაქკომის ბიუროს წევრობაზე, მურმანს უარი კი არ უთქვამს, მიუხლია:

– არავითარ შემთხვევაში! ჩემს ბიოგრაფიას არ ვამახინჯებ და შენ ვინა ხარ?

დი მედუზა, ეს მეტსახელი რომ შეარქვა მოსკოველმა სატრფომ და ამ მეტსახელის ამბავი პირველწყაროდან ანუ იმ მოსკოველი გოგოსგან ვიცი და უნდა გიამბოთ მე, დანიელმა, რომელიც წინა წიგნიდან, ე.ი. წინა ცხოვრებიდან, რაც რუსის ჯარიდან დავბრუნდი, ამ მოვლენების ეპიცენტრში აღმოვჩნდი.

## ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზა

*ნუ დაენდობი ცრუ სიტყვებს, რომ ამბობენ: უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარიაო აქ.*

***იერემია წინასწარმეტყველი - 7,4;***

ბიჭვინთაში ისვენებდა ფრიად პატივცემული პარნასელი, ჟურნალ „ვარსკვლავის" მთავარი რედაქტორი, რომლის სახელი მიმავიწყდა ფორიაქისგან, მაგრამ შესაძ-

ლოა უნებლიედ ნამომცდეს კიდეც. ოროთახიან ლუქსში შემოქმედებითი ძალების მოსაკრებად და მორიგი შედევრების შესაქმნელად ცხოვრობდა და დერეფანშიც კი ფეხაკრეფით დადიოდნენ დამლაგებლები და დამსვენებლები, ხელი რომ არ შეეშალათ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ნარცისისთვის. ნარცისი მძიმედ დააბიჯებდა გაკრიალებულ დერეფანში, ლიფტით ნაკლებად ან საერთოდ არ სარგებლობდა კლაუსტროფობიის შიშით, ვესტიბიულში ჩავლისას კი მომხიბლავ, მაგრამ უყალბეს ღიმილს გადაიკრავდა სახეზე და ისე ესალმებოდა ნაცნობ კოლეგებს, ზოგჯერ უცნობებსაც, თავს მლიქვნელურად უკრავდა ქალებს, ოდნავ წელშიც იხრებოდა და ნასწავლი მანერების მთელი კასკადი საინტერესო იყო საცქერლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ ღიმილს მოიხსნიდა სახიდან ან შეაქვავდებოდა სიფათზე და მორიგი ნაცნობის დანახვაზე ხელახლა უწევდა ღიმილიანი ნიღბის მორგება. მე, დანიელი, გაკვირვებული ვუყურებდი ამ ამაზრზენ სიყალბეს და ძალაუნებურად მახსომდებოდა, ისე შთამბეჭდავად, რომ მეოთხედი საუკუნის მერეც, გუშინდელი დღესავით მახსოვს მისი ნანარნარება გაჩახჩახებულ ვესტიბიულში მთავარი კარისკენ, საიდანაც მშვენივრად ჩანდა ბზის ულამაზესი ჭალა და ჰაერში იგრძნობოდა ბზის სუნი, შორიდან აღწევდა ზღვის ფშვინვა, თავის არსებობას რომ ტალღების რიტმული შხუილით, ნაპირისკენ ხმაურიანი სწრაფვით ამხელდა. ტალღების მორიგ მოქცევამდე ბუნებრივად გაჩენილ სიჩუმის პაუზებში რომელილაც ფრინველის ხმა ამოაღწევდა, ვიდრე მორიგი ტალღის ხმა არ გადაფარავდა მყიფე, ხანმოკლე დუმილს.

ნარცისი ბუნებით ლირიკოსი იყო, მაგრამ მხოლოდ ბუნებით. მივიდოდა თუ არა მაგიდასთან, დახედავდა თაბახის ფურცელს და ყველაფერი ეფანტებოდა, რადგან მისი ყველაფერი სინამდვილეში არაფერი იყო და სათქმელიც არ გააჩნდა. თუ წერდა მხოლოდ კალეიდოსკოპურ სტრიქონებს, სადაც რითმები ხელოვნურად იყო ჩაკვეხებული, როგორც შპონები, რათა მომდევნო ორსტრიქონედს გარითმვოდა. კრიტიკამ კი თავი გადააკლა მისი პროზის, პოეზიის, დრამატურგიის და ესეისტიკის ქებას. ამ საქმეში გამოირჩეოდა ერთი კრიტიკოსი, რომელიც უფრო შავ-წითელი იყო, ვიდრე შავ-თეთრი, თავის ბუნებით და კარის კრიტიკოსისთვის დამახასიათებელი ლაქუცითა და მუხანათობით. სულაც არ ერია მის ნატურაში სხვა, რომელიმე ფერი, თუმცა შავი ჭარბობდა, თან იმდენად შავი, რომ ზოგიერთები ამტკიცებდნენ, შავი კი არა, გამხმარი სისხლისფერიაო.

ნარცისი მშვიდად მიუყვებოდა ზღვისკენ მიმავალ ბილიკს, ტაატ-ტაატით ჩაუვლიდა ბზის ჭალას, ალაგ-ალაგ, შორიახლო მოშრიალე ლელვის ხეებს და მიაღწევდა კიდეც ლაქაშებამდე, საიდანაც მოვლილი პლაჟი იწყებოდა და ზღვის სიახლოვე გულს უჩქროლებდა. ნარცისს ჩრდილში წამოწოლა უყვარდა და ხანგრძლივი თვლემა, მხოლოდ ათასში ერთხელ წამოიზლაზნებოდა და გაძუნძულდებოდა ზღვისკენ. წყალში ისე შედიოდა, რომ მხოლოდ კოჭებამდე დასველებულიყო, ერთხანს ასე იდგა, მერე ხელისგულებს ჩაყოფდა წყალში და მკერდს და ბეჭებს უსწრაფესად დაიზელდა. თეთრი, თეთრი, ფითქინა სხეული ჰქონდა, მზემიუკარებელი, მზისუნახავი და დამსვენებლები გაკვირვებულები ადევნებდნენ თვალს მის ყოველ მოძრაობას. ამ პროცედურის შემდეგ, რომელიც სხეულის ერთი მეათედის მსუბუქი დაზელვით შემოიფარგლებოდა, აჩქარებული ნაბიჯით, აქოშინებული მიაშურებდა თავის ადგილს, დასწვდებოდა უზარმაზარ ხაოიან პირსახოცს და ერთიანად გაეხვეოდა. ვილაც ჩაილაპარაკებდა თავისთვის: კვერცხები არ გაგიცივდეს, შე საბრალო! ავადმყოფის შთაბეჭდილებას მართლაც ტოვებდა, ოღონდ არა გარეგნობით, არამედ საქციელით, არა ჩაპუსკუნებული ქათქათა სხეულით, ქალისგან რომ არ გაირჩეოდა, არამედ აზროვნებით, მასთან ურთიერთობისას ბავშვური ჭირვეულობით, საკუთარი თავის უზომო სიყვარულით და ხიბლში ჩავარდნილი – დამატებითი ხიბლის ძიებაში იყო ნიადაგ. უყვარდა, როცა განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ, ბატონოთი მიმართავდნენ, თავს დაბლა ხრიდნენ მის დანახვაზე, როცა აგრძნობინებდნენ, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანი და უაღრესად დიდი პიროვნებაა. სიხარულით ევსებოდა გული, მაგრამ ეჭვი, გულს რომ უღრღნიდა, მაინც არ ასვენებდა, რადგან ყველა სიტყვა, რომელიც ქაღალდზე გადაჰქონდა არ ფეთქავდა, არ სუნთქავდა, ასაწყობი კუბიკების ფუნქციას ასრულებდა და ისიც, ორმოცდაათს გადაცილებული მესიტყვე თამაშობდა გარყვნილი ბავშვივით და ამ თამაშის მთავარი მიზანი ის იყო, რომ დიდი მწერლის სახელი დაემკვიდრებინა თავის სიცოცხლეშივე. ტომეულების გამოცემა არ აკლდა, მაღალ ჰონორარსაც აძლევდნენ, ყველა პრემია მიღებული ჰქონდა, მაგრამ მადლის შოვნა ვერ შეძლო და სიმონიას გზას იმეორებდა ძალაუნებურად. პლაჟზე წოლისას ფიქრობდა ათას რამეზე და მათ შორის თავის მოსკოველ სტუმარზე, ოროთახიან ლუქსში რომ ელოდა, რადგან მგზავრობით დაღლილი ისვენებდა და ჯერჯერობით არ ისურვა ზღვაზე გასეირნება. ნარცისი ფეხს ითრევდა, არ ჩქარობდა

თავის ნომერში ასვლას, ზღვის ხმაურს აყურადებდა და თვალების ფსკერზე მოთამაშე ფერად ლაქებს უკვირდებოდა. ასე იჯდა ჩრდილში ან ხის საწოლზე იწვა და ფიქრობდა ნატაშაზე, რომელთან შეხვედრასაც იმდენად განიცდიდა, რომ მასთან მისვლა ვერ გადაეწყვიტა.

სადილობისას, როცა თვითონაც შეახსენა თავი შიმშილმა, წამოიზლაზნა, თეთრი, დონდლო, მოთახთახე სხეულიდან პირსახოცი მოიცილა და სასწრაფოდ შეუდგა ჩაცმას. ნარცისს გაციების პანიკური შიში ჰქონდა და ამ შიშის ტყვეობაში გაატარა მთელი ცხოვრება. თბილისშიც, სამსახურში, უკვე გითხარით რომ ჟურნალ „ვარსკვლავის" რედაქტორი იყო, ისე არ გავიდოდა შინიდან, ვიდრე თანამშრომლებს არ დაურეკავდა და არ გაიგებდა, როგორი ამინდი იყო იმ უბანში, სადაც მისი ჟურნალის რედაქცია მდებარეობდა. კი, აქ უბერავს, ქარია, ცივაო, ატყუებდნენ თანამშრომლები და ესეც სახლში იკეტებოდა, საჟურნალო საქმეებსაც ტელეფონით აგვარებდა. როგორც ერთი ენამახვილი მწერალი ხუმრობდა, იგი რედაქციის სრულ დისტანციურ მართვაზე გადავიდა და ჟურნალში თითქმის აღარ დადიოდა.

სალამოთი სასწრაფო დახმარების ექიმები მიადგნენ ნარცისის ბინას. არავინ იცოდა რა ხდებოდა, შესვლის უფლებაც არავის ჰქონდა. ექიმი დაზეპირებულივით იმეორებდა, რომ ბატონ ნარცისს წნევამ აუწია და თან გული აწუხებსო. მისი სტუმარი ნატაშა უხერხულად იდგა დერეფანში, დიასახლისივით ცდილობდა მოქცეულიყო, მაგრამ

არ გამოსდიოდა თუ არც უნდოდა გაშინაურებოდა შექმნილ ექსტრემალურ ვითარებას. ვიდრე ნარცისი გამოკეთდებოდა ორი დღე გავიდა. ამ ორ დღეს ნატაშა ნომერში დასაძინებლად თუ შედიოდა ან მაშინ, როცა ნარცისისთვის სასადილოდან საჭმელი უნდა აეტანა, დანარჩენ დროს ერთ ახალგაზრდა ყმანვილთან ატარებდა მალულად, რომელსაც საწოლში უამბო ერთი მეტად უცნაური ამბავი.

– ვინ არის ეს კაცი?! გამტანჯა!

– როგორ, რას ეძახი ტანჯვას?

– რას და არ შეუძლია და უნდა.

– როგორ თუ არ შეუძლია და უნდა? თუ არ შეუძლია, რა და როგორ უნდა?

– ჯერ ერთი, მეტი არაფერი უნდა, ოღონდ ლიტერატურაზე ილაპარაკოს და შენ უსმინო.

– შენ რა, ლიტერატურაზე გელაპარაკა? კერძოდ, რაზე?

– რა ვიცი, დაიწყო ერთი რომანის მოყოლა, ჯერ ბაღი აღწერა, სადაც მაგნოლიები ჰყვავიან, ლიმონის პლანტაციაზე და მის ყვავილობაზე, სურნელზე ლაპარაკობდა.

რომანის სათაური დამამახსოვრდა, რადგან თავიდან ინტერესით ვუსმენდი – „ლეოპარდი", ავტორის გვარი ვერ დავიმახსოვრე, მგონი მედუზას წაავავდა.

– ააა, შეიცხადა გაიოზმა, ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზა, ძველი არისტოკრატი, წაკითხული მაქვს ეგ რომანი, ავტორი იტალიელი მწერალი იყო. სახლში ახლაც მაქვს 1961 წლის რუსულენოვანი გამოცემა. ხო არ მოგიყვე?

– ტი, ჩტო? არ გამაგიჟო! ნატაშა აქოთქოთდა, დაიჩივლა, სამი საათი მელაპარაკა ამ რომანზეო.

– მერე ცუდად შენ უნდა გამხდარიყავი, ის კი არა!

– აუ, რაც იქ ვნახე, მსგავსი არსად მინახავს. როგორც იქნა დაიღალა ლაპარაკით, მე კი საწოლში ჩავწექი და ჩემთვის გავყუჩდი. მოვიდა და მომიწვა. აი, თუ გინახავს ლოკოკინა, როგორ გამოდის თავისი ნიჟარიდან, ისე გამოვიდა რაღაც რბილი და ლორწოვანი, შემეცოდა და წავეხმარე, ჩემში რომ შემოეღწია, თან მარჯვენა ხელით მარცხენაზე პულსს ითვლიდა, გულისცემას აყურადებდა, თან ადი – ჩამოდიოდა, ფრთხილად ქანაობდა,პულსაციას ისევ აყურადებდა, მერე უცებ ამოილმუვლა და მორჩა. წამოვდექი, აბა რა უნდა მექნა. აბაზანიდან რომ გამოვედი მთხოვა ჩამეცვა, სასწრაფო გამომეძახა და მე გარეთ გავსულიყავი. ასეთი არაფერი მინახავს, სახეზე მიტკლისფერი ედო, ცალი ხელი გულზე ესვენა და სიმწრისგან გმინავდა. ჩავიცვი და სასწრაფოს გამოვუძახე.

– ჯუზეპე დი მედუზა, მშვენიერი სახელია მაგისთვის. მართლა მედუზასავითაა

– თუ ლოკოკინასავით? ჩაეკითხა ნატაშას.

– კჩორტუ, აღარ მინდა მაგის გახსენება. ერთი ჩემი დაქალი მაფრთხილებდა არ წახვიდე თორემ ინანებო. ჟიმაობის დროს თან პულსს აკონტროლებს და ორგაზმის მერე გული უწუხდება, ექიმებმა უნდა მოაბრუნონო. არ დავიჯერე, ვიფიქრე, ასეთი რა იქნება ვერ გავუძლო, დანარჩენ დროს ზღვაზე გავერთობი, მზეზე გავირუჯები. საშინელებაა, საშინელება. ასე, რომ მცოდნოდა არ წამოვეთრეოდი, მოსკოვში გდება მერჩივნა.

დი მედუზა მესამე დღეს გამოჩნდა, დასასვენებელი სახლის სასადილოში ტაატით მიმოდიოდა, უღიმოდა ნაცნობებს და თავს უკრავდა, ესალმებოდა. ჰკითხეს კიდეც: როგორ ბრძანდებითო? ახლა არამიშავს, ცოტა შეუძლოდ ვიყავი, ალბათ მზემ იმოქმედა, დიდხანს დავყავი მზეზე. გაიოზი შორი-ახლოს იდგა და ამ გასაოცარი ფიქციის დინამიკას თვალს ადევნებდა. ნატაშა ისევ დი მედუზას უმშვენებდა მხარს, ღამეს მასთან ათევდა და ყოველი გულისშეწუხების და დი მედუზას მორიგი ავადმყოფობის შემდეგ, მისი ბინიდან ითესებოდა და გაიოზთან ხუნტრუცობდა. დროზე აუღი ალღო ნატაშამ ვითარებას და დროს მოერგო მშვენივრად.

ნაწვიმარზე ლოკოკინებით ივსებოდა იქაურობა – ეზო, ხის მერქნები, ძელსკამის საზურგეები, ბილიკები, კედლებიც კი და გაიოზი, წუხანდელი ნაბახუსევი ნატაშას ეჩურჩულებოდა და ორივენი ხმამაღლა იცინოდნენ. სიცილის ხმა ვერ აღწევდა მეხუთე სართულამდე, სადაც დი მედუზა მორიგი დაცემის შემდეგ ერთკვირიანი განწმენდის პროცედურებს იტარებდა, წამლებს ყლაპავდა, რეჟიმს იცავდა, დღეში სამჯერ ფუმფულა საჯდომს უშვერდა ექთანს და ნემსის ჩხვლეტას უსიამოვნოდ ელოდა. წინათ მოსაბრუნებლად სამი დღე ჰყოფნიდა, ახალა კი გაურთულდა ჯანმრთელობა და შვიდ დღეს გასტანა.

გაიოზი ბუტკელის ძმაკაცი იყო და სატელეფონო საუბრებში დეტალურად უყვებოდა აქაურ ამბებს, ბუტკელი კი, ტირაჟირების დიდოსტატი, პარნასელებში ავრცელებდა ამ მომხიბლავ ისტორიებს. ორ დღეში ბუტკელიც უნდა ჩამოსულიყო დასასვენებლად, რათა მერე, დასვენებულ გონებაზე უფრო ხატოვნად ეწერა ნეკროლოგები და საიუბილეო მისალოცები, უკეთ შეედგინა საკანცელარიო დოკუმენტები, რომელსაც მთავარს ანუ თავმჯდომარეს ხმამაღლა წაუკითხავდა და ის კი ზეპირად შენიშნავდა, რა უნდა გაესწორებინა ბუტკელს. ამ დროს, ის, ჯერ კიდევ მომავალი ბუტკელი იყო და ასე არავინ მოიხსენიებდა, მაშინ, უბრალოდ ლევანს ეძახდნენ და გაიოზთან ქვიშხეთში განმტკიცებულ ძმობას უფრთხილდებოდა და ამაყობდა კიდეც ამით. სულ მალე ისიც ჩამოვიდოდა ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში და დროს გაატარებდა პერსპექტიულ მწერალ გაიოზ ჩხაიძესთან ერთად.

მეხუთე სართულზე ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში რეზო ინანიშვილიც ისვენებდა, ეს შესანიშნავი მწერალი, ოტია პაჭკორიაც, ნაგულაგარი, გადანასახლები ინტელექტუალი და ტანჯვისგან დაღდასმული. ორივესთან ვმეგობრობდი, ისე, როგორც უფროს-უმცროსობის ტრადიცია ითვალისწინებდა, ახლოს ვიყავი, მაგრამ ზღვარს არასოდეს გადავსულვარ და რიდიც ყოველთვის მქონდა. ასევე ოთარ ჭილაძესთან – ბრწყინვალე პოეტსა და პროზაიკოსთან, საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა ბიჭვინთაში.

მახსოვს, რეზო ინანიშვილი როგორ გაუყვებოდა ზღვისპირს, ხელში ჯოხმომარჯვებული, გასცდებოდა პლაჟს და ჯაგებსა და ჩირგვებს შეერეოდა, იქით მიუწევდა გული ბუნებისკენ, იქ იყო მისი სული და გული და რასაც ეძებდა პოულობდა კიდეც. რაღაც იყო მასში პანთეისტური, თან აუხსნელი სიყვარული ბუნებისა, მაგნიტივით რომ იზიდავდა და მის გარეშე არც შეეძლო არსებობა.

ოთარ ჭილაძე სრულიად განსხვავდება მისგან, ტიპური ურბანისტია, თავისთავში ჩაკეტილი და უმრავლესობასთან ხაზგასმულად დისტანციური, მუდამ გადაღლილი და ფიქრიანი. ერთხელ ოთართან ერთად ზღვის სანაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როზე სეირნობისას ნუდისტებს გადავეყარეთ, პირი დავალეთ და სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას.

საღამოობით რეზო ინანიშვილი მეძახდა თავის ოთახში. გარკვეული უხერხულობისგან ვერ ვთავისუფლდებოდი, თუმცა თავს ვაჩვენებდი რომ თამამად ვესაუბრებოდი. იქ ვნახე პირველად მისი ჩანაწერების რვეული. გამაოცა რეზოს კალიგრაფიამ, ისე წერდა, თითქოს ხატავდა ასონიშნებს. იმ რვეულში, როგორც მახსოვს, ისეთი დოკუმენტური მასალაც ჩაეწერა, რომლის გამოქვეყნებაც იმ დროს შეუძლებელი იყო. ახლაც ერიდება, ალბათ, ოჯახი, ზოგიერთი რამის დაბეჭდვას, რადგან კონკრეტულ მწერალთა ავ საქმეებს ეხება და გასაგები მიზეზების გამო არ აქვეყნებს. რეზო შემხვდებოდა, მკითხავდა თავის შვილზე, დათო ხომ არ გინახავსო, დათო შემომხვდებოდა და მამამისს ეძებდა.

ჰო, რეზოსთან საღამოობით ღვინოს ვწრუპავდით. აივანზე ედგა ერთო მოზრდილი მოწნულა დიდებული ხაშმური ღვინით სავსე და მეტი რა გვინდოდა. მიკითხავდა თავის ჩანაწერებს, ბევრი მათგანი მოგვიანებით გამოქვეყნდა კიდეც. აი, ის საჩოთირო ჩანაწერები კი, როგორც გითხარით, მიზეზთა გამო არ ჩანს დღემდე.

რეზო, რომ გარდაიცვალა, ვერც კი გავიგე, ვერც ნავედი დაკრძალვაზე. მაშინ ალუფხული იყო მთელი თბილისი, მთელი საქართველო, შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ უბან-უბან და არც ტრანსპორტი იყო გარეუბნიდან რომ გამეღწია.

მანამდე, როცა რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს და დაპირისპირებული მხარეები ორ ბანაკად გაიყო, დღედალამ ორივე მხარესთან დავდიოდი და მშვიდობასა და შერიგებას ვქადაგებდი, მაგრამ სასაცილოდაც არ ყოფნიდათ.

ოთარ ჩხეიძეს შევხვდი რამდენჯერმე. დინჯად მიუყვებოდა რუსთაველს, ხალხს ესაუბრებოდა, ათვალიერებდა, იმახსოვრებდა. ეს დიდი მწერალი, ჩემი მეგობრის როსტომ ჩხეიძის მამა, კეთილი ღიმილით მეგებებოდა ყოველი შეხვედრისას. ახლაღა ვიხსენებ რომ ამ სიარულსა და გაბმულ ფიქრში გროვდებოდა საჭირო მასალები რომანისთვის „არტისტული გადატრიალება". როგორც გადატრიალება იყო არტისტული, ასევე არტისტულად წავიდნენ კომუნისტები ხელისუფლებიდან, არტისტულად წააგეს არჩევნები, ისე რომ მრგვალი მაგიდა არც მოელოდა უზენაეს საბჭოში იმდენ ადგილს, რამდენიც მიიღო. კომუნისტებმა იცოდნენ, რომ არჩევნებს წააგებდნენ და რევანშისთვის დაიწყეს მზადება.

ერთ-ერთი შეხვედრისას, ისევდაისევ რუსთაველზე, ბატონ ოთარ ჩხეიძეს ვუთხარი, რომ აქაც იგივე ხალხი დადის, ძველი და ახალი ალთქმის დროს რომ დადიოდა, არაფერი შეცვლილა. ჩაიღიმა თავი დამიქნია და გზა განვაგრძეთ. ხელში ახალი გაზეთების დასტა ეჭირა. მის მხატვრულ– დოკუმენტურ პროზაში საგრძნობია დოკუმენტური მასალების სიჭარბე. მახსოვს, მოგვიანებით „არტისტული გადატრიალება" როგორ გამოიცა, ფარულად, საიდუმლოდ, არავის რომ არ გაეგო. ასეთი წიგნის გამოცემა მაშინ სახიფათო იყო და როსტომმა მითხრა კიდეც, არ მეწყინება თუ ხელს არ მოჰკიდებ ამ წიგნის გამოცემას, ჩემთვის გასაგები იქნებაო. გამოვიდა და დიდი ხმაურიც მოჰყვა. ეს უკვე მოგვიანებით იყო.

მანამდე კი უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა. მაშინდელი უზენაესი საბჭოს კომუნუსტური პარტიის ფრაქციაში მოხვდა სოცრეალიზმის მეხოტბე და ცეკას კრიტიკოსი შავწითელი. ნარცისი, ანუ დი მედუზა დროდადრო სტუმრობდა შავწითელს, თავის მეგობარს, საგამომცემლო კომბინატის დირექტორს.

ერთხელ დი მედუზა შეშლილივით შემოვარდა საგამომცემლო კომბინატში.

– სპირტი და ბამბა მომეცით სასწრაფოდ!

დავიბენი, თან ბრძანების ტონი არ მომეწონა.

– რად გინდათ სპირტი და ბამბა?

– ჩქარა მომიტანეთ, ჩქარა! — გაჰყვიროდა. ბამბა ქალებმა მოარბენინეს. სპირტის ნაცვლად კი არაყი ამოიტანეს საგამომცემლო კომბინატის ჯიხურიდან.

– გახსენით, გახსენით! — ისევ მბრძანებლობდა. გავუხსენი და მივაწოდე არაყი და ბამბა.

ხელიდან წამგლიჯა და სინანულით ჩაილაპარაკა:

– სპირტი აჯობებდა, სპირტი. შეიძლება არაყმა არც მიშველოს.

ბამბა არყით დაასველა და დაიწყო პირისახის გულდასმით დაზელვა. თითქმის ნახევრი საათი გრძელდებოდა ეს პროცედურა, მერე ხელის მტევნებზე გადავიდა, საგრძნობლად წამოწითლდა და სავარძელში ჩაესვენა:

– ნეტა გადავრჩებოდე, ნეტავ?!

– რა მოხდა თომა? — ჰკითხა შავ-წითელმა.

– ვიდრე თქვენთან მოვიდოდი, ერთი ნაცნობი ლამაზი ქალი შემხვდა და გადავკოცნე, მოვიკითხეთ ერთმანეთი, მერე უცებ მითხრა, რომ ორი კვირის წინათ საშინელი გრიპი გადაიტანა. კინალამ გავგიჟდი. არა, ისე ლამაზი ქალი კი იყო, მაგრამ გრიპი რომ ავიკიდო მერე რა მეშველება?

– ლამაზი ქალის კოცნისთვის ღირს მსხვერპლის გაღება. – ჩავილაპარაკე პათეტიკურად. დი მედუზამ წამიყრუა, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, რომ, ჩანდა არ მეთანხმებოდა და იმ ქალის ხელმეორე ხსენებაზე ხელმეორედ შეუდგა სახის არყიანი ბამბით ზელვას.

პირველი, ვინც მომაგონდა ჩემი შარაფისტი ძმაკაცი იყო – მწერალი ჯუმბერ ტიკარაძე, იმას რომ დაენახა რაში ხარჯავს არაყს დი მედუზა, ალბათ პანღურს არ დააყვედრებდა. ეს ის ჯუმბერ ტიკარაძეა თეთრწითელმა რომ ათრია გაზეთ „კომუნისტში" მისი „ბერბიჭა", ასეთი სათაურის მოთხრობა დაბეჭდა „ცისკარში" ჯუმბერ ტიკარაძემ და კარგად ვერც კი ვიხსენებ თეთრწითელმა, ანუ ბესო ჟღენტმა ათრია თუ შავწითელმა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მათ შორის სხვაობა არც არსებულა, ეს უფრო დაუნდობელი იყო, ეს შავწითელი.

დი მედუზა დამშვიდდა მას მერე, რაც მესამედაც დაიზილა სახე. ჩემს მაგიდაზე რომ ადორნოს რუსულენოვანი გამოცემა დაინახა სულ გაგიჟდა.

– სად იშოვე? სად იშოვე?

მესამედ რომ აღარ ეკითხა წიგნი ვაჩუქე, ჯერ თითქოს არ მართმევდა, მერე, როცა დავარწმუნე, რომ მე ისედაც იოლად ვიშოვი, გამომართვა. და დაიწყო ადორნოზე საუბარი. ფრანკფურტის სკოლა, ბრწყინვალე განათლება. მე ვგიჟდები და ცოტათი მშურს კიდეც სანოტო ციტატები.. როგორ იცის მუსიკა ოთახიდან გავიპარე და დი მედუზა და შავწითელი ერთმანეთს შევატოვე. ნაკლული არყის ბოთლიც შეუმჩნევლად გავიყოლე და ჩვენს მხატვრებთან

ერთად გადავხუხეთ. ორი საათის მერე კიდევ არ იყო ნასული, როცა ოთახის ღრიჭოდან შევიხედე და რუსთაველზე გავედი სასეირნოდ, რათა თავი ამერიდებინა ამ ყბედისთვის, რომელიც მუდამ დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და საპირისპირო არგუმენტს არც გათქმევინებდა, კიდეც რომ გეთქვა, არაფრად ჩააგდებდა. უყვარდა ცალმხრივი საუბარი ნებისმიერ აუდიტორიაში და ისეთივე პათეტიკით მეტყველებდა, როგორც წერდა თავის ესეებს. ჟურნალი "ვარსკვლავი" ტაძარია. მას ეკუთვნის ეს ცნობილი ფრაზა და ეს პროფანაციის ერთგული სუბიექტი თავის გზას მიიკვლევდა მთავარი მიზნისაკენ.

საგამომცემლო კომბინატს შეაწერა „ვარსკვლავის" გამოცემის ხარჯები, თვითონ კი საბიუჯეტო თანხას, რომელიც გამოეყოფოდა ყოველთვიურად, ნაწილობრივ ხარჯავდა ხელფასებში, მეორე დიდი ნაწილი კი გაიწერებოდა იმ მანქანის მოვლის ხარჯებზე, მას რომ ემსახურებოდა უბნიდან უბანში გადაადგილებისას, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მისთვის მისაღები ამინდი იდგა.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

გაწერილი თანხებიდან ირკვეოდა, რომ წელიწადში რამდენჯერმე ცვლიდა საბურავებს, თითქმის ყველა ნაწილს – სავალი იქნებოდა თუ სხვა, ხმარობდა უზღვავი ოდენობის ზეთს და საცხს (ტაოტს), რომელიც მთელ ავტოფარეხს ეყოფოდა თავის ყველა მანქანით. ეს ფსევდოპატრიოტიზმით შეპყრობილი დი მედუზა, პრივილეგიებს მიჩვეული არსება თვლიდა, რომ ყოველთვის ტალღის ქეჩოზე უნდა ყოფილიყო და ინტელექტუალური ჩალიჩით ეშოვა ფული, რითაც სხვებს თვალში ნაცარს აყრიდა. რადგან საბჭოეთი აღარ იყო და აღარც ქალაქკომის ბიუროს წევრობა, არც პარნასის მდივნობა, ახლა „ვარსკვლავი" აეკვიატებინა, ეს ჟურნალი ქართველთა სალოცავი ტაძარია და უნდა შეინახოს მთელმა საქართველომო. ამიტომაც აფინანსებს ამჟამად საპატრიარქო, როგორც ტაძარს.

## ლევან ბუტკელის მეორე ამბავი

პარნასის სარდაფში კი დროდადრო ჰუმანიტარული დახმარება რიგდებოდა და გრძელი რიგი შეახსენებდა ნებისმიერ იქ მდგომს, რაოდენ გაზრდილა პარნასელთა რიგები მწერალთა ცნობილი გაწვევის შემდეგ. ხანდახან ნავთსაც არიგებდნენ – ერთ წევრზე 20 ლიტრს და შესაბრალისი სანახავი იყო გატანჯული ადამიანები. არ ეხუმრებოდათ, მაგრამ მაინც ხუმრობდნენ, ანეკდოტებს ყვებოდნენ, ძველები მეორე მსოფლიო ომს იხსენებდნენ, ზოგი ხრუშჩოვისდროინდელ პურის დეფიციტს, მაგრამ რაც მაშინდელ საქართველოში ხდებოდა, შეუძლებელია იმის სახელდება ორი, ან რამდენიმე სიტყვით, წიგნით, წიგნებით ანდა ანალოგის მოძებნა. როგორმე უნდა გადაგვეიწყებინა ეს ყველაფერი და არასოდეს გაგვეხსენებინა, მაგრამ ერთი ტყუილიდან იშვა უთვალავი ტყუილი, დანაშაული, ღალატი, ათასი უბედურება და არავინ ელოდა, რომ ეს ჩანყვდიადებული, შიდაომებისგან ქანცგაწყვეტილი და საკუთარი შეცდომებით და შინაურთა ღალატით განადგურებული ქვეყანა ოდესმე ფეხზე წამოდგებოდა.

ჭაობის სიმშვიდე თანდათან მკვიდრდებოდა საქართველოში და ეს დაჭაობებული სიმშვიდე სატრაბახოდ ჰქონდა მოქკავშირსა და მათ უერთგულეს პარნასის თავმჯდომარეს. მის კაბინეტში ათასი ჯურის ადამიანი ირეოდა და ათასგვარი წერილის მომზადება უწევდა ლევან ბუტკელს. არავინ იცის რატომ დაარქვეს ამ კაცს ბუტკელი, იმიტომ რომ გაჭირვებისას "ბუტკა" გახსნა და ვაჭრობდა ჰუმანიტარული პროდუქტით თუ იმიტომ, რომ თავის ნაცვლად მართლა "ბუტკა" ედგა ვიწრო მხრებზე. ვერც იმას მიხვდებოდა კაცი მხრები ჰქონდა ვიწრო თუ უშველებელი თავი შეშის საჩეხი კუნძივით ამოსჩროდა. თანდათან უკან მიდიოდა პარნასის საქმე. პარლამენტი ეწინააღმდეგებოდა მათი კავშირის დაფინანსებას და უარს ამბობდა ოცლარიან დახმარებაზე. უმთავრესს თავისი გაჰქონდა, ვიდრე იქ იყო, საიდანაც უნდა გამოებუნძულებინათ ან გამობუნძულება უნდა გაეთამაშებინა მომავალში. ბუტკელი არც ნოსტრადამუსი იყო და არც ვანგა და ვერაფერს იმკითხავებდა წინასწარ, მაგრამ გრძნობდა, რომ ჭაობის დინამიკა დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ნავთის რიგში მდგომს შემზარავი პერსპექტივები წარმოუდგებოდა თვალწინ.

ბუტკელს მძიმე დღეები ედგა. მოუსვენრობა და უძილობა დასჩემდა. პარნასში უხალისოდ ასრულებდა დავალებებს. ნეკროლოგების და მისალოცების წერა აღარ უნდოდა, რადგან გროშსაც აღარავინ უხდიდა. ადრე თუ დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა ამ საქმეს, ახლა თავს ძალას ატანდა. ერთი რამ, რაც ამ წლებში გამოუმუშავდა, მექანიკურად ჰქონდა ტვინში ჩაბეჭდილი და უნდოდა თუ არა, ნებისმიერ პარნასელს ისე შეჰყურებდა, როგორც თა-

ვის სანეკროლოგე ან საიუბილეო მისალოცი წერილის პერსონაჟს. ზოგჯერ ფიქრში, უნებლიეთ ლაგდებოდა ტექსტი:

„მოულოდნელად გარდაიცვალა" და ის, ვიზეც ეს სიტყვები გაიფიქრა, იქვე იდგა საღსალამათი. ხელს აიქნევდა ბუტკელი გაფიქრებული წინადადების გასაფანტად და მერე უკვე მისალოცი წერილის ბოლო ფრაზა წამოუტივტივდებოდა: „პარნასელთა კავშირი ულოცავს იმანოს დაბადებიდან სამოცი წლის იუბილეს და უსურვებს", „სიკვდილს", ხმამაღლა წამოიძახა ბუტკელმა და ნავთით სავსე კუთვნილი კანისტრა წაათრია.

ბუტკელი ნერვოპათოლოგთან დადიოდა, თან მოძღვარსაც სტუმრობდა, მეუღლის რჩევით, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ტყუოდა ნერვოპათოლოგთან, რომელმაც ნევროზი დაუდგინა და ტყუოდა მოძღვართან, რადგან არც ერთ სიტყვას მართალს არ ეუბნებოდა, არც პროფესია აძლევდა ამის უფლებას და არც მასში ჩამალული მტანჯველი შიში. ილოცეო, ურჩევდა მოძღვარი. რამდენჯერაც სცადა სულ ეშმაკები ეცხადებოდა, ლოცვის სიტყვებიც კენჭებივით უცვიოდა ბაგეებიდან.

ის წყეული 1992 წელი ახსენდებოდა და დიდუბეში დარბეული თუ დახვრეტილი ზვიადისტების მიტინგი. მგონი ერთიცა და მეორეც. როგორ არ შეეპუა ხალხი მიშვერილ ავტომატებს, ტყვიებს. როგორ დაიჭირეს ორი მარბიელი და ნილბები ჩამოაძრეს, მის თვალწინ ჩაქოლეს, თავები გაუჭეჭყეს. ბუტკელიც იქ იყო სახეშენილბული იმ მარბიელთა რაზმში, მასაც სტაცეს ხელი, წაათრიეს, ფეხქვეშ გაგდებას უპირებდნენ, მაგრამ ღმერთმა უშველა იმათ, ვინც ავტომატის ჯერი მიუშვა მომიტინგეებს, ახლა ამის ჩაქოლვა რომ უნდოდათ და ხელი გაუშვეს, უკუიქცნენ და ასე გადაურჩა ლევანი სიკვდილს. ის ორი ჩაქოლილი ეცხადება თითქმის ყოველ ღამე ბუტკელს და მოსვენებას არ აძლევს. შენც მკვდარი ხარ, რა გგონია, იმ დღეს რომ გადარჩი, ახლა მაინც მკვდარი არ ხარ?! ყვირილით ილვიძებს და სხეულს ისინჯავს, ცოცხალია თუ არა, მაგრამ მერე და მერე იმაზეც ფიქრობს, რატომ შეიძლება იყოს ცოცხალმკვდარი და არა რომელიმე ცალკე აღებული. ეს ჩინოვნიკის ფიქრებია და ენაც შესაბამისი უნდა იყოს.

ახსენდება, როგორ მივიდა ქათამაძე „პარნასის ხმის" მთავარ რედაქტორად, ვიდრე დააწინაურებდნენ და პარნასის თავმჯდომარედ აირჩევდნენ. მივიდა, შეაღო კაბინეტის კარი და ჩაჯდა სავარძელში. არცერთი თანამშრომელი არ გაუთავისუფლებია, ყველა შეეგება და მიელაქუცა, მაგრამ მეორე დღეს მოვარდა კაკულიკა ვასაძე და ქათამაძეს შეუტია;

– აქ მე დამნიშნეს და შენ რა გესაქმება?

– ვინ დაგნიშნა?— გაწინმატდა ქათამაძე.

– ვინ დამნიშნა და კიტოვანმა. მისი სიტყვა კანონია. შენ ვინ ჯანდაბამ გამოგაგზავნა თუ თვითმარქვია ხარ?

– მე ჯაბა იოსელიანმა დამნიშნა. წადი და უთხარი კიტოვანს, ჯაბამ შემოგითვალა. . .

მართლაც წავიდა კაკულიკა და აღარც გამოჩენილა. ჯაბას სიტყვამ გაჭრა, ისე, როგორც რუკის ჩვენებისას, ენგურთან რომ გაავლო საზღვარი.

მერე მე რა, ამათ ვემსახურები რამდენი ხანია, მიტინგებიც ვარბიე, კინაღამ ჩამქოლეს და ბედად გადამარჩინეს. ისევ კანცელარისტი მქვია. ისევ პასკვილების წერას მავალებენ სანებლიძის ფსევდონიმით. ცოლის გვარი მაინც არ ამერჩია ფსევდონიმად, მაგრამ ჩემი დაწერილიც არ არის, მთავარმა მიკარნახა. იმათ ყველაფერი დაუფასეს, რბევაც და ხვრეტაც. ერთი მთავარ რედაქტორად დანიშნეს ჟურნალ „ალიონში", მერე ის რომ დეპუტატად წაიყვანეს, ის ჩაანაცვლეს იმით, სხვა მარბიელი მწერლით, იმავე „ალიონში", ერთი მინისტრის მოადგილედ დანიშნეს საგარეოში. რომელი ერთი ჩამოვთვალო?! ერთხელაც ჩამოვთვლი მაგათ გვარებს, მაგრამ რა აზრი აქვს. ამ ძმებმა კიდევ შემიკლეს ხელში. დღე არ გავა რამე არ ითხოვონ პარნასელთა კავშირიდან. მე კი რისი მიმცემი ვარ, მაგრამ დამღალა ამდენი დადგენილების პროექტის წერამ. ეს დი მედუზა მაინც ვინ არის, უფროსი ძმა, არ შემჭამა? რატომ ამბობს ერთი მწერალი ამათზე: ერთადერთი შემთხვევაა ქართულ ენაში, როცა ძმები მხოლოობით რიცხვში მესმისო. გაიოზს შეეკითხა: ასე რატომ ამბობს ის კაცი ამათზეო? გაიოზმა დიდხანს იცინა და აუხსნა, როგორც მწერლები ძმები ხუსკივაძეები მრავლობითში არ არსებობენ, რადგან ნაღდი მწერალი მხოლოდ უმცროსია, უფროსი დი მედუზა, სინამდვილეში თომა, მიწებებულია და მექანიკურად იმეორებენ ბრიყვები.

ლევანა ბუტკელი დილით ნევროპათოლოგთან დადიოდა, საღამოს კი მოძღვართან. ათი დღე ძლივს გაუძლო მოძღვარს, ექიმს უფრო ენდობოდა. მოძღვარმა ურჩია სწორად ლოცვას გასწავლი, მაგრამ მანამდე კატეხიზაცია უნდა გაიარო და შეემზადო სულიერი ცხოვრებისთვის. არ იცოდა რას ნიშნავდა კატეხიზაცია და მოძღვარსაც ვერ შეეკითხა, შერცხვა. როგორც თვითონ ფიქრობდა, რაღაც დოგმატური სწავლება უნდა ყოფილიყო ან რაღაც ზედმეტი მოვალეობების შესრულების აუცილებლობა. დაფრთხა, მოძღვართან სიარული აღარ მოინდომა. შეშინებული იყურებოდა ხატებისკენ და სახარებას შორიდან გახედავდა ხოლმე თავის ტახტზე წამოწოლილი და ძილის გატეხვის პანიკურად ეშინოდა. თითქმის ყოველ ღამით ეღვიძებოდა შუაღამისას და თვალდაჭყეტილი იწვა გულაღმა. რაღა არ ახსენდებოდა წარსულიდან, მაგრამ ყურადღებას ვერცერთ მოვლენაზე ვერ აჩერებდა, წამოჯდებოდა საწოლზე, ძილის წამალს გადაყლაპავდა და იწყებდა წრიალს. ყოფილა შემთხვევა, როცა აღარც მეორე და აღარც მესამე ძილის წამალი არ აძინებდა და გამოლენჩებული ესვენა ტახტზე. გაიოზის რჩევა გაიხსენა, შეეშვი წამლებს, უფრო გამოგათაყვანებს, ეცადე კარგი ღვინო იშოვო და ყოველღამე ერთი ბოთლი დალიო დაგემოვნებით და მერე მაგრა ჩაგეძინებაო. ასეც მოიქცა, მაგრამ ნერვიული შეტევა უფრო გაუძლიერდა და კინაღამ ფანჯრიდან გადაეშვა. ცოლმა მიუსწრო, რომლის გვარსაც ერთხანს ფსევდონიმად იყენებდა და პასკვილებს წერდა ეს საბრალო.

– ლევან, ლევან! – გაჰკიოდა ცოლი. ფანჯრიდან რომ გადმოათრია ადამიანის სახე აღარ ჰქონდა ბუტკელს და სიფითრიდან ამომზირალი მისი თვალებიც გაშეშებული ყო.

ბუტკელი იმ ღამით საავადმყოფოში მოხვდა, სადაც კარგახნით დააძინეს და გამოფხიზლებისთანავე ისევ აძინებდნენ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



ვახტანგ ჯავახაძის ლექსებს ერთი მეტად უცნაური თვისება გამოარჩევს ქართულ პოეზიაში. სოლიდურ ასაკშიც, როგორც იტყვიან, კარგად კი არ გამოიყურებიან, უბრალოდ ახალგაზრდებად რჩებიან.

ვფიქრობ, ამის ყველაზე დიდი მიზეზი მსოფლაღქმაა, იუმორულ-ირონიული ინტონაციებით შენიღბული, მუდმივ სიმხნევეს რომ გვანიჭებს სამყაროში მიმდინარე დრამატული პროცესების გამო.

თუ შთაგონებას არ ვიგულისხმებთ, ხშირია, როცა რითმის ძიებაში თავგზას კარგავენ პოეტები. მათგან განსხვავებით ვახტანგ ჯავახაძე იმდენად ფაქიზი ბნუებისაა, რომ ღირსებას ნამითაც არ მიაყენებს ჩრდილს და არ მიიტანს რითმის სამსხვერპლოზე. თუმცა, ძალიან ხშირად, სწორედ ადამიანურ სისუსტეებზე „მოგვითხრობს" თავის პოეზიაში.

ასე ეგებება „სიმსუბუქის" ესთეტიკა გარდუვალობის კანონზომიერებებს და დედამიწის ყველაზე მგრძნობიარე სულებს ანტიდეპრესანტებივით უნვდის გარითმულ სტრიქონებს.

დღევანდელი პუბლიკაციაც სწორედ ამაში დაარწმუნებს მკითხველს.

ვახტანგ ჯავახაძე

26 020

## რუსთაველის ჭადრები

მშვიდობით, ჭადრის ჩრდილებო: ჩვენ უცებ გამოგვასახლეს
და აღარავინ გვაღირსებს თქვენი სამოთხის გასაღებს:
დააყაჩაღეს ხერხებმა თქვენი გამზირის კარკასი,
ჩაახშეს გამეტებული მოლაღურების განგაში.
გაიმეტეს და თქვენსავით გაწირეს თქვენი ჭადრებიც,
გარეთ დარჩენილ პოეტებს სახლივით მოენატრებით.
თქვენსავით გაფერმკრთალდება თქვენი ბრალი და
ბრალდება
და თქვენი მთვარე ამაღამ ამაოდ ამობრძანდება.

## ისევ „სამება"

გადაფასდა სახლები, შეიცვალა ბალანსი,
მაკლერები გაებნენ ათას ხათაბალაში.
ზედა – ქვედა სართულებს ალმაცერად დაჰყურებს:
მეცამეტე ტრაბახობს, მეთექვსმეტე ახურებს.
უცებ გადანაწილდა თითქოს უფლის უფლება:
გათამამდნენ, წამოჰყვეს თავი გარეუბნებმა.
გაჯიუტდა მაზანდა, ველარც შეევაჭრები,
აღმოსავლეთისაკენ შემობრუნდნენ ფანჯრები
და დაჭყიტეს თვალები: იისფერი ნისლიდან
ჩუმად ამოოქროვდა, ჩუმად ამოიზიდა, –
და ნუ მეპატიჟები: მოსვლა დამეზარება,
შენი აივნებიდან თუ არ მოჩანს „სამება".

## ერთხელ მაინც

ვისაც მოუსმენია ერთხელ მაინც თოვლისთვის,
მეც მომისმენს, გამიგებს, დამიცდის და მომიცდის.
ვისაც თერგის ტირადა და ალაზნის არია
გაუხმოვანებია, ჩემი მეგობარია.
ვის გზაზედაც – მთები და მთებზე – მონასტრებია,
ვისაც ერთხელ ბიჭვინთის ღამე მონატრებია.
ვისაც შუაღამისას უცებ გაღვიძებია
და ქვიშხეთის ცაცხვები მოუსაკლისებია;
ვისაც ახსოვს სუსხები მოწეული სიმინდის,
ვინც შეუწუხებია არაერთხელ სინიდისს;
ვინც გაურბის სერობას, როცა სხვები რჩებიან,
ვისაც სასიყვარულო დაუმესიჯებია;
ვისაც ანგელოზისთვის თვალი, ყურიც მოუკრავს,
ვისაც თავი ერთხელ მაინც მოუკლავს.

* * *

მიცავს წელიწადების აბჯარი და სამოსი:
ქუთაისის – ცხრამეტი და თბილისის – სამოცი.
არვინ წამომიყენოს სარჩელი და ბრალდება:
ქუთაისის ცხრამეტი – სამოცს აღემატება.
მაქებს ლუკა ჩვენი და მაქებს მათე მათი და
უმაღლესი არ გახლავთ ჩემი მათემატიკა,
მაგრამ ფარდობითობის თეორიის თანახმად -
სიჭაბუკე-სიბერის ყველა ხიდი განალმა.
ადრე, როცა მართობდნენ შაირი და კაფია,
გადიოდნენ დღეები, ახლა წლები გარბიან,
და მე იმ წლებს ჩამითვლის, მხოლოდ იმ წლებს ცხოვრება,
მხოლოდ იმ წლებს, რომლებიც კარგად მემახსოვრება.

* * *

უცებ შედედდა საცობი, მოულოდნელი საცობი,
ყოველთვის მოულოდნელი და ძნელად გამოსაცნობი.
ამაოდ უტევს ფერადებს შენი „ოპელის" გიშერი,
ახლა სიგნალი კი არა, სირენაც ველარ გიშველის.
სად დაიკარგა პატრული? ნამალი მაინც გეყიდა?!
რა ძალით შემოეტენე, შეიძლებოდა ფეხითაც.
მიზეზს ამაოდ დაეძებ – უჩინოსა და უჩინარს,
შეიძლებოდა ხვალაც და შეიძლებოდა გუშინაც.
ალბათ, ცხოვრებაც ესაა, თუკი არ შეიცვლებოდა,
ასედაც შეიძლება და ისედაც შეიძლებოდა.
ალბათ საცობიც გვამზადებს ყინულზე გასაცურებლად,
გამწყრალი მამაკაცები მონათლა ვაჟკაცუნებად.
რა სამიტინგე მასალა ცდება?! – მიდი და გარისკე!
ველარ ვეტევით, ბატონო, თუ არ მოვკურცხლეთ
მთვარისკენ.
მე მინდა, გავესაუბრო კანონის მოდარაჯეს და
ვუსაყვედურო: ვინ დასვა მატრიარქატი საჭესთან?

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბობენ: ვერვინ დაიხსნის ავტომობილის მონასო,
შეხედე: როგორ უხდება ჯიპი ერკეთის მონაზონს!

* * *

სამოთხის ლამაზმანებო, უადამებო დამებო,
თქვენ გამახსენეთ ედემის დედიშობილა სამეფო.
ცას ევასავით შესცინით, მზეს ეუბნებით: ჩადიო!
ლამის საჩემო სამზეო ლამის ჩარჩოში ჩატიოთ.
ლოველასებმა გაკურთხეს: ღმერთმა დაგწეროთ ჯვარიო!
როგორმე უნდა მოვქრთამო მეც თქვენი იმპრესარიო.
თქვენი ფერი და ფერვალი საზღვრებსაც აღარ განარჩევს:
მინიმალური სამოსიც ეზედმეტება დანარჩენს:
რაღა დარჩა და თითქმის და ცოტაც და რაღა აკლია:
არც ურეკია საჭირო, არც გაგრა, არც ანაკლია,
არც პოდიუმი: გეწვევით და აღარც მოგეხათრებით,
მოწყალე მენატურენო, სად დაგეკარგათ მხატვრები?!
ყოველდღე თქვენი ზეიმი და თქვენი ბენეფისია,
მაგრამ, სამოთხის ჩიტებო, ვინაა თქვენი „ბიძია"!!!

## ქება სიბერკაცისა

შევიფერე სათვალე და ჭაღარასაც ვიფერებ,
ვახოც მყავს და მარიამიც, რას მიქვია სიბერე?!
მიადვილებს მტკივნეული წლების დაბალზამებას –
ღვთიშობლის და ორი მეფის სახელების სამება.
სხვამ შეირგოს საკუთარი სახელი და სახრავი,
მე კი ჩემი მირჩევნია სათესი და სახნავი.
შევეჩვიე: ძველებურად თვალებს აღარ ვაფეთებ,
თუ დამჭირდა, შემიძლია მეორედაც დავბერდე.
მესამედაც... თუკი სიტყვას ბაჟი არ დაედება,
თუკი გამეტების დროშებს დახევს გადამეტება.
ჯერჯერობით ბადიშივით მელოდება არგანი,
ერთადერთი – ბორკილიღა დამრჩა დასაკარგავი.
დღეები და ღამეები, როგორც ვიანგარიშე,
განონასწორებულია უკვდავების გარეშეც.
და ასაკის იმუნიტეტს ვერვინ გამიბათილებს,
რადგან არცერთს არ ვანსხვავებ: მცნებას ვიცავ ათივეს.
სტრიქონებში ვარდებს შორის მებლანდება ასკილი,
დამდევს მეფისტოფელივით ლექსი უკანასკნელი.
მემუქრება სიმარტოვე – ბეწვზე გადარჩენილი –
და კარებთან ყავარჯენი მელის განაჩენივით.

## გალაკტიონის მოტივებზე (I)

გომბორის მთვარე და კოდორის მთიები,
ლაჰილის დალი და ყაზბეგის ფერია, –
გინახავთ თქვენ ჩემი სამშობლოს მთები? –
იგი დაბინდული ქლიავის ფერია.
მეძახის ქვიტირის სურო და ხვიარა
და ველარ მაკავებს ჩიხები ბალახვნის, –
თუ ფეხშიშველა არ გავიარე,
რაა ბალახი?!

დალალდა, ყოველდღე ნანიებს მაგია,
ყოველდღე მალვიძებს ხმა მეეზოვესი,
დამიცა, ბარემის მეც გვერდით აგიარ,
როდესაც ზეცაზე გადიარს ზევესი.
გაძვირდა ტატუ და გაძვირდა სვირინგი
და მინდა ხარჯები გავინახევრო:
გულდენი! შილინგი, შილინგი, შილინგი!
გროშები! გროშები! გროშები! ევრო!

## გალაკტიონის მოტივებზე (II)

დაბინდული ქლიავების
ფერს რო ველოლიავები,
იარების ზიარების
ნაკვალევზე ვიარები.
სათავიან-სადავიან
მდინარეს რო გადავიარ,
იმისთანა ლადავია,
მხატვრის დასახატავია.
ისე გვათრობს მზერა შენი,
რაშებს თმობენ მერაშენი
და ხუნდება შენი შურით
მზის და მთვარის შერაშენი.

## ნეტავ?

– ნეტავ შოთას ანდა ვაჟას
ვინ ასწავლა წერა-კითხვა?
– დაანებეთ თავი ნაჯახს:
ვერ ამოშლით წერაქვითაც!

## კაცია-ადამიანი!!!

არ დაელია ლუარსაბების
ქვეყანას პურის ჭამის საბაბი.
უცხოვრია თუ უარსებია –
ყველა ქართველი ლუარსაბია.
მოხსნეს თამამი ანუ თავნება
ბანკების ბანკი რესტორანებმა.
ფიროსმანიან-წერეთელიან
კედლებში ხმები ვერ ეტევიან:
აკორდს დაეძებს გამა ამაოს:
– საქართველოო, გაამოს!

## პაატა ცაავა

აანყო პაატა ცაავამ ებანი:
„საათაბაგოთა გაბაასებანი".
ადიდა მაარი, ადიდა საადი,
დახარჯა ცხრაასი კილოვატ-საათი.
რეესტრში ჩარიცხა უდროო დროები:

ქანაანელები, ვატერლოოები.
სააკაშვილები, სააკაძეები,
ლაოკოონივით დათვლილი დღეები.
ჯეელი მეეტლე, საამო საარი,
ზაალიშვილების მეექვსე ზაალი.
მირზაანელების თიბათვის სათიბი,
მეეზოვეების ჯარ-ჯამაათები.
ისააკ ნიუტონს მიჰგვარა ჭკვიანი
ნათლული – ავეტიქ ისააკიანი.
შიიტებს უბოძა ზღვა პრივილეგია,
თუმცალა ჰააგა წინაალმდეგია.
ვერ შველის, შორსაა კუნძული ტაიტი,
ამშვიდებს ვეება ვეერის ტაატი.
უარყოფაა და უარყობაა და
ლოცავენ: გაამოს, გაამოს, პაატა!
პაატა ცაავა –
ცააში წაავა!

## იყიდება საქართველო

საქართველო, დებო და
ძმებო, მალავს ხვაშიადს,
წინათ – იყიდებოდა,
ახლა – გაყიდვაშია!

## 1917

იყო ბელი, იყო ბლოკი,
იყო პოეტების ბლოკი,
ადიდებდნენ, სამშობლო კი
წითლდებოდა, ვით ბოლოკი.

* * *

საახალწლოდ ნაძვის ულამაზეს ხეს –
დეკემბერი საიანვროდ მასესხებს.
იაიებს – მარტის ულამაზესებს –
ნასესხები აპრილივით მასესხებს.
დამტოვებენ მისანი და მასონი,
გალამაზდებიან ულამაზონი.
ხოლო იგი, ვინც შეიცვლის მიმიკას,
ღარიბების კაზინოში მიმიყვანს,
რათა ბოლოს იქ არა და სხვაგან კი –
ერთხელ მაინც დავიძახო „ვა-ბანკი"!

## მზე – უცები

წვიმა ქუჩის კიპარისებს
ამრუდებს და აზიგზაგებს,
თავშესაფრებს გვიხარისხებს
და გვაჩქარებს ტაქსისაკენ.
თითქოს გული ეზიდება,
არ იბრალებს ქოლგიანებს,
მინისაკენ ეზიდება
ცათაშუა ოკეანეს.
ირიბი და ალმაცერი
აღარ ცხრება, აღარ ილებს...
მაგრამ ვიდრე ალმასებით
დედაქალაქს აღარიბებს,
ვიდრე ღრუბლებს აფეხმძიმებს
და ერთმანეთს არ აშორებს, –
მზე – უცები – დაბრეცილებს
უმალ გაათარაზოებს.

## ოცნებას კაცი არ მოუკლავს

რას მიქვია მეცხრამეტე ლუდოვიკო! –
მირჩევნია მუდოსავით მუდო ვიყო,
ანდა ვიყო ვახტანგ მერომელილაცა,
ვინც ფრანგების მეფესავით ვერ ილვანა
და რომელსაც შეაჩეჩეს მესტამბეთა
სიგელი და ფარანი და ესტაფეტა,
რათა გაჰყვეს სადიპლომატიო გემებს
და სინოპში ჩაუტანოს დიოგენეს
(კმარა! შენ ხარ ვახტანგ ათასმეექვსე და
რიგი აღარ დაარღვიო მელექსეთა!).

* * *

ვარდები არ ჰქონდა – დარდები კი ჰქონდა,
ვილები არ ჰქონდა – ვალები კი ჰქონდა,
შინდისი არ ჰქონდა – სინდისი კი ჰქონდა,
„ნისანი" არ ჰქონდა – მიზანი კი ჰქონდა, –
ამიტომ მწუხარე რაინდი იყო და
ოცნებამ თანდათან გაა-დონ-კიხოტა.

## ჰა და ჰა!

აქა-იქ და ხე-და-ხე
ილანდება ცა და ცა,
ასულს ჰგვანან ძე და ძე,
ძმას ნატრობენ და და და.
სადაც იყო ჭა და ჭა,
სადაც არის რუ და რუ, –
სადაცაა, ჰა და ჰა,
მიაღწევენ კუ და კუ.
გაანუნკა მადამა
მექალთანე, მედამე,
წინკვი გაამადამა,
ამიტომაც ვედავე.
რა მაკლია, რა და რა:
დასტური და ჰო და ჰო,
ბალანჩინის პა და პა

მომწონს, როგორც პო და პო.
მახსოვს სესხის დატა და
მახსოვს მესტამბეთა ბე,
ეჭვმა გამაქადაგა:
გაგვაორა მე და მე.
არ დაიდო ყადაღა
რითმამ, პური მაჭამა,
დავასრულე, ჰა და ჰა,
ჩემი ანტიმაჯამა.

* * *

ვეძებ ორიგინალებს,
მომაჩეჩეს ასლები,
ვინც მაცთუნა, ინანებს,
მსაჯულს დავემსგავსები.
ჩანჩქერების ხმაურში
მზემ მუხები გარუჯა,
მევაჭრება ალუჩის
ბუში, როგორც ალუჩა,
და მაეჭვებს ფასადი
ტაძრის მეცამეტესი,
ისე, როგორც ფაშატის
და სახედრის მეტისი.
მიყვარს მთვარის დაირა –
მზეზე უსპეტაკესი,
ოლონდ ცაზე – და არა
ჭაში ანდა სარკეში.
ჰქვია სამაგიერო,
როცა საწინდარი ჩანს,
ტარიელის კი არა –
ლუარსაბის დარეჯანს.
დაიწმინდა ქაოსი,
დაცხრა ყველა დეტალი,
წუხელ „ვეფხისტყაოსნის"
დამესიზმრა დედანი.

* * *

მე ჩემს დამაყაჩაღებელს ვეაჯები: მაპატიე,
ორიოდე რითმის მეტი – არაფერი მაბადია.
ნუ მაგინებ, რაკი თვითონ შეგეშალა მისამართი,
შემეშვი და დამეკარგე, წაშავდი და მისამარდი.
გაიხედე: ეს ქალაქი თითქმის ერთი ბანკია და
ადრესები დააზუსტე ფულის სარკოფაგიანთა.
ოლონდ კარგად გაზომე და შეყოვნდი და შეიცადე:
თუ ნაგასნრეს, დღეებივით დაგითვლიან წელიწადებს.
ისიც გაიანგარიშე, ვიდრე წლები გამიზრდია:
მაცხოვარი არასოდეს არ აცხადებს ამნისტიას.

**სახელი:** მე...დაუწერელი ლექსების მესანთლე
**გვარი:** ფასეულობათა ულირსი მემკვიდრე
**სქესი:** ამორძალი
**დაბადების თარიღი:** დრო, „როცა სიკვდილმა დაბადება შენყვიტა"
**ოჯახური მდგომარეობა:** მაინც გავილიმებ
**მისამართი:** ჟურნალი "ჩვენი მწერლობა" "ლიტერატურული პალიტრა"
**განათლება:** დიპლომების შემგროვებელთა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული
**სამუშაო გამოცდილება:** ლექსთფილოსოფების კათედრის სტაჟიორი
**მავანთა შეფასება:** ნიჭიერ-ამბიციური
**ჰობი:** აბსურდში აზრების შეგროვება
**საყვარელი სასვენი ნიშანი:** ! ! !



**ფობია:** სიბერე (ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც)
**საყვარელი სუნი:** ალუბლისფერი სევდა
**რა იყო:**
იყო ბინისფერი ნალველი და რიყის სველი ნაცრისფერი ქვები...
**რა არის:**
არის მუქში მომწყვდეული საფეთქლები...
**რა იქნება?**
ლექსის ეშაფოტი
**დანაშაული:**
ვალს როცა დავუბრუნებ სამყაროს, მაშინ ვიქურდებ.
**სლოგანი:** გადამიცვალეთ სამყარო ლექსებზე...
**და ისევ:**
მე... დაუწერელი ლექსების მესანთლე...

**კატო ჯავახიშვილი**

## მე და დემონებმა

წუთში ჩაძირულა ფიქრის ქარიშხალი,
ჩემი უძილობაც ამ წუთს ემონება,
მგონი, ცეცხლის ალი ისე გავიყავით,
როგორც დემონებმა...

უფსკრულს უძინარი ხახა გაულია,
ისე, რომ ქვესკნელში მზეც კი გეგონება,
სუნთქავს უცნაური შიში სხეულიდან,
როგორც მოგონება...

## მემკვიდრეობა

ფიქრად დაკლაკნილა ჩემი სიმარტოვე,
როგორც უსასრულო გზები ლაბირინთად,
საწუთრო, დროებით სამკვიდროდ მათხოვეს,
მაშინ ეს სიტყვები რომ არ გამერითმა.
ალაზნის ხეობა მუჭებით დავცალე,

მზერა ვაბანავე სველი კალმახებით,
წლები,
გულგრილობის ნილბით რომ წავშალე
სახეში მხვდებოდნენ, როგორც მათრახები.
ბევრს არას ვითხოვდი, მაგრამ ის მცირედი
სად იყო, როცა ქარებს გავეკიდე,
როცა, ყოველ ღამე სინდისს ვაძინებდი
ფასეულობათა ულირსი მემკვიდრე.
ნესტით ობმომდგარი ძველი კიდობანი,
თვითონ დახავსულმა ვძერწე აჩრდილებად,
მუხაც მე გავჩეხე, ის, ჩემი დარგული,
მთელი ბავშვობა რომ ღიმილს მაჩრდილებდა.
ვბორგავ!
ისტორიას ლანდად მომწყვდეული,
რუხი ისტერიის გაბმულ ტყვეობაში,
თითქოს გაზაფხული ჩემთვის მოწვეული
უცხო სტუმარივით იდგა "დღეობაში".
ჰოდა მე ვესროლე!
მარტი დავუტბორე,
ტყვიას გაყოლილი დენთის მდუღარებით,
ცხელი ანაბეჭდი სისხლად დავუტოვე,
შუბლზე მიბჯენილი ყაყაჩოს თვალებით.
ჩემი სამკვიდროა შავი აკლდამები,
უძვლო საფლავების ცივი მდუმარება,
ნეტავ, ამ შეგრძნებებს როგორ ვაკავებდი
თურმე შემძლებია თავის შეკავება.
წუთი გამიქვავდა ჩემი წარსულიდან,
როგორც მატიანეს სიტყვად დავეკიდე,
ვძირკვავ!
ღრმადფესვგადგმულ გრძნობებს ამ სულიდან
ფასეულობათა ულირსი მემკვიდრე.

## გაქცევა

საშველად ოაზისს დავეძებ თვალებით,
შიშველი ვიმუხლებ ქვიშების მინდორთან,
რატომ არ ჩაიცვით სამყაროს შავები,
როცა მზის გარეშე ცხოვრება მინდოდა.
ხნულები ვერ გამყავს,
აქ სულ ქვიშებია,
განთიადს სახე აქვს ნაფრესკალ ქალწულის,
ცხელი სტრიქონებიც აქვე შიშვლდებიან
წყურვილის შიმშილის მზის ხელში დაწურვით.
შვიდგზის გიპოვე და შვიდგზის კვლავ დაგკარგე,
მშრალი სინანული მითხარ სად დავტოვო,
ახლა შუბისტარზე საწუთრო ავაგე
ოქროს ნაყოფივით მზეს, რომ დავატოლო.
გახსოვს?
ის ლექსები ჩემი დანალმული,
ღამით რომ ვერაფრით ვიწვენდი მკლავებზე,
როგორ მენატრება მინა დანამული,
ახლა გაგრილებას ტუჩებით დავეძებ.
გაჩერდა კადრი!
ეს მართლა გესლია,
სფინქსივით ცივი და სფინქსივით მდუმარე,
თუ მხოლოდ ზურმუხტის ნაპერწკლებს მესვრიან,
დროს სტალაქტიტებით რომ გადაუარეს.
ვიცი, გადარჩენა აქ ძალზედ ძნელია,
შვიდგზის მიყვარდი და შვიდგზის გიღალატე,
მხოლოდ უდაბნოა და არსად მელიან
და მხოლოდ თვალები გულს, რომ მიმალავდნენ.
ნერწყვით მისველდება შიშველი მუცელი,
სხეულში საამო სიგრილის ტენია,
შვიდგზის გაფატრული გრძნობების მოცელვით,
მტანჯავს აგონია, როგორც ისტერია.
მტკივა!
და ცრემლები იშლება ნისლებად,
ტკივილი სხეულზე შამანად დავისვი,
რვეული მელნისგან ნელ-ნელა იცლება
და ცხელ უდაბნოში მკლავს მე ოაზისი.
შვიდგზის ფხიზელი და შვიდგზის ნამთვრალევი
გრძნობა, მონარჩენი ფქვილივით გავცერი,
მომაქვს,
ამოთხრილი ზურმუხტის თვალები
ქვიშის საათივით დროისგან გაქცევით.

## მამაო

მამაო,
მტკიოდა უსახლო სამკვიდრო,
დარდის შვერილები ვით სტალაქტიტები
სუნთქვას მიჩხვლიტავდნენ წარსულის ტიტრები,
ჩემი სიმარტოვე ღამით რომ გამიყო
იმ წუთს, გარინდული სუნთქვით ვაბიჯებდი
სულში ჩანესტილი გრძნობების კვალდაკვალ,
ცრემლიც მომდიოდა ტალანში ხანდახან.

მამაო,
ვიხევდი სულიდან სტრიქონებს
და წლებს გამცილებელ კორტეჟად ვაწყობდი,
თვალებს ამ მომლაშო სითხეში ვაწობდი,
მამაო, მითხარი მე ვინ მომიგონებს
თუ სივრცის არეკვლა ვცადე ამ ლექსებით
და ამ სიჯიუტეს მე ვერ შევეშვები.

მე ცხელ უდაბნოში მკლავდა ოაზისი
ჩემით მოხმობილი გრილი სხეულიდან,
როგორც ეს სიტყვები ძველი რვეულიდან
და ჩემი სამკვიდრო ხის ძველ მოაჯირში,
ქუჩის ბანერივით მაკრავდა ბოძებზე
და სხვა იარაღი მე ვერ გამოვძებნე.

მამაო,
მიყვარდა, მძულდა, ვღალატობდი,
მკლავდნენ და დილას კვლავ ვიწყებდი თავიდან,
მამაო, მე მგონი ცხოვრება გავიდა,
მის ბოლო ჩასუნთქვას ისე ვდარაჯობდი
ჩემიც გავაყოლე,
დათხრილი ზურმუხტის თვალების სისველე
მუჭით მოგიტანე,
მამაო მიშველე...

ენრიკე ვილა-მატასი

# მკითხველის ჩანაწერებიდან

## 1. მონტეროსო უსასრულობაში მოკლედ თქმის ქება

თავის "ექვს წინადადებაში მომავალი ათასწლეულისათვის", იმ ნაწილში, რომელიც სისწრაფეს ეხება, იტალო კალვინო ამბობს, რომ იგი არ იცნობს უფრო სრულყოფილ მოკლე მოთხრობას, ვიდრე გვატემალელი მწერლის აუგუსტო მონტეროსოს ზღაპარია. საუბარია მონტეროსოს უკიდურესად მოკლე ზღაპარზე, რომელშიც სულ ესაა ნათქვამი: "როდესაც მან გაიღვიძა, დინოზავრი ჯერ კიდევ იქ იყო". კალვინოს ამ კომენტარის წყალობით მონტეროსოს სახელი არაესპანურენოვან მკითხველსაც მისწვდა. ხოლო კალვინომა და მონტეროსომ, რომლებიც მანამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ, გადაწყვიტეს, რომში ერთად ესადილათ. პაემანზე მეუღლეების თანხლებით მივიდნენ. კალვინოცა და მონტეროსოც მორცხვი ადამიანები იყვნენ. თვითონ მონტეროსომ მიამბო ერთ დღეს ბარსელონაში, რომ იმ სადილზე მან და კალვინომ საუბარი ვერ ააწყეს. დანაკლისს ქალბატონების საუბარი ანაზღაურებდა. რამ გამოიწვია ეს დუმილი? სადილობის დაწყებისას მორცხვმა კალვინომ თქვა: "მე ვიცნობ გვატემალას". მონტეროსოსთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ფრაზა და მან გაიფიქრა, შესაბამისი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, "მე ვიცნობ რომს", მაგრამ ასეთი პასუხი სულელური ეჩვენა და სადილის დასრულებამდე ხმა აღარც ამოუღია. „დუმილს, – მითხრა მონტეროსომ, – იწვევს შიში. საუბრის გაგრძელების შესაძლებლობა ისპობა იმის შიშით, უკვე ნათქვამი არ გავიმეოროო. ზოგჯერ სიტყვები თავიანთ თავს ანადგურებენ."

დინოზავრის განთქმულ ზღაპარზე ერთი ამბავი გავრცელდა ლეგენდასავით. ამბავი რეალურია, მე თვითონა ვარ მისი მომსწრე. ბარსელონაში, "ტრეს ტორესის" უბანში გამართულ კოქტეილზე მონტეროსოს ქალბატონი მიუახლოვდა და უთხრა: "მე ახლა თქვენს დინოზავრის ზღაპარს ვკითხულობ". მონტეროსო ქალბატონის აზრით დაინტერესდა. "ჯერ ვერაფერს გეტყვით, მიუგო ქალბატონმა. ჯერ მხოლოდ ნახევრამდე მივედი".

მონტეროსოს პროზაში არის მოკრძალება, ლაკონურობა, იუმორი და საოცარი სინთეზი ნარატიული რეფლექსიის, ფილოსოფიური ზღაპრისა და პოეტური აფორიზმებისა. მის "მარადიულ მოძრაობაში", რომელიც საფრანგეთშიც გამოვიდა, გვხვდება ჟანრების შთამბეჭდავი და ეფექტური რღვევა, რის წყალობითაც ჩვენს წინაშე იშლება ლიტერატურული ფარდაგი თავისი მრავალი მიმართულებით, მოკლე მოთხრობებით, აზრებით, აფორიზმებით, თავისუფალი გადახვევებით და მოკლე უნივერსალური ანთოლოგიით ბუზის შესახებ, მწერისა, რომელიც ავტორისეულ სამყაროში გამოხატავს მავნებლობასა და გენეტიკურ სიჩლუნგეს სახეობისა, რომელიც არ ვითარდება.

„სამყარო არ ვითარდება", ამბობს მონტეროსო, სერვანტესისებრი ღრმა ირონიის დიდოსტატი, რომელიც ადამიანის არსების ფარულ უკიდურესობებს იკვლევს. გაბრიელ გარსია მარკესისა და მის მსგავს მწერალთა სახელგანთქმული ფოლკლორული მაგიური რეალიზმის საპირისპიროდ იკვეთება მონტეროსოს შემოქმედება, სრულყოფილი ნიმუში იმისა, რისთვისაც შინაგანი რეალიზმი შეგვეძლო გვეწოდებინა. თუ მაგიური რეალისტები ცდილობენ, ასახონ ფანტასტიკური და ჯადოსნური გარეგანი რეალობა, მონტეროსო, პირიქით, ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებას ეძიებს და მისდევს იმ მიმართულებას, საიდანაც არ გადაუხვევიათ რობერტო ბოლანოს, სესარ აირას, ხუან ვილიოროს, როდრიგო რეი როსას, როდრიგო ფრესანსა და ალან პაულსს, დღევანდელი ლათინური ამერიკის საუკეთესო მწერლებს.

ხდება ხოლმე, რომ მოკლე ტექსტების ავტორს დიდი სურვილი უჩნდება, უსასრულოდ გრძელი ტექსტების დაწერაც მოსინჯოს. რათა გაეგოთ, სჩვეოდა თუ არა ეს მონტეროსოსაც, ერთხელ ჰკითხეს, გიყვართ თუ არა პრუსტიო. მისი უჩვეულო მშვენიერი პასუხების მომლოდინეებს მწერალმა უთხრა: "მოკლედ წერა „დაკარგული დროის" კითხვამ მასწავლა. მე ვიფიქრე, რომ სწორედ პრუსტის საპირისპირო უნდა მეკეთებინა."

მე მაინც მგონია, რომ მონტეროსო მოკლე ტექსტების ავტორი კი არ არის, არამედ უსასრულო მოკლე ტექსტებისა. ერთ დღეს მისი ზმანებების სამყაროთი დავინტერესდი და მან მიპასუხა: "მოკლედ გეტყვი: იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხეშეშფრთიანი მწერი, სახელად გრეგორი ზამზა, რომელსაც ესიზმრებოდა, რომ იყო ხეშეშფრთიანი მწერი, სახელად ფრანც კაფკა, რომელსაც ესიზმრებოდა, რომ იყო მწერალი, რომელიც წერდა ერთი მოხელის შესახებ, გრეგორი ზამზა რომ ერქვა და რომელსაც ესიზმრებოდა, რომ იყო ხეშეშფრთიანი მწერი".

## 2. სარაგოსაში ნაპოვნი ანეკდოტი აქამდე ყველაფერი შესანიშნავად იყო

ხანგრძლივად მდუმარე ადამიანებს რაც შეეხება, ჩემი საყვარელი სცენის მოქმედება ხდება ციურიხში, კაფეში, სადაც ერთ დღეს "პარკების ჯგუფის " სამი წარმომადგენელი შეიკრიბა (ამბავს გვიამბობს ვალტერ ბენიამინი). არნოლდ ბიოკლინი, მისი ვაჟი კარლი და გოტფრიდ კელერი ჩვეულებისამებრ მუნჯებივით ისხდნენ. სიჩუმეში გასული საკმაო ხნის შემდეგ ახალგაზრდა ბიოკლინი ამბობს: „რა სიცხეა!" სიმუნჯეში გადის კიდევ თხუთმეტი წუთი და მამა ბიოკლინი პასუხობს: „ნიავიც არ იძვრის". კიდევ რამდენიმე წუთი უნდა გავიდეს, რომ კელერი ადგეს და წარმოთქვას: „საკმარისია! ეს აუტანელია, სულაც არ ვაპირებ, სმა გავაგრძელო შარლატანებს შორის!"

როგორც ხედავთ, ამ მონათხრობს დუმილის შესახებ ანეკდოტის სტრუქტურა აქვს და ძალიან ჰგავს მას. მართლაც ანეკდოტივით მიამბო იგი სხვა დროს ერთმა მეგობარმა ისე, რომ პროტაგონისტები არ დაუსახელებია, არც იცოდა, რომ ბენიამინს სერიოზული ჩანაწერი ჰქონდა ამაზე გაკეთებული. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, ზღვარი დრამატულ მოთხრობასა და ანეკდოტს შორის

ძალზე მყიფე და მგრძნობიარეა. ბევრჯერ მინახავს, როგორ ქცეულა ვულგარული ანეკდოტი დიდი სიღრმის მქონე მოთხრობად.

ერთ დღეს სარაგოსელმა რეჟისორმა ლუის ალეგრემ მისი ქალაქის უძველეს კაფეში სახალისო ამბავი მიამბო და მაშინვე გამიჩნდა იდუმალი სურვილი, დრამატულ მოთხრობაში გამომეყენებინა იგი. ამბავი შეეხებოდა ბავშვს, რომელსაც უნარი კი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს ლაპარაკობდა. მიუხედავად ექიმების მტკიცებისა, რომ მას არანაირი ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანება არ აღენიშნება და მშვენივრად შეუძლია ლაპარაკი, ბავშვი სიტყვაუთქმელად ატარებს წლებს. მშობლები წუხან, ბავშვი დუმს. ორმოცი წლისა ისე გახდა, არაფერი შეცვლილა. ერთ დღეს ჩვეულებისამებრ სადილობს და დესერტს რომ გაათავებს, მოულოდნელად ინებებს, დაილაპარაკოს – პირველად ცხოვრებაში. „დესერტი საძაგელი იყო", – ამბობს იგი. მშობლები, რასაკვირველია, მაშინვე ჰკითხავენ, აქამდე რატომ არაფერს ამბობდიო. "საქმე ისაა, რომ აქამდე ყველაფერი შესანიშნავად იყო", - პასუხობს შვილი.

ცოტა ხნის შემდეგ ეს ამბავი მეტ-ნაკლები სიზუსტით ჩავრთე ჩემს ნოველაში, რომელსაც „დანტე სალამს გიძღვნის" დავარქვი. ვინც კი ნოველის თავდაპირველი ვერსია წაიკითხა, შენიშვნა მომცა, ანეკდოტიდან მომდინარეობსო. გადავწყვიტე, გადამემუშავებინა. ვერსიების ზედახორა დავწერე, მივიდოდი იმ ვარიანტამდე, სადაც არაფერი მოჰგავდა ანეკდოტს, თუმცა ფინალი შევინარჩუნე. როდესაც იგი იტალიურად ითარგმნა, ერთმა ჟურნალმა ვრცელი ფსიქოანალიტიკურ-ლიტერატურული ესეი მიუძღვნა. მისმა მწყობრმა მსჯელობებმა მეც წამართვა ენა გაკვირვებისაგან. მაგალითისათვის, სტატიაში ეწერა, რომ „სიტყვასა და დამწერლობას ბადებს მხოლოდ ცხოვრებისაგან მიყენებული ჭრილობები".

დიდხანს მტკიცედ მჯეროდა, რომ ეს ამბავი მხოლოდ ჩემი კუთვნილება იყო. მაგრამ ერთ დღეს ჩემდა გასაოცრად წავიკითხე, რომ მწერალ ანტონიო ლობო ანტუნესის ძმაც წლობით არ ლაპარაკობდა, სანამ ერთხელაც რაღაცის გამო დაჩივლება მოუნდებოდა. დედის შეკითხვას, თუ რამ გადააანწყვეტინა ხმის გაღება, მან დაახლოებით ასე უპასუხა: „საქმე ისაა, რომ აქამდე ყველაფერი შესანიშნავად იყო". გასაგებია, ეს რასაც გამახსენებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ კი წავიკითხე, რომ გასაგიჟებლად დიდი დრო დასჭირებია აინშტაინსაც, ვიდრე ალაპარაკდებოდა (ამბობენ, უეჭველად აუტიზმი სჭირდაო) და რომ მასაც ეს ნაბიჯი სადილობისას გადაუდგამს. პირველი თავი კერძი არ მოსწონებია და „ეს სუპი საზიზღრობაა", უბრძანებია. მასაც დედამ ჰკითხა, აქამდე რატომ არაფერს ამბობდიო, ხოლო პასუხი თვითონვე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. დაბოლოს: ვინაიდან აინშტაინს არ შეეძლო წაეკითხა ჩემი ნოველა ანდა მოესმინა ლუის ალეგრეს ანეკდოტი, დიდი შანსია, რომ ქრონოლოგიურად პირველად მას ეკუთვნოდეს "აქამდე ყველაფერი შესანიშნავად იყო", სიტყვები, რომლებსაც ლობო ანტუნესი თავის ძმას მიაწერს, ხოლო ჩემამდე ლუის ალეგრეს მეშვეობით მოაღწია სარაგოსას ერთ ძალიან ძველ კაფეში. იქნებ ესპანეთში გავლისას თვით აინშტაინი მოჰყვა ამ ამბავს, ოღონდ იმას კი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მისგან ჩემდაუნებურად საფსიქოანალიზე ნოველა გამომივიდოდა.

ფრანგულიდან თარგმნა
**ნინო ციმაკურიძემ**

---

თქმა მართლისა

იოსებ ჭუმბურიძე

# ვარდი, შადრევანი, თვითმფრინავი,

## ანუ „საკითხავი“ აი, ეს არის?!

ეს არაერთხელ თქმულა და დაწერილა:

ქართველები უნიკალური ხალხი ვართ, რადგან წიგნს – „დედა ენას“ – ძეგლი დავუდგით.

დღეს ესეც უნდა ვთქვათ და დავწეროთ:

ქართველები უცნაური ხალხი ვართ – წიგნს, რომელსაც ძეგლი დავუდგით, ულმერთოდ შეურაცხვყოფთ!

გადაშალეთ თანამედროვე (?!) „დედაენები“, შეადარეთ ისინი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ და დარწმუნდებით.

ეს განსაკუთრებით იმ „დედაენაზე“ ითქმის, ავტორებად (დიახ, ავტორებად!) **ბაკურ სულაკაური, მარინე ბედოშვილი** და **თინათინ კუხიანიძე** გვევლინებიან.

ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი საკუთარ თავს „დედა ენის“ მხოლოდ შემდგენელს უწოდებდა, ესენი კი ავტორობას იჩემებენ – იაკობის „დედა ენის“ ავტორობას (?!).

ზნეობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ეს იურიდიულ ენაზეც დანაშაულია, ანუ პლაგიატორობა, ანუ სხვისი საკუთრების მოპარვა-მითვისება.

ეს – პლაგიატორობის არსი.

ახლა კი წიგნის შინაარსს შევხედოთ და ვნახოთ, რას და როგორ ასწავლიან პირველკლასელებს თანამედროვე (?!()„დედაენით“ – ისევ ბაკურ სულაკაურის (და „კომპანიის“) სახელმძღვანელოს მაგალითზე, ოღონდ, იაკობის უკვდავ ქმნილებასთან შედარება-შეპირისპირებით.

იაკობის „დედა ენა“ სამნაწილიანია. პირველ ნაწილს „ანბანი“ ჰქვია – მეორეს – „ანბანის შემდგომ საკითხავი წიგნი“, მესამეს – სასულიერო-ზნეობრივი განყოფილება. აქედან, პირველკლასელთათვის პირველი და მეორე ნაწილია განკუთვნილი.

ბაკურ სულაკაურის (და „კომპანიის“) „დედაენაში“ ამგვარ ნაწილებს ძებნას ამაოდ დაუწყებთ.

იაკობის ფუძემდებლური პრინციპები აქ სრულიად უგულებელყოფილია. არც ასო-ბგერების შესწავლის იაკობისეულ თანამიმდევრობას იცავენ, არც მათი გამოწერა-გამოყვანის წესებს. „ანბანი" და „საკითხავი" აქ ერთმანეთშია არეული. აქ იაკობის გენიალურ აღმოჩენას – „აი ია"-ს წინ ბაყაყი უსწრებს (?!).

იაკობთან, პირველკლასელი ჯერ ანბანის ყველა ასოს შეისწავლის და „საკითხავი წიგნი" მხოლოდ ამის შემდეგ იწყება. თანამედროვე (?!) „დედაენაში" კი ანბანის შემდგომ საკითხავ ტექსტებს, პატარებს ანბანის შესწავლამდე, პირველივე გვერდებიდან სთავაზობენ. იგულისხმება, რომ მშობლებმა უნდა ნაუკითხონ.




ვთქვათ, უნდა ნაუკითხონ!

რა უნდა ნაუკითხონ? – საკითხავი, აი, ეს არის!

ამ თვალსაზრისით, ჯერ ნამდვილ „დედა ენას" შევხედოთ, თანამედროვე სახელმძღვანელოთა ნაკლი მის შუქზე უკეთ გამოჩნდება.

დავსვათ კითხვა:

რა პრინციპით ხელმძღვანელობდა იაკობ გოგებაშვილი, როცა პირველკლასელთათვის ანბანის შემდგომ საკითხავ ტექსტებს არჩევდა.

ამ კითხვის პასუხი დევს მის ერთ-ერთ პოლემიკურ სტატიაში – „ხრიკების ხუხულა ბ-ნი გ. წერეთლისა".

როცა „დედა ენაში" შეტანილ ხალხურ ლექსებზე („სახალხო პოეზია") მსჯელობს, იაკობი წერს:

**„ორკეცი შრომა მიმიძღვის ხალხის ნაწარმოებზედა. ჯერ ერთი ესა, რომ შემიკრებნია ისინი ხალხში, მეორე ესა, რომ რედაქცია მათი შემიცვლია, თანახმად ბავშვების ბუნების მოთხოვნილებისა".**

ოდნავ ქვემოთ დასძენს:

**„ყოველი ჩვენი ცვლილება ხალხურს გემოს და ხასიათს შეესაბამება და წარმოადგენს იმგვარ გადასხვაფერებას, რომელსაც თვითონ ხალხი მოახდენდა, თუ ბავშვებისათვის დანიშნავდა მათ".**

ამავე სტატიაში იაკობ გოგებაშვილი ამბობს, რომ ანალოგიური პრინციპით ეპყრობოდა თვით აკაკის ლექსებსაც:

**„დედა-ენაში არის დაბეჭდილი ათამდე პატარა ლექსი ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის რედაქციით. წინად ეს ლექსები ჩვენი რედაქციით იბეჭდებოდა, მაგრამ რადგან მათი ფორმა არ მაკმაყოფილებდა, ამის გამო, ვსთხოვე აკაკის, ჩაეცმია მათთვის თავისებური პოეტური ტანისამოსი. მანაც დაუზარლად ამისრულა თხოვნა და ზოგი ძლიერ შესცვალა, ზოგი უფრო ნაკლებად: როცა მივიღე აკაკისგან რვეული ამ ლექსების, მისი ხელით სუფთად გადაწერილი, მე ვთხოვე მას ნება მოეცა ცვლილებისა, თუ პედაგოგიური მოსაზრებით ამას საჭიროდ დავინახავდი და კიდეც მივიღე იგი. ამ ნება დართვით ვისარგებლე და შიგა-და-შიგ შევცვალე სიტყვები და ფრაზები სიმარტივის გასაძლიერებლად. როცა აკაკის თხზულებებს ბეჭდავდა გამომცემელი ამხანაგობა, ეს ლექსებიც ამოეწერა „დედა-ენიდგან" და სხვებთან ერთად წარედგინა ავტორისათვის. აკაკის, რომელმაც თურმე არ იცოდა, საიდგან იყო ეს ლექსები ამოწერილი, გადაეკითხნა იგინი და არც ერთის ჩვენი ცვლილებისათვის ხელი არ ეხლო. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ... როცა ვცვლით ლექსსა, ისევ აკაკისებურს ლექსსა ვხმარობთ და ჰარმონიას არ ვარღვევთ. ხალხის ნაწარმოებსაც სწორედ ასე ვეპყრობით".**

ვფიქრობთ, იაკობის პრინციპი სრულიად ნათელია: ანბანის შემდგომ საკითხავი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს „ბავშვების ბუნების მოთხოვნილებას" და შესაფერისი „პოეტური ტანისამოსი უნდა ეცვას".

ბუნებრივია, იაკობი პროზაულ ნაწარმოებებსაც ამავე პრინციპით შეარჩევდა.

იაკობ გოგებაშვილს „დედა ენაში", უპირატესად, აკაკის ლექსები შეჰქონდა. მას „დედა ენის" მთავარ მგოსანს უწოდებს.

რა მდგომარეობაა, ამ მხრივ, ბაკურ სულაკაურის და „კომპანიის" „დედაენაში"?

ფრიად არასახარბიელო.

შეიძლება ასეც ითქვას: ვითარება ტრაგიკომიკურიც.

თუ იაკობის „დედა ენის" მთავარი მგოსანი საქართველოს უპირველესი პოეტი - აკაკი იყო, **ბაკურ სულაკაურის „დედაენის" (2006 წ.) „მთავარი მგოსანი" ც.ხოცუაშვილია.** ოცი ლექსიდან, თექვსმეტი (?!) მისია, ენის გასატეხებიც მასვე ეკუთვნის. აი, ასეთები:

**„ღორჯაგარა ჯაგარს იშლის, ჯავრით ჯაგ-ჯაგ დაჯაგჯაგებს".**

ნუთუ ისე ღარიბია ქართული საბავშვო პოეზია, რომ „დედაენაში„ შეტანილი ოცი ლექსიდან, თექვსმეტი სრულიად უცნობ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს (?!)

დანარჩენი ოთხი ლექსი ვისლა ეკუთვნის? მოგახსენებთ: გ. ჭიჭინაძეს, მ. წიკლაურს, თ. ნადირაძეს და ნ. გაბრიჩიძეს.

არც ვაჟა, არც შიო მღვიმელი, არც გიორგი ქუჩიშვილი, არც მაყვალა მრევლიშვილი, არც ნოდარ დუმბაძე...

მსგავსი ვითარებაა პროზაულ ტექსტებთან დაკავშირებით: ოცდაერთი მოთხრობიდან მხოლოდ ორს აწერია, იაკობ გოგებაშვილის მიხედვითო, დანარჩენები ვისია? – ი. მალაციძის, მ. მიქელაძის, ერთიც თვითონ ავტორებს მ. წიკლაურის ლექსის მიხედვით დაუწერიათ, ავტორებს სხვა პროზაული ტექსტებიც ეკუთვნით.

მაგალითად, ასეთი:

დედა და შვილი სკვერში შედიან. ბავშვი წამოიძახებს: **„რა დიდი შადრევანია!"** სხვა შემთხვევაში ბავშვის აღტაცებას ვარდების ხილვა იწვევს, კიდევ სხვა შემთხვევაში – თვითმფრინავის დანახვა.

ცხადია, ამ შემთხვევაში, ავტორებზე ვერ ვიტყვით, რომ მათი მიზანია, მხატვრული ტექსტი „ბავშვების ბუნე-

ბის მოთხოვნილებას„ ეთანხმებოდეს და „შესაბამისი ტანისამოსიც ეცვას“. მათ სულ სხვა მისწრაფება აქვთ: მთავარი **შადრევანი, ვარდი** და **თვითმფრინავია.** თანაც ამათი ხსენება იმდენად ეჩქარებათ, რომ ანბანის შესწავლას ვერ დაელოდებიან. „დედაენის“ ოცდამეორე გვერდზე უკვე შადრევანი და მისით აღტაცება უნდა დახვდეთ. ეს ხომ ის „დედაენაა“, პირველკლასელებს თვითონ პრეზიდენტმა რომ უნდა ჩამოურიგოს. ხომ შეიძლება, პრეზიდენტმა მეტი დრო ვერ გამონახოს და წიგნი მხოლო ოცდამეორე გვერდამდე გადაათვალიეროს. ხომ დაილუპებიან, ამოდენა შრომა წყალში ჩაეყრებათ.

ამიტომ ეჩქარებათ. მერე, რა, რომ ბავშვი ამ ტექსტს თვითონ ვერ წაიკითხავს, რადგან ჯერ ორი ასო-ბგერაც არ უსწავლია. დაე, მშობლებმა წაუკითხონ და აღტაცებაც ერთად გამოხატონ.

მლიქვნელობა და ფარისევლობა უფრო შორს ვერ წავა. არადა, სახელმძღვანელოს „დედაენა“ ჰქვია – იაკობის მიერ შერქმეული სახელი!

ღვთაებრივი წიგნი უფრო მეტად როგორ უნდა შებღალო?!

* * *

სხვა „დედაენებსაც“ შევხედოთ. ვნახოთ, რამდენად ეთანხმებიან მათში გამოქვეყნებული ლექსები თუ მოთხრობები „ბავშვების ბუნების მოთხოვნილებას“.

ავიღოთ „დედაენა“, რომლის შემდგენელიც ვ. როდონაია და „კომპანიაა“. განვიხილოთ მოთხრობა „დაბადების დღეს“, რომლის ავტორებიც თვითონვე არიან:

**„დღეს ია ოთხი წლისა გახდა... ძამიკომ კი თავისი გაკეთებული (ცხადია, უხეირო ქართულია) მისალოცი ბარათი აჩუქა (მისალოც ბარათს ჩუქნიან? — ავტ.). ია თავის მეგობრებს ელოდება და ძალიან ღელავს. ზეიმი სალამოზე გაგრძელდა. მისალოცი ბარათი ასეთია:**

**„ჩემო საყვარელო დაიკო,**
**გილოცავ დაბადების დღეს.**
**დიდი გოგო გაიზარდე“.**

ძამიკო დაიკოს ასე არ მიმართავს. ამას პატარებს უფროსები ეუბნებიან.

**„დაჩი, გაიცანი, ესენი ჩემი ბაღის მეგობრები არიან!** – არც ასე აცნობს ოთხი წლის გოგონა თავის ძამიკოს.

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ეს ყოველივე „ბავშვის ბუნების მოთხოვნილებას ეთანხმებოდეს“.

ბუნებრიობა და დამაჯერებლობა, ყოველივე ამას, უდავოდ, აკლია.

იგივე შეიძლება ითქვას ტექსტზე, რომელსაც „ჯადოსნური სიტყვები“ ჰქვია:

— ვინ ჩამოთვლის ჯადოსნურ სიტყვებს? – ეკითხება პირველკლასელებს მასწავლებელი.

ისინიც ჩამოთვლიან:

**„– სეზამ, გაიღე...**
**– სიმ, სიმ, გაქრი...**
**– აბრა-კადაბრა... თაგვად იქეცი“.**

არა გვგონია, პირველკლასელებისგან დამაჯერებელი იყოს. თანაც ეს სიტყვები კი არა, გამოთქმებია.

ამის შემდეგ, მასწავლებელი ბავშვებს მიმართავს:

**„მე თქვენ ახალ ჯადოსნურ სიტყვებს გასწავლით.**
**უკაცრავად, მაპატიე, თუ შეიძლება, გმადლობთ, ბოდიში...“**

უნებურად იკითხავ: რატომაა ესენი ჯადოსნური სიტყვები?

შესაძლოა, ავტორებმა რაღაც ღრმა ჩანაფიქრზე მიგვითითონ, მაგრამ აქაც დარღვეულია იაკობის მთავარი პრინციპი – „დედაენაში“ შეტანილი ნებისმიერი ტექსტი მარტივი და ბავშვებისათვის ადვილად გასაგები უნდა იყოს.

არაფრისმთქმელი და პედაგოგიურად გაუმართლებელი ტექსტის არაერთი ნიმუში გვხვდება „დედაენაში„, რომლის ავტორებიც (?!) **შალვა და ნათელა ამონაშვილები** არიან.

აი, მაგალითი:

**„ორმოში ჩავარდნილის ამბავი**
**– ორმო ვერ შენიშნე?**
**– ვერ შევნიშნე!**
**– ორმოში ჩავარდი?**
**– ჩავვარდი!**
**– ორმოში ზიხარ?**
**– ვზივარ!**
**– შველას ელოდები?**
**– ველოდები!**
**– ორმო სველია?**
**– სველია!**
**– თავი მთელი გაქვს?**
**– მთელი მაქვს.**
**– მაშ ცოცხალი ხარ?**
**– ცოცხალი ვარ!**
**– აბა, მშვიდობით!**

სულ ეს არის!

კაცი ვერ გაიგებს, რატომ და რისთვის შეიტანეს ეს ტექსტი „დედაენაში“. რას აძლევს ან რას ეუბნება იგი მოზარდს. არავითარი მორალი, ზნეობრივი შეგონება, მისაბაძი მაგალითი. აზრიც ვერ გამოგიტანია.

მსგავი უაზრობებისგან დაზღვეულია სახელმძღვანელო, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით შეადგინა **ვალერიან რამიშვილმა.** ცნობილია, რომ ბატონი ვალერიანი ყველაზე მეტად ერთგულებდა იაკობისეულ პრინციპებს.

სამწუხაროდ, აქ აკაკის ლექსებს ვერ შეხვდებით, მაგრამ, საბედნიეროდ, შეხვდებით ილია ჭავჭავაძის, დუტუ მეგრელის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის პოეტურ ნაწარმოებებს, და, რაც მთავარია, პროზაული ტექსტის უმეტესი ნაწილი იაკობ გოგებაშვილისეულია.

აღნიშნული სახელმძღვანელოს 2006 წლის გამოცემაზე მითითებულია, რომ იგი „შეავსეს და გადაამუშავეს **თამარ ღონღაძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, აკა მორჩილაძემ“.**

თუკი შეიძლება, ამ გამოცემის მიმართ რაიმე პრეტენზია გაგვიჩნდეს, ეს, უმთავრესად, ერთ-ერთ შემვსებელს და გადამმუშავებელს ეხება - ანუ ტექსტებს, რომელთა ავტორიც აკა მორჩილაძეა.

სწორედ ის მოუთხრობს პირველკლასელებს ვახტანგ გორგასალზე, შოთა რუსთაველზე, იაკობ გოგებაშვილზე,

თბილისზე და მოუთხრობს ამგვარად: **„დედაენა“ არის პირველი სასწავლო წიგნი, რომელსაც ბავშვები გადაშლიან სკოლაში“** (შინ არ გადაშლიან?! — ავტ.).

**„აქ ბევრია ძველი ეკლესიები, ხიდები და სახლები. თბილისში არის მეტრო, ხოლო ახალ უბნებში მრავალსართულიანი სახლები დგას“.**

ძველ უბნებში არ დგას? ანდა, რას ეუბნება ეს ბავშვებს?

**„შოთა რუსთაველი დიდი ხნის წინათ, თამარ მეფის დროს ცხოვრობდა“.**

ხომ შეიძლება ბავშვმა იკითხოს: თამარ მეფე როდის ცხოვრობდაო?

თითქოს ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ ისეთი დაფასებული მწერლისგან, როგორიც აკა მორჩილაძეა (ბოლოს და ბოლოს „საბას“ ოთხგზის ლაურეატია), უფრო გამართულ და აზრიან ტექსტებს ელოდებიან - უფრო მიმზიდველს, თანაც „ბავშვების ბუნების მოთხოვნილებასთან შეთანხმებულს“.

ასევე ნაკლები პრეტენზიის საფუძველს იძლევა სახელმძღვანელო, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შეადგინეს ნ. მაღლაკელიძემ და ე. მაღლაკელიძემ.

იაკობის პრინციპები, ძირითადად, აქაც დაცულია. რაც მთავარია, ისინი თავს ავტორებად არ აცხადებენ, რაც მისასალმებელია.

მართალია, ავტორთა ისეთი სიმდიდრით ვერ დაიკვეხნის, როგორც ვ. რამიშვილის შედგენილი სახელმძღვანელო, მაგრამ რაც მთავარია, „ანბანის შემდგომ საკითხავი“ ტექსტების უმეტესობა აქაც იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის, მათ გვერდით კი ღირსეულად გამოიყურებიან თანამედროვე ავტორთა ლექსები, მათ შორის – ორი ნოდარ დუმბაძისა, ერთიც – მუხრან მაჭავარიანისა.

რაც შეეხება პროზაულ ნაწარმოებებს, აქ ერთი უხერხულობა უნდა შევნიშნოთ. იგავ-არაკის „ლომი და ხარება“ ავტორად ვ. რამიშვილთან დავით კლდიაშვილია გამოცხადებული, მაღლაკელიძეებთან კი - სერგო კლდიაშვილი. შესაძლოა, მექანიკური შეცდომა იყოს, მაგრამ ყურადღება მაინც უნდა მიექცეს და მომდევნო გამოცემებში გასწორდეს.

კიდევ ერთი შენიშვნა: ის, რაც იაკობ გოგებაშვილისაა, ნ. და ე. მაღლაკელიძეები გვთავაზობენ რუბრიკით „ბრძენკაცის დარიგება“.

არა გვგონია, ეს მთლად ზუსტი და ზედგამოჭრილი იყოს.

მაგალითად, აღნიშნული რუბრიკა რომ შეესაბამებოდეს მოთხრობას „დაკარგული ბავშვი“.

ბაზრობა იყო. ხალხი ბუზივით ირეოდა. უცებ ერთი ხუთი წლის გოგონა ასცდა დედას და გზა დაკარგა. აქეთ ეცა ბავშვი, იქით ეცა, მწარედ ტიროდა, ცრემლებს ღვრიდა და ქვითინებდა. ყველას ძალიან შეეცოდა, გარს შემოეხვივნენ და ჰკითხეს:

– პაწიავ, გაგვაგებინე, ვინ არის დედაშენი?

– დედაჩემი ის არის, ვინც ყველაზე უკეთესიაო.

კარგია, რომ ყოველ ტექსტს ბოლოში ასეთი შეკითხვები ერთვის:

– სად დაიკარგა ბავშვი?

– რატომ ეგონა ბავშვს თავისი დედა ყველაზე უკეთესი?

– ეთანხმებით გოგონას სიტყვებს?

ეს უთუოდ წაადგება ტექსტის ღრმა შეცნობას. შემდგენლები არც ამით კმაყოფილდებიან და მოსწავლეებისგან მეტსაც ითხოვენ.

მოთხოვნა ასეთია:

„გააკეთეთ დასკვნა (შემოხაზეთ თქვენი პასუხი)“:

1. გოგონას დედა მართლაც ყველაზე ლამაზი იყო, ამიტომ ხალხმა იგი ადვილად იპოვა.

2. გოგონას დედა სულაც არ იყო ყველაზე უკეთესი, იგი შვილს ეგონა ასეთი.

პასუხის მესამე ვარიანტი არ წერია. იგულისხმება, რომ მოსწავლეს შეუძლია, თვითონ დაწეროს, თუ მისი აზრი არც პირველს ემთხვევა და არც მეორეს.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას: **„გააკეთეთ დასკვნა“** უხეირო ქართულია. უნდა იყოს: გამოიტანეთ დასკვნა.

ენობრივი ლაფსუსები სხვაგანაც გვხვდება: „ჩამოთვალე გარეული ფრინველები. **რომლები არიან მათში მგალობლები?“**

თავისთავად კი, ის, რასაც მოსწავლისგან მოითხოვენ, ჩვენი აზრით, სავსებით მისაღები და გამართლებულია. თუმცა შემდგენლები არც აქ ჩერდებიან და პირველკლასელებს კიდევ ერთ დავალებას აძლევენ. ჯერ ეკითხებიან:

„– როგორია, შენი აზრით, დედა?“

კითხვას კი ასეთი დავალება მოსდევს:

„გადმოეცი ამ მოთხრობის შინაარსი იმგვარად, თითქოს ეს ამბავი შენ შეგემთხვა“.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ ტექსტს წინ დავალება უსწრებს. შემდგენლები ამას „კითხვისთვის მზადებას“ უწოდებენ.

ამ შემთხვევაში, დავალება ასეთია:

დააკვირდი სურათს (ყველა ტექსტს ნახატი ახლავს – ავტ.) და შეადგინე პატარა ამბავი. თხრობისას აუცილებლად გამოიყენე: „გზა დაკარგა“, „პაწია გოგონა“, „დედას ასცდა“.

თითქოს აქ მიუღებელი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვიდრე მოთხრობას არ წაიკითხავს, მხოლოდ ნახატის მიხედვით, პატარას გაუჭირდება, თუნდაც პატარა ამბავი რომ შეადგინოს.

საერთოდაც, ღირს დაფიქრება იმაზე, რომ მეტისმეტი ხომ არ არის ერთი გაკვეთილის (ერთი პატარა მოთხრობის) გარშემო პირველკლასელისთვის ამდენნაირი დავალების მიცემა. ესეც ხომ არ ეწინააღმდეგება იაკობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბავშვისთვის ყველაფერი მარტივი და ადვილად გასაგები უნდა იყოს.

P.S. აქ მხოლოდ იმ „დედაენებს“ შევეხეთ, განათლების სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციით, სახელმძღვანელოს სტატუსი რომ აქვთ მინიჭებული. სხვა უარესი „დედაენებიც“ არსებობენ (მაგალითად, ვახანიასი) იმდენად უარესები, რომ მათ ფონზე ვარდიც, თვითმფრინავიც და შადრევანიც არაფრად მოგეჩვენებათ. მართალია, მათ სამინისტროს რეკომენდაცია არა აქვთ, მაგრამ ავტორები თავიანთსავე საავტორო სკოლებში დაუბრკოლებლად იყენებენ. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით წერედიანი

# „ედგარი მესამედ“

ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი.
იყო საღამო. ლოცვები. ზარი.
და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.

ენატრებოდა ფრთებს სითამამე
უზრუნველობის, შენი სიშორის!
მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე,
ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.

და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
საცაა, მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივდიოდით ტაძრისკენ სამი.

* * *

გალაკტიონის მეორე წიგნი, დღეს ამას ალარავითარი მტკიცება ალარ სჭირდება, სიმბოლიზმის აშკარა ნიშნებით არის აღბეჭდილი. როგორც არ უნდა გადაწყდეს თითოეული ჩვენგანისათვის მრავალწლოვანი დავა, იყო თუ არა გალაკტიონ ტაბიძე სიმბოლისტი, ვერავინ ეცდება იმის უარყოფას, რომ სიმბოლიზმის პოეტიკამ მასზე ღრმა გავლენა მოახდინა და მისი მრავალი და მრავალი ლექსი სიმბოლისტურ განწყობილებათა წიაღიდან იშვა. ამ პერიოდის გალაკტიონი, თუ სრული გულახდილობით ვიტყვი ჩემს თვალსაზრისს, უფრო წიგნითა და საკუთარი ფანტაზმებით შთაგონებული პოეტია, ვიდრე გარემომცველი სინამდვილით. რეალური, უმეტეს შემთხვევაში, შეგრძნებათა გამაა, უფრო იშვიათად – ანტურაჟი. ოდნავი გადაჭარბებით იმის თქმაც კი შეიძლება, რომ აზრიცა და შეგრძნებაც მხოლოდ იმპულსი დ საბაბია, მიზანი კი არსებითად სულის წამიერი შეთრთოლებაა, მუსიკალური აკორდი.

ამგვარი ლექსის აზრობრივი ინტერპრეტაცია ყოველთვის სათუო საქმეა, ერთ მნიშვნელამდე ძნელად დაიყვანება და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ განყენებული არსებობის უფლებას ინარჩუნებს: „სულის წამიერ შეთრთოლებას“ ვერც გააძლიერებს და ვერც ხელს შეუშლის.

* * *

ლექსი იდუმალ, გაუხსნელ მინიშნებათა პრინციპზეა აგებული. ბუნდოვან ასოციაციათა მწკრივი, რომელიც თანდათანობით ტრაგიკულ შეფერილობას იღებს,

და შესაბამისივე ტონალობის ფაქიზი სიტყვიერი ქსოვილი, მაღალ ვერსიფიკაციულ ოსტატობასთან შერწყმული, შთაბეჭდილების სისრულისათვის სავსებით საკმარისია. ჩაძიება, დაკონკრეტება, ქარაგმების გახსნა აუცილებელი სულაც არ არის, რომ ლექსმა სათანადო ზემოქმედება მოახდინოს. ყოფიერების სიმძიმე, გამოუვალობის შეგრძნება ნელი, გაწონასწორებული ლირიზმით ლბილდება. მაგრამ ბუნდოვან ასოციაციათა მწკრივს ამ შემთხვევაში მკვიდრი შინაგანი კარკასიც აქვს და შევეცდები – რამდენად დამაჯერებლად, ამის თქმა თავადვე გამიჭირდება – მის ჩვენებას.

უკვე სათაურიც ერთგვარად საგონებელში გვაგდებს.

ედგარი, ცხადია, ედგარ პოა, ფრანგული და, მის კვალდაკვალ, ყველა სხვა სიმბოლიზმის ერთ-ერთი მთავარი კერპი, ფანტასტიკისაკენ, მისტიკისაკენ, ბნელი განწყობილებებისაკენ მიდრეკილი პოეტი, მას აგრეთვე „სიკვდილის პოეტადაც“ მოიხსენიებენ. გალაკტიონს იგი თითქმის ამომწურავად ჰყავს დახასიათებული: „აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი დასდევს განწირულთა შავი პოეზია“.

„არტისტული ყვავილების“ ზოგიერთი „შავი“ და „განწირული“ პასაჟისათვის იგი სრულიად ბუნებრივი სტუმარია.

მაგრამ რატომ მესამედ?

გალაკტიონის ლექსთა არეულ-დარეულ ქრონოლოგიაში გარკვევა საკმაოდ რთული საქმეა, მაგრამ რევაზ თვარაძის გამოთვლით ეს სტუმრობა არანაირად მესამე არ გამოდის, რევაზ თვარაძე კი ამ შემთხვევაში სავსებით საიმედო მოწმეა.

მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ არაზუსტი სათვალავი ამ წაკითხვას არ აუქმებს.

თუ პოეტი ამბობს, რომ ესა და ეს ლანდი მესამედ ეწვია მის ფანტაზმებს, რითი შეგვიძლია დავუპირისპირდეთ ამ სათვალავს?

ამას გარდა, არსებობს არამტკიცებადი, მაგრამ არსებითად გასაგები მიზეზი.

ტექსტში ედგარ პოს სახელი ნახსენები არ არის, მისი ხსენება კი პოეტს აუცილებლად ესახება და იგი სათაურში გააქვს. პირდაპირ „ედგარი“ ან სულაც „ედგარ პო“ შინაარსეულად გაუმართლებელი იქნებოდა, სათქმელს არ შეესატყვისება. ეს არის ედგარ პოსა და მისეული ბნელის შემოჭრა სუბიექტის წარმოსახვასა თუ პოეტურ სამყაროში, რასაც სათაური – „ედგარი მესამედ“ – სრული სიცხადით ამბობს. რიცხვი სამი ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ყველაზე მართებული არჩევანია. „პირველი“ არაფრისმთქმელია, „მეორე“ ამბისმიერ ახსნას მოითხოვს, შემდგომი რიცხვები კი აშკარად მეტისმეტია...

არსებობს წაკითხვის კიდევ ერთი, ჩემთვის სრულიად გამორიცხული ვარიანტი – „ედგარი მესამე კაცად“ ანუ სასიყვარულო სამკუთხედის მესამე წევრად. თავი რომ დავანებოთ გრამატიკულ შეუძლებლობას, გალაკტიონის მიერ ედგარ პოს მოხსენიება „ვიღაც მესამედ“ და „ვიღაც მახინჯად“ ღირებულებათა მისეულ სკალაში დანამდვილებით არ თავსდება.

* * *

ედგარის ხსენება ნათლის მომასწავებელი რომ არ იქნება, იმთავითვე ვხვდებით. და, მართლაც, სულ მალე სიკვდილის საუფლოს მივეახლებით, მაგრამ დასაწყისი ამას არაფრით ამჟღავნებს. იგი თითქმის იდილიურია – „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი“... სიტყვაში „ტაძარი“ ყოველთვის საგუმანოა სიმბოლურ მინიშნებათა შესაძლებლობა, თუმცა ეს ჯერხნობით არ იგრძნობა. ქალ-ვაჟი ეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესიისკენ მიდის. როგორც ჩანს, მწუხრის ლოცვაზე. „იყო საღამო. ლოცვები. ზარი". მაგრამ მესამე სტრიქონიდანვე ყოფითი სინამდვილე სულ სხვა პოეტურ განზომილებაში გადადის. „და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა"...

სიტყვა „საოცარი" სიტუაციის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას უკვე საეჭვოდ აქცევს. მართლაცდა, რა უნდა იყოს საოცარი იმაში, რომ ქალ-ვაჟი საღამოთი ტაძრისკენ მიემართება? ეს სიტყვა უთვალავ სხვა ლექსში გვხვდება და, როგორც წესი, არაფრის აღმნიშვნელი არ არის, ზუსტი სიტყვით შეუვსებელი ადგილია. აქ კი მნიშვნელოვან ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს. ხდება ყოფითი სინამდვილისაგან აბსტრაჰირება, და ტაძარი განყენებულ მნიშვნელობას იძენს, დაახლოებით ისეთს (თუ სწორედ ისეთს?), როგორც ბარათაშვილთან – „ვპოვე ტაძარი" (თუმცა ბოლო სტრიქონში სულ სხვა სიმბოლური დატვირთვით შემოტრიალება).

ლენორას სახელის გამოჩენა ემოციურად უკვე შემზადებულია, ედგარითა და სინამდვილისაგან აბსტრაჰირებით. იგი, რასაკვირველია, ისევ ისე სატრფოს ხატებაა, მაგრამ პოეტური რემინისცენცია მას მთლად ხორციელ ქალად აღარ განგვაცდევინებს. ვთქვათ, „მერის" მსგავსად მზერა რომ პროტოტიპის ძიებისაკენ გაგვისხლტეს.

* * *

ალბათ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ეს სახელი ედგარ პოს „ყორნიდან" მომდინარეობს. დღეს ინგლისურ ფორმას – ლინორს – ეძლევა უპირატესობა. ორივე ფორმა მართებულია, ერთს ინგლისური პრონონსი უჭერს მხარს, მეორეს – საერთოევროპული ტრადიცია. ედგარ პომ იგი, როგორც ვარაუდობენ, გერმანელ პოეტ ბიურგერის ცნობილი ბალადიდან აიღო, რომელიც იმხანად ძალზე პოპულარული იყო და სავსებით მოსალოდნელია, ედგარ პოსაც სცნობოდა. „სიკვდილის როკვის" მისტიკურ-ფანტასტიკური განწყობილებითაც ედგარ პოს პოეტურ სამყაროსთან ძალიან ახლოა.

დღეს ქართველის ყურისათვის ლენორა რომ უფრო კეთილხმოვნად ისმის, მე მგონი, სადავო არ უნდა იყოს. გალაკტიონის სტრიქონში – „და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა" – ეს კეთილხმოვნება ლამის მომნუსხველ ძალას იძენს, მიზეზს კი ვერ მივაგენი. იქნებ ზედმეტად სუბიექტური ვარ და მხოლოდ მეჩვენება?

**და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,**
**რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი...**

* * *

მკვეთრი ალიტერაციით შემოჭრილი ქარის ტირილი შემთხვევითი არ არის, რაღაც ავბედითის მიმანიშნებელია ქალ-ვაჟის „საოცარ გზაზე". ეს მრავლისშემგრძნობელი და თანამგრძნობელი ქარი, თქმა არ უნდა, რომანტიზმის სანახებიდან უბერავს, მაგრამ მას სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი ფუნქციაც აკისრია, – ხედავს იმას, რასაც მოკვდავის თვალი ჯერ ვერ ხედავს.

ქარი რომანტიკულ-სიმბოლისტურ ტრადიციაში ძალიან ხშირად სიცოცხლის ქროლვას განასახიერებს – „დამბერე, ქარო"! „სიცოცხლე ვცადოთ, ქარი ადგა, ნუ ვზრახავთ ნურას"! – მაგრამ აქ იგი სულიერი განახლების ქარი აღარ არის, რტოებს ტირილით ამტვრევს და ბოლოსწინა სტრიქონში კიდევაც კვდება. უსასოობის, გამოუვალობის დასტურად.

ფრთებს კი „ენატრებოდათ სითამამე" უზრუნველობისა და, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, „შენი სიშორისა". აბსტრაქტულ სიტყვათა ეს რიგი ბუნდოვან მინიშნებებში იკარგება. საერთო აზრი ძნელი გასაგებიც არ არის, დაახლოებით იგივეა, რაც ერთ უფრო ადრინდელ, სიმბოლიზმამდელ ლექსში სენტენციური პირდაპირობით იყო ნათქვამი: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი"... მსგავსი მიმართება კი აქ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. გვერდით იყო და შენი სიშორე მენატრებოდეს. ამას ღრმა ფსიქოლოგიური ახსნა სჭირდება, დაე, თუნდაც მეტაფორის დონეზე. ასევე მოულოდნელია მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ" – ფრთებს შენი სიშორე ენატრებოდათ, „მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე"... ჩვენი მოლოდინის მიხედვით ეს „მაგრამ" სასურველსა და არასასურველ მდგომარეობას უნდა აპირისპირებდეს.

ყოველივე ამას არც აღვნიშნავდი, აქ რომ ერთგვარ პოეტურ პარადოქსთან არ გვქონდეს საქმე. ლექსი ლოგიკური სილოგიზმი არ არის, რომ ყველაფერი ერთმანეთისაგან მათემატიკური სიზუსტით გამომდინარეობდეს. სტროფის რიტმულ ხვეულში აბსტრაქტულ სიტყვათა ეს რიგი ამბობს იმას, რასაც სინამდვილეში, თავისი პროზაული მნიშვნელობით, არ ამბობს, – მან რაღაც ნათელს, ლაღს, თავისუფალს მიგვაახლოვა და უცებ ბნელად, ავბედითად შემოდის ვიღაც მახინჯი მესამე, განსახილველი ლექსის მთავარი პრობლემა.

* * *

**მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე,**
**ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.**

აქ ძალიანაც ნუ მივენდობით სასიყვარულო სამკუთხედების ლიტერატურულ ტრადიციას. ეს მახინჯი მესამე არავითარ შემთხვევაში რაყიფი არ არის. ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. მისი უხმო თანამგზავრობა წყვილის სვლას ტაძრისაკენ არ აფერხებს. თან ძალზე ნიშანდობლივია, რომ მესამის გამოჩენა ბედისწერის გამომხმობელი ხდება – „საცაა, მოვა სიკვდილის წამი". ქარი კი ტირის და კვდება, რასაც ქარის ჩვეულებრივ ჩადგომასთან ვერასგზით ვერ გავათანაბრებთ.

ისიც გავიხსენოთ, ვინ დგას ედგარ პოს „ყორანში" პოეტსა და ლენორას შორის. ეს ერთ-ერთი უორიგინალურესი ლირიკული შედევრი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ძირს, იატაკზე მისი ჩრდილი განოლილა, და ჩემი სული ამ ჩრდილიდან, ძირს, იატაკზე რომ განოლილა, ვეღარ წამოდგება ვეღარასოდეს."

ტომას ელიოტის პოემაში, რომელსაც ქართულად რატომღაც „უნაყოფო მიწა" ჰქვია, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „ვინ არის ის მესამე, მუდამ რომ შენს გვერდით მოდის? როცა ვითვლი, მხოლოდ ორნი ვართ, შენ და მე. მაგრამ წინ როცა ვიყურები, მაღლა, თეთრი გზისკენ, ყო-

ველთვის არის ვილაც სხვა, შენ გვერდით მავალი, მორიალებს ყავისფერმოსასხამიანი, კაპუშონჩამოწეული. არ ვიცი, ქალია თუ კაცი, მაგრამ ვინ არის ის სხვა, იქითა მხარეს, შენს გვერდით"?

გალაკტიონის ლექსი რამდენიმე წლით ადრე დაიწერა, ამ მხრივ საძიებელი არაფერია. პარალელი თუმცა ინტერესს მოკლებული არ მეჩვენება, მისი მოხმობისაგან მაინც თავს შევიკავებდი, პასაჟს ავტორისეული შენიშვნა რომ არ ახლდეს. „ამ სტრიქონებს, – წერს ელიოტი, – ბიძგი მისცა ერთ-ერთი ანტარქტიკული ექსპედიციის ანგარიშმა (ველარ ვიხსენებ რომლისამ, მე მგონი, შაკელტონისა უნდა ყოფილიყო). ექსპედიციის ჯგუფს უკიდურესი დაძაბულობის წუთებში განუწყვეტლივ ეჩვენებოდა, რომ იქ იყო კიდევ ერთი წევრი სათვალავს ზევით".

ეს უკვე პოეტური ხილვა ალარ არის, რეალური შეგრძნებაა. ამ მშრალი კომენტარის წაკითხვაზე, თუ სიტუაციას ცხადად წარმოიდგენ, შეიძლება ცივმა ჟრუანტელმა დაგიაროს. ელიოტი სხვათა ჩანაწერს დაჰყრდნობია, მასზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, მის ფსიქოლოგიურ წყობაზე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს, გალაკტიონს კი, რომლისთვისაც ნერვების უკიდურესი დაძაბულობის წუთები უცხო არ იყო, სავსებით შესაძლებელია, მსგავსი გამოცდილება თვითონვე ჰქონოდა. „და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე სიკვდილის ლანდი მომეჩვენება"...

სამკუთხედის მესამე წევრი სიკვდილის ლანდია. ბოლო სტროფი ამაში ეჭვს ალარ ტოვებს. მილმიერი ხმები ცხადად ამბობენ, რომ „საცაა, მოვა სიკვდილის წამი", და სამნი ტაძრისკენ მიემართებიან. ელიოტთანაც თითქმის იგივეა ნათქვამი: „წინ, მაღლა, თეთრი გზისკენ". როგორც ჩანს, ირეალურ შეგრძნებებსაც თავიანთი მკაცრი ლოგიკა აქვთ.

ტაძარი, თეთრი გზა, ამაღლება...

* * *

გალაკტიონის ამ ლექსში აშკარად ბიოგრაფიული არაფერი იკითხება. ამდენად „ბედით დაწყევლილი" და „საოცარი" გზა ისევე პარადიგმულია, როგორც პარადიგმულია ედგარ პოს ლენორაც, ულალუმიც, ანაბელ ლიც. პოეტსა და სატრფოს შორის სიკვდილი დგას. გალაკტიონის „მე" და ედგარის „თანაზიარი აჩრდილი" აქ ერთმანეთს ერწყმის და დანამდვილებით ველარ გაგვირჩევია, ეს მხოლოდ გალაკტიონის ხმაა, თუ გალაკტიონის ხმით ამავე დროს ედგარიც ალაპარაკდა...

**P.S.** იქნებ უადგილოც იყოს, მაგრამ, ჩემი ნამდვილი დამოკიდებულების გამოსახატავად, მინდა ეს ჩანაწერები ასეთი დასკვნით დაბოლოვდეს: ერთი რამის თქმა დარწმუნებით შეიძლება, – თვითონ გალკტიონი ყველა ამგვარ ახსნაზე მხოლოდ ორჭოფულად ჩაილიმებდა: „არ ვიცი, ძამიკოებო, არ ვიცი".



გიორგი გოგოლაშვილი

# „ჯაყო" გმინვაა ჩემი სულის...

**„ჯაყოს" 1924 წ. სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემ გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო" გმინვაა ჩემი სულის,"** - ეს ჩანაწერი 1925 წელს გაუკეთებია მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში... ასეთი თხუთმეტიოდე ბლოკნოტი ბედად შემოგვენახა დიდი მწერლის ოჯახის წევრთა მონდომებითა და რისკით...

და აი, 2005 წელს „მერანმა" შემოგვთავაზა უნიკალური გამოცემა - „მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან, 1924-1935". ეს არ არის ჩვეულებრივი წიგნი: ეს არის გლოვის ზარი მიხეილ ჯავახიშვილის უდროოდ დაღუპვის გამო; ეს არის კიდევ ერთი დოკუმენტი იმისა, თუ რა ტრაგედია იყო 1937 წელი საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის, ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული კულტურისათვის.

ღვთის ნებით, მიხეილ ჯავახიშვილმა ბევრის გაკეთება მოასწრო და თავად დაიდგა „ხელთუქმნელი ძეგლი"... მაგრამ რა სიმაღლე შეიძლებოდა მისცემოდა ამ ძეგლს, რა იდეები, აზრები, გეგმები დაიმარხა მწერალთან ერთად, ამას გვიჩვენებს სწორედ ეს წიგნი. ეს არ არის წიგნი, რომელიც შეიძლება წაიკითხო დროის მოსაკლავად, გასართობად; ეს არ არის წიგნი, რომელიც შეიძლება მოუთხრო ვინმეს!... ეს არის წიგნი, რომელიც შეიძლება შესთავაზო მას, ვისაც უყვარს ქართული ლიტერატურა, ქართული კულტურა, ქართველი ხალხი, საქართველო და, საერთოდ, ყოველივე ის, რასაც ქართული ჰქვია; უყვარს ისე, როგორც უყვარდა მიხეილ ჯავახიშვილს. მოვუსმინოთ: **„ბალზაკმა სთქვა: საზოგადოება მიკარნახებს, მე კი მისი მდივანი ვარო. მე კი საქართველო მიკარნახებს და მეც მისი მდივანი ვარ"** (1930წ.). გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ჩანაწერები არ კეთდება სხვისთვის, მკითხველისთვის; ამას თავისთვის ჩაინიშნავს; მწერლის გულისხმაა ეს, რომელიც მხოლოდ თავად ესმის და ამიტომაც აქვს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა!...

წიგნი ვრცელია (365 გვ.), ჩანაწერი – უამრავი. ყოველთვის ვერც ხერხდება გარკვევა იმისა, თუ რა მიზნით გაკეთდა ესა თუ ის ჩანაწერი... უეჭველია, მწერლის შემოქმედების მკვლევართ, მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნებით დაინტერესებულ მკითხველს ეს წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს.

ჰქონია უამრავი გეგმა, შენიშვნა, მონახაზი, პასაჟი დაწერილი თუ დასაწერი ნაწარმოებებისა. ტიპები, თემები, ფრაზები... ფიქრი, დარდი თუ ტკივილი (**„საბავშვო სახლიდან 300 ქართველი ბავშვი სომხებმა იშვილეს,"-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა და დასვა წერტილი...)... ბევრი უფიქრია მოგონებებზეც... ეს კი მოსალოდნელი უბედურების შეგრძნებაა ალბათ: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი"... და იქვე, ცოტა ქვევით, ამ უბედური შეგრძნების მიზეზსაც გაამხელს: „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გააფთრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ველარ მოვასწრებ" (1926). იმავე წელს ჩაუწერია: „აღარ იცინის ქართველი, აღარ"... უფრო გვიან იმედიანი ჩანაწერიც ჩნდება: „ამ ქვეყნად ისღა დაგვრჩა სანუგეშო, რომ „ისინიც" ჩაძაღლდებიან"...

თუმცა ეს ცალკე თემაა... და ასეთი თემა უამრავია წიგნში. დღეს ჩვენ საჭაშნიკოდ ერთ საკითხზე გვინდა შევჩერდეთ. ჯაყოს თემაზე გვინდა ვისაუბროთ.

ჯაყო მუდმივი საფიქრალი ჩანს ავტორისა. ჩაუნიშნავს: „ჯაყოს ხიზნები" შალვა დადიანს პიესად გადაუკეთებია"; მერე: „ბათუმშიც აკრძალეს დადგმა „ჯაყოს ხიზნებისა".

ჯაყო მაგალითია მწერლისთვის: „მომეცით ჯაყო" და, თუ ყოველივე ვიკადრე, მალე თეიმურაზად გადავაქცევ"; ანდა, მძიმე ჩანაწერი: „ჩხეიძემ თავი მოიკლა (1926 წ. — გ.გ.); მიზეზი ცხადია – თავგანწირულობა, სასოწარკვეთილება, უიმედობა. ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი საქართველოში! არის ჟამი ერის – ადამიანის ცხოვრებაში, ოდეს მაუზერის გავარდნა ერთადერთი ვაჟკაცური აქტია: ან სხვას უნდა დაუმიზნო, ან საკუთარი თავი გაიხვრიტო. დღეს ასე უნდა მოიქცეს ყოველი პატიოსანი ქართველი და ვინც ამას ვერ გაჰბედავს – პირწავარდნილი თეიმურაზ ხევისთავია. დღეს თვითმკვლელობა გარდაუვალი მოვალეობაა".

მუდმივად ფიქრობს „ჯაყოს" სრულყოფაზე. „ჩაემატოს", „განივრცოს", „დაზუსტდეს"... მაგალითად: „ჯაყოსთვის. კატა ოსებს წმინდა ცხოველად მიაჩნდათ". ანდა: „ეპიგრაფი ჯაყოს „ქართლის ცხ." ტ-I. გვ. 78-79".

ზოგი შენიშვნა შემდეგ გამოცემებში ჩაუსწორებია ავტორს:

ჩანაწერი: "თავის დროზე ჯაყომ ეკლესია დააკეტინა. მერე როცა ქორწილი დასჭირდა, ისევ გაალებინა".

გამოცემა: "ორი წლის წინათ, როცა საქართველოში ეკლესიებს ჰკეტავდნენ, ჯაყო სხვებზე გულმოდგინედ გაჰკიოდა:

- აღარ გინდა ეკლესია! კჩორტუ ეკლესია!... ეკლესია დაძველდა, მორჩი და გათავდი!

და ხევისთავთა ათი საუკუნის ეკლესია დააკეტინა და დაბეჭდვინა. ახლა კი, რომ გადაწყვიტა დიდის რიხით, ზავთით და ზეიმით თავადის ასულის შერთვა, სოფლის ყრილობაზე უცებ ყაყანი ასტეხა:

- ჯაყოს ეკლესია გინდა! ჯაყოს ღმერთი არ გინდა, მაგრამ მღვდელი ძალიან გინდა!

და ხუთიოდე დღეში ეკლესიის კარებს ბეჭედი ახსნა".

ძნელი სათქმელია, რა სახეს მიიღებდა საბოლოო ვარიანტში ეს ჩანაწერები:

„ჯაყოს ხიზ". ჩაემატოს: როცა ნახუცარი ეუბნება ხევისთავს: „მიიღე ეს ქვეყანა უყოყმანოთ", თეიმურაზი ეტყვის: „მიმიღია, ან მივიღებ, ოღონდ... ჯერ უნდა დამაბრმაო და ყურთა სმენაც ამართვა".

ანდა: „ჯაყოს" ჩაერთოს: „აკურთხე უფალო გვირგვინი ამათი, შთაუნერგე ამათ ერთმანეთის სიყვარული და ერთგულება, განამრავლე ესენი, ვითარცა წყალში თევზი, ცაში ვარსკვლავი, ჰქმენ შეუზღუდავი სარეცელი მონისა შენისა ჯაყოსი და მხევალისა მარგალიტასი"...

არაერთი ჩანაწერია, რომელიც ჯაყოსა და თეიმურაზის სახის შეცნობაში, გაგებაში, გახსნაში დაგვეხმარება; ასეთი ჩანაწერები, როგორც ჩანს, ამ სახეთა სრულყოფისთვის, სრულქმნისათვისაც კეთდებოდა.

### ჯაყოს სახისათვის:

„ჯაყო". ველურია, პრიმიტივი, უზნეო. სამაგიეროდ ჯანსაღია. თეიმურაზი უკვე დეკადანსი, მომაკვდავი. რა სჯობს, მდიდარი წარსული და საფლავში დგომა თუ უკულტურო ჯანმრთელობა.

* * *

ჯაყო უწინ სტრაჟნიკი იყო.

* * *

თეიმურაზის რწმენას და ლოცვას ჯაყო დასცინის და ეკლესიის დახურვას ემუქრება.

* * *

იარაღით შეუტევს თეიმურაზს და მარგოსაც, როცა მარგო არჩევანშია – ჯაყო თუ თეიმურაზი?

* * *

ჯაყოს პრობლემა რასპუტინის პრობლემაა. დედოფალ ალექსანდრას წინაშე არჩევანი რომ წამოჭრილიყო – ან რასპუტინი, ან მეფე ნიკოლოზიო – უეჭველად რასპუტინს აირჩევდა. ვინც რასპუტინიადას იცნობს, დამეთანხმება.

* * *

„ჯაყოსთვის" გამოსადეგი ახსნის მასალა იხ. **„Дни Шульгина**" გვერდი 96 – რასპუტინზე.

* * *

ჯაყოს ეგონა, ვითომ ჩურჩულებდა, ნამდვილად ყვიროდა.

* * *

„ჯაყო." ისე იყო ასხმული, თითქოს მისი ნაწილები ცულით იყო გათლილი და მერე წებოთი და ბურღებით შეკოწიწებული.

* * *

ჯაყო ისე ხარხარებდა, რომ ფრინველნი და ცხოველნი ფრთხებოდნენ.

* * *

ჯაყო – თათქარიძე.
მკითხველი გავაჩინე.

* * *

ჯაყოს კბილები ფოცხს ჰგავდა.

* * *

ჯაყოს ხმა ბუხარში ქარის ღმუილსა ჰგავდა.

### თეიმურაზის სახისათვის:

„ჯაყო." თეიმურაზი მარგოს ძალიან ბევრს ჰპირდებოდა, მაგრამ მეათედიც ვერ შეუსრულა. ამიტომ შენელდნენ.

* * *

თეიმურაზი ყოველ ცოცხალ პრობლემის გადაჭრას მუდამ წიგნით სცდილობდა და პასუხსაც იქ ეძებდა.

* * *

თეიმურაზი სჩივის რწმენის დაკარგვას.

* * *

ხევისთავს ჰქონდა დროშა და გერბი საგვარეულო.

* * *

თეიმურაზ ხევისთავი ამბობს: ჩვენი ცხოვრების ღერძი და იდუმალება ის არის, რომ ხელისუფლება და ხალხი ერთმანეთს ატყუებენ. ამიტომ დღეს მოტყუება უდიდეს მეცნიერებად და ეშმაკობად გადაიქცა.

* * *

„თეიმურაზში“ ჰამლეტის მერყევი სულია.

* * *

„ჯაყო“. თეიმურაზი ამტკიცებს, რომ რუსის ინტელიგენცია პირველია ქვეყანაზე.

* * *

თეიმურაზ ხევისთავის ყოფაქცევა 25.II.21.წ.

* * *

თეიმურაზი: „ასი ფუთი ავიკიდე, ნამდვილად კი ათის ზიდვა შემძლებია“. „სხვას უნდა დავუთმო, ვისაც ამის ზიდვა შეუძლიან“.

* * *

თეიმურაზი რომ გადარჩა დახრჩობას, თავს ინუგეშებს: „ყოველივე დავკარგე, მაგრამ დარჩენილი სიცოცხლე შეიძლება გამოადგეს ჩემს ერსაო“- და თავს გადასდებს მისთვის.

ვთქვი – სრულყოფისათვის-მეთქი (სრულქმნისათვის-მეთქი). დიახ, მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელების დაწერას აპირებდა! უთქვამს კიდევაც შალვა დადიანისთვის: „ისე არ მოვკვდები, რომ სრული ჯაყო არ დავწეროო“, – ამას ქეთევან ჯავახიშვილი წერს. 10 წლის მანძილზე აკეთებდა ჩანაწერებს, ქმნიდა ვარიაციებს . ვინ იცის, რა სახეს მიიღებდა ეს დიდებული რომანი, მაგრამ ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ჩანაწერებით დავკმაყოფილდეთ...

* * *

მარგო წაეჩხუბა ქმარს. ბრაზით გაიხადა ტანთ და იატაკზე გორაობდა. **Голодовка**.

* * *

მარგომ მრავალჯერ დააპირა ჯაყოსგან წასვლა, მაგრამ სქესით და მუქარით იყო დაბმული.

* * *

მარგო ისტერიით გახდა ავად სქესის ნიადაგზე. ჯაყომ მოარჩინა.

* * *

მარგოს ისევ თეიმურაზი უყვარდა. თითქოს, ნამდვილად უყვარდა წარსული და პატივს სცემდა მწიგნობარს. ბოლოს ჯაყომ დასძლია. თეიმურაზმა მიაგნო ღალატს, მაგრამ თვალები დახუჭა, არ დაიჯერა.

* * *

ჯაყომ მარგო გამოაგდო, რადგან უარი უთხრა, რუსეთში არ გაგყვებიო. მხოლოდ ამის შემდეგ დაუახლოვდა მარგოს ნინიკა. შეიბრალა და სიბრალული სიყვარულად გადაიქცა.

* * *

„ჯაყოს“ დაუპირისპირდეს პიტეკანტროპოსი მისი ცოლი ნინო, რომელიც ბოლოს გაიმარჯვებს – პატოლოგია და ესთეტიკა. პირველი იმარჯვებს – ბანჯგვლიანი, კუნთებიანი.

* * *

„ჯაყო.“ ნახუცრის ქალს (თამროს) თეიმურაზი გორში შეხვდება.

* * *

თეიმურაზს რცხვენოდა წარსულის მოგონება, ჯაყოს დათმობა.

* * *

თეიმურაზს სოფელი ეხამუშება, ჩივის უკულტურობას.

* * *

თეიმურაზ ხევისთავი: „მე მომტეხეს, მაგრამ ვერ დამიმორჩილეს. დრო მოვა და მე ჩემს ნამდვილ სათქმელს ვიტყვი. მოვა ის დრო! მოვა! მოვა!“

* * *

„ჯ.ხ.“ მარგოს ნინიკა შეუყვარდა. მუდამ ინვა მარგოსა და ჯაყოს შორის. მარგო მას აძლევდა თავის ტანს. დღისით არ შეეძლო, ან თვალებს ხუჭავდა. სამი ჰყავდა: ჯაყო, ნინიკა, თეიმურაზი. ნინიკა ჯაყოს გაზრდილი იყო, სოფელშიც გაკვეთილებს აძლევს, ურემშიც ნინიკას წიგნი უჭირავს. მარგოს სურს გაკვეთილები სახლში აძლიოს თეიმურაზმა, მაგრამ ნინიკა ჯაყოს ერიდება.

ნინიკა ბოლოს ალმასკომად აურჩევიათ.

(მიაქციეთ ყურადღება ზმნის ფორმას - „აურჩევიათ“- გ.გ)

* * *

ნინიკამ მაგრად სცემა მარგოს, რომელმაც იმ წუთიდან ერთი ათად შეიყვარა ნინიკა.

* * *

ნინიკა თეიმურაზ ხევისთავის ნათლული იყო.

* * *

განვითარდეს იდეა: ნინიკა და თეიმურაზი რომ მორიგდნენ, ჯაყო გააგდეს.

* * *

იქვე: როცა ჯაყოს ასამართლებენ, ნახუცარი ივანე სწორ ალღოს აილებს და ნინიკას მიემხრობა.

* * *

ჩემს თავში საბოლოოდ ასეთი დასასრული ჩამოისახა: ნინიკა ბრძოლით დაიპყრობს მარგოს – ჯაყოს წაართმევს. მარგო ასამართლებს ჯაყოს და სიკვდილის განაჩენს გამოუტანს.

* * *

თეიმურაზს თავის თავი თავისივე სამშობლოში უცხოელად მიაჩნდა.

* * *

თეიმურაზმა დეპეშა გამოგზავნა რუსეთიდან ძალმომრეობის აქტის გამო: „მოვა დრო“... და, აი, მოვიდა.

* * *

რომანტიკოსი პოეტი – მთვარეულ გადამწყვეტ ჟამს ჯაყოს მიემხრობა და მასთან ერთად გააძევებენ.

* * *

„ჯაყო." კიდევ ერთი ტიპია: რომანტიკოსი, პოეტი პოლიტიკაში. ნინიკა გააგდებს მას: „დაიკარგე ამ სოფლიდან! აფრინდი ცაში, თუნდ უფსკრულში, ოღონდ დღიურ საქმეში ნუ ერევი. ჭკუას ნუ მასწავლი. როცა გავძღები, შენს ლექსსაც მაშინ წავიკითხავ. ჯერჯერობით კი მასწავლე, როგორ მივიღო ერთი დღიურიდან ორმოცი კოდი პური, ან ათი საპალნე ღვინო".

ამ ჩანაწერთა გაცნობა მრავალ კითხვას აჩენს. ჩანაწერები 1925-1935 წლებშია გაკეთებული. გამოვკრიბეთ და ასე დავალაგეთ (ცხადია, დალაგებისას ჩანაწერების ქრონოლოგიას არ ვითვალისწინებთ)... სითამამეს გვაპატიებს დიდი მწერლის ნათელი სული... უბრალოდ შევეცადეთ, გვეჩვენებინა, 1937-მა რა უბედურება დაგვატეხა თავს... რა დავკარგეთ...

მადლობა ბოლოსთვის შემოვიტოვე. დიდი მადლობა მიხეილ ჯავახიშვილის შვილიშვილს - ქალბატონ მარინე შიშნიაშვილს, ვისაც წილად ხვდა სიმძიმე და ბედნიერებაც ამ წიგნის გამოცემისა.

## თეატრალური პორტრეტი

მანანა გეგეჭკორი

# გამქრალი ცივილიზაციის სახალხო არტისტი

*

## სოფიკო ჭიაურელი

იგი იმ სახლში გარდაიცვალა, რომელშიც 70 წლის წინათ დაიბადა. დიახ, სოფიკო ჭიაურელი სამშობიაროში კი არა, მამის აშენებულ სახლში გაჩნდა, ფიქრისგორაზე.

XX საუკუნის 20-იან წლებში ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი, მხატვარი, მოქანდაკე, შემდგომში სახელგანთქმული კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი თავის შეყვარებულთან, ქართული სცენის ამომავალ ვარსკვლავთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან ერთად სეირნობდა. ვაჟი ქალს პირველად მაშინ ეამბორა და აღუთქვა, რომ სწორედ ამ ადგილას მას სახლს აუშენებდა. მიხეილ ჭიაურელმა პირობა აასრულა და საკუთარი ხელით ააშენა სახლი, რომელიც იმ შორეული დროიდან ქართული და უცხოური ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა თავშეყრის ცენტრად იქცა. ეს არცაა გასაკვირი – აქ ხომ XX საუკუნის ორი დიდი ხელოვანი ცხოვრობდა – გენიალური ტრაგიკოსი მსახიობი, ქართული თეატრის ლეგენდა ვერიკო ანჯაფარიძე და ეროვნული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შესანიშნავი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი.

ამ სტუმართმოყვარე ოჯახში კითხულობდნენ ლექსებს: გალაკტიონი და ტიციანი, პაოლო იაშვილი და სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე და იოსებ გრიშაშვილი, ბორის პასტერნაკი და ევგენი ევტუშენკო. ამ სახლს სტუმრობდნენ ამერიკელი მწერალი ჯონ სტეინბეკი, მუსიკოსები: სვიატოსლავ რიხტერი, ჰენრიხ ნეიჰაუზი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, ელენე ობრაზცოვა, გენიალური ბალერინა მაია პლისეცკაია; მსახიობები: ვიაჩესლავ ტიხონოვი, ნონა მორდიუკოვა, კინორეჟისორი გიორგი დანელია კი, ქალბატონ ვერიკოს დისშვილი, შეიძლება ითქვას, ამ სახლში გაიზარდა. ბუნებრივია, ამ ოჯახის ყველაზე ხშირი სტუმრები თეატრის მოღვაწენი იყვნენ: ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვასილი კაჩალოვი, არკადი რაიკინი, გიორგი ტოვსტონოგოვი, ასპასია პაპატანასიუ, ვანესა რედგრეივი, ალისა ფრეინდლიხი, მიხეილ ულიანოვი, სერგეი იურსკი და სხვადასხვა პროფესიის მრავალი საინტერესო ადამიანი. აღარაფერს ვამბობ ქართველ რეჟისორებზე, მსახიობებზე, მხატვრებსა თუ მუსიკოსებზე. ასეთ გარემოში იზრდებოდა სოფიკო ჭიაურელი. ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა – XX საუკუნის დიდ ხელოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი მისი პირადი მეგობარი იყო.

ამბობენ, რომ ადამიანი საკუთარ ბიოგრაფიას თვითონ ქმნის, ცხოვრების გზას თავად ირჩევს. თუმცა სახელს მშობლები არქმევენ. სოფიკო ჭიაურელმა საკუთარი სახელი თვითონ ამოირჩია. მართალია, დედ-მამის ,,ხელშეწყობით", მაგრამ მაინც თვითონ.

სოფიკო ჭიაურელი: ,,ჩემმა მშობლებმა ვერაფრით გადაწყვიტეს, რა სახელი დაერქმიათ ჩემთვის. დედას ელენე უნდოდა, რადგან ელენობას – 21 მაისს დავიბადე. მამა ოცნებობდა, რომ მისი დედის, ბებიაჩემ სოფიოს სახელი დაერქმია. მთელ თვეს კამათობდნენ ამაზე. შემდეგ მამამ გადაწყვიტა, არჩევანის გაკეთება ჩემთვის მოენდო. ორი პატარა ფურცელი აიღო, ერთს ,,ელენე" დააწერა, მეორეს ,,სოფიო" და ქუდში ჩააგდო. მერე ხელი ქუდში ჩამაყოფინა, საიდანაც ,,სოფიო" ამოვიღე".

მსახიობთა შვილები პირობითად ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ერთნი მშობლების პროფესიას ირჩევენ თავიანთ მომავალ საქმიანობად (რაც ალბათ სავსებით ბუნებრივია), მეორენი კი, ბავშვობაში თეატრალურ ატმოსფეროში მუდმივი ყოფნით თავმობეზრებულნი, ცდილობენ მოღვაწეობის რაიმე სხვა, ზოგჯერ ხელოვნებისგან საკმაოდ დაშორებული სფერო აირჩიონ (ალბათ ესეც გასაგებია). სოფიკო ჭიაურელს ღმერთმა არაჩვეულებრივი სმენა, მუსიკალობა და პლასტიკა უბოძა. მისი ბავშვობის მეგობარი, შესანიშნავი მუსიკოსი, ქალბატონი ნანა ავალიშვილი მიიჩნევს, რომ მისგან ჩინებული პიანისტი დადგებოდა. თავად სოფიკოს ქირურგობა უნდოდა, მაგრამ...

სოფიკო ჭიაურელი: ,,მართალია კულისებში გავიზარდე, მაგრამ მეათე კლასამდე მსახიობობა საერთოდ არ მიტაცებდა. ექიმობა მინდოდა, ქირურგობა. ექიმობა ადამიანისთვის ტკივილის შემსუბუქების ხელოვნებაა. მინდოდა სხვებისთვის სითბო და სიკეთე მიმეტანა. მეათე კლასის ბოლოს გადაწყვეტილება უცებ მივიღე, ყოველგვარი ეჭვისა და ფიქრის გარეშე... ჩემს გადაწყვეტილებას დედა ძალიან განიცდიდა. მას ხომ არასოდეს მოესმინა, როგორ ვკითხულობდი ლექსს თუნდაც სტუმრების წინაშე. წარმოდგენაც არ გააჩნდა, მქონდა თუ არა სამსახიობო ნიჭი. მამასთვის რომ გეკითხათ, მე ვიქნებოდი უდიდესი მსახიობი, გენიალური პიანისტი, გენიალური მომღერალი, გენიალური ბალერინა... მამა მაღმერთებდა, რასაც ვაკეთებდი, ყველაფერი მოსწონდა. სცენასა ან ეკრანზე რომ მიყურებდა, ლამის ტიროდა – შენ გენაცვალე, შენ შემოგევლეო."

როდესაც უნიჭიერეს ხელოვანთა შვილი საკუთარი სამომავლო საქმიანობის ასპარეზად მშობლების პროფესიას ირჩევს, ეს ყოველთვის დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამბობენ, ნიჭიერ ადამიანთა შთამომავლებზე ბუნება ისვენებსო. სოფიკო ჭიაურელის ცხოვრება და შემოქმედება მტკიცედ უარყოფს ამ მოსაზრებას. ჯერ კიდევ მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, ჯიქურ შეიჭრა აქტიორულ ხელოვნებაში და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი, სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა თეატრსა და კინოში. ახლა ამ ადგილზე უზარმაზარმა სიცარიელემ დაისადგურა. იმედია – დროებით.



სოფიკო ჭიაურელი

გიორგი დანელია: ,,სოფიკომ მსახიობობა მოინდომა და აისრულა კიდეც სურვილი. ცხადია, მესმოდა, რომ კარგი მსახიობი დადგა, ნიჭიერი, მაგრამ ჩემთვის დიდი მსახიობი ვერიკო იყო... როგორი არტისტია სოფიკო, ამას მოსკოვში გამართულ მის ერთ-ერთ შემოქმედებით საღამოზე მივხვდი. იქ უამრავი ფრაგმენტი აჩვენეს მისი ფილმებიდან, თვითონ კი სპექტაკლებიდან ნაწყვეტები ითამაშა. და თვალწინ ისეთი ფართო დიაპაზონის მსახიობი წარმომიდგა, იმდენად მდიდარი პალიტრით, რომ მივხვდი – ვერიკოს სახლში ერთი კი არა, ორი დიდი არტისტი ყოფილა. ,,სიყვარულის სულთათანას" ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ღმერთმა სოფიკოს უზარმაზარი სამსახიობო ნიჭი დააბერტყა. ნამდვილ ხელოვნებასთან შეხვედრა ჟრუანტელს მგვრის. ასე დამემართა ვან-გოგის ,,მზესუმზირების" ხილვისას. ასეთივე გრძნობამ შემიპყრო დღესაც, როდესაც სცენაზე ვნახე სოფიკო ჭიაურელი. არა დიდი არტისტის ნიჭიერი შვილი, არამედ თავად დიდი მსახიობი".

რობერტ სტურუა: ,,სოფიკო ძალიან მიყვარს და ყველაზე მეტად მასში მომწონს ის, რომ იგი ხელოვნებაში ,,ხულიგანია", ჩემსავით. სოფიკო სულ ახლის ძიებაშია. მისი ნახვა ყოველთვის მიხარია, რადგან როცა მას ვხედავ, ჩემში ყველა ცუდი თვისება ქრება და მხოლოდ სიკეთე რჩება."

ალისა ფრეინდლიხი: ,,სპექტაკლზე ისე მივდიოდი, როგორც გურმანი – ჩინებულ ტრაპეზზე. ვიცოდი, რომ უდიდეს სიამოვნებას მივიღებდი და ჩემი მოლოდინი გამართლდა. მთელი წარმოდგენის მანძილზე დიდ სიამოვნებას განვიცდიდი. ძალიან მიყვარს სოფიკო, ის ჩემთვის ახლობელი ადამიანია. ალბათ ამიტომაც ვიგრძენი, რომ ამ სპექტაკლში იგი იმ ,,საწვავით" სარგებლობს, რომელსაც მას კოტე უგზავნის. ეს წარმოდგენა ამ ქვეყნიდან წასულთა სიცოცხლის გაგრძელებაა, სპაქტაკლი დიდ სიყვარულზე."

ტონინო გუერა: ,,ამ ჯადოსნურ თეატრში სოფიკო ჭიაურელის თამაშმა მიმახვედრა, რა დიდი შემოქმედებითი ენერგია აქვს ამ ქალბატონს. მთელი ჩემი ყურადღება სოფიკოზე იყო მიჯაჭვული, ამ მითიურ მსახიობზე, რომელმაც გამაოგნა."

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ აღფრთოვანებული შეფასებებისა, რომლითაც სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებას ამკობდნენ მისი სახელგანთქმული კოლეგები. არც წოდებები და პრემიები აკლდა – საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი იყო, უამრავი საერთაშორისო კინო თუ თეატრალური ფესტივალის ლაურეატი. სახელმწიფო, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, ნუცა ჩხეიძის და ვერა ხოლოდნაიას პრემიების მფლობელი. ყოველივე ეს ნებისმიერ ადამიანს სიხარულითა და სიამაყით ავსებს, ცხადია – სოფიკო ჭიაურელსაც. მაგრამ, ვფიქრობ, მისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო საყოველთაო სახალხო სიყვარული, რომლითაც იგი სარგებლობდა არა მარტო სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. სამ სომხურ ფილმში გადაღებული მსახიობი რესპუბლიკამ თავის სახალხო არტისტად აღიარა. უკრაინასა და რუსეთში ისეთი პოპულარობითა და მაყურებლის აღფრთოვანებით სარგებლობდა, რომლის გადმოცემაც წარმოუდგენელია. ბოლო ათი წლის განმავლობაში თეატრ ,,ვერიკოსთან" ერთად რამდენჯერმე ვიყავი გასტროლებსა თუ ფესტივალებზე მოსკოვში, კიევში, სანკტ-პეტერბურგსა და ოდესაში. როგორც ამ თეატრის თანამშრომელს, საშუალება მქონდა, საკუთარი თვალით მენახა ის დიდი თაყვანისცემა, უზომო სიყვარული და აღტაცება, რომელსაც გამოხატავდა ქალბატონ სოფიკოს მიმართ უბრალო მაყურებელი ქუჩა-

ში, აეროპორტში, სასტუმროსა თუ მაღაზიაში. რა ჩვეულებრივად და ბუნებრივად, ამავე დროს, რა ღირსეულად ხვდებოდა იგი ყოველივე ამას. ალბათ იმიტომ, რომ თვითონ იყო უშუალო და გულწრფელი. როგორ ზრუნავდა თეატრ „ვერიკოს" საგასტროლო ჯგუფის თითოეულ წევრზე, იმაზე, რომ ყველას კომფორტულად ეგრძნო თავი, მშიერ-მწყურვალი არ ყოფილიყო. ყოველ საღამოს ვახშამი მის ოთახში იმართებოდა (თუ ბანკეტზე არ ვიყავით მიწვეული). მისი ფრთის ქვეშ თავს მუდამ მშვიდად და ყველა უსიამოვნებისაგან დაცულად გრძნობდი. საკუთარი თვალით რომ არ მენახა, როგორ უყვართ სოფიკო ჭიაურელი საქართველოს საზღვრებს გარეთ, არავის მონაყოლს არ დავიჯერებდი. თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ ყოველივე ეს თვალნათლივ გამოჩნდა. არ დარჩენილა რუსული ტელე თუ რადიო არხი ან გაზეთი, მის ამ ქვეყნიდან წასვლას დიდი მწუხარებით რომ არ გამოხმაურებოდა. დარწმუნებული ვარ, იგივე ხდებოდა უკრაინასა და სომხეთში. არაფერს ვამბობ საქართველოზე. იგი ჭეშმარიტად სახალხო არტისტი იყო. საქართველოში ასეთ ადამიანებს მხოლოდ სახელით მიმართავენ. მასაც ასე უწოდებენ – სოფიკო.

საოცრად უყვარდა საკუთარი სახლი. თვითონ შექმნა ის გარემო, რომელშიც თავს კომფორტულად გრძნობდა. ამ სახლში ყველაფერი მას ეხებოდა – ლურსმნის დაჭედება, ელექტროხელსაწყოს შეკეთება, აღარაფერს ვამბობ რემონტსა და მშენებლობაზე, რომელიც სოფიკო ჭიაურელის სტიქია იყო.

მარტო ყოფნა არ უყვარდა. სახლში ყოველთვის იყო სტუმარი, ხშირად – ძალიან ბევრი. არაჩვეულებრივად იცოდა დღესასწაულების მოწყობა. შინ თეატრი ჰქონდა – მისი მეუღლის, ცნობილი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის, კოტე მახარაძის მიერ შემნილი თეატრი „ვერიკო." ყოველი პრემიერისა თუ კონცერტის შემდეგ დარბაზში სუფრა იშლებოდა. მის შინაარსსა და დიზაინზე ყოველთვის დიდი ენთუზიაზმითა და სტუმრებისათვის სიამოვნების გაგრძელების სურვილით ზრუნავდა ამ სახლის დიასახლისი. ყველაზე მეტად თვითონ უხაროდა. უყურადღებოდ არავის დატოვებდა. თეატრსა თუ სახლში მიწვეული ყოველი ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ისაა სოფიკოს მთავარი სტუმარი. შესანიშნავი თამადა იყო. მისი თანდასწრებით, მით უმეტეს, მის ოჯახში თამადობას ვერავინ ბედავდა. ყველა სუფრა სხვადასხვანაირად მიჰყავდა, სიტუაციიდან და შემადგენლობიდან გამომდინარე. იგი არა მარტო მსახიობ-იმპროვიზატორი, არამედ თამადა-იმპროვიზატორიც იყო. სუფრის წაყვანაც შემოქმედების რანგში აჰყავდა. ეს პროცესი ადამიანებისათვის სიამოვნების მინიჭების, მათთვის სიყვარულის გაზიარების ერთ-ერთი ფორმა იყო. ამისგან თვითონაც დიდ სიამოვნებას იღებდა, თითქოს სასიცოცხლო ძალებით ივსებოდა.

ძალიან უყვარდა ბაზარში სიარული. ყიდვაც ჩინებული იცოდა. საკუთარი მოვაჭრეებიც ჰყავდა, ვისგანაც მუდმივად ყიდულობდა ყველს, ხორცსა თუ სხვა სანოვაგეს. თვითონ იუმორით წარმოადგენდა ერთ უცნობ გამყიდველთან შეხვედრის სცენას. გადაღებიდან 30 წლის შემდეგ ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" კიდევ ერთხელ გავიდა სატელევიზიო ეთერში. მეორე დღეს ქალბატონი სოფიკო ბაზარში წავიდა. ერთ დახლთან შეჩერდა და გამყიდველს ფასზე გამოელაპარაკა. გაკვირვებულმა ქალმა ჰკითხა: „სოფიკო არა ხარ, ჭიაურელიო?" თანხმობის შემდეგ კი გულუბრყვილოდ უთხრა: „ეს რას დამსგავსებიხარ, რა მოგსვლია! გუშინ ტელევიზორში გნახე, სულ სხვანაირი იყავიო!"

არაჩვეულებრივად აზარტული ბუნების ადამიანი იყო. ზღვაზე ყოველ წელს დადიოდა და მთელ აგვისტოს იქ ატარებდა. წლების განმავლობაში ქობულეთის სასტუმროში მეათე სართულზე ცხოვრობდა. მისი აივნიდან დიდებული, თვალუწვდენელი, იდუმალებით მოცული ზღვის შესანიშნავი ხედი იშლებოდა. ამბობდა: „ზღვა უზარმაზარი ძალებით მავსებს. ერთ თვეში იმდენ სასიცოცხლო ენერგიას ვიღებ, რომ მთელ, უაღრესად დატვირთულ წელს მყოფნის. შორს გავცურავ ხოლმე. იქ, ზღვაში თითქოს ბუნებას ვუერთდები." ამ ხუთიოდე წლის წინათ, 65 წლისა, ზეცაშიც აფრინდა. ამ ამბავს სასაცილოდ ყვებოდა: „ძალიან მინდოდა გამომეცადა ფრენის სიამოვნება. დიდ რისკზე წავედი და პარაშუტით გავფრინდი. ამ დიდებულ შეგრძნებას არაფერი შეედრება. მთელი პლაჟი გაოცებული მიყურებდა – 100 კილოგრამიანი სოფიკო ჰაერში. შემდეგ ყველა ტაშს მიკრავდა". დახეთ, პლაჟზეც კი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყო და მაყურებლის აპლოდისმენტები დაიმსახურა.

უკურნებელი სენით დაავადებულმა შარშანდელი ზაფხულიც ზღვაზე გაატარა. ეს მისი ჯანმრთელობისათვის დამღუპველი იყო. მაშინ მისი ახლობლები გაოცებასა და აღშფოთებასაც კი გამოხატავდნენ ამის გამო. პირველად რომ გავიგე, მეც ძალიან გამიკვირდა. ვიფიქრე, საკუთარი თავი ასე როგორ გაიმეტა-მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი – ეს განწირული ადამიანის საქციელი იყო. მან კარგად იცოდა, რაც სჭირდა. ილუზიებით არასოდეს იკვებებოდა, მით უმეტეს, სიცოცხლის ბოლო ხანს, მან საშინელ რეალობას ჩვეული გამბედაობით ჩახედა თვალებში და მიხვდა, რომ უკანასკნელად მიდიოდა ზღვაზე — მასთან გამოსამშვიდობებლად.

უამრავ ადამიანს უყვარდა. თავადაც უშურველად გასცემდა სიყვარულსა და ყურადღებას, განსაკუთრებით ბავშვობის მეგობრების, სკოლის ამხანაგების მიმართ. ზოგიერთთან 63 წლის ურთიერთობა აკავშირებდა. ალბათ როგორ უჭირთ სოფიკოს გარეშე!

ორი მეუღლე ჰყავდა – გიორგი შენგელაია და კოტე მახარაძე. თუმცა სიყვარულზე საუბრისას აუცილებლად გაიხსენებდა იმ „სერიოზულ" გრძნობას, ბავშვობაში რომ ეწვია – მასზე ბევრად უფროსი, ცნობილი მხატვარი სოლიკო ვირსალაძე შეუყვარდა. ცხადია, ცალმხრივად, უპასუხოდ...

20 წლისას მომავალი კინორეჟისორი გიორგი შენგელაია შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა. ერთმანეთს დაუნათესავდა დიდებულ ქართველ ხელოვანთა – ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის, ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას — ოჯახები. ორი ვაჟი გაუჩნდათ. გიორგი შენგელაიას შემოქმედებასთან, მის ფილმებთანაა დაკავშირებული სოფიკო ჭიაურელის კინობიოგრაფიის მნიშვნელოვანი მოვლენები. თავად ქალბატონი სო-

ფიკო, პირად საუბრებშიც და საჯარო გამოსვლებშიც, საკუთარი ცხოვრების ამბის თხრობისას ყოველთვის განსაკუთრებულად გამოყოფდა ამ პერიოდს. თუმცა შემდეგ მას მეორე დიდი სიყვარული ეწვია – კოტე მახარაძე. მახსოვს, რა მითქმა-მოთქმა იყო იმ დროს თბილისში ამ რომანის გარშემო. წარმომიდგენია, რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა სოფიკო ჭიაურელი – ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იყო ტყუილი და ფარისევლობა. რა მძიმე იყო მისთვის ოჯახის დანგრევა. მაგრამ მან ეს ნაბიჯი მაინც გადადგა. იმიტომ, რომ უყვარდა და სხვანაირად არ შეეძლო. საბოლოოდ დრომ ყველაფერს საკუთარი ადგილი მიუჩინა. მითქმა-მოთქმაც მიწყნარდა, ოჯახური პრობლემებიც თანდათან მოგვარდა... ბატონი კოტეს გარდაცვალების შემდეგ, მის ქელეხში, საოცარი გლოვის წუთებში, ქალბატონმა სოფიკომ თქვა: ,,ბედნიერი ქალი ვარ. ცხოვრებაში უზარმაზარი სიყვარული მეწვია. 20 წელზე მეტი ამ სიყვარულით ვიცხოვრე. არ ვნანობ. ერთს განვიცდი მხოლოდ – კოტესგან შვილი რომ არ გავაჩინე. ეს ჩემი ბრალია."

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლში კოტე მახარაძის მიერ შექმნილმა ერთი მსახიობის თეატრმა დაიდო ბინა. ბატონმა კოტემ მას სიდედრის სახელი – ,,ვერიკო" დაარქვა. დამეთანხმებით, უნიკალური შემთხვევაა თეატრის ისტორიაში. სოფიკო ჭიაურელის შემოქმედების ბოლო ათწლეული სწორედ ამ, მისთვის უსაყვარლეს თეატრთანაა დაკავშირებული.



მზექალა („ხევსურული ბალადა")

ჯერ კიდევ კოტე მახარაძის სიცოცხლეში, 1998 წელს დაარღვია სოფიკო ჭიაურელმა ერთი მსახიობის თეატრის შემოქმედებითი პრინციპი და ორპერსონაჟიან სპექტაკლში ითამაშა მურმან ჯინორიასთან ერთად. თანამედროვე იტალიელი დრამატურგის, მანლიო სანტანელის პიესა ,,დედა-დედოფალი" რეჟისორმა თენგიზ კოშკაძემ დადგა. ამ სპექტაკლში ნაჩვენები იყო მძიმე სენით დაავადებულ რეჯინასა და მისი ნარკომანი შვილის, ალფრედოს რთული, დრამატული ურთიერთდამოკიდებულება. მათ ერთმანეთის ბედი აღარ აინტერესებთ. დედა-შვილს შორის სრულ გაუცხოებას, სიძულვილსა და უნდობლობას დაუსადგურებია. თითქოს რა შორს არის სოფიკო ჭიაურელის ადამიანური ბუნება რეჯინას ხასიათისგან. მაგრამ შესანიშნავმა მსახიობმა, გარდასახვის დიდოსტატმა, საოცარი დამაჯერებლობით წარმოგვიდგინა ეს ხანშიშესული, შვილებისაგან მიტოვებული, ტრაგიკული ბედის მომაკვდავი ქალი. ამ როლით სოფიკო ჭიაურელი პირველად გამოვიდა თეატრ ,,ვერიკოს" მცირე მოცულობის, კამერულ სცენაზე. მისი და მურმან ჯინორიას შემოქმედება უფრო დიდ თეატრალურ სივრცეში ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, მათ შესანიშნავად გაითავისეს დარბაზის საერთო ატმოსფერო, ჩინებულად აუღეს ალღო მის თავისებურებებს, რეჟისორთან ერთად მიაგნეს ამ პიესის ასეთ თეატრში თამაშის მანერას, გრძნობათა ბუნებას, გამომსახველ საშუალებებს.

,,დედა-დედოფალს" მოჰყვა რეზო კლდიაშვილის პიესის, ,,მარტოობის ბინადრის", საფუძველზე რეჟისორ ნანა მჭედლიძის მიერ დადგმული მონოსპექტაკლი. მისი გმირი – ხანშიშესული ინტელიგენტია. XX საუკუნის საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდები ეკას ცხოვრების წლებია – 1937 (რეპრესირებული მშობლები), ომი, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, შიდა ომი, მტრობა, სიცრუე, ღალატი, დიდი სიყვარული, უძვირფასესი ადამიანის დაპატიმრებითა და შვილის დაღუპვით შეწყვეტილი ხანმოკლე ბედნიერება... სოფიკო ჭიაურელი თამაშობდა არა მხოლოდ ერთი კერძო ადამიანის, არამედ მთელი თაობის დრამატულ ბედსაც. ეს ხომ დამცირებული, შეურაცხყოფილი, გათელილი, მაგრამ მაინც სულიერად ძლიერი, უდრეკი და, მაინც, საბოლოოდ, დაუმარცხებელი ქართული ინტელიგენციაა. შესანიშნავად ახასიათებს მსახიობის ამ საინტერესო მხატვრულ სახეს ,,მარტოობის ბინადრის" ერთ-ერთი რეცენზენტი, მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძე: ,,სპექტაკლის სულისჩამდგმელი სოფიკო ჭიაურელია. არა, უფრო მეტი – პიესა ასეთ განზოგადებებს, ასეთ მასშტაბებს, ასეთ საზოგადოებრივ ჟღერადობას სოფიკოს ძალისხმევით აღწევს. გენეტიკურმა ტალანტმა, არტისტულმა ტემპერამენტმა, ინტელექტმა, მსახიობური ოსტატობის იმ უმდიდრესმა საშუალებებმა, ასაკსაც რომ მოაქვს, შეაძლებინა სოფიკოს, ისტორიული სიმართლე მხატვრული სიმართლის იმ სიმაღლეზე აეყვანა, რომლის იქით მაყურებელს აღარ ებადება კითხვა, ვის უყურებს: მსახიობდიდოსტატს თუ საკუთარი ცხოვრების გზას. ვინც ერთხელ მაინც ნახა ეს სპექტაკლი, ალბათ პათეტიკურ ნათქვამად არ ჩამითვლის თუ ვიტყვი, რომ სოფიკო ჭიაურელმა ამ სპექტაკლით, ამ სცენური სახით თავისი თაო-

ბის ინტელიგენციას ძეგლი დაუდგა. „მარტოობის ბინადარში“ სოფიკო ჭიაურელმა ქართული ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი სულის სისპეტაკე და, ვიტყოდი, მოცარტისეული განცდა ცხოვრების ჭეშმარიტი სილამაზისა სპექტაკლის მთავარ ტონალობად მოიაზრა და ამით კიდევ უფრო მკვეთრი გახადა მუსიკოსის ცხოვრების ტრაგიკული ეპიზოდები.“

2002 წელს რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, საქართველოში პირველად დადგა დიდი კოლუმბიელი მწერლის, გაბრიელ გარსია მარკესის მონოპიესა „სიყვარულის სულთათანა,“ სადაც სოფიკო ჭიაურელმა წარმოგვიდგინა მარტოსული ქალბატონი, რომელიც თავისი ვერცხლის ქორწილის დღეს გადაწყვეტს სამუდამოდ დაშორდეს კაცს, რომელიც 25 წელი უყვარდა – უპასუხოდ, ცალმხრივად. ეს მათი ერთობლივი ცხოვრების გახსენებაცაა, სიყვარულის ახსნაც და მასთან განშორებაც.

კოტე მახარაძის გარდაცვალების შემდეგ სოფიკო ჭიაურელი თეატრ „ვერიკოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. მის გაფართოებაზე აქტიურად ზრუნავდა – არაფერი გამოუვიდა. ეს დარდი თან გაჰყვა ისევე, როგორც მრავალი სხვა სატკივარ-საფიქრალი. ერთი ოცნება კი აისრულა – სახელოვანი მშობლების ხსოვნას უძღვნა სპექტაკლი, რომელშიც მისი უსიტყვო პარტნიორი მსახიობი ონისე ონიანი იყო. „პლანეტების დაბადება“ – ასე ერქვა ინგა გარუჩავასა და პეტრე ხოტიანოვსკის პიესას, რომლის დადგმაც მათვე განახორციელეს თეატრ „ვერიკოს“ სცენაზე. ეს ნაწარმოები სოფიკო ჭიაურელის თხოვნით დაიწერა. ბუნებრივია, თვითონაც აქტიურად იყო ჩაბმული პიესისა და სპექტაკლის შექმნის პროცესში არა მხოლოდ როგორც მისი მონაწილე, არამედ, როგორც თეატრის ხელმძღვანელი და, რაც მთავარია, როგორც ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის შვილი. მისი პერსონაჟის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ტაკიმასხარა კომედიანტების შვილი, თვითონაც – ტაკიმასხარა!“

ქალბატონ სოფიკოს სპექტაკლები თეატრ „ვერიკოს“ სცენაზე მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევდა მუდამ. არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სხვადასხვა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალსა თუ გასტროლებზე. ბოლო სპექტაკლი – თამაზ ჭილაძის „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“ – თვითონვე დადგა და მსახიობ ნინო ბურდულთან ერთად ითამაშა. თუმცა სულ რამდენჯერმე... მეტად ვერ მოასწრო. არ დასცალდა.

უამრავი როლი ითამაშა თეატრსა და კინოში. მათ ანალიზსა და განხილვას ახლა არ შევუდგები. არც შემიძლია. ძალიან ცოტა დრო გავიდა მსახიობის გარდაცვალებიდან. ანალიზს მშვიდი გონება სჭირდება და არა მძიმე, მტკივნეული განცდები.

თეატრ „ვერიკოს“ სცენაზე ბოლო 10 წლის მანძილზე განხორციელებული მისი პერსონაჟები იმიტომ გავიხსენე, რომ ყოველ მათგანში თავისებურად გამოიკვეთა ახალი თემა მსახიობის შემოქმედებაში – მარტოობის მტკივნეული განცდა. მიუხედავად იმისა, რომ სულ ბევრ ხალხში ტრიალებდა, საზოგადოების ცენტრში იყო მუდამ, ეს პრობლემა მაინც აწუხებდა. იგი მისი სულის სიღრმეში ჩაბუდებულიყო. ცხოვრებაში თითქოს არანაირად ვლინდებოდა, სცენაზე კი ამ სატკივარმა მთელი ძალით ამოხეთქა.

შემოდგომაზე, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალ „საჩუქრის“ გახსნაზე სოფიკო ჭიაურელი მიხეილ თუმანიშვილის პრიზით დაჯილდოვდა. გახარებულმა მაყურებელსა და ფესტივალის ხელმძღვანელობას სამადლობელი სიტყვით მიმართა. თითქოს მხნედ იყო, მაგრამ საუბარში ერთი-ორი ისეთი ფრაზა წამოსცდა, მივხვდით, რომ საქმე საზეიმოდ და სამხიარულოდ არ იყო. ოქტომბერში მარჯანიშვილის თეატრის წინ სოფიკო ჭიაურელის ვარსკვლავი გაიხსნა და არაჩვეულებრივი საღამო ჩატარდა. მსახიობმა კიდევ ერთხელ იგრძნო მაყურებლის დიდი სიყვარული. და ისევ, მის მიერ საუბარში ჩვეულებრივად წარმოთქმულმა ფრაზამ: „სანამ ცოცხალი ვარ...“ (ეს სიტყვები ყოველ ჩვენგანს უთქვამს სხვადასხვა სიტუაციაში) — ამ ვითარებაში სხვანაირად გაიჟღერა და გულზე მოგვხვდა. თუმცა მოახლოებულ სიკვდილთან მებრძოლი სოფიკო ჭიაურელი მისი შეცოდების უფლებას არასოდეს მოგვცემდა. უკვე მწოლიარე ავადმყოფს არ უნდოდა, რომ ამ მდგომარეობაში ენახათ. ამიტომაც ბევრ ჩვენგანს იგი ისეთივე სიცოცხლით სავსე და ენერგიულ, მხიარულ და ხალისიან ადამიანად დაამახსოვრდა, როგორიც ყოველთვის იყო.

უკანასკნელ ხანებში მარჯანიშვილის თეატრში სამუშაო არ ჰქონდა. მხოლოდ „ურიელ აკოსტა“ აღადგინა როგორც რეჟისორმა, ახალი სამსახიობო შემადგენლობით. რაც შეეხება როლებს, ორი საინტერესო სამუშაო შესთავაზეს. სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერც ერთი ვერ განახორციელა. რეჟისორ გოჩა კაპანაძეს ინგლისელი დრამატურგის, რონალდ ჰარვუდის გახმაურებული პიესა „კვარტეტის“ გადმოქართულებული ვარიანტი უნდა დაედგა. მან ქალბატონ სოფიკოს მოხუცთა თავშესაფარში მოხვედრილი ოპერის ყოფილი პრიმადონას, თამარ ახვლედიანის ეფექტური როლი შესთავაზა. მსახიობმა მეორე მომღერლის, ელისოს, გარეგნულად თითქოს ნაკლებად მომგებიანი, მაგრამ ნამდვილი მსახიობისათვის შესაძლოა უფრო საინტერესო პერსონაჟის თამაში მოისურვა. სამწუხაროდ, ეს პროექტი მარჯანიშვილის თეატრში ვერ განხორციელდა. მცირე ხნის შემდეგ, რეჟისორმა ლევან წულაძემ ბერნარდ შოუს „პიგმალიონის“ დადგმას მოკიდა ხელი, უფრო სწორად, ამ პიესის აკა მორჩილაძისეულ დრამატურგიულ ინტერპრეტაციას, სადაც მოქმედება ასი წლის წინანდელ თბილისში ხდება. ამ სპექტაკლში სოფიკო ჭიაურელს ჰენრი ჰიგინსის დედის როლი შესთავაზეს. მოულოდნელ გადაწყვეტილებათა მოყვარულმა, „ხულიგანმა“ მსახიობმა რეჟისორს ორიგინალური იდეა მიაწოდა: „ელიზას მამას ვითამაშებ. ის უფრო მაინტერესებსო“ (ეს არაჩვეულებრივი როლი ბევრი მსახიობის ოცნებაა). და ორმა ნიჭიერმა ხელოვანმა ძალიან საინტერესო რამ მოიფიქრა – მამა დედად იქცა. თან უბრალო დედად კი არა, ძველ თბილისში ნამდვილად მცხოვრებ, კოლორიტულ ყარაჩოხელ ქალად, ქამრიან სონად. საუბედუროდ, არც ამ ოცნებას ეწერა ახდენა.

სოფიკო ჭიაურელი საკუთარ თავს „გამქრალი ცივილიზაციის სახალხო არტისტს“ უწოდებდა. მართალიც იყო. დღეს საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელია მისი მასშტაბის ხელოვანი და პიროვნება.

როსტომ ჩხეიძე

# ტერასაზე ელსინორისა

*

## ბიოგრაფიული რომანიდან „აგვისტოს შვილები“

სულიერი საერთო ისედაც ბევრი ჰქონდათ ერეკლე ტატიშვილსა და რევაზ ჩხეიძეს.

ბიძაშვილ-მამიდაშვილობა კიდევ ბიძაშვილ-მამიდაშვილობად.

ხუთი წლით უმცროსი გახლდათ რევაზი და მაგალითად დაესახა თავისი მამიდაშვილი, ვისაც ყველა განსაკუთრებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, ის კი ისეთი სიმშვიდით ხვდებოდა ქების სიტყვასა თუ აღტაცებულ შემოხედვას, თითქოს ეს ყოველივე სხვას ეხებოდა. ფილოსოფოსის, სტოიკოსის სული იმთავითვე ჩაბუდებულიყო ყმაწვილში და გარეგნულს იოლად არაფერს ასდევდა, თუმც გატაცება დიდი სჩვეოდა და ისე ჩანთქმულიყო ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, მოგვიანებით კი პოლიტიკაშიც, ლამის სულაც ჩაკარგულიყო იმ ლაბირინთებში.

არ დაგიდევდა ასეთ ჩაკარგვას.

გატაცებანი არც რევაზისათვის ყოფილა უცხო, მითუმეტეს, უფროს ძმასავით გამოცხადებოდა ერეკლე და უადვილებდა თვითშემეცნებას, იოლად აწვდიდა, რაც თვითონ უკვე გადაეხარშა წყვდიადში ხელისცეცებით მობორიალეს.

სტოიციზმითაც მსჭვალავდა.

ჭეშმარიტებისათვის თავგანწირვასაც უნერგავდა.

უდასტურებდა, ერთი სიტყვით, რაც გვარითაც მოსდგამდა ბიძაშვილს, დევნა-შევიწროებაში გამონატანჯი გვარით, რომლის ერთი შტოც აგერ ქართლში გადმოხვეწილიყო და თითქოს ძალიანაც უნდა განტოტვილიყო, თავიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა. ახლაც ეს განცდა გაგიჩნდებათ, ამ შტოს გენეალოგიური ხის კენწეროს თუ ააყოლებთ თვალს.

იტრიიდან ამოეკვეთათ ფეხი როსტომ ჩხეიძისათვის, ჩვილობაშივე გარდაეცვლებოდა მამა და ისარგებლებდნენ აბაშიძენი – ნათელმირონით დაკავშირებულნი ამ ოჯახთან... ვითომდა მეურვეობაო, ვითომდა რალაც ძველი ვალებიო, ესაო, ისაო, დაჩაგრავდნენ კი ძუძუთაბავშვიან ქალს და ისე მიითვისებდნენ იტრიასაც და მთელ იმ არემარესაც, თითქოს ჩალით დახურულ ქვეყანაში ეცხოვროთ.

თუმც, კაცმა რომ თქვას, რითი განსხვავდებოდა XIX საუკუნის შუა ხანების საქართველოს პოლიტიკური რეალობა ჩალით დახურული ქვეყნის მოდელისაგან?

ზღაპრების ან ანტიკური მითებისა თუ ტრაგედიების დასაწყისს მოგვაგონებს როსტომის თვალის გამოხელა მზისქვეშეთში, მითუმეტეს, საფრთხე უთუოდ ემუქრებოდა – ისეთი მუქარები მოისმოდა – და დედა, ქმრის სახლკარიდან გამოძევებული, მამისეულ კერას შეაფარებდა თავს.

მაგრამ დადგებოდა ის დროც, როდესაც ბავშვი წამოიზრდებოდა, გამოიძიებდა სამკვიდროდან აყრის გარემოებებს და თავისი კანონიერი უფლებების აღდგენას მოითხოვდა.

კვლავ ზღაპრისა თუ ანტიკური ტრაგედიის სიუჟეტი ინასკვება, ოღონდ აქედან უკვე აღარაა მოსალოდნელი ძველებური გაგრძელება, რადგანაც იტრიას კი აღარ დაუბრუნებდნენ, მაგრამ ყელქცეულს უბოძებდნენ მის საზღაურად.

ჭაბუკი იყაბულებდა ამ შეთავაზებას, წამოიყვანდა მსახურ ბიჭს – გვარად წეველიძეს – და კიდეც გაჭრიდა სახლის საძირკველს. წეველიძეებისაგან თანდათან მთელი უბანი შეიქმნებოდა, ისინი უპირველესად გახდებოდნენ ჩხეიძეთა ნათლულები, სხვა გვარებიც რომ შემოუერთდებოდნენ ნათლულთა წრეს, და... 24-ის აგვისტო-სექტემბრის ულმობელ დღეებში, შემზარავი ვაკხანალიისას უმთავრეს ცოდვას სწორედ წეველიძე აილებდა საკუთარ თავზე ნათლიათა ჩახოცვისას.

ნათელ-მირონისა და უფლისა იმან რაღა იცოდა, რევოლუციის ლექს წამოეტივტივებინა ისიც და, სხვა არაფერი ტრიალებდა მის გონებაში, გარდა კლასობრივი მტრის ხატისა – თავადაზნაურობა უნდა გაჟლეტილიყო, ამოშანთულიყო ეს წოდება და ნათელი მომავალიც გადაიხსნებოდა, კომუნიზმის აღაჟღაჟებული მწვერვალით დაგვირგვინებული.

კლასობრივი და რევოლუციური მტრის განადგურების რწმენას ან წერა-კითხვის ცოდნა რისთვის სჭირდებოდა, მაგრამ იმათ მაინც უნდა შეესწავლათ ასოების ამოკენკვა, ვინც რევოლუციის სახელით ხელს აწერდა კონტრრევოლუციონერთა დახვრეტის ბრძანებას.

ამ წეველიძესაც – იესე რომ ერქვა– ამიტომ დასვამდნენ ანბანის შესასწავლად.

სამად სამი ასო ჩაებეჭდებოდა გონებაში: ი, ე, ს.

წ-ს დამახსოვრება გადაულახავი დაბრკოლება შეიქნებოდა მისთვის, ამიტომ დახვრეტის ბრძანებას გვარს კი არ მოაწერდა ხოლმე, არამედ მხოლოდ სახელს... იმასაც ნაკლულად: იეს.

„ე“-ს განმეორება ველარ წარმოედგინა, რაღაც სხვა ეგონა სახელის ბოლოკიდური „ე“ და შემოკლებით იხსნიდა თავს.

ლიახვგამოლმა თუ ვინმე დათარეშობდა, ეს „იეს“ და მისი ხელქვეითნი, ხალხის სახელით რომ არბევდნენ სწორედ იმ ხალხს, ვის ქომაგადაც მოჰქონდათ თავი და ენით აუწერელ ბედნიერებასაც ჰპირდებოდნენ.

საბედისწეროდ გადაიკვეთებოდა რევაზ ჩხეიძისა და ამ „იეს“-ის გზები!..

თუმც მანამდე ადრეა ჯერ, მხოლოდ საძირკველი გაჭრილა ახალ სამკვიდროში და რიგრიგობით მოევლინებიან ქვეყნიერებას ორი ქალი: ანა და მარიამი, – და ოთხიც ვაჟი: ბესარიონი, გიორგი, ბაგრატი და ერმალოზი, – ის ერმალოზი, ვინც ცოლ-შვილის მოკიდებას ვერც მოასწრებდა, ისე შეიქნებოდა სიკვდილში ძმისწულის თანაზიარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი და „იეს“-ის გზებიც სავალალოდ გადაკვეთილიყო.

გიორგი და ბაგრატი ოჯახებს კი შექმნიდნენ და 24-ის სისხლიან კალოსაც დაუსხლტებოდნენ, მაგრამ ბაგრატს შვილი არ მიეცემოდა, გიორგის კი ერთადერთი ქალი დარჩებოდა, თამარი, და გვარის გაგრძელება ბესარიონზელა ეკიდა.

სამი ვაჟი შეეძინებოდა.

გარდა რევაზისა, ჰაპოლა და დიმიტრი.

ჰაპოლა I მსოფლიო ომში დაიკარგებოდა უგზოუკვლოდ, მისი დაღუპვის ცნობაც არ მოსულა... დიმიტრი კი 24-ს შეეწირებოდა.

ბედისწერა „იეს“-ის სახით რჯულამდე ჩასდევდა ამ ოჯახს და ერთსა და ორ მსხვერპლს არ იკმარებდა, მაინცდამაინც უნდა გასამებულიყო.

და ისიც მესამე, ერთადერთი ვაჟი რომ მაინც დარჩებოდა – ბეჟანი.

ბესარიონს სხვაგვარად ჩაუსაფრდებოდა ბედისწერა – საუკუნის მიჯნაზე ჯერ არც რევოლუციები ხდებოდა, არც სასტიკი რეპრესიების ტალღებში მოქცეულიყო ქვეყანა. ხარებშებმულ ურემს მოუძღოდა ბესარიონი, მდინარეში შემოტოპავდნენ, ფონი კარგად იცოდა და თამამადაც გამოუძღვებოდა ნელად მომღელავ დინებაში, მაგრამ რქას ჰკრავდა უეცრად ხარი და მორევში გადაისროდა ისედაც მკერდშენგრეულს.

სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩებოდა 29 წლის კაცს.

რა შთამბეჭდავად მოჩანდა როსტომის ოთხი ვაჟი და რა უცნაურად დატრიალებულიყო წუთისოფელი, გვარს ლაღად გაშლის საშუალებას რომ არ ანებებდა.

რევაზს ზედიზედ მიეცემოდა სამი ვაჟი, ბეჟანი – პირველ ცოლთან, ოთარი და ავთანდილი – მეორესთან, პირველი რომ გარდაეცვლებოდა და ნატალია პეტრიაშვილს გადმოიყვანდა მახლობელ სოფელ ფხვენისიდან... მაგრამ დიდხანს ვერ იცოცხლებდა ბეჟანი და ბავშვობაშივე აღესრულებოდა, მამის დაღუპვიდან მალევე.

თუმც... რევაზი ჯერ ყმაწვილკაცია და თავისი მამიდაშვილი ეგულება ყველაზე მისაბაძ პიროვნებად, თუნდ თვითონ სამხედრო კარიერა აირჩიოს, მაგრამ სულიერი ბილიკებით კვლავაც ერეკლეს გარშემო იტრიალებს და ნიცშეც და შოპენჰაუერიც მისთვისაც ისეთივე მახლობელი სახელები შეიქნება, როგორც ერეკლესათვის, და თამამადაც შეეკამათებოდა ცალკეულ განმარტებებზე. ხიბლდებოდა მამიდაშვილის უჩვეულო ერუდიციითაც, სჯელობის სიმწყობრითაც, ურთულეს პრობლემათა მარტივად გადმოცემის უნარითაც, მაგრამ მაძიებელი გონება უფრო ღრმად შეღწევისაკენ აგულიანებდა და საკუთარ მოსაზრებებსაც უყალიბებდა. დაე შემუსვრილიყო ეს მოსაზრებანი ერეკლეს მკაცრი ლოგიკის მიერ, ასე უფრო მკაფიოვდებოდა ყველაფერი, მითუმეტეს, ზოგჯერ საგონებელშიც ჩააგდებდა, ამას მეტი დაფიქრება სჭირდებაო.

ერეკლეს ნიცშე უფრო იზიდავდა.

მის ბიძაშვილს შოპენჰაუერი უფრო.

და „ბორიაყში“ კალოობაზე გასული ჭაბუკი მუსიკოსი საჩრდილობელში შოპენჰაუერის ტომს რომ მოჰკრავს თვალს, როგორც იტრიელთა ოჯახის ერთ საყვარელ წიგნთაგანს, ეს რეალისტური დეტალია, ისევე გადატანილი რომანის ფურცლებზე, როგორც სხვა არაერთი რეალია ჩხეიძეთა დიდი ოჯახის სინამდვილიდან.

იტრიელთა გამჭვირვალე ქარაგმა იგულისხმებდა ჩხეიძეთა ოჯახს, ამ შტოს ისტორიული დასაბამი თუ ფესვი – იტრია – გვარის იერით შეიმოსებოდა და 24-ის ტრაგედიას კიდევ ერთ რეალისტურ ნაკადად ჩაეწვნოდა.

რომანში რევაზ ჩხეიძეც გამოჩნდებოდა როსტომ იტრიელის გვარ-სახელით, თუმცა სახელის არჩევისას დიდი განსჯა არც დასჭირდებოდა – როსტომი ჩხეიძეთა საგვარეულო სახელიც გახლდათ და რევაზს ისიც ერქვა, და კიდევ – რომანოზიც. ადრეულ ანკეტებსა თუ ცნობებში შვილები უფრო ამ სახელს ამჯობინებდნენ: ოთარ როსტომის ძე... ავთანდილ როსტომის ძე... რომანოზის ძედაც შეიძლება იყვნენ სადმე მოხსენიებულნი. საბოლოოდ ოფიციალურად რევაზი დამკვიდრდებოდა, მაგრამ რომანის პერსონაჟად დაე საგვარეულო სახელი წამოტივტივებულიყო.

საკმაოდ გამჭვირვალეა როსტომ იტრიელის პროტოტიპი.

მწერალი არსად განმარტავდა, ვინ ეგულისხმა ამ პერსონაჟის პირველსახედ, დაე მიმხვედრი მიმხვდარიყო, მიმხვედრი – ოჯახისა თუ სანათესაოს წევრები, თორემ სხვა ასე ნიშანდობლივ ვერ დააზუსტებდა მის ვინაობას, თუნდ იტრიელები ჩხეიძეებთან ადვილადაც გაეთანაბრებინა.

– როსტომ იტრიელში პაპას გულისხმობ, არა?

ამას მე ვკითხავდი დასტურის მოლოდინში.

ხმას არ გაიღებდა.

დუმილი კარგა ხანს გასტანდა.

– ხომ პაპას გულისხმობ?

არც დასტური და, ცხადია, არც უარყოფა.

ახლა დარწმუნებით ვიცი: მისთვის ძალზე მტკივნეული იყო იმ ტრაგედიის გახსენება, მამის სახეში რომ გაესიმბოლოვებინა, გული ეგლიჯებოდა და ადვილად ვერ ასდევდა ამაზე საუბარს.

მივხვდი? კმაროდა.

დუმილი გაცილებით მეტყველი გახლდათ, ვიდრე სიტყვა ამოთქვამდა გულისნადებს. ოქრო ვერ დახურდავდებოდა ვერცხლად.

პროტოტიპი გამჭვირვალეა, თუმც ერთი-ორი შტრიხი თუ დეტალი ერეკლე ტატიშვილის ხასიათიდან თუ ბიოგრაფიიდანაც ამოუკრებია და შეუზავებია პერსონაჟის უფრო სრულყოფილად გამოკვეთისათვის. ერეკლე ტატიშვილს სხვადასხვა დროს ორ ნოველასაც მიუძღვნიდა („ნაკაკლნარი“ და „აგვისტოში ბულბულებს რა უნდათ?“), მაგრამ აქაც ამოჩნდებოდა თავისთავად ის ერთი-ორი დეტალი, სულიერი საერთო აკი ისედაც საკმაოდ ჰქონდათ და ცხოვრების ყაიდითაც დამსგავსებოდნენ.

შეფიქრიანებული მუსიკოსი იოლად უნდა დაამშვიდოს როსტომ იტრიელმა, ისევე იოლად და უბრალოდ, შოპენჰაუერს როგორც გამოთქვამდა:

– ბევრი რამ წაეკითხა, ბევრი რამ გაეგო, ჩასწვდომოდა იდუმალებას ცხოვრებისა, აღარაფერი გააკვირვებდა, ადვილადაც დაამშვიდებდა გაკვირვებულთა თუ შეძრწუნებულთა, რამეთუ ერთი ყოფილა ყოველივე, სიცოცხლე ყოფილა, ხოლო რაცა ყოფილა სიცოცხლისა, ხვედრი ყოფილა ადამიანთა.

„ბევრიც გადაეტანაო“, იქვე მოადევნებდა, და ჩამოთვლიდა:

– რუსეთის ციხეები, ხეტიალი უცხოეთში, პარტიული ბრძოლები, ფილოსოფიური დისკუსიები.

„ხეტიალი უცხოეთში“ და „ფილოსოფიური დისკუსიები“ მარტოდენ ერეკლეა – მისი ბედისწერაც და ხასიათიც, რუსეთის ციხეები ორივეს გამოეცადა – დიდი ხნით არა, მაგრამ ვერ აცდებოდნენ, სხვადასხვა დროს რომ გაერეოდნენ სახალხო მღელვარებებში, პარტიულ ბრძოლებშიც ორივეს მოუწევდა მონაწილეობა, მაგრამ რაკილა პროტოტიპი რევაზ ჩხეიძეა, ამჟერად მხოლოდ მისი მონაწილეობა იგულისხმება, ისევე, როგორც ამ პასაჟის გაგრძელებაც ორივეს მიესადაგება, პიროვნულ თვისებებთან ერთად ბიოგრაფიულადაც საკმაოდ რომ დამგვანებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რაკილა თვალნათლივია როსტომ იტრიელის პირველსახე, მხოლოდ მისით უნდა შემოვისაზღვროთ.

– ყველა პარტიას მიჰკედლებოდა, ყველას გასცლოდა, რადგან არ დათანხმდებოდნენ, ისე გაეგოთ თუ წარემართათ ბედი ერისა, თვითონ რო ესმოდა. მაინც ცალკე ვერ დარჩენილიყო, იყო სხვებთან, ოღონდ იყო მარტო, განცალკევებული, თავისი აზრითა, თავისი რწმენითა, იყო და დარჩა მაშინაცა, როცა დროებითი ხელისუფლება იშოვნეს იმისიანებმა და იდეური თუ პოლიტიკურ-ფილოსოფიური გატაცებანი თანამდებობისათვის ბრძოლებზე გადაახურდავეს; არც ეს გაჰკვირვებია, არცა ისა, რო მალე დაეცნენ, გუდანაბადი აიკრეს და გაჰყვნენ იმავე გზასა, საიდანაც დაბრუნებულიყვნენ, იმ განსხვავებითა, მაშინ თუ ცალ-ცალკე ემიგრანტებად ითვლებოდნენ, მერე ემიგრანტული მთავრობა ერქვათ, სხვა დანარჩენი იგივე გახლდათ, მაშინ თუ თავპირს აპოტნიდნენ, მერე ცოცხლებრივა სჭამდნენ ერთმანეთსა, მაშინ თუ იმაზე დავობდნენ, როგორ მოეწყოთ სახელმწიფო თუ ექნებოდათ, მერე იმაზე გაცეცხლებულიყვნენ, თუ როგორ ვერ მოაწყეს და ვის უფრო მეტი ბრალი მიუძღოდა.

ეპოქაც ნარმოისახება, მენშევიკური მთავრობის არსიც და რევაზ ჩხეიძის პიროვნული ხასიათიც, რადგანაც მისი სამზერიდანაა განსჯილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ეფემერა. ასე მოჩანდა რევაზის პოლიტიკური მრწამსი მის ბიოგრაფიულ ტეხილებზე დაკვირვებიდან – ხელისუფლებაში რომ არ ეძიებდა კარიერის გაგრძელებას, მღელვარებათა შუაგულში მოტრიალე და 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა თუ ოქტომბრის გადატრიალების დღეებში პეტერბურგში მყოფი ოცნების ახდენას რომ მოესწრებოდა სიყრმიდანვე ქართლის ბედს აყოლილი – ოცნებას იმპერიული კაბალიდან გამოხსნისა, ერთბაშად განუდგებოდა პარტიულ თანამებრძოლებს; და თუმც კვლავ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წევრად რჩებოდა, მაგრამ უკვე ფორმალურად, ტფილისს გამორიდებული ყელქცეულს დაუბრუნდებოდა, მამაპაპეულ სამკვიდროს, და კოოპერაციულ საქმიანობაში ჩაებმოდა.

ჩაებმოდა უკანმოუხედავად, თითქოს იქ ცხარე ბრძოლები არც დარჩენოდეს.

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძეს სწამდა კოოპერაციული მოძრაობის მომავლისა, ერთი იმდენი, ჩასახულიყო და დაძრულიყო, თვითონვე აიკრავდა ახალ-ახალ მონაწილეებს და მომძლავრებულს კი ველარაფერი შეაკავებდა. სწამდა და ყველას აგულიანებდა, ხსნის გზად ესეც იგულისხმეთო. ნიკო ნიკოლაძეც ასდევდა ამ იდეას, სხვანიც დაუდგებოდნენ შთამაგონებლებად და სულ ცოტა ხანში კოოპერაციული მოძრაობა რეალობად დამკვიდრდებოდა.

სხვანი – უპირველესად ის პირნი, ოფიციალურად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით რომ ჩაებმოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის ბრძოლაში და, რაკილა ვერ წარმოედგინათ პოლიტიკური თავისუფლება ეკონომიკური აღორძინებასიმტკიცის გარეშე, კოოპერაციული აღმშენებლობის გზას ენერგიულად მოეჭიდებოდნენ, როგორც ილიას ნაანდერძევს.

10-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ყოფა ამ მოძრაობის დამკვიდრებითაა დამშვენებული, და თუ მენშევიკები არ თანაუგრძნობდნენ ამ წარმატებებს და აგრარული რეფორმა სულ სხვაგვარად ესახებოდათ – რაც კიდეც განახორციელეს თავიანთი მფლობელობისას და კიდევ ერთხელ დაუხლართეს ქვეყანას წინსვლის გზა – რევაზ ჩხეიძე არ შებოჭილა პარტიული დოქტრინით და მონდომებით აჰყვა ამ მოძრაობას, როგორც სასიკეთოს მწყობრი თეორიული საძირკვლითაც და თვალით ხილული წარმატებებითაც.

მეურნე კაცისათვის, თანაც როგორი ხელგარჯილისა, მისწრება გახლდათ კოოპერატივებთან თანამშრომლობა.

მათთვისაც მისწრება – ყოველთვის საძებარია პატიოსანი პიროვნება.

გიორგის, ბიძებიდან ყველაზე უფროსს, დიდად არ ექაშნიკა ძმისწულის გატაცება ამ მოძრაობით. იმიტომ კი არა, თითქოს თვითონ არ სურდა აჰყოლოდა ამ ახალ ეკონომიკურ ტალღას. გამოცდილიყო საწარმოო და სავაჭრო საქმეებში და, თუ ვინმე განჭვრეტდა ამ მოძრაობის სიკეთეს, ერთი პირველთაგანი სწორედ იგი – ილია ჭავჭავაძის ნაწერები ისედაც გზის გამგნებად რომ ესახებოდა. ეგაა, ძმისწულისა აღარ სჯეროდა მაინცდამაინც: არ არის ალებმიცემობა შენი საქმე, შენი გულის პატრონი, მიმნდობი და უყაირათო, ადვილად დაიდებს ვალებს, გაკოტრდება და, შეძლების შეძენის ნაცვლად, თავი გაუხდება გადასარჩენიო.

ვერ დაევიწყებინა განჯის სასტუმროს ამბავი.

ნამოიჩიტა თუ არა რევაზი, მაშინვე ხელი მოჰკიდა მასაც და მეუღლის დისწულსაც: სჯობს, უკვე ჩადგეთ საქმეშიო, – განჯის სასტუმრო ჩააბარა: ერთ თვეს ვერ მოვბრუნდები, უამრავი საქმე დამაწვა და ყველას ერთბაშად დაჭირდა გაძღოლა, ჩამოვივლი, მივხედავ და მაშინვე აქ გავჩნდები. აბა, თქვენ იცით, და, რა მოგებაც დაგრჩებათ, თქვენთვის დამილოცნია, ცოტას არ ელოდეთ, საკმაო თანხაა გამოუცდელისთვისაც კიო.

ყმაწვილკაცები დაპირდებოდნენ და გიორგი საქმეში რომ გაარკვევდათ, ისე მარჯვედ აუღებდნენ ალღოს და ისეთ საზრიანობას გამოიჩენდნენ, აღტაცებულს დატოვებდნენ: შემცვლელები ვიშოვნე, სასტუმრო თავის რესტორნიანად უკვე შეიძლება ამათ ვანდო საერთოდაც, მოვბრუნდები და ყველაფერს მაშინ მოვაგვარებო.

დაიმედებულს გაუშვებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონაც იმედიანად დარჩებოდნენ – ცხოვრებაში ფეხი უნდა შეედგათ და უკეთესი გზაც რა უნდა გამოსჩენოდათ, კარგად დაწყებულს შესაფერისად როგორ ვერ გააგრძელებდნენ, მითუმეტეს. ასე ეიოლათ პირველი შეხება.

ერთი თვეც გაივლიდა და ორიც.

მოსაგვარებელი გაცილებით მეტი აღმოჩნდებოდა, ვიდრე ეგონა. შორიდან ისერიგად ვერ ადევნებდა თვალს აზერბაიჯანში გაფანტულ სანარმოებსა თუ იქ მიმოსვლა-ყიდვა-გაყიდვას, ჩაშლით არსად ჩაშლილიყო საქმიანობა, მაგრამ ზოგიერთ ჩავარდნასა თუ ნაკლოვანებას გამოსწორება სჭირდებოდა, ჩინებულად აწყობილ ნარმოებებს კი მეტი სრულყოფა. გულმშვიდად ადგა თავს, არ ფოთიაობდა და საათის ნიკნიკსაც ძველებური მღელვარებით არ მისჩერებოდა, სასტუმრო ამასობაში ხელიდან არ ნამივიდესო.

რაც მეტი დრო გავა, უფრო გაინაფებიან კიდეც და მოგებაც მეტი დარჩებათო, – დროდადრო გაიფიქრებდა.

ბოლოსდაბოლოს ჩათავდებოდა ბიზნესმენური ტურნე.

გიორგი ჩხეიძე განჯის სასტუმროს დაუბრუნდებოდა და... ვალებში ჩაფლული ჭაბუკები შერჩებოდა ხელთ.

გაკოტრებული სასტუმრო.

გაკოტრებული რესტორანი.

მოგების მომლოდინეს თავნიც – რისი ხელისხლებაც ვერაფრისდიდებით ვერ წარმოედგინა – განიავებული დახვდებოდა.

ესენი კი ბოთლებს აგროვებდნენ, რათა ჩაებარებინათ და ბილეთის ფული მაინც ეშოვნათ მატარებელზე, აბა, შიმშილით ხომ არ დაიხოცებოდნენ უცხო მხარეში.

ვერ წარმოედგინათ, ვერა განჯაში თუ ამდენი ქართველი ტრიალებდა, გზად კიდევ უფრო მეტი გადიგამოდიოდა და ყველა ამ სასტუმროს ამჯობინებდა ღამის გასათევადაც და საქეიფოდაც.

ითაკილებდნენ მასპინძლები ფულის გამორთმევას, ქართველებისაგან ფული როგორ ავილოთ ან თავშესაფრის საფასურად ან ნადიმისა, თავი სადღა გამოგვეყოფაო. დიდად არც სტუმრები მიეძალებოდნენ, გინდა თუ არა, გერგებათო. ყველას ეგონა, მხოლოდ მე მცემენ პატივს, ჩემი ეხათრებოდათ და ერთი უფასო სტუმარი ამხელა სასტუმროსა და რესტორანს არ გაალატაკებსო. ერთი არა, მაგრამ... ყველა ის „ერთი" აღმოჩნდებოდა და, დავიდარაბაში გახლართულებს, სულზე მიუსწრებდათ მათი მარიფათით დაიმედებული მეპატრონე... შემოჰყურებდნენ თავჩაქინდრულნი, ფეხს ნამდაუწუმ ინაცვლებდნენ და ველარაფერი ენამებინათ. მხოლოდ ის შეეძლოთ დაეფიცათ, რომ თვითონ არ გადაუყოლებიათ სასტუმრო და რესტორანი დროსტარებისათვის, ნამიერი თავდავიწყებისათვის არ მიუფშვნეტავთ ამხელა ქონება.

დაფიცებას არ მოთხოვდათ გიორგი, ისედაც მიხვდებოდა მიზეზს:

– ამდენ ქართველს აქ არ ელოდით, არა?

გამტკნარებულნი იდგნენ ბიჭები.

ის დატრიალდებოდა, ზარალს ზუსტად იანგარიშებდა და, უახლოეს ხანში რომ დაფარავდა, თავნსაც მალევე დაიბრუნებდა და სასტუმროც და რესტორანიც ძველებურად გამოიხედავდნენ თვალში. სიკეთე და თანადგომა არც მისგან ჰკლებია მის თვისტომთ, სხვათათვისაც რამდენჯერ გაუმართავს ხელი, მაგრამ ამათსავით წყალს არ გაატანდა ქონებას.

რა გასაკვირია, ძმისწულის კოოპერატორობა დიდად არ მოჰკიდებოდა გულზე, გაკოტრების მეტს ვერაფერს მოენევაო.

აქ უფრო ააწყობდა საქმიანობას რევაზი.

რაკიღა უკან მიხედვა აღარ სურდა და გულიც ავს უგრძნობდა, ნუხილისათვის რომ არ შეეჭმევინებინა თავი, საქმეში ჩაფლვას ამჯობინებდა და ეს ჩაფლვა ააწყობინებდა ნამონყებასაც და ხილის ქარხნის გამართვაზეც დააფიქრებდა, იქვე, სოფელშივე, შორს სადღა ევლოთ ამ მხრისანებს დატვირთული ურმებით, ყელქცეულშივე თუ გამოუჩნდებოდათ წვენის სანარმო.

ცოტა ეს აგრარული რეფორმა ჩაექრებოდა უცნაურად, რაღა რეფორმა – სინამდვილეში არევ-დარევას რომ უპირებდა საქართველოს ეკონომიკას, და გაოცებულიყო რევაზი: ეკონომიკის პარტიულობა აღარ გამიგიაო.

ემიგრაციაში გადახვეწილნი ამ რეფორმის ირგვლივაც დააპოტნიდნენ თავს ერთმანეთს, არა, უფრო სწრაფად, უფრო ერთბაშად სჯობდა და არა, უფრო გულდასმით, უფრო ტაატ-ტაატითო, თითქოს ეს ყოფილიყოს გადამწყვეტი და არა ის, ჩანასახშივე განწირულ განზრახვას რომ ეპოტინებოდნენ, გულუბრყვილო თეორიულ ნააზრევს ასაღებდნენ მომავალი კეთილდღეობის საძირკვლად.

მარქსისტი ჟურნალისტებისაგან ანკი უკეთესს რას მოელოდი, მთავრობას რომ დაირქმევდნენ, რა – გონება სიბრძნით აევსებოდათ? აგრარული რეფორმა კი არა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გაატანეს ქარს, თვითონაც ამ ქარს გაჰყოლოდნენ და პოლიტიკურ-ფილოსოფიური დისკუსიები ეროვნული ყრილობის დარბაზის ნაცვლად პარიზის კაფეებსა თუ საოჯახო წვეულებებზე გადაეტანათ. იქ იცხრობდნენ ლაპარაკისა და ანგარიშსწორების ჟინს.

– ამას მხოლოდ ყური მოეკრა, დაახლოებით აღარ იცოდა, თან არ გაჰყოლია, ეყო, ეკმაროდა, აღარას მოელოდა, დაჰყარა ფარ-ხმალი, დაჰყარა და ისევ ციხეში ამოჰყო თავი...

რუსეთის ციხის შემდეგ საქართველოს ციხეც ხომ უნდა გამოეცადა – კვლავ იმავე მავთულხლართების ნანილი.

1921 ნლის თებერვლის დღეებს ნამოაკეცავდნენ.

ისე დაბეჯითებითაც ვერა, რომ რამდენიმე ნლით აღარ გამოეშვათ. ვერ უმტკიცებდნენ თბილისის დამცველთა რიგებში დგომას. ეჭვი ჰქონდათ, და საფუძვლიანიც, ეს ისე არ გაჩერდებოდა, იარაღით არ ჩამდგარიყო სოლანლუღში ან კოჯრის მხარესო, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ეპოვნათ, იძიებდნენ, უკირკიტებდნენ, გამოტეხვით ვერ გამოტეხდნენ, ვერც გამცემს იშოვნიდნენ მის თანასოფლელებში, თვითონაც მაშინვე იქით გადავარდა და სხვებსაც აგულიანებდაო. ყოველი შემთხვევისათვის სამ თვეს აყურყუტებდნენ ციხეში და გამოუშვებდნენ.

კაცმა რომ თქვას, ამიერიდან მაინც უნდა გაფრთხილებულიყო.

ღამით შევიდოდა შინ, ნვერმოშვებული.

მეუღლე ნამოფრინდებოდა.

ბავშვები ნამოიტირებდნენ და, ქალი რომ გაძეძავდებოდა, მეუღლე ჩამოართმევდა ბიჭებს.

ოთარს ის წუთი აღარასოდეს ამოეშლებოდა მეხსიერებიდან.

ორი-სამი წლიდან სხვა არაფერი აგონდება, გარდა ნვერმოშვებული კაცისა, ვინც მომდევნო წელს ერთხელ კიდევ ამოჰყოფდა თავს ციხეში.

არ ეშვებოდნენ.

ვერც ისეთი მიზეზი ეკრიფათ, იქ ჩაეტოვებინათ, მაგრამ ვერც მის გარეთ ყოფნას ჰგუობდნენ.

მისი არსებობაც აღიზიანებდათ.

რევაზის მამა-ბიძებისაც, მაგრამ თვითონ მაინც ძალიან ამოელოთ მიზანში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი დასტრიალებდა კახეთსა და ხევსურეთს, ატყობდნენ, იოლად ვერ ჩაიგდებდნენ ხელთ და ვერც განდევნიდნენ, კვალში ედგნენ და ვერ მინვდომოდნენ, გზებს შეუკრავდნენ და უსხლტებოდათ, ხაფანგებს უგებდნენ და დამსხვრეული ხვდებოდათ, მკვლელებსა და გამცემებს მიუჩენდნენ და მაინც ვერსაით მიდგომოდნენ, კახეთში მიეჭრებოდნენ, ხევსურეთში გადაასწრებდათ, ხევსურეთში მიაკვლევდნენ, ჰა-და-ჰა აღარაფერი უკლდა მის გაბანვრას და... უეცრად თბილისში გამოჩნდებოდა, გარეუბნებშიც და შუაგულშიც, და ისეთი მშვიდი მასლაათით დაუყვებოდა მის ქუჩაბანდებს შალვა ამირეჯიბთან ერთად, რომელიმე ჩეკელსა თუ მილიციელს თვალიც რომ მოეკრა: მომეჩვენაო, – გაიფიქრებდა, – ბოლოსდაბოლოს თავზეხელაღებულობასაც საზღვარი აქვსო.

მაგრამ თავზეხელაღებულობას საზღვარი არ გააჩნია.

გადიგამოდიოდა ქაქუცას სახელი კავკასიის ქედს გადალმაც და გადმოლმაც, ლიხს იქითაც და ლიხს აქეთაც, ქართლშიც იმედით მას შეჰყურებდნენ, თუ შეჰყურებდნენ, გორი და მისი შემოგარენიც მისი სახელით სულდგმულობდა და ადრე თუ გვიან მძლავრი იატაკქვეშა მოძრაობა აქაც გაიშლებოდა, თუკი შესაფერისი მოთავე გამოუჩნდებოდა.

თუ ვინმე აეჭვებდათ, მათ შორის რევაზიც, ქაქუცასთანაც გააბამს ძაფებს, თუ უკვე არ გაუბამს, და აქაური მღელვარების მეთაურიც ეგ გახდებაო.

ამიტომ შეაბრუნებდნენ ციხეში.

სამი თვე თავისებურ ნორმად მკვიდრდებოდა მის ცხოვრებაში.



*რევაზ ჩხეიძე — როსტომ იტრიელის პროტოტიპი*

ნეტა მაშინაც სამი თვე ეყაბულათ... თუნდ სამი წელიც ყოფილიყო... აგვისტო-სექტემბრის იმ სისხლიანი კალოობისას.

ერმალოზი, ბიძებიდან უმცროსი, თანატოლებივით რომ ექცეოდნენ ერთმანეთს, ოდესღაც წითელრაზმელი გახლდათ.

თითქოს შავრაზმელი უნდა ყოფილიყო – გვარიშვილობა ამას კარნახობდა, თავადაზნაურობა არ უნდა გარეულიყო რევოლუციურ გადატრიალებებში, მაგრამ იმდენი თავადი და აზნაური გასოციალდემოკრატებულიყო თუ გასოციალისტფედერალისტებულიყო, იმდენი აჰყოლოდა საყოველთაო თანასწორობის იდეასა და იმპერატორის დამხობის ოცნებას, გლეხობას გადაასწრებდნენ ფანატიზმით.

ვითომ რატომ უნდა მომძლავრებულიყო ასე ძალიან და ერთბაშად სოციალისტური მოძღვრება საქართველოში?

ზურაბ ავალიშვილს თავიდანვე ეს ეჭვი გაუჩნდებოდა და მერე და მერე უფრო დაიბეჯითებდა: ქართველობამ მარქსიზმი რელიგიად იწამა, ქრისტიანობის ნაირსახეობად განიცადა და უფრო იმიტომაც შეისისხლხორცა, რომ ზეციური აღთქმა მიწაზე ჩამოვიდა და ამ შენაცვლებით თითქოს ხელშესახებად გამოიკვეთაო.

რევოლუციების ჟამი აშორებს და საკმაოდაც აშორებს ერთმანეთს სხვადასხვა ფენას. გახლეჩს და ნაპრალს სულ უფრო აფართოებს.

არ შეიმჩნეოდა ეს გახლეჩვა ქართულ საზოგადოებაში.

დაპირისპირება აქაც გაჩენილიყო, მაგრამ ერთ მხარეს გლეხობა და მუშა-ხელოსნობა და მეორე მხარეს თავადაზნაურობა კი არ ჩალაგდებოდა, არამედ ბარიკადს აქეთაც აღმოჩნდებოდნენ გლეხი, მუშა, თავადი და აზნაური და ბარიკადს იქითაც.

ალექსანდრე ორბელიანი ამ ჟამს რომ მოსწრებოდა, არ გაუკვირდებოდა – წოდებრივი გახლეჩვა-დაპირისპირებისა არასოდეს სჯეროდა და ქართველობა იმ საერთო მოდელიდან ამოვარდნილად მიაჩნდა, შეურიგებლობით აღბეჭდილი საერთო მოდელიდან – გლეხთა ამბოხებებს რომ იწვევდა გაუთავებლად რუსეთშიც და ევროპის ქვეყნებშიც.

ერმალოზ ჩხეიძეს კი წითელრაზმელობა კატორღად დაუჯდებოდა – ათ წელიწადს გასტანდა მისი ყოფნა ციმბირში.

დამოუკიდებლობის ჟამს ბოლშევიკები ოსებსაც რომ წამოშლიდნენ და მათი დაშოშმინება გახდებოდა აუცილებელი ახლადდაბადებული სახელმწიფოსათვის, ვალიკო ჯუღელის რაზმშიც გაერეოდა დიმიტრისთან ერთად, უმცროს ძმისწულთან, და შინ არ მობრუნდებოდნენ, ვიდრე ამბოხი მოიშუშებოდა.

რევაზი ამ სამხედრო ექსპედიციაში არ მონაწილეობდა, მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლება, გამწყრალი და შურისსაძიებლად შემართული ყველას მიმართ, ვისაც კი მათ მიერ შექმნილი აჯანყების კერები ჩაექრო 1918-21 წლებში, მაინცდამაინც რევაზს ჩასციებოდა და ბიძისა და ძმის ნაცვლადაც მას გაუმზადებდნენ პატიმრის ხალათს.

ეგ არის, ეგ, მთავარი მიზეზი – მისი გამორჩეული გავლენა აფრთხობდათ, ორგანიზატორული უნარი უკარგავდათ მოსვენებას და იმდენად ძველ „ცოდვებს“ არ უხსენებდნენ, რამდენადაც მომავალი ბრძოლისაგან ესწრაფოდნენ მის ჩამოშორებას.

მართლაც რომ გამდგარიყო განზე, აგვისტოს აჯანყებას მაინც საბაბად მოიდებდნენ მის დასახვრეტად, აბა, როდემდე ეფრთხილებინათ... მაგრამ ვერ გაეტეხა რევაზი ვერც ციხესა და ვერც მუქარებს და მის გარშემო შემოკრებილი და გამზადებული რაზმელები კიდეც ააფრიალებდნენ თავისუფლების ბაირაღს ლიახვის ხეობაშიც, ქიათურის ის ნაადრევი, ის საბედისწერო გამოსვლა რომ არა, რამაც უკულმა დაატრიალა მეამბოხეთა ბედი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დიდი სამზადისი და გაბრძოლება დასალუპად გაწირა.

გაცემული იყო აჯანყება და ვალიკო ჯუღელი ციხის საკნიდან ამიტომაც ივედრებოდა, ხელი აიღეთ აჯანყებაზე, ყველა გზა უკვე შეკრულიაო.

თვითონვე დააწერინებდნენ ამ ბარათს, თვითონვე გამოაქვეყნებდნენ გაზეთის ფურცლებზე, ვითომდა რაოდენ ჰუმანურნი ვართ, სისხლისღვრას ვერიდებით და თქვენთვისვე სანდო პიროვნების მეშვეობით გატყობინებთ, რომ ამბოხების ავანჩავანი კარგად მოგვეხსენება და არც მისი ჩაქრობა გაგვიძნელდებაო.

ჭიათურაში კი ერთი დღით ადრე ხელისუფლება თვითონვე მოაწყობდა მღელვარებას.

არ დააცდიდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, გადაევადებინა ამბოხი თუნდაც რამდენიმე წლით, მანამდე წინააღმდეგობის მოძრაობა შეენარჩუნებინა და დალოდებოდა უკეთეს ჟამს თავისუფლების ზარების ჩამოსარეკად.

შეიარაღებული რაზმის არსებობა მოეთმინათ კი არა, პარტიებს აღუკვეთდნენ უწყინარ საქმიანობას, ყველა ქვეყანაში ნებადართულ ოპოზიციონერობას პოლიტიკური დისკუსიებითა თუ გაზეთის, ჟურნალის, წიგნის გამოცემით.

დაჰყარა ფარ-ხმალიო...

გარეგნულად ჩამოჰგავდა ფარხმალდაყრილ კაცს რევაზი, რაკილა პოლიტიკური ვნებათაღელვა მეურნის ყოფაზე გადაეცვალა, თორემ ლიახვის ხეობაში თავისუფლების ბაირაღის აფრიალებას უპირველესად მის მხრებზე რომ უნდა გადაევლო, სადაური გარიდებაა ბრძოლის ველიდან.

დღედღეზე...

მერე სულაც წუთიწუთზე...

მაგრამ „ბორიაყი“ ისტორიული ქრონიკა ხომ არ არის, და არც როსტომ იტრიელის ბიოგრაფიაა მისი პროტოტიპის ალიკვალი. მხატვრული გააზრების, სიუჟეტის მსვლელობის მიხედვითაა შეცვლილ-გადასხვაფერებული ყოველივე – ამბებიც, ხასიათებიც. როსტომი არ მოთავეობს საიდუმლო ორგანიზაციას, ასეთი ორგანიზაცია რომანის სიუჟეტურ ქარგაში ასე უშუალოდ არც არსად მოჩანს, ეპოქის სული ტრიალებს, დიდი მოლოდინით აღვსილა და გათანგულა გარემო, გმირის გამოჩენისა და გადამწყვეტი აჯანყების მოლოდინით, იმ უმძაფრესი განცდით, ყოველ გაფაჩუნებაში საამისო ნიშანი რომ ელანდებათ და გულუბრყვილო მუსიკოსსაც, ვისაც მაინცდამაინც ხელსაყრელი დრო ვერ შეურჩევია ხალხური სიმღერების ჩასაწერად, ამიტომაც აღიქვამენ მეამბოხეთა მთავარი შტაბიდან საგანგებო დავალებით გამოგზავნილ ემისრად, ქუდზე კაცი რომ უნდა შეკრიბოს ლიახვის ხეობაში და დაუკავშიროს წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრს.

ჯერ ისედაც ასე ირწმუნებენ და, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც ლეკო თათაშელი დაუდგება მეგზურად ქართლის სოფლებში ოჯახიდან ოჯახში სტუმრად მისულ მუსიკოსს, ვისაც ხალხური სიმღერების ჩაწერის გარდა არაფერი ანაღვლებს და ვერც რეალობას აღიქვამს, ვერ გაუგია, რომელ ეპოქაში აღმოჩნდა, ავი დროება რომ გამოსწევია ქვეყანას, ჩაწყნარებული ჰგონია ყველაფერი და ფოლკლორული საუნჯის გადარჩენაზე ზრუნავს.

არადა, მოლოდინის განცდა პირთამდეა აღვსილი და ერთი წვეთიც იკმარებს მის გადმოსაღვრელად.

მანამდე კი...

– გამოვიდა ციხიდანა. ხელი ჩაიქნია, დასთმო ყველაფერი, დაბრუნდა შინა, ბიძებთან დაბრუნდა, ძმებთან დაბრუნდა. ისინიც ათრია წუთისოფელმა, ვინ საითა და ვინ საითა, შინ თითო მაინცა რჩებოდა, ელოდა ვინმეს დაბრუნებასა, მერე მობრუნდნენ სათითაოდა, დამარცხებულნი, იხტიბარგატეხილნი, ეს მობრუნდა ყველაზე გვიანა, გატყდა ყველაზე თავგამოდებულიცა...

მიწას უბრუნდებიან, ნატბისის მიწას.

ნატბისი – ასეთი ტოპონიმი არ არსებობს ქართლში, ნაშინდარისა არ იყოს, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილი თავისებურ სიმბოლოდ ჩაითქვამდა ამ შეთხზულ ტოპონიმს, დამოუკიდებელი საქართველოს შინდისფერ დროშაზე მიანიშნებდა და სახელმწიფოს გაქრობაზე, შინდისფერი ნაშინდარად რომ გადაქცეულიყო, სანუკვარის მოგონებად და არა კვლავაც რეალობად.

ნატბისიც ნაშთსა თუ ნანგრევს გაგვახსენებს თავისი აგებულებით, გამქრალ ტბას, გამქრალ სიკამკამეს მოგაგონებს, რაღაც ძვირფასის ნაკვალევს, იქნებ აბუდელაურის ტბასაც, იახსარის გმირობის ადგილს, დევს რომ ჩაჰყვებოდა ტბის სიღრმეში და იქ ჩაკლავდა. დაე დევის სისხლს შეეკრა ტბა და გაძნელებოდა იახსარს იქიდან ამოღწევა, ბოლოს ხომ მაინც ამოატანდა, ოთხყურა და ოთხრქა თხას რომ დაკლავდნენ და მის სისხლს ჩაღვრიდნენ ტბაში. ის ჩაღვრა გაჭრიდა ბილიკს და მტრედივით ამოიჭრებოდა გმირი.

ნატბისი მთელი ქვეყნის სიმბოლოდაც რომ განზოგადდება, ყველაზე უკეთ და ხელშესახებად მიწის დითირამბი მიგახვედრებს, მიწის კულტის განცდა, გვარისა და

ერის ისტორიული ფესვებისაკენ რომ მიეზიდება ფიქრს, ყველაზე დიდი თავშესაფრისაკენ, და არ განებებს, თავი დაზოგო მის გადასარჩენად.

თითქოს მართლა საგალობლის ფრაგმენტიაო:

– მიწას მიჰქონდა დარდი, მიწა იტევდა ყველა ფიქრსა, ურვასა, ვაებასა. მიწა აცხრობდა ყველა მღელვარებასა, შმაგ ვნებებსა, ვნებებს ალმრევთა ცხოვრებისა, მიწის ალრევა ალარ შეეძლოთ. სიმშვიდე ამოდიოდა მიწიდანა, ნატბისის მიწიდანა... ამათ მოელწიათ შინა, შინ მოეტანათ სული, სული მღელვარი, სული მომლოდინე, მიწას ჩასცქეროდნენ, მშვიდ მიწასა და მიწის სიმშვიდით იცხრობდნენ სიმწვავის მოლოდინისა.

ეს სტრიქონები იმავე განცდის ნასხლეტია, რაც ტრაგედიაში „თედორე" რწმენამდე ადიოდა, მიწისა და უფლის გაიგივებამდე, როგორც ღვთის ყველაზე დიდი საბოძვარისა, რადგანაც უამისოდ ვერც კაცთა მოდგმა იარსებებდა. თუ ყველაფერში უფალი უნდა გეძია და ამოგეცნო, უპირველესად მიწა უნდა განგეცადა მის სახებად, მითუმეტეს, თავისუფლებაწართმეული, სახელმწიფოებრიობაგაუქმებული მიწა, რომელიც თავის დანიშნულებას ჰკარგავდა და სულაც გადაგვარდებოდა, თუკი არსებობის ძარღვი არ გაუმრთელდებოდა.

– მიწა არს ღმერთი! – ირწმუნება მღვდელი თედორე.

– მიწა არს ღმერთი! ჩვენი მიწა... სამშობლო ჩვენი... – ასდევენ ყმაწვილები და თედორე უფრო მხურვალედ იმეორებს და იმეორებს, სხვათა მიერ მოტანილი რწმენა, საერთოდ და საყოველთაოდ გადაქცეული, რწმენა ალარ არის, რწმენა მხოლოდ შვებაა და თავისუფლება ერის და მიწისაო.

დაეხსენ ასეთ ქადაგებას, ღმერთის გმობააო, – უწყრება მანგლელი, ვისაც კარგად მოეხსენება, რომ თედორეს სულიერების პიროვნება ღვთისმგმობელად არასოდეს გადაიქცევა, მაგრამ ეშინია, მისმა ქადაგებამ თათარხანები არ განარისხოს და პასუხი მღვდელმთავარს არ მოჰკითხონ ურჩ მღვდელთან ერთად, ამიტომაც ურჩევნია თავი გადაირჩინოს, სულიერ მამათა კრება მოინვიოს, იქ ამხილონ თედორე და განკვეთონ ეკლესიიდან.

ისტორიულ წარსულში გადადიოდა ნუხილი ერის ბედზე, თათარხანები დაერქმეოდათ რუს მმართველებს და სცენიდან იქადაგებოდა თავისუფლების ჯიუტი წყურვილიც და სახელმწიფოებრივი იდეალიც, ესეც აუცილებელი გახლდათ სიმართლის გასაძრომად საბჭოური იდეოლოგიის მავთულხლართებში, მაგრამ ეს ერთ-ერთი გზა გახლდათ ოთარ ჩხეიძისათვის და არა ერთადერთი – მარტოდენ ისტორიას ვერ შეაფარებდა თავს, ვერ იკმარებდა ასეთი საშუალით გამჟღავნებულ სიმართლეს.

მიწის კულტი კი მთელი სიმძაფრით ამომსკდარიყო „თედორეში", საგალობელს დრამატურგი ამჯერად თედორეს მეუღლეს რომ ათქმევინებს, ნენოს:

**ვილოცოთ მიწა, ღმერთი ჩვენი, – იტყვის თედორე,**
**ვილოცოთ მიწა, სასოება მიწაა ჩვენი, –**
**იტყვის თედორე,**
**ვილოცოთ მიწა, შვილი არის მიწაი ჩვენი, –**
**იტყვის თედორე,**
**ვილოცოთ მიწა, მიწა არის ენაი ჩვენი, –**
**იტყვის თედორე.**
**ვილოცოთ მიწა, სიცოცხლეა მიწაი ჩვენი, –**
**იტყვის თედორე!**

საგალობელთა განმეორება აღარ ივარგებდა, ის, რაც ანტიკური ტრაგედიის სტილით შექმნილ პიესას მოუხდებოდა, აღარ დაშვენდებოდა რომანს, მაგრამ საგალობლის ნასხლეტი აუცილებელიც გახლდათ, რაკიღა ნატბისის გასიმბოლურობას ყველაზე მარჯვედ მიწის კულტი შეაგრძნობინებდა, კულტი კი მოითხოვს რაღაც ჰიმნურს, თუ მთლად ჰიმნს არა.

მიწას უბრუნდებიან, ნატბისის მიწასო...

ნატბისი ყელქცეულის თავისებურ ასოციაციადაც შეეთხზა მწერალს, ტოპონიმისა, რომელსაც თანასოფლელნი ასე განუმარტავდნენ ბავშვობაშივე: აქ გაუვალი ტყე ყოფილა, ის გაუკაფავთ, თანდათან სულაც დაქცეულა და ასე შერქმევია აქაურობას ტყედაქცეული ანუ ტყექცეული ანუ ყელქცეულიო.

ენათმეცნიერები არ იყაბულებენ ამგვარ განმარტებას, ფონეტიკურ კანონზომიერებას ვერ დაინახავენ ასეთ ცვლილებებში, „ტ" რატომ გამქრალიყო, ანდა „ლ" საიდან გაჩენილიყო, მაგრამ ყელქცეულელები არც მაშინ დაგიდევდნენ გრამატიკულ ახსნას და არც ამჟამად მიაქცევენ ყურადღებას. მათთვის გადმოცემა უფრო მნიშვნელოვანია, ყოველგვარ ფონეტიკას აღმატებული და ტყის არსებობის ლეგენდა ურჩევნიათ პირწმინდად გრამატიკულ ძიებებს.

ეს ლეგენდა ჩაეფინებოდა იდუმალად ნატბისს – გამქრალი ტყე გამქრალ ტბას.

და ნაშინდარიც ისე მწვავედ, გადახსნილ იარასავით ილანდებოდა იმ ეპოქის სიღრმეში ჩახედულ ადამიანთა ცნობიერებაში, ძალდაუტანებლად გიწვევდა ტოპონიმის ასეთივე აღნაგობისკენ, თუკი იმავე ჟამის წარმოსახვას მოინდომებდი, „ჯაყოს ხიზნებში" რაც გადაშლილიყო უმძაფრესი ტრაგიზმით.

ასე გასდებდა იტრიელთა და ნატბისის ხსენება ფარულ ხიდს იტრიასა და ყელქცეულს შორის, და ეს მკითხველისათვის ნაკლებ გამჭირვალე მინიშნება იქნებოდა, ვიდრე სხვა ქარაგმები, რომელთა ამოცნობა-გაშიფრვაც განაფულ მკითხველს არ უნდა გაძნელებოდა – იმხანად, როდესაც „ბორიაყი" შეიქმნება, საკმაოდ ცოტას, მერე კი, როდესაც უამრავი დოკუმენტური წყარო გამოქვეყნდება და იმ წლების ისტორიული ქარგა დეტალურად გადმოგვეშლება თვალწინ, გაცილებით და გაცილებით მეტს. ის ფარული ხიდი მწერლისა და მის შთამომავალთა საიდუმლოდ დარჩებოდა და, თუნდ არც არასოდეს გახსნილიყო მისი შინაარსი, რომანის მხატვრულ-იდეური მრწამსისა თუ თავისებურებათა ამოსაცნობად ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

დაე პროტოტიპებიც საიდუმლოდ დარჩენილიყვნენ.

ეს ყოველივე მკვლევარისათვისაა საგულისხმო, თორემ მკითხველი გაჰყვებოდა წარმტაც სიუჟეტს, მრავალფეროვან ხასიათებს, ეპოქის სულის შთამბეჭდავ ამოზიდვას მზის სინათლეზე, შთაინთქმოდა თხრობის არტისტიზმში და არ ინაღვლიდა, პროტოტიპებად ვინ ეგულისხმა მწერალს და რამდენად დაშორებულიყვნენ პერსონა-

ჟები თავიანთ პირველსახეებს, ან დაშორებოდნენ თუ არა.

რევაზ ჩხეიძისა და როსტომ იტრიელისა არ იყოს: რაღაც თვისებანი თუ ბიოგრაფიული რეალიები გადმოსულა პირველსახიდან, რაღაც სხვაობანიც შეიმჩნევა, აგერ ერეკლე ტატიშვილის ბიოგრაფიული დეტალებითაც შევსებულა.

დაბრუნებით კი დაბრუნებოდნენ, მაგრამ არ უწყოდნენ, რა მოელოდათ.

– ეგებ აქედანაც უნდა აყრილიყვნენ, როგორც აჰყარეს საერისთაოდანა, ერისთაობა გამოსწირეს, დაარბიეს, დასთხარეს თვალნი, ასჩეხეს, ვისი აჩეხვაც შესძლეს, ვინც გამოასწრო, გადმოვლო ლიხი, იტრიას შეეკედლა სახლისკაცებსა...

ეს სტრიქონები არ არის ზოგადისტორიული ძნელბედობის სურათი, ჩხეიძეთა ამ შტოს მწარე ბედისწერაა, იტრიას რომ შეაფარა თავი დარბეულმა, ოლონდ პირწმინდად გაჟუჟვას გადარჩენილმა.

ეს დანარცხება ზედ უნდა გადაბმოდა აღზევებას, რაჭის ერისთაობას რომ დაიმკვიდრებდნენ და ვახუშტი ბატონიშვილის დაწურულ თხრობაში ასე აღიბეჭდებოდა:

– ხოლო ამანვე ბაგრატ მეფემან დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელნიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა, რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფოდ და კუალად ჰყო საერისთაოდ.

მისი ვაჟიც – როსტომიც – განაგრძობდა მამისაგან ნამემკვიდრევ ერისთაობას, ვიდრე სოლომონ მეფეს წაჰკიდებდნენ და მწვავე დაპირისპირება როსტომ ერისთავის მუხანათური შეპყრობითა და თვალთა დათხრით, და მისი შვილების უწყალო ტანჯვა-ამოგდებით დასრულდებოდა.

ჩხეიძეთა საერისთაო სახლის არსებობა აქ შეწყდებოდა, თუმც სულს როგორღაც მოიტანდნენ იტრიამდე.

როსტომ ერისთავი, როგორც „მის დროში გამოჩენილი და სახელოვანი კაცი", აკაკი წერეთლის ისტორიული ნოველის („რაჭის ერისთავი როსტომ") პერსონაჟიც შეიქნებოდა, ერთგულსა და თავდადებულ ყმას ჯაფარ ჯაფარიძეს რომ წაჰკიდებდნენ და უდანაშაულო კაცს თვალთა დასათხრელად გაამეტებინებდნენ. მერე აკი ერისთავსაც ეს უბედურება დაატყდებოდა თავს, და აღდგომა დღეს შემთხვევით რომ გადააწყდებოდა თვალისჩინ დაბნელებულ ნაყმევს, მწარედ ამოიკვნესებდა: მეც ნავხდი, შენც ნაგახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო!

და ორივე ამოთხრილ თვალებში ამოისმევდა ხელს ცრემლების ამოსაწმენდად, ხმას ჩახველებით გაისწორებდნენ, შეხმატკბილდებოდნენ და ისეთ საგალობელს იმღერებდნენ, მანამდე საწერეთლოს რომ არ გაეგონა.

ის, რაც ამ ნოველაში ერთი ფრაზითაა აღნიშნული (სოლომონმა როსტომ ერისთავი „ჩამოაყვანია გეგუთში, დაათხრევინა თვალები და გადასცა მისს მოსისხარ მტერს, პაპუნა წერეთელს"), ბელეტრიზებულ ქრონიკაში „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე" შემზარავი დეტალურობითაა წარმოსახული და ფსიქოლოგიური სარჩულიც გამკვეთრებული.

უკიდურესობას რომ მიაღწევდა სოლომონ მეფისა და როსტომ ერისთავის ჭიდილი და გამოსავალი არსაით ჩანდა, მშვიდობით მოგვარებულიყო ეს დაპირისპირება, კათალიკოსი – მეფის ძმა, იოსებ ბაგრატიონი, ნებით რომ განაცხადა უარი სამეფო ტახტზე ძმის სასარგებლოდ და სასულიერო მოღვაწეობა ამჯობინა – ჩაერეოდა და სოლომონს შეევედრებოდა, ალთქმა დამიდე, რომ როსტომ ერისთავსა და მის შვილებს არაფერს დაუშავებ და მე შეგარიგებთ, თავისი ფეხით გაახლებო. მეფე რომ დაიფიცებდა: სიკვდილით არ მოვკლავ და საარაკოდაც მოვექცევიო, – გახარებული კათალიკოსი ბარძიმზე ხელის დადებით აღუთქვამდა ერისთავს: უვნებელი დარჩები, თუკი მეფეს მიენდობიო.

როსტომი ირწმუნებდა კათალიკოსის სიტყვას და დათანხმდებოდა მეფეს, ერთად ვინადიროთო.

და შეხვედრაზე შვილებიანად დაიმედებული რომ მივიდოდა, ცოტა არ იყოს გაუკვირდებოდა, სოლომონს საკმაო ჯარი რომ ახლდა – ამდენი მეომარი ნადირობას არა სჭირდებოდა.

თავიდან ისეთიც არაფერი, მართლა შერიგება და სამუდამოდ მშვიდობის ჩამოგდება ეგონებოდა კაცს, მაგრამ ფარულ განზრახვას წინ ველარაფერი გადაუდგებოდა და... როსტომი შვილებიანად მეფისაკენ რომ დაიძროდა პატივის მისაგებად, უეცრად თითოს ოთხ-ოთხი კაცი ეცემოდა, ყველაზე ღონივრები და მარჯვენი.

ერისთავსა და მის სხვა შვილებს შედარებით ადვილად დაიმორჩილებდნენ, უფროსი ვაჟი, გიორგი, კი გაუძალიანდებოდათ და ორ კაცს ცალი ხელით დასცემდა. ერთ მათგანს, ჯიმშელა ორჯონიკიძეს, ვისაც დაეტრაბახა, გიორგისთან რა მომხმარე მჭირდება, მარტოც მოვუვლიო, ხანჯალს დაჰკრავდა და შუაზე გააპობდა. და კიდეც დაიძვროდა მეფისაკენ. ორი ახოვანი კაცი ზურგზე შეახტებოდა, სხვები მკლავში სტაცებდნენ ხელს, მაგრამ თრევით აითრევდა ყველას და ზედ მიადგებოდა სოლომონს, ვინც მრისხანედ შეხედავდა და ფეხსაც არ მოიცვლიდა ადგილიდან. ამ დროს ჯარისკაცები მიცვივდებოდნენ და კონდახებს დაუშენდნენ, მაგრამ მაინც ვერას დააკლებდნენ, ვიდრე ერთი მათგანი თოფის ჩახმახს დაჰკრავდა და თავს გაუჩეხდა. მაშინ კი წაიქცეოდა, წაქცეულს მივარდებოდა თეიმურაზა ორჯონიკიძე ძმის სისხლის ასაღებად და დანით ამოკუჭავდა თვალებს.

როსტომი და მისი სხვა ვაჟები შეჰყურებდნენ გიორგის თვალთა დათხრას და თვითონაც იმავე სატანჯველს მოელიან.

სისხლიანი ორგია მხოლოდ იწყებოდა და ამ საშინელ განაჩენს ვერცერთი ვერ გადაურჩებოდა:

– პირველად როსტომი დააწვინეს გულაღმა, ბევრი აცოდვილეს და მაშინ თვითონვე ურჩია თვალის კილოები ჩამჭერით და მერე თავისით გამოცვივდებიან თვალის კაკლებიო, და მართლადაც, სხვებს უფრო ადვილად მოთხარეს თვალები.

თვალის კილოები ჩამჭერითო...

როგორ უნდა ინარჩუნებდე სულიერ სიმშვიდეს ასეთ საზარელ ყოფაში, შვილებიანად ულმერთოდ რომ ხარ გამეტებული, ეს ფრაზა წარმოთქვა.

რჩევასთან ერთად ნიშნისმოგებაც გამოსჭვივის ამ სიტყვებიდან: თქვე საცოდავებო, ეგეც არ შეგიძლიათ, ცოტა რიგიანად შეასრულოთ, ჯალათობის თავიც არა გაქვთ სულიერად ჯალათებსო.

ნადიმს გამართავდა პაპუნა წერეთელი, ბედნიერი მეფისაგან ჩხეიძეთა ოჯახის ასეთი განირვით, და მისი გულის მოსაგებად ჯარისკაცებიც იხორხოცებდნენ თვალდაბნელებულ რაჭის ერისთავსა და მის ვაჟებზე.

ყურს მოჰკრავდა როსტომი მათ ქილიკს და ვაჟებს გადაულაპარაკებდა:

– ცუნდრუკეობენ ჩემზედა ყოველნი მტერნი ჩემნი და იტყვიან ჩემთვის ბოროტსა.

და ამასაც დასძენდა:

– შვილებო, ღვთის განგებას ვერავინ აცდება! ყოველივე ღირსეულად მოგვეგო, ნუ ვიტყვით ძვირსა და საყვედურს. ავიტანოთ ეს სასჯელი ისე, როგორც ეკადრებოდეს ჩვენს ოჯახს!

ეს დიდი კაცებიო – ჰყვებოდა მათი თანამედროვე – ბრწყინვალე სამოსითა და სხვადასხვა ძვირფასი ფარჩებით შემკულნი, ეყარნენ თოვლში და მაინც მედიდურობა ეტყობოდათ, თუმც ხმას არ იღებდნენ, ერთადერთი მოხუცი როსტომი აიტანა სინანულმა და რუსთველის სტრიქონები რომ გაიხსენა: ვერ დაიჭირავს სიკვდილსაო, – და ბოლო ტაეპიც მოადევნა: სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო, – კვნესით დაუმატა: ვაი, რომ სახელოვნად ვეღარ ვკვდებითო.

– არა, ბატონო, დიახაც სახელოვნად ვკვდებით, – შეეპასუხებოდა მეთოდე, – დიდებულმა მეფემ, რომელმაც სტამბოლი შეაძრწუნა, პირდაპირობა რომ ვეღარ გაგვიბედა, ღალატით დაგვიმორჩილა. სირცხვილი მისი და არა ჩვენი.

შექსპირული სცენაა, გამზადებული დრამატურგის ხელოვნების წარმოსაჩენად, ხასიათები გამოკვეთილია, ქარგა გულისშემძვრელი და უკიდურესად დამუხტული, დიალოგებისა და მონოლოგების მთავარი ძარღვი ხელშესახები... მითუმეტეს, რკალი ჯერ შესაკრავია, რადგანაც ჯერჯერობით აღარსად გამოჩნდა კათალიკოსი, ის ერთადერთი პიროვნება, ვის სიტყვასაც ენდო რაჭის ერისთავი, მუხანათობა რომ იყოს განზრახული, კათალიკოსი ბარძიმზე როგორ დაიფიცებდაო.

იოსებ კათალიკოსი გაენათში რომ შეიტყობდა ერისთავთა თვალების დათხრას, შეიცხადებდა, გადმოვარდებოდა ტახტიდან, დაეცემოდა მიწაზე, წაიშენდა თავპირში ხელებს და წვერ-ულვაშს დაიგლეჯდა. შეიმოსებოდა ძაძით და გაცხარებული მიეჭრებოდა მეფეს ქუთაისს. თან ცრემლიც სდიოდა.

თანამედროვე რომ არ ირწმუნებოდეს მის ასეთ ქცევას, ისედაც იოლი მისახვედრი გახლდათ, რა სატანჯველში ჩავარდებოდა სულიერი მამა, საზარელი მზაკვრობის უნებლიე მონაწილე რომ გახადეს და ბრმა იარაღად გამოიყენეს როსტომ ერისთავის ჩამოსატყუებლად.

– რა ამბავიაო? – ისე ჰკითხავდა სოლომონი, თითქოს ბაიბურში არ ყოფილიყოს, რას შეეძლო ასე გაემწარებინა მისი ძმა.

– მე დღეს კათალიკოსი აღარ ვარ, არამედ იუდა ისკარიოტელი, ჭეშმარიტების გამცემი!.. მეფეო, რად შეურაცხყავ ან შენი მეფობა და ან თვით სამეფო?! სად არის შენი აღთქმა და რად გამატეხინე ფიცი მე ცოდვილს!

ამ სიტყვების პასუხად მეფე წარბებს შეიკრავდა და ხმადაბლა მიუგებდა:

– მე დიაღაც აღვასრულე ჩემი სიტყვა, როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოდაც მოვიქეცი.

სიტყვის გადაბრუნება-გადმობრუნებით შესაძლოა ადამიანი გააცუცურაკო, ჯერ ესეც რა საკადრისია, მაგრამ იკადრო და თავი რაღაც-რაღაც მოტივებით გაიმართლო, მაგრამ ღმერთის მოტყუების მცდელობაც?..

ეს აოგნებს კათალიკოსს და აღარ მოერიდება მკაცრ მუნათს:

– არა, ბატონო მეფევ, ღმერთთან სიტყვის ჭახრაკობა გამოსადეგი არ არის!.. ოსმალეთის მხედრობა განდევნე და ერთი თავადის დამორჩილება როგორ გაგიჭირდა, რად ჩამაგდე საფრთხეში? რა პასუხი ვაგო უკანასკნელი განსჯის დროს?

მერე სულაც შეაჩვენებდა მის მეფობას, თუ მეც ერისთავივით არ მომექცევი და თვალებს არ დამთხრიო.

შექსპირული სცენა ბოლომდეა დასრულებული თავისი უმწვავესი ვნებებითა და ჭიდილით, სულიერი მამა დამთმობი აღარაფრისაა, და თუმც მეფე მდუმარედ შეაქცევს ზურგს მას და გაბრუნდება, იოსებ კათალიკოსი მეორე დღის წირვისას გვირგვინსაც მოიხდის, პირწმინდად განიძარცვავს სამღვდელმთავრო წირვის შესამოსელს, კათედრიდან ჩამოსული საკურთხეველში ემთხვევა ტრაპეზს, დაემხობა ხახულის ღვთისმშობლის ხატის წინაშე და... ამ დღიდან აღარც არასოდეს უწირავს და გაუნელებელ სინანულს მიეცემა.

როსტომ ერისთავის ოჯახის უბედურება კი იქ არ დამთავრდებოდა, ასე ულმობლად რომ გაუსწორდებოდნენ. არა კმაროდა? თურმე არა.

სარდლის გაგზავნილი ჯარი მის ადგილმამულს შეესეოდა, აიკლებდა და ააოხრებდა, ციხეებს ლაღუმებით დაულეწავდნენ და ჩაუფშვნიდნენ, ერისთავის ცოლს ფეხით ათრევდნენ ეზოში და საბრალო კიდეც გადაჰყვებოდა მუცელს. ყველაზე უმცროს ვაჟს, ანტონს, ძიძებიანად წამოიყვანდნენ ქუთაისში. სახლთუხუცესი ყმაწვილის თვალთა დათხრასაც ბრძანებდა, მაგრამ მეფის პატარა ასული ელენე ანტონს თვალს მოჰკრავდა, ჩაიხუტებდა გულში და აღარავის დაანებებდა. იმ დღიდან მეფის სასახლეში იზრდებოდა, მაგრამ პაპუნა წერეთელი ვერა და ვერ მოისვენებდა, ფარულად დაავალებდა მსახურებს, ბურთი ჩაეგდოთ ანტონისათვის გახურებულ თონეში და, ბავშვი რომ გადაიხედავდა, იმდენ ხანს გაეჩერებინათ ძალით და ეყურებინებინათ, ვიდრე თვალები გაუფუჭდებოდა.

ამას ყველაფერს მეფესაც უმალავდნენ და მის ასულსაცო, – დასძენს მთხრობელი, ვინც იმასაც გვამცნობდა, რომ ბოლოს თვალდამდგარსა და ავადმყოფ ყმაწვილს ძიძებს ჩააბარებდნენ და მათთან ერთად გაისტუმრებდნენ რაჭაში.

სასტიკი რბევა მაინც ვერ გააქრობდა ჩხეიძეთა ამ შტოს სახსენებელს და თვალდაბნელებული არ დაასრულებდა თავის არსებობას.

მთლად სრულყოფილადაც ვერ აცხადდებოდა პაპუნა წერეთლის განზრახვა და წადილი.

პირისაგან მიწისა პირწმინდად აღხოცვა შეუძლებელი შეიქნებოდა როსტომ ერისთავის შთამომავლობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერეთელთა საგვარეულო გადმოცემა, ცხადია, გადააჭარბებდა და შეალამაზებდა რეალობას და რაჭის ერისთავთა სახლს დასახავდა მეფისა და ქვეყნის ორგულად, მის განადგურებას კი იმერეთის სამეფოს გადარჩენისა და განმტკიცებისათვის აუცილებელ პირობად.

და თითქოს აკაკი წერეთელიც ამ საგვარეულო ვერსიას უნდა იზიარებდეს.

ბოლოსდაბოლოს, თვითონ ხომ არა თხზავს თავისი საგვარეულოს გასაკეთილშობილებელ საბურველს. ამიტომ შეუძლია მარტოდენ დაეყრდნოს გადმოცემას და სიტყვა-სიტყვით გაიმეოროს იმ მნვავე ჭიდილის წერეთლებისეული შეფასება, და თუ ვინმე დაეჭვდება ამ ვერსიის უტყუარობაში, დაე თვითონ არკვიოს და ითავშიცემოს.

მაგრამ აკაკის ეს არ შეეძლო.

ჭეშმარიტებას რაღა ახლა განუდგებოდა!..

რაკიღა თვითონაც დაეჭვებულიყო საგვარეულო გადმოცემის სიმართლეში, სხვას არ გადაულოცავდა საჩხრეკ-დასაზუსტებლად და თვითონვე გამოუტანდა მსჯავრს.

როსტომ ერისთავს გამორჩენილ და სახელოვან კაცად რომ მოიხსენიებდა, დაბეჯითებით დასძენდა: ცხოვრების მაღალ საფეხურზე მდგარ ერისთავსაც ბევრი შეჰყეფდა, ბევრი მტერი ჰყავდაო.

ხოლო როდესაც თვალდათხრილ რაჭის ერისთავს მეფე სოლომონი პაპუნა წერეთელს გადასცემდა („მისს მოსისხარ მტერს"): რაც გინდოდეს, ის უყავიო, – აკაკი წერეთელი მომდევნო პასაჟს ამ ბიბლიური სიმბოლიკით გაჟღენთდა:

– წერეთელმა, როგორც ფილისტიმელებმა სამსონ ძლიერი, წააყვანინა საჩხერეს და ჩასვა „მოდინახის" ციხეში. იქ თუმცა წისქვილის ქვას არ აბრუნებინებდა ტყვეს, მაგრამ ნაკლებ შეურაცხყოფას კი მაინც არ აყენებდა...

უფრო კანთიელად როგორღა გამოეთქვა მსჯავრი.

პაპუნა წერეთელი და მისი მომხრენი აკაკის თვალთახედვით ფილისტიმელები არიან.

როსტომ რაჭის ერისთავი – სამსონ ძლიერია.

საპირისპიროდ საგვარეულო გადმოცემისა, „თორნიკე ერისთავის" შემოქმედი დარწმუნებულია, რომ ღალატით, დასმენით, მზაკვრობით დაემხო ეს სახელოვანი კაცი და მისი მოდგმა და არა სახელმწიფოებრივი აუცილებლობით.

ეს შეფასება გადადიოდა „ბორიაყშიც" და ოთარ ჩხეიძის შესიტყვება – გამოსწირეს ერისთაობა – ამ მსჯავრის უცთომელობას ადასტურებდა.

თურმე ორად ორი სიტყვაც კი კმარობს ხანდახან, ტრაგედიის ნამდვილი გარემოებანი უაღრესი ლაკონიზმი რომ შემოინახოს.

თვალდაბნელებული არ დაასრულებდა თავის არსებობასო...

საგვარეულო გადმოცემა ინახავდა ამ ამბების ხსოვნასაც, ბუნდოვანს, ლამის მითოსში გადასულს, მაგრამ ძაფები არა წყდებოდა რაჭასა და იტრიას შორის, იმ იტრიას, სადაც უკვე მოეკიდებოდა ფეხი ჩხეიძეთა ერთ-ერთ შტოს და რაჭის ერისთავის დამხობილი შტოს ნამლევი სწორედ მათ შემოეფარებოდა.

ეგებ აქედანაც უნდა აყრილიყვნენო?..

როდესაც არსად განებებენ საცხოვრისს, შენც გამოეცლები, რათა თავი მაინც გადაირჩინო, თავიც თუ ვერა, ოჯახის ნამლევი მაინც აღარ გაიწიროს; ბედი მყივარი თავის მხრივ დაუნდობლად ჩაგდგომოდეს კვალში, მაგრამ შენ შენსას ცდილობდე, ვიდრე ძალ-ღონე შეგწევს და ღმერთიც შეგაშველებდეს ხოლმე ხელს.

ეგებ აქედანაცო...

მნარე დაჩივლებაა. ნაგულისხმევი გამჭვირვალე მინიშნებად, რომ ეს „ეგებ" მალე საბედისწეროდ აცხადდება და მიწა, რომელსაც მიაქვს დარდი და ყველა ფიქრს, ურვასა და ვაებას იტევს, ყველა მღელვარებასა და შმაგ ვნებებს აცხრობს, მალე სისხლითაც გაიჟღინთება.

ისე ვიწროვდება რკალი მათ გარშემო, ისეთი ხიფათით გათანგულა გარემო, ყველაფერი ისე ავისმომასწავებლად ფაჩუნობს თუ კრთის, რომ საბედისწერო რბევა ძალიანაც აღარ გადაივადებს.

მთელი ნატბისი იტრიელთა ოჯახს ეკუთვნოდა.

და, აგერ უკვე:

– ჩამოართვეს, დასჭრეს, დაუნაწილეს სოფელსა, ამათაც არგუნეს სულადობის მიხედვითა, ჩამოართვეს და მერე არგუნეს...

გამჭვირვალე სტრიქონები ადვილად მიგვანიშნებს ახალი ეპოქის დადგომას, დამკვიდრებას ახალი ქრონოლოგიისა და ახალი რეჟიმის, რომლისთვისაც კანონი და სამართალი, როგორც ასეთი, აღარ არსებობს და ადამიანებს ეპყრობიან ისე, როგორც თვითონ ნებავთ.

კერძო საკუთრების უფლება წართმეულია და აღარავითარი დასაყრდენი აღარ გაგაჩნია.

კერძო საკუთრებას ვილა ჩივის, სიცოცხლის უფლებაა წართმეული.

ესეც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ იტრიელებმა.

ჯერ კი როგორღაც უძალიანდებიან წერა-მწერლის განაჩენს.

ის ჩამორთმეული და სულადობის მიხედვით დაბრუნებული მიწა მაინც ბევრად მოჩანს, რადგანაც კვლავ ერთად არიან ძმები და ძმისწულები:

– კვლავ ერთ ოჯახად ეჭირათ თავი, ბევრივით მოსჩანდა ერთად მოყრილი ცოტ-ცოტაობითა.

არა ცხრება შური თუ ბრაზი მათ მიმართ, ისე რატომ არ დაეცნენ, ველარასოდეს წამომდგარიყვნენო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდათ, ახსოვდათ, როგორ უმართავდნენ ხელს ყველას, ის კი არა, შიმშილობის დროები რომ დამდგარა, გაუღიათ ბეღლები – ცხრა ვეება ბეღელი ჰქონდათ – და მთელი ყელქცეულისათვის უბოძებიათ ხორბალი. ახლა თვითონაც დასდგომიათ გასაჭირი და ისევ იმას ფიქრობენ, სოფელს როგორ უპატრონონ. „ბეღლების გახსნის" მოტივი რომანშიც გადასულა და პერსონაჟები იმასაც ბჭობენ: იქნებ კალოდანვე დაგვერიგებინაო, – მაგრამ ბოლოს მაინც ჯერ ბეღელში თავმოყრას ამჯობინებენ: უნდა ვიცოდეთ, რამდენი გვექნება, რამდენ ხანს გავწვდებით სოფელსაო.

სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ, რადგანაც ამ გვარს ათაბაბიდან ამ მორალით უცხოვრია:

– სოფელს თუ შიან, შენ მაინც ვერ გაახურებ თონესა.
და მაინც, შურმა და ბრაზმა უნდა გადაწონოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატბისის მინას დაბრუნებიან და:

გახურებული კალოობა შეჩერებულა სულის მოსათქმელად და სადილისათვის.

საჩრდილობელს შეფარებიან იტრიელები, გრძელ მაგიდას შემოსხდომიან.

მუსიკოსსაც იქ მიიწვევენ.

სუფრის თავში ოჯახის უფროსი დაბრძანებულა, მარჯვნივ ძმები შემოუსხამს, მარცხნივ ძმისწულები.

და ოჯახის უფროსი ისეთი ხელშესახები დეტალებით, ფსიქოლოგიური ნიუანსობრიობით მოგვაგონებს რეალური პიროვნების პორტრეტს, დაბეჯითებით ხვდები, გიორგი ჩხეიძის სახება რომ იკვეთება, უფროსი ძმის – ბესარიონის – ნაადრევი და ტრაგიკული აღსრულების შემდგომ ის რომ ჩადგომია დიდ ოჯახს სათავეში და რევაზის გზაზე დაყენებაც საკუთარ თავზე აუღია. მერე კი თავისთვის ნაიბუზღუნებდა ხოლმე: სასტუმროსა და რესტორანს რომ ვაბარებდი ქართველებით გადავსებულ განჯაში, აბა, რა მეგონა!..

სიფიცხით გამოირჩევა ოჯახის უფროსი, ზომიერი, ოღონდ შესამჩნევი სიფიცხით, იმაზეც ეტყობა, ჯამში რომ იფშხვნის პურს, იმაზეც, მეუღლეს რომ ანიშნებს, რა ნელა არიგებ კერძსაო, იმაზეც, ჭიქას რომ ასწევს და სადღეგრძელოს მოკლედ იტყვის, არც არავის აცდის თქმას.

– ჭიქა პატარა ედგა, წელში გამოყვანილი, თითებს შემოავლებდა ვიწრო წელზედა, სხვებსაც უნდა ნაეტანებინათ ხელი თავიანთი ჭიქისთვისა, უხმოდა ხვდებოდა, უბრძანებლადა, თავისთავადა, ლუკმას რო დასჭირდებოდა ერთი ყლუპი გადასაცურებლადა. ასე მოთავდებოდა სამხარი, ვახშამიცა, სიმთვრალე რა სათქმელია, ოდნავადაც არ აილეწებოდა არც ერთი, ზომას არ გადავიდოდა ოჯახის უფროსი, არც არავინ გადაუსწრებდა...

ტრადიციული ოჯახი წარმოისახება რამდენიმე სტრიქონით. თითქოს ალექსანდრე ორბელიანის მემუარული ჩანაწერების ნასხლეტი იყოს – უშუალოდ კი აგრძელებს მის მიერ შემონახულ სურათებს. ბევრგვარად შემობრუნებულიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, შემღვრეულიყო, გაფერმკრთალებულიყო ოჯახური წესრიგი თუ ეტიკეტი, მაგრამ ძარღვი რჩებოდა ხელუხლებელი, კეთილშობილ პიროვნებათა წყალობით გამოტარებული ათასგვარ წინააღმდეგობაში და გადაცემული ახალთაობისათვის.

იტრიელთა ოჯახი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია თავადაზნაურული სინამდვილის.

რაღაც განსაკუთრებული აქ არაფერი ხდება.

ეგაა, ცალკეულ პიროვნებათა ხელში მაინც სხვაგვარად ელვარებდა ტრადიციები და იტრიელთა ოჯახის თავკაცი სწორედ ამ პიროვნებათაგანია, ყველაფერში ზომიერი და სანიმუშო.

ერთადერთი, რაშიც ზომიერებას ვერ იჩენს... შრომაა.

– შრომა ექცია ღმერთადა და სასწაულადა და ნათესავთაგან, ვისაც შრომა ეზარებოდა, ვერც მიბედავდა იქ მისვლასა, შრომის დროს ვერა, დღესასწაულებს თუ იხელთებდა, მაშინაც ვერ გადარჩებოდა უსაყვედუროდა.

კიდევ ერთი საგულისხმო თვისება, გიორგი ჩხეიძის ხასიათიდან გადატანილი პერსონაჟზე: სასაყვედუროსა და უამურობის დახსომება არა სჩვევია, და თუ გაახსენებენ, ისიც ამოაფრქვევს იმავე წუთს, უბოროტოდ, უგანზრახვოდ და მაშინვე გადაივიწყებს.

მომდევნო ძმის აღწერილობისას ბაგრატ ჩხეიძის პიროვნული თვისებანი თუ ბიოგრაფიული რეალიებია გამოყენებული, უფრო ძნელად მიმნდობის, ახლაც ჩაეჭვებული რომ გასცქერის მუსიკოსს, ე ვინ მოსულა, რა ემღერება, ან მართლა ემღერება თუ არაო.

ნავთის წარმოებაში ვერ მოეკიდებინა ფეხი, ვერც შავი ქვის მრეწველობაში ჩამდგარიყო, ხე-ტყის მრეწველობაშიც გასცურებოდა ბედი, ზარალითა და ვალით დაბრუნებულიყო შინ, ბაღები გაეშენებინა, ბაღის მოსავალს თავისი დრო ჰქონდა, ვალი და ვახში არ აცდიდა, მზითვიანი ქალი შეერთო, ვალი გაესტუმრებინა და ისევ ბაღებს დაჰგურგურებდა. ძმა პირდებოდა საკონსერვო ქარხნის მოწყობას, მაგრამ ეს რამდენიმე წლის წინათ ხდებოდა, ახლა უფროს ძმასაც პირში წყალი ჩაეგუბებინა, საკონსერვო ქარხნის მოწყობას ვინ ჩივის, ამ ბაღებზეც აგვალებინებენ ხელს და ნეტა როდის, დღესა თუ ხვალაო.

ვნახოთ, ხვალე რას მოგვიტანსო, – ეს იმ მომდევნო ძმამ უნდა განუცხადოს, ერმალოზ ჩხეიძედ რომ გამოჩნდა ამ ჩანაწერებში და რომანში სწორედ მისი სილუეტი შემოიხაზება:

– ბედს ისიც გაეგდო სახლიდანა, ცხრაას ცხრამდე იატაკქვეშ იყო, ცხრაას ცხრაში ბორკილი დაადეს და კატორღაში იჯდა კარგახანსა, და რო გამოეხსნა, არც აქეთ მოუხედნია, არც იქითა, აღარც ძველი თანამებრძოლები მოუკითხავს, აღარც ახლებს აჰყოლია, პეტროგრადისაკენ რო ეწეოდნენ, ხელი აიქნია და ნატბისს მიაშურა; მიაშურა ნატბისსა და გუთანს მოეკიდა, გუთანი ეჭირა ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდისა...

რევაზ ჩხეიძის სილუეტი ადრევე ჩამოინაკვთა, მუსიკოსი გამოჩნდა თუ არა ნატბისის მიწაზე და პირველად ის გამოეცნაურა, ამიტომაც სუფრას რომ ჩამოსდევს მწერალი, აქ რევაზს გამოტოვებს და მის ძმას გამოხატავს ორიოდე ექსპრესიული სტრიქონით, რეალობაში დიმიტრი რომ ერქვა და წინა დღით მოკლავდნენ ღალატით, ვიდრე რევაზსა და ერმალოზს დახვრეტდნენ: აუცილებლად შურს იძიებს, ჩახოცვის ამბავს რომ შეიტყობს, ტყეში გადავარდება და სადლა ვეძებოთ, თან არც მფარველი და ხელისგამმართავი მოაკლდებაო.

ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე კარგა ხანია დიდი სახელი დაეგდო:

– მოხდენილი ვაჟკაცი, უებრო მოცეკვავე, უებრო და სწორუპოვარი, გამოსაჩენი და გამოჩენილი ყველა ნადიმზე, ყველა მეჯლისზე, გაქცეული თუ განდევნილი მთავრობა რო მართავდა განსაკუთრებული ზეიმებისა თუ უცხოელებთან პოლიტიკური ან სავაჭრო-ეკონომიკური გარიგებების აღსანიშნავად; საქმიან დროს მარჯვე ხელი გვარდიელთა უფროსისა, თუმცა გარეგნულად არ ეჭირა მაღალი თანამდებობა, მაინც ყველა იცნობდა, ყველამ იცოდა მაშინაცა, მერეცა, რა ვუყოთ, თუ დაეგდო ფორმა გვარდიელი ოფიცრისა, ხნულში ჩამდგარიყო, ხნულსა რწყავდა, თესვა უნდა დაწყებულიყო.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ბუჯიაშვილი

# კონსერვატიზმის ტრადიცია და დიალექტიკა

*

## ვერჯილ ნემოიანუს ლექცია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

მაინც რა საოცარი რამეები სჩვევია ბედისწერას.

წლების წინათ 29 წლის დოქტორანტი საბჭოთა რეჟიმის მარწუხებში მოქცეული რუმინეთიდან თავს რომ დააღწევს, ოკეანისგაღმა გაიქცევა და კალიფორნიაში იპოვნის თავშესაფარს.

გაასამართლებენ ოკეანისგამოღმა დარჩენილ სამშობლოში.

შვიდ წელს მიუსჯიან ახალგაზრდა ვერჯილ ნემოიანუს, ვინც რკინის ფარდის გადაწევა შეძლო და ვის სახელსაც მალე მთელი მსოფლიო გაიცნობს.



*გია ჯოხაძე და ვერჯილ ნემოიანუ წმინდა ნინოს წყაროსთან (ბოდბე)*

მტრად აღიარებს მას ჩაუშესკუს რეჟიმი – დაქადნებული, რომ ადრე თუ გვიან ამ განაჩენსაც აღუსრულებენ და პასუხსაც აგებინებენ ღალატისათვის.

ჩაელიმება სადღაც უსასრულობიდან ადამიანთა სამყაროში მომზირალ წერა-მწერალს.

განსასჯელისა რა გითხრათ, აი, რუმინელ დიქტატორს კი მართლაც უკულმა შემოუბრუნდება ბედისწერის ჩარხი, თუმცა ამის შემდეგაც — ჩაუშესკუს გასამართლებისა და დახვრეტის მერეც — ვერ გაბედავს სამშობლოში დაბრუნებას, მხოლოდ წლების შემდეგ — როცა შეუთვლიან: ვირტუალურად შენ ეს სასჯელი უკვე მოხდილი გაქვსო — ის შეძლებს მოინახულოს გაუცხოებული სამშობლო.

ხანი გავიდა მას მერე

ამ ისტორიას ბატონი როსტომ ჩხეიძე ლიტერატურის ინსტიტუტში შეკრებილ საზოგადოებას მანამდე უამბობს, ვიდრე მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული რუმინული წარმოშობის პროფესორი ქართველ საზოგადოებას წაუკითხავდა ლექციას თემაზე: „ამერიკული კონსერვატიზმის ტრადიცია და ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტური ბუნება“.

ასეთი უცნაური რამეებიც სჩვევია ბედისწერას.

თვით მოხსენება კი საცნაური და საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის მკითხველისთვის.

– თუ გვსურს ამერიკული კონსერვატიზმისა და ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკურ ბუნებაზე ვისაუბროთ, ეს თემა რევოლუციის პერიოდიდან (1776 წ.) უნდა დავიწყოთო, — თქვა ბატონმა ვერჯილმა შეკრებაზე და საუბარი დაიწყო პირველი ცამეტი კოლონიის დამოუკიდებლობის ეპოქიდან, გაიხსენა ე.წ. „დამაარსებელი მამები“, კოლონიების ლიდერები, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანები, რომლებმაც დაწერეს და ხელი მოაწერეს კონსტიტუციას, თავისუფლების ქარტიას და, რაღა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის დეკლარაციას. მომხსენებელმა ისაუბრა მსოფლიოში უძველესი ამერიკული კონსტიტუციის ბუნებაზე, რომელშიც შერწყმულია პოლიტიკური ორგანიზაციის სამი ძირითადი ფორმა: მონარქია, ოლიგარქია და დემოკრატია. ბატონმა ვერჯილმა მიმოიხილა ის ძირითადი ფაქტორები, მნიშვნელოვანი შედეგები რომ გამოიწვია აშშ-ს განვითარებაში. გაიხსენა ის პოლიტიკური მოვაწეები, რომელთაც ბევრწილად განსაზღვრეს ამერიკის მმართველობის სისტემა; მან აგრეთვე ისაუბრა ორი საუკუნის მანძილზე აშშ-ს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებზე და ჩაუღრმავდა განსხვავებას „კონსერვატიულისა“ და „ლიბერალურის“ ამერიკულ და ევროპულ გაგებას შორის. ასევე გაიხსენა ის პრეზიდენტები და ცალკეულ პარტიათა მოძრაობები, რომლებმაც მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარეს აშშ-ს ცხოვრებაში.

ბატონი ვერჯილი შეეხო აშშ-ს პოლიტიკურ ყოფაში ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებულ მოვლენებსაც და აღნიშნა:

– 1980-90-იან წლებში და უფრო გვიანაც ყველაზე მეტი სიახლის მომცველი სოციალური და პოლიტიკური იდეა კონსერვატორთა პარტიაში ჩაისახა. დემოკრატებმა ძირითადად თავი მიუძღვნეს წარსულის (რუზველტის, კენედი-ჯონსონის და ა.შ.) პოლიტიკის გაგრძელებას. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რამდენად მოიტანს ცვლილებას დემოკრატთა ახალი თაობა. განსაკუთრებით ახლა, 2008 წლის გაზაფხულზე. გამორიცხული არ არის, ისინი სოციალ-დემოკრატიულ ორიენტაციას მიუბრუნდნენ

ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში მთავარი მაინც ის არის, რომ იგი უფრო დინამიურია, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა სისტემა და ამიტომაც ის ყველაზე ეფექტურია. თუმცა თავისუფლების ხარისხი, რომელიც XIX საუკუნეში არსებობდა აშშ-ში ან თუნდაც 35 წლის წინათ, შეიძლება ითქვას, რომ შესამჩნევად შემცირდა. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ მოქალაქეს აქ გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ აშშ-ში ძალაუფლებას მრავალი ცენტრი და გადამკვეთი ხაზი აქვსო

დასასრულს ბატონმა ვერჯილმა თქვა, რომ ის ყველაფერი, რაზეც იგი მოხსენებაში საუბრობდა, კიდევ ბევრ სხვა საკითხთან ერთად „ქმნის სისტემას, რომელიც გონი-

ერ და სხარტ პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს იოლად გაიკვლიოს გზა და ისარგებლოს მაღალი ხარისხის თავისუფლებითა და დაცვით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე საკუთარი ოჯახისა და ახლობლებისათვის" ანუ იმ ყველაფრით, რისი პოვნის სურვილმაც წლების წინათ საბჭოთა რეჟიმს საზღვრები გაარღვევინა და სამუდამოდ განსაზღვრა მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ბედიც.

**მაკა ელბაქიძე:**

– დიდ მადლობას მოგახსენებთ საინტერესო მოხსენებისთვის. ეს ყველაფერი ჩვენთვის მეტად საგულისხმო იყო, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო დღეს მიისწრაფვის ევროპულ სივრცეში და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებისაკენ და, შესაბამისად, ცდილობს ამ საკითხებში გარკვევასაც. საუბრისას თქვენ ახსენეთ „ყვავილების რევოლუცია". იქნებ უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ რას ნიშნავს ეს? საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენებისა და ე.წ. „ვარდების რევოლუციის" გამო ყურადღება მიიპყრო ამ ტერმინმა. ასევე მინდოდა მეკითხა კიდევ ერთი ცნობილი ემიგრანტის – თქვენი თანამემამულის და მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოსოფოსისა და მეცნიერის მირჩა ელიადეს შესახებ — იქნებ ორიოდ სიტყვით მასზეც გვიამბოთ

**ვერჯილ ნემოიანუ:**

– „ყვავილების რევოლუცია" ასახავს 1960-70-იანი წლების ამერიკაში განვითარებულ მოვლენებს, როცა ერთდროულად რამდენიმე მოძრაობა გაჩნდა:

პირველი იყო ფერადკანიანების მოძრაობა საკუთარი უფლებების დასაცავად. ისინი ითხოვდნენ თანასწორობას. პროტესტს ძირითადად მშვიდობიანი ფორმებით გამოხატავდნენ, თუმცა ზოგჯერ ამ ყველაფერს დარბევის ხასიათიც ჰქონდა ხოლმე.

მეორე იყო ახალგაზრდების ამბოხი ტრადიციების წინაალმდეგ; მესამე კი ვიეტნამის ომის ირგვლივ დაწყებული დებატების საფუძველზე გაჩნდა — ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოწინაალმდეგეები და მომხრეები. მთლიანობაში ამ მოძრაობებმა რევოლუციური ცვლილებების ტალღა შექმნა ამერიკაში. ეს იყო ერთგვარი ჰიპური მოძრაობა – ის ადამიანები ყვავილებით მოხატული აჭრელებული ტანსაცმლით შეიმოსნენ. თანაც ამ ყველაფერს არ ჰქონდა ძალადობრივი და აგრესიული ფორმა, ამიტომაც მიიღო ასეთი სახელწოდება: „ყვავილების რევოლუცია".

რაც შეეხება მირჩა ელიადეს

ის 50-იან წლებში ჩავიდა ამერიკაში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში და მიუხედავად იმისა, რომ თავად ამ რევოლუციის მონაწილე არ იყო, მისი იდეები ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მაშინდელი ახალგაზრდებისათვის. ისინი იზიარებდნენ მის მოსაზრებებს, განსაკუთრებით რელიგიასთან მიმართებაში — ცნობილია, რომ იგი სხვადასხვა სარწმუნოებაში ეძებდა საერთო ელემენტებს და მათ კომბინაციას სთავაზობდა თავის სტუდენტებს. ასე რომ, მაშინდელ მოვლენებს მირჩა ელიადემ გარკვეული კვალი დააჩნია.

# ლექსთა შეჯიბრებაზე

*

## შეხვედრა მურმან ჯინორიასა და თინათინ ელბაქიძესთან

**ისინი პოეზიის დიდი მოყვარულები არიან**

**კიდევ – ოსტატები, რომელთაც შეუძლიათ პოეტური სტრიქონები თავიანთი სულის ლაბირინთებში გამოატარონ და მსმენელამდე მიიტანონ ლექსის არსი.**

**სწორედ მათთან გაიმართა შეხვედრა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში – ბატონი მურმან ჯინორია და ქალბატონი თინათინ ელბაქიძე ლექსთა შეჯიბრებით წარსდგნენ შეკრებილი საზოგადოების წინაშე.**

– არსებობს ასეთი თეატრალური ჟანრი – ერთი მსახიობის თეატრი, დღესდღეობით ასე წარმატებით რომ მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოფაში, თავის დროზე კი აკრძალულიც იყო, იდევნებოდა კიდეც, – თქვა შეხვედრაზე **როსტომ ჩხეიძემ**, – წლების წინათ, როცა **თინათინ ელბაქიძე** კითხულობდა პუბლიცისტურ სტატიებსა თუ ლექსებს, ეს ყველაფერი აწყობილი ჰქონდა პატრიოტულ ჰანგზე და თემატიკაზე, ამიტომაც ამას პოლიტიკურ თეატრად უთვლიდნენ. იქნებ გარკვეულწილად ასეც არის – იმ დროს ხომ ეს პროტესტის გამოხატულება იყო, ამიტომაც მოხდებოდა ისე, რომ მას კითხვას აუკრძალავდნენ და მოუშლიდნენ ამ ასპარეზს.

**მურმან ჯინორიას** მრავალფეროვანი სამსახიობო პალიტრა კარგად მოგეხსენებათ. იგი მართლაც სახალხო მსახიობია. თავის დროზე დიდი ფურორი გამოიწვია, გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ გალაკტიონის საღამოზე წაკითხულმა ლექსებმა, ოპერის თეატრში რომ გაიმართა. ისეთი ეფექტი ჰქონდა, ყველაფერი გადაფარა, რაც იქ ხდებოდა. სწორედ ასეთ ოსტატებს მოვუსმენთ დღეს და იდეა ამ საღამოს გამართვისა ბატონ იოსებ ჭუმბურიძეს ეკუთვნის.

***

– ეს შეჯიბრება მაინც პირობითიაო, – თქვა საღამოზე **იოსებ ჭუმბურიძემ**, – ჩვენს ჩანაფიქრში მცირეოდენი ცვლილება შეიტანა ქალბატონმა თინათინმა – ის დღეს მხოლოდ ანა კალანდაძის ლექსებს წაიკითხავს. ამით მას სურს თავისი წილი ამ საღამოსი ქალბატონი ანას უკვდავ სახელს მიუძღვნას (მიჭირს ვთქვა: ხსოვნას-მეთქი, რადგან ძნელია იმასთან შეგუება, რომ ის ფიზიკურად აღარ არის ჩვენთან).

რა არის პოეზია? ამ კითხვაზე არაერთმა დიდმა მოაზროვნემ სცადა პასუხის გაცემა, მაგრამ კვლავაც კითხვად რჩება. პირადად მე ყველაზე მეტად მომწონს აკაკი გაწერელიას განსაზღვრება – „პოეზია არის ის, რის გარეშეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება გაჭირდებოდა“. დღეს აქ ისეთ ლექსებს მოვისმენთ, რომელთა გარეშეც მართლაც გაჭირდებოდა ჩვენი ყოფა, თანაც მოვისმენთ ორი განსხვავებული მანერის მქონე ოსტატის ნაკითხვით. მათ არა მხოლოდ ღრმად ესმით ის, რასაც კითხულობენ, არამედ გრძნობენ, განიცდიან და, რაც მთავარია, მათ ძალიან კარგად იციან რა უნდა მოგანიჭონ.

მე ვერ წარმომიდგენია უკეთესად ნაკითხული ტიციან ტაბიძის ან ტერენტი გრანელის პოეზია, ვიდრე ამას მურმან ჯინორია აკეთებს და არც ის ვიცი, ვის შეუძლია უფრო ლამაზად, უფრო ემოციურად გაახმიანოს ანა კალანდაძის „ჩამოფრინდები იასამანო“, ქალბატონი თინათინი რომ კითხულობს მის ხავერდოვან ხმაში არის რაღაც არქაული – იმ დოზით, ანა კალანდაძესთან რომ გვხვდება...

***

– ამ პოეტებს 60-იანელებს ეძახიან, ჩემთვის კი ისინი მაინც უფრო ორმოცდაათიანელები არიან – უძლიერესი თაობა ქართულ პოეზიაში, რაღაცნაირი სხვანაირი ელფერი რომ შემოიტანეს – თითქოს სილაღის, ახალგაზრდობის – იტყვის მურმან ჯინორია და წაიკითხავს **მორის ფოცხიშვილის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის** ლექსებს.

სულგანაბული უსმენს დარბაზი – პოეზიის თრთოლვას ატანილი, მის ზვირთებს აყოლილი. ამ უჩვეულო მდუმარებაში მხოლოდ ლექსი ხმაურობს, ლექსი – არა მხოლოდ პოეტურ სტრიქონებად გადმოღვრილი და მუსიკად გადმოფენილი, არამედ სპექტაკლივით გათამაშებული – იქ, სადღაც, ადამიანის გულის გულში განცდილი, სულის ლაბირინთებში გამოვლილი, უჩვეულო სივრცეებთან ნაზიარები საიდუმლო — ახლა აქ, **„ჩვენი მწერლობის“** სალონში რომ გამჟღავნებულა. კითხულობენ მსახიობები, თითქოს თვითონაც პოეტებად ქცეულნი, ამ სივრცეებისკენ რომ მიუძღვიან მსმენელთ. **ტერენტი გრანელი, ტიციან ტაბიძე, გურამ რჩეულიშვილის** თეთრი ლექსი, საუცხოოდ წაკითხული ბატონი მურმანის მიერ და **გალაკტიონი** – სამყარო, რომელსაც ჰქვია სხვა განზომილება.

ქალბატონი თინათინი კი, თავისი ხავერდოვანი ხმით, რაღაც არქაულსაც რომ შეიცავს, ანა კალანდაძის პოეზიას გვაზიარებს და დროდადრო მოგონებებსაც გვიკითხავს პოეტის შესახებ.

***

**ნოდარ დუმბაძის** ნაამბობიდან:

„უნივერსიტეტის წინ, ჭადრის ჩრდილში ერთი კაცი მეორეს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ უკითხავდა:

– ხედავ, ბიჭო, რას წერს? ყაყაჩოს ღვინო სალხინოო თუ გაგიგონია შენ ყაყაჩოს ღვინო?

– არა, არ გამიგონიაო, – მხრებს იჩეჩს მეორე და იცინის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შევედი, „ლიტერატურული საქართველო“ მოვიკითხე, არ ჰქონდათ, მერე ასპირანტთა და სტუდენტთა სამკითხველო დარბაზში შევიხედე, გაზეთი არც იქ აღმოაჩნდათ, ვერც „კიოსკში“ ვიშოვნე. იმ დღეს თბილისში გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ მთელი ტირაჟით გაიყიდა

1946 წლის 14 ივნისი იყო.

ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ჩათვლა გვქონდა ფულსა და კრედიტში.

აუდიტორიაში პროფესორი **ნიკოლოზ ქოიავა** შემოვიდა. მაგიდას მიუჯდა, ერთხანს ჩუმად იყო. მერე დაფასთან გამომიძახა. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამომიწოდა და მითხრა: წაიკითხე, დუმბაძე, ხმამაღლა წაიკითხე!..

მე ვკითხულობდი:

**და რა ქალი?! ხელისგულით**
**სატარები...**
**რა თვალები?! ელვის ცეცხლის**
**დამჭერი...**



თინათინ ელბაქიძე

არავის უკითხავს, შეიძლებოდა თუ არა ქალის ხელისგულით ტარება, თვალებით ელვის ცეცხლის დაჭერა, ქალისთვის გამჩენის შეკურთხება, სანაპიროზე სტვენა და ფეხშიშველა სიარული. ყველა მე შემომცქეროდა და მე – ყველას.

ანიკოს ოჯახს აშენებს ღმერთი, პროფესორმა გაზეთი გამომართვა, დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

იმ დღეს ჩათვლა ყველამ მივიღეთ.

ქართველები სამართლიანად ვთვლით ჩვენს ქვეყანას ქალთა ემანსიპაციის სამშობლოდ, მაგრამ ის, რაც 1946 წლის ზაფხულში მოხდა, ასეთი ნეტავ კიდევ ერთხელ გვაღირსოს ღმერთმა“.

***

– 1946 წლის აგვისტოში სასტიკად გააკრიტიკეს ლიტერატურული ჟურნალი „ზვეზდა“ და „ლენინგრადი“ უიდეო, აპოლიტიკური, იდეოლოგიურად მიუღებელი ნაწარმოებების დაბეჭდვის გამო. საქმე ეხებოდა **ანა ახმატოვასა** და **მიხეილ ზოშჩენკოს** შემოქმედებას. მალევე ქართველებმაც მიბაძეს და გაზეთ „კომუნისტში“ გაჩნდა ანალოგიური ხასიათისა და მიზნების ვეებერთელა წერილი. კერძოდ, გაკრიტიკებული იყო ჟურნალი „მნათობი“ **ანა კალანდაძის** ლექსების გამოქვეყნების გამო. ეს ის დროა, როცა ანა, როგორც ვარსკვლავი ისე გამოჩნდა ცაზე. მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადის, მხცოვანი პოეტები მის წინაშე იჩოქებენ და, უცებ, „კომუნისტის“ თითქმის მთელი ნომერი მის კრიტიკას ეძღვნება.

ციტატა ამ წერილიდან:

„ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს აშკარად დაეტყო დეკადენტური, აპოლიტიკური მოტივებით გატაცება. ამის ყველაზე მკაფიო გამოხატულება ანა კალანდაძის ლექსებია. ახალგაზრდა ავტორს, როგორც ჩანს, აქვს პოეტური ნიჭი, მაგრამ მას აკლია ჩამოყალიბებული ცოდნა ცხოვრებისა, არ ხელმძღვანელობს მოწინავე იდეებით, დეკადენტური მოტივების ტყვეობაშია მოქცეული. ერთ ლექსში ანა კალანდაძე „უდაბნოს მწირს“ უწოდებს თავს და მართლაც – ზოგიერთი ლექსი ძველი სამონასტრო ცხოვრების ჰიმნოგრაფებს მოგვაგონებს. მაგალითისთვის დავასახელებთ: „ხატებთან შვენი დახრილი წამით“

რა საოცარ ანაქრონიზმად გაისმის ეს სტრიქონები დღეს. ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ ამაზე უფრო აგზნებული ჰიმნები X საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ შეუქმნიათ. ვის ესაჭიროება დღეს ამგვარი ლექსები, ვის სულიერ განწყობილებებს გამოხატავენ ისინი?.. აი, მაგალითად, ეს ლექსი – „ მკვდართა მზე ვარ“ –ფორმალიზმი, უიდეობა, აპოლიტიკურობა ამაზე შორს ვერ წავა. ანა კალანდაძის ლექსებში ადგილი აქვს მეორე უცნაურობასაც, რომელიც ასევე დეკადენტური, გარდასული დროის პოეზიის დამახასიათებელია. პოეტი რალაც უცხო სევდას შეუპყრია და ბუზღუნებს: „დარდიანი ღვინოს ვსვამ და ვთვრები“ ეს შემთხვევითი სტრიქონი როდია? შეიძლება ითქვას, რომ ანა კალანდაძის ლექსებში სიმთვრალის, ლოთობის აპოლოგიასთან გაქვს საქმე“



მურმან ჯინორია

***

„მურმან ჯინ-ერთიანს“ – ასეთი სათაურით მიუძღვნის ლექსს **მურმან ჯინორიას ჯანსულ ჩარკვიანი** და შეკრებილ საზოგადოებასაც წაუკითხავს:

**მხოლოდ სიტყვას? – მძიმე თიხას,**
**მარცვალ-მარცვალ გათიშვას,**
**ქვეყანაზე ჯინ-ერთი ხარ,**
**მაშ, ჯინ-ორი რას ნიშნავს?**
**დღეს ინგლისურს ცხვირში ვიყრით,**
**ისე, ვითარ „კოკაინს“,**
**იმ ვილაცას „ო, კეი“ სურს,**
**მე პირადად – „ჰო, კაი“.**
**რაც არ უნდა არ გვეცალოს,**
**მოვრჩეთ ტანჯვა-ურვასა,**
**არ ვენდობი, აბესალომს,**
**გაუმარჯოს – მურმანსა.**
**ვინც გულში რეკა რაპირი,**
**და ვინც დამართა ლექსს სენი,**
**„გერეპირება“ რა პირით,**
**ეს უბედური „ლექსენი“?!**

***

**რეზო ინანიშვილის** მოგონებიდან:

„ერთხელ ბანკეტიდან ვბრუნდებოდით მე და ანა, სხვებიც ისხდნენ. ქალბატონ ანას ვაცილებდით შინ. მე სასმელით ცოტა შემსუბუქებულმა მის საამებლად ვთქვი:

– არ უჭირს ხოლმე ბიბლიიდან წამოსულ ქალბატონს ამ ბეტონირებულ ლაბირინთებში შინამდე მისვლა?

შემომხედა ხანგრძლივი, გამაფრთხილებელი შემოხედვით.

ახლა ღამეა მალე დაიწყება თენება. ანაზე ვფიქრობ, გადმოვიღებ მის თეთრ წიგნს და ვკითხულობ:

„ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა“

***

**მურმან ჯინორია:**

– ლექსს „გურიის მთები“ არ ვკითხულობ. რაღაც მემართება იცით, თუ თვითონ რაიმე სიუჟეტი ვერ მოვუნახე ლექსს, ვერაფრით წავიკითხავ. არა, იმდენი ტექნიკა კი მაქვს, ზოგან ხმას ავუწიო, ზოგან ცოტა ავუჩქარო, მაგრამ არ გამოვა. ლექსს რომ ვკითხულობ, ჩემი ასოციაციები მიჩნდება – მარტივი, მაგრამ ემოციური. მერე ამაზე ავაგებ ხოლმე სიუჟეტს და როცა ამ ყველაფერს ვახერხებ, მაშინ მგონია, რომ მართალი ვარ და შემიძლია ეს ლექსი საზოგადოებას წავუკითხო. თუმცა მეორე მომენტიც არის – განა შეიძლება „მთაწმინდის მთვარეს“ შეეჭიდო გალაკტიონის შემდეგ? მაგრამ ვკითხულობ! სპექტაკლში ეს ლექსი ასე მაქვს აწყობილი – ყველამ ვიცით, რომ გალაკტიონმა რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა და მისი სული სულ აქეთ მიისწრაფოდა. ჰოდა, ამ სტრიქონებს სწორედ ასეთი ემოციით ვკითხულობ – ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მე ახლა მზად ვარ გადმოვხტეო – და გამომდის

**იოსებ ჭუმბურიძე:**

– მართლაც ძალზე საყურადღებო რამ თქვა ბატონმა მურმანმა. ჩემი დაკვირვებით მას, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატს, სწორედ ის გამოარჩევს, რომ მისთვის პოეტურ სტრიქონებსაც, ლექსსაც აქვს დრამატურგია. ის კი არ კითხულობს, თამაშობს ამ ლექსებს. სწორედ ამიტომ ვთქვი: ჩვენს წინაშე ორი სრულიად განსხვავებული ხელწერის ოსტატია-მეთქი. ქალბატონი თინათინისთვის, ჩემი აზრით, მთავარია ლექსის ემოცია, სულის თრთოლ-

ვა, ბატონ მურმანთან კი მნიშვნელოვანია „რაციო" – გონება და სათქმელი

**მურმან ჯინორია:**

– დიახ, სწორედ სათქმელია ჩემთვის ემოცია. როცა სათქმელს მოვნახავ, მერე უკვე შემიძლია ამ გზით წასვლა.

**თინათინ ელბაქიძე:**

– მე ლექსის მკითხველად არ ვთვლი თავს, რადგან ეს ურთულესი ხელოვნებაა. საჯაროდ ამდენი ლექსი ერთად არც არასოდეს წამიკითხავს. ყველაზე ბევრი – ორით შემოვიფარგლები ხოლმე, რადგან ერთბაშად რამდენიმე ლექსი წაიკითხო და ყველა განსხვავებულად – ვფიქრობ, რომ ამის ოსტატობა პირადად მე არ გამაჩნია

**იოსებ ჭუმბურიძე:**

– მაგრამ სრულიად სხვაა, როცა თქვენ პუბლიცისტიკას კითხულობთ ასე მგონია, თქვენი სათქმელი სწორედ იქ არის

**თინათინ ელბაქიძე:**

– კი, ასეა. ლექსის კითხვისას მე მართლაც უფრო მუსიკას თუ ემოციას მივყვები, პუბლიცისტიკის კითხვისას კი – გონებას

**მურმან ჯინორია:**

– გალაკტიონს თავის დღიურში კარგი ჩანაწერი აქვს: ჩემთვის პოეზია ეს არის აზრი, გრძნობა (ემოცია) და მუსიკაო. ოღონდ ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ მუსიკაში გარითმვა იგულისხმება. მე ასე არ მგონია. მუსიკა ყველაზე მეტად აბსტრაქტული და ასოციაციური ხელოვნებაა – როდესაც ისმენ, შენი ასოციაციებით გადადიხარ იმ სიუჟეტში, რომელიც კონკრეტულად შენ გიჩნდება. ჩემი აზრით, პოეზიასაც სწორედ ამიტომ ვკითხულობთ. თვითონ პოეტმა ალბათ არც იცის, როგორ წერს ამ ყველაფერს, ისევე, როგორც მე არ ვიცი, რომელ სიუჟეტში აღმოვჩნდები კითხვისას. შეიძლება ტექსტიც შემეშალოს, მაგრამ მირჩევნია ასე მოხდეს, ვიდრე ზუსტად წავიკითხო და მაყურებლამდე, მსმენელამდე ვერ მივიტანო ის განცდა, რაც ჩემია.

## ჩემი პატარა ქალაქი

ვანო ჩხიკვაძე

# ზუგდიდური დღიური

ბერბუკში, გიგაურების ოჯახში, ზუგდიდში წამოსვლის წინა საღამოს, გიორგობის აღსანიშნავ სუფრასთან, მასპინძელს, ფოთიდან ჩამოსულმა ცოლეურებმა, ზომაზე მეტად შავტუხა ქართლელ სიძეს (მსგავსების გამო ახლობლები პელეს რომ ეძახიან) მოაგონეს, გახსოვს, პირველად ფოთში რომ ჩამოხვედი, შენს დანახვაზე ბებიას რეაქციაო.

თურმე, სასიძო როცა წარუდგინეს, საპატარძლოს ბებიამ თავი ვერ შეიკავა, ლოყაზე ხელი შემოირტყა და მსუბუქად ჩამოიხოკა:

– დიდა, მუსგუ თე ბოშ! – რაც ასე ჟღერს: დედა, რას ჰგავს ეს ბიჭიო.

პირდაპირ ტყვიასავით ახალა, მაგრამ მოხუცებულის დანუნებულმა სასიძომ, მალე ისე შეგვაყვარა თავი – ვინ გვყავს ამაზე უკეთესიო, მოეფერნენ „პელეს" ცოლისდა და სიდედრი.

***

გასულ იანვარში, გორის ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში, ჩატარდა საშობაო ფესტივალი „გენეთლია", ფესტივალში მონაწილეობისათვის მოწვეულები იყვნენ ეპარქიებთან არსებული სასულიერო სკოლები.

ჩამოსვლა ყველამ ვერ მოახერხა. გიმნაზიას ესტუმრნენ ბათუმის, ზუგდიდის, კასპის, ქარელის სასწავლებლები.

სამთავისისა და გორის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, გიმნაზიის დირექტორის მეუფე ანდრიას ლოცვაკურთხევითა და დიდი ძალისხმევით აღდგენილ, 120 წლის გიმნაზიის მყუდრო, მოხერხებულ სცენაზე მოსწავლეებმა მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგინეს, რამდენიმე დღეს ბავშვური ნიჭიერების, სიხალისის ზეიმი მეფობდა.

ბოლო, დასკვნითი საღამო ერთგვარად გაამხიარულა ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის მოსწავლემ ანა ვაჩეიშვილმა, როცა თამამად წარუდგა მეუფე ანდრიას – მე ძალიან მიხარია, რომ თქვენც მეგრელი ბრძანდებით, ჩემს ოჯახში გიცნობენ და ძალიან გვიყვარხართ, როდესაც ზუგდიდში იქნებით, უეჭველად გვესტუმრეთო...

აქვე, ფესტივალის ჟიურის ერთ-ერთ წევრს, ლოტბარ გიორგი საძაგლიშვილს, რომელიც, სხვათა შორის, წმინდა კირიონ მეორის შთამომავალია, დაებადა აზრი, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუ სააღდგომო ფესტივალი ზუგდიდში ჩატარდებოდა.

გიორგის ნათქვამი მაშინვე აიტაცა ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის დირექტორმა, საოცრად ენერგიულმა, მონდომებულმა ქალბატონმა მანანა ნაჭყებიამ.

ნაალდგომევს ეპარქიებთან არსებული სკოლა-გიმნაზიები ზუგდიდში მიიწვიეს.

ჩვენც, სამკაციანი დელეგაცია – გიმნაზიის დირექტორის მოადგილე თინათინ გვერდწითელი, გიორგი საძაგლიშვილი, მე და ბავშვების ჯგუფი, რომლებმაც ფესტივალზე ინსცენირება „დავით გურამიშვილი" წარმოადგინეს, (ინსცენირების ავტორი მარინე გოგიაშვილი, მუსიკალური გამფორმებელი ლელა მერაბიშვილი) გიორგობის მეორე დღეს ზუგდიდს ვესტუმრეთ.

***

მატარებელში, რბილ სავარძელში ჩაძირულს, წლების წინანდელი სტუმრობა გამახსენდა ზუგდიდში.

ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი: დილარ ივარდავა, ლია ჭავჭავაძე, ლალი ჯაფარაშვილი, შოთა ქავთარაძე, ჯარჯი ფხოველი, გივი ალხაზიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე... საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, დასავლეთ საქართველოში, შეხვედრების ჩასატარებლად გაგვაგზავნა.

ავტობუსით მოვიარეთ ვანი, მაიაკოვსკი, ქუთაისი...

ზუგდიდში ადრიანად ჩავედით და კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტს მივადექით.

კომიტეტში, საერთო განყოფილების გამგის გარდა, არავინ დაგვხვდა.

თავაზიანმა მასპინძელმა მაშინვე აკრიფა ტელეფონის ნომერი, დაუკავშირდა ქალაქკომის მდივანს და მოახსენა, სტუმრები ჩამოვიდნენ თბილისიდანო.



მამა გერასიმესთან ერთად

ეტყობა იმან ჰკითხა, ვინ არიანო.

გამგე შეყოყმანდა, გადაგვავლო თვალი კედელთან ჩარიგებულ სკამებზე ჩამომსხდარ სტუმრებს, ერთხელ, მეორედ, მესამედ და ბოლოს მზერა დილარ ივარდავაზე შეაჩერა:

– ვინ არიან და... დილარ ივარდავა და სხვები! – ამოისუნთქა შვებით.

დილარმა ღიმილით და „ნიშნისმოგებით" გადმოგვხედა, ეგეც თქვენო.

მასპინძლებმა არც დილარს და არც „სხვებს" არაფერი დაგვაკლეს, მეგრული სტუმართმოყვარეობის შესაფერისად დაგვაბინავეს, დაგვაპურეს, დაგვათვალიერებინეს ქალაქი, მაგრამ ნახეთ ბედის სიმუხთლე – მეორე დილით, დილარ ივარდავას მისცა მაღალი სიცხე, ჩანვა და, საბერიო, რეჩხი, ჯვარი ისე მოვიარეთ „სხვებმა," ქეიფ-ქეიფით და ლიტერატურული საღამოებით, რომ დილარი ჩვენს წამოსვლამდე ვერ გამოკეთდა...

ჩავედით ზუგდიდში, დაგვხვდა ქალბატონი მანანა ნაჭყებია თავის თანამშრომლებთან ერთად და ჩაგვაბარა ჩვენს მასპინძლებს.

მეუფე ანდრია არ ვიცი როდის მოახერხებს ზუგდიდელ ვაჩეიშვილებს რომ ესტუმროს, მაგრამ მე და გიორგი კი სწორედ ანას ოჯახმა მიგვიღო და ის დღეები სითბო და ყურადღება არ მოგვაკლო.

ნანა ნაჭყებიას და გოჩა ვაჩეიშვილს ხუთი შვილი ჰყავთ – ანა, სალომე, მარიამი, მართა და ორი წლის დავითი.

მე და გიორგიმ ბავშვებს თვალი რომ გადავავლეთ, ჩავილაპარაკე:

– ახალგაზრდები ხართ, ისეთი ლამაზი შვილები გყავთ, ხუთ ბავშვზე გაჩერება...

– მერე, ვინ ჩერდება! – ვითომ ეგ რა გვაკადრეთო, წარბი ისე „შეკრა" გოჩამ, რომ ალბათ, „დადგენილ ვადებში" მეექვსე ვაჩეიშვილსაც უნდა ველოდოთ.

***

რვა მაისს, ერთი დღით მზემ გამოანათა და როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, დილით, საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ, დადიანების სასახლეში ვნახეთ და თაყვანი ვეცით ღვთისმშობლის კვართს, იოანე ნათლისმცემლის, წმინდა მარინეს, ივლიტეს, კვირიკეს წმინდა ნაწილებს.

დავანთეთ სანთლები და ოთახიდან გამოსვლისას, კართან მდგომ, იქ მომსახურე სათნო სახის ქალბატონს მადლობა გადავუხადე.

– ღვთისმშობელს მადლობა, ვინ ვარ მე! – პირჯვარი გადაისახა და თავი დახარა.

დადიანების სასახლის მოვლილ-დამარმარებულ ეზოში ბალახი ხასხასებს, წინა დღეების წვიმებით ჰაერიც კი კრიალებს და ისეთი ცაა, „მოდარაჯე კაცის თვალმა" შეიძლება მართლა დაინახოს ანგელოზი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრები თინათინ გვერდწითელმა სასახლის კიბეებზე „განგვალაგა" და სურათი გადაგვიღო.

ციფრულმა აპარატმა დაიხსომა ეს ერთი წამი, რომელიც აღარასოდეს განმეორდება.

ასეთი შეხვედრების დროს უფრო მძაფრი და ნათელი ხდება – როგორ არაფერი ვართ უერთმანეთოდ.

„ჩონგური საქართველოაო," –ტანჯვით, ხმლით, ლოცვით, სიმღერით, თვითგვემითა და თვითშეწირვით აკოწიწებდნენ აქეთ-იქით გაქცეულ კუთხეებს ერის საუკეთესო შვილები.

ეს პროცესი დღესაც გრძელდება და, როგორც ფესტივალზე ბევრჯერ აღინიშნა, მთავარია ერის სულიერი, რწმენით გამთლიანება, რომელიც, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის წინამძღოლობითა და მრავალწლიანი მოღვაწეობით, ქართულმა ეკლესიამ იტვირთა.

კინოთეატრ „ატრიუმში" ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია – „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში" – მანანა ნაჭყებიამ გახსნა.

ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა, მეუფე გერასიმემ მოგვილოცა ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაული, აღნიშნა, რომ გორში ჩატარებული „გენეთლიის“ შემდეგ ასე ფართოდ პირველად ხვდებიან საქართველოს სასულიერო სკოლები, მათი წარმომადგენლები. ეს სასიკეთო წინსვლა ჩვენი ერისა დამსახურებაა იმ ფერისცვალებისა, რომელსაც, კათოლიკოს-პატრიარქის წყალობით, ქართული ეკლესია განიცდისო.

მეუფე გერასიმე საპატრიარქოში საგარეო საქმეებსაც განაგებს და ამბობს – ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს არაერთხელ აღუნიშნავთ, საქართველოში ვხედავთ ცოცხალ ეკლესიასო. ისეთი ერთიანობა, როგორიც ჩვენს ეკლესიაშია, ღმერთმა ქნას და ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ერშიც იყოსო.

– ურთიერთსიმძიმე უნდა ვიტვირთოთ, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ისტორიამ მრავალჯერ დაამტკიცა, როცა ქართველები ერთად ვდგავართ, ჩვენი მომრევი არავინ არის! – ბრძანა ბოლოს მეუფე გერასიმემ.

კონფერენციაზე ბევრი საინტერესო მოხსენება მოვისმინეთ:

ალექსანდრე ტუღუშის "ფეოდალური ხანის ოდიშის სასულიერო განათლება".

ტიტე მოსიას "განდეგილი და ილია".

დალი ხაჩიძის „ქართველ ქალზე ღვთისმშობლის მადლია".

ბორის გვაზავას „ირანელი გურჯები და საქართველო".

რევაზ მიქაიას „რელიგია და სამართალი".

თამთა როგავას „თეიმურაზ მეორის სარკეთქმულთა ზოგიერთი ასპექტის შესახებ".

ოთარ გეგუჩიას „ღმერთის არსებობის მათემატიკური დასტურის შესახებ".

კონფერენციის ბოლოს ვნახეთ დოკუმენტური ფილმები:

„დედა ღვთისმშობლის კვართი", ფილმი წმინდა ნაზარის შესახებ „ღვთისათვის შეწირული", „გზა ჭეშმარიტებისა", რომელიც ზუგდიდის გიმნაზიის განვლილ გზას ასახავს, აგრეთვე გავეცანით ოზურგეთის, ლანჩხუთის, ფოთის სასულიერო სკოლებზე შექმნილ მოყვარულთა ფილმებს.

ნაშუადღევს, სოფელ ოდიშში მიგვიწვიეს მეგრული გულუხვობით და მრავალფეროვნებით განთქმულ სუფრაზე.

ცხრა მაისს, მეთოდურ-პრაქტიკულ კონფერენციაზე – „ორსავე სოფელსა შინა ცხოვრების წარმართებისათვის (ძეთა და ასულთა აღსაზრდელად)"– სასულიერო სკოლების წარმომადგენლებმა გაგვიზიარეს თავისი სასწავლებლების გამოცდილება, აღინიშნა საზოგადოების სულ უფრო მზარდი ინტერესი სწავლების იმ მეთოდებისადმი, რომელიც სასულიერო სკოლებში ხორციელდება.

კონფერენციის შემდეგ დავათვალიერეთ სამხატვრო გამოფენა და თაბუკაშვილის ქუჩაზე ვესტუმრეთ ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიას.

გიმნაზია ახალგარემონტებულ, ორსართულიან შენობაშია, ნათელი საკლასო ოთახებით და სხვადასხვა საგნების შესასწავლად გამოყოფილი კაბინეტებით.

სკოლის დარბაზში შეკრებილებს, ქალბატონმა მანანა ნაჭყებიამ მოგვითხრო ჩამოყალიბების იმ რთულ გზაზე, რომელიც გიმნაზიამ გაიარა დღიდან დაარსებისა. ამის შემდეგ სკოლის მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს სპორტული შეჯიბრი „ხრიდოლი".



„უფალო ღმერთო, ამიხდინე ოცნება ჩემი"

– იყო ასეთი კაცი, კახა ზარნაძე, ქართული ორთაბრძოლების, სამხედრო ხელოვნების, თამაშობების თაყვანისმცემელი და ამღორძინებელი... შემოიარა მთელი საქართველო, მოაგროვა საუკეთესო ელემენტები და შექმნა ქართული საბრძოლო ხელოვნების თავისებური ნიმუში – „ხრიდოლი", – მეუბნება ფიზკულტურის მასწავლებელი, შესანიშნავი კარატისტი მერაბ ქალდანი, – ის აერთიანებს ქართული კრივის, ფარიკაობის, ჭიდაობის ილეთებს, თავისი არსით ქრისტიანულია და აღვივებს ახალგაზრდობაში ეროვნულ სულისკვეთებას. საინტერესოა ისიც, რომ „ხრიდოლის" შემსწავლელმა უნდა იცოდეს ცეკვა და სიმღერა. ცეკვა – ფიზიკური გამოწრთობისათვის, ხოლო სიმღერა – სუნთქვითი ვარჯიშებისათვის სჭირდებათ.

გიმნაზიის სცენაზე შეჯიბრი „ხრიდოლი" დოლისა და ჩონგურის თანხლებით ჩატარდა.

ბიჭებმა ილეთების ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომ გიმნაზიის დაფუძნებაში მრავალბრძოლაგამოვლილი მათი დირექტორიც კი შეჰკივლებდა ხოლმე და თვალებზე ხელებს იფარებდა.

საღამოს ჩვენს მასპინძლებთან ვბრუნდებით.

შეზარხოშებული გიორგი საძაგლიშვილი, რომელიც ქართული ხალხური სიმღერების მშვენიერი შემსრულებელია, ხუთ და-ძმა ვაჩეიშვილებში „ჩაკარგული" უზის ფორტეპიანოს და ერთ სიმღერას მეორე ცვლის...

ანა და მარიამი გიმნაზიის გუნდში მღერიან, ელენე და

მართაც შეძლებისდაგვარად მიჰყვებიან უფროს დებს, აი, ვაჩეიშვილების ნანატრი, მეხუთე შვილი, დავითი, სიმღერაში რომ ჩაერთოს საამისოდ ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ დანარჩენებს ხელს რომ არ უშლის, ესეც საქმეა.

***

ბოლო დღეს, 10 მაისს, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დავესწარით სააღდგომო ფესტივალის მთავარ მოვლენას – როგორც პროგრამაში იყო, „მხატვრულ-შემოქმედებით დათვალიერებას“, რომელშიც თბილისის, სტეფანწმინდის, ფოთის, სამტრედიის, ლანჩხუთის, თელავის, ოზურგეთის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, ბათუმის, ზუგდიდის, გორის სასწავლებლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ბოლოს, როცა ყველა ბავშვი სცენაზე ავიდა და ხალხით გადაჭედილი დარბაზის თვალწინ აღდგომის საგალობელი შეასრულეს, ამხელა, მოზღვავებული სიცოცხლის შემხედვარემ უნებურად გავიფიქრე, ალბათ ჩვენმა მტრებმა არ იციან ამ ბავშვების არსებობა, თორემ არც იოცნებებდნენ ჩვენს დაჩოქებასა და ქართული სულის ჩაქრობაზე-მეთქი.

– ის, რაც თვალით ვნახეთ და გულით განვიცადეთ, გვიდასტურებს, რომ საქართველო უნდა გადარჩეს! – თითქოს ჩემი ფიქრი გაახმოვანა, გააგრძელა მეუფე გერასიმემ და აღნიშნა, გორის გიმნაზიის „დავით გურამიშვილმა“ ცრემლი მომგვარაო.

მე კი არასოდეს დამავიწყდება აფხაზეთიდან ლტოლვილი სკოლის მოცეკვავეები, შავ ჩოქურებში გამოწყობილი, მოხდენილი პატარები, კულისებიდან ერთბაშად, დამფრთხალი მერცხლებივით რომ შემოფრინდნენ, სცენაზე შემოფრთხიალდნენ და მღელვარებისაგან ყელში გულმობჯენილმა მტკიცედ ჩავუთქვი, – ღმერთო, შენი შემწეობით, აფხაზეთს ამ პატარებმა უნდა ახარონ გაზაფხულის მოსვლა-მეთქი.

გამოსამშვიდობებელი ტრაპეზის შემდეგ, მონაწილეთა ერთი ჯგუფი ენგურის ხიდთან მივედით.

სამშვიდობოებმა ხიდის შორიახლო შეგვაჩერეს. ჩვენც გზაზე ცერად გახიდულ ბეტონის ფილებთან სანთლები დავანთეთ და პროტოპრესვიტერმა მამა გიორგიმ (გამრეკელი) პარაკლისი გადაიხადა.

გამობრუნებას ვაპირებდით, რომ ახალმოსული ბავშვებიდან ერთი გოგონა ხიდისკენ გაიქცა.

– ხიდთან მიახლოება არ შეიძლება! – მიაძახეს უფროსებმა.

მაშინ გოგონამ აპარატი მოიმარჯვა და ხიდის თავში, ტანკთან გაჯგიმულ რუს სამშვიდობოებს დაუმიზნა.

– არც გადაღება შეიძლება! – ისევ გააფრთხილეს გოგონა და იმანაც „გაკვირვებულმა“ მოგვხედა:

– რატომ, ფოტოგენურები არ არიან და ეშინიათ სურათზე ცუდად არ გამოვიდნენ?

ვიცინით, აი ისე, „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარე“ რომა...

რა თქმა უნდა, ამ „ნეგატივებიდან“ – არამკითხე შუამავლებად რომ ჩამდგარან ჩვენსა და ხიდგაღმა მცხოვრებთა შორის – პოზიტიური არაფერი გამოვა.

სამწუხაროდ, დრომ ეს კარგა ხანია დაამტკიცა...

***

დავბრუნდი ზუგდიდიდან, უკვე ხსოვნად იქცა იქ გატარებული დღეები, თითქოს ყველაფერი შორს დარჩა, შეხვედრები, ახალი ნაცნობები, სადღეგრძელოები, მხოლოდ მელოდიები არ მტოვებენ. ხშირად მეგრული სიმღერების მოტივი თავისთავად „მეღიღინება“ და მაშინ ყველაფერი ცოცხლდება, მეორდება, იმ გადაუღებელი წვიმის ხმაურიც კი, უთენია სარკმელზე კაკუნით რომ მაღვიძებდა.

„მეღიღინება“ და თვალწინ მიდგას რუხის ციხის ცრემლისფრად აპრიალებული კედლები, ჩვენი სამშვიდობოს ბიჭები – ოცდამეერთე საუკუნის მეციხოვნეები, და ციხის გადასახედიდან, თვალსაწიერზე, დღევანდელი საქართველოს სიმბოლო – ტოტებად დაშლილი, დაჩეხილი ენგური.

ეჭვქვეშ რომ არ დადგეს დღევანდელ მსოფლიოში საერთოდ სამართლიანობის არსებობა, უნდა გათენდეს დღე, როდესაც ენგურის ხიდს ავ მოგონებად დარჩება დანაღული ჩექმების ნაკაწრები და სვირინგივით ტანკის მუხლუხების ნაკბილარები.

დრო არ არის ყველაფრის მკურნალი – დანაწევრებული ქვეყნის ტკივილს ვერაფერი გააყუჩებს, თუ ერის ენერგია და ქვეყნის ტერიტორია საერთო კალაპოტში არ მოექცა.

ამისათვის, რწმენის განმტკიცებასთან ერთად, აუცილებელია კვლავაც იფსკვნან ერთმანეთზე ჯვარი სხვადასხვა კუთხეების გოგო-ბიჭებმა – მთავარია სიყვარული იყოს, თორემ ვის დააფრთხობს „მურიანი“ სასიძოს დანახვაზე მოხუცებულის შეცხადება:

– დიდა, მუსგუ თე ბოშ!..

აკი ხალხური ლექსიც ამბობს:

**სიდედრო შავგვრემანობით**
**არ დაიწუნო სიძია,**
**ნადი, სოფელში იკითხე**
**დიდი ვენახი ვისია.**

ვამთავრებ ჩემს „ზუგდიდურ დღიურებს“ და ჩანაწერებში ჩემი მასპინძლების ქალიშვილის, ანა ვაჩეიშვილის ლექსს „ლოცვას“ ვპოულობ:

**უფალო, ღმერთო,**
**ისმინე ჩემი მხურვალე ლოცვა –**
**გადაარჩინე საქართველო,**
**ღვთისმშობლის ხვედრი,**
**იხსენ ცოდვისგან ერი ჩემი**
**თვალცრემლიანი,**
**იყავი მისთვის სამუდამო სასო, ნუგეში...**
**უფალო ღმერთო,**
**ამიხდინე ოცნება ჩემი.**

შეისმინე „ლოცვა“ და აუსრულე ანას ნატვრა, უფალო!

**ზუგდიდი – გორი**

რევაზ სირაძე

# „ადამიანური, ერთობ ადამიანური“

ფილოსოფიის ინსტიტუტმა გამოსცა კარგი კრებული – „ნიცშე საქართველოში“ (2007 წ.), მიძღვნილი თამაზ ბუაჩიძისადმი. საამისო იდეა და მისი ორგანიზება ეკუთვნის ახალგაზრდა ფილოსოფოსს თენგიზ ირემაძეს (რომელსაც თვითონვე აქვს საინტერესო წიგნი – „ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. ტექსტი და კონტექსტი. 2006; და ასევე მნიშვნელოვანია მისივე სტატიები ამ კრებულში).

კრებულის პროფესიული შეფასება ფილოსოფოსთა საქმეა, თუმცა ისიც ცხადია, რომ თამაზ ბუაჩიძის ფილოსოფია ყურადსაღებია ლიტერატორთათვისაც; და ეს ითქმის არა მხოლოდ გალაკტიონისადმი ან „ვანდეგილისადმი“ მიძღვნილ ნარკვევებზე, არამედ მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მის ნაშრომზედაც.

თამაზ ბუაჩიძის ნააზრევი ხშირად სცილდება ზედმეტად ფორმალიზებულ ცნებათმეტყველებას და მიესწრაფის იმ სიღრმეებს, რაც „სულითა ხოლო საცნაურია“, როცა „განიწმინდება ხილვა და სმენა“ (ილია).

თეიმურაზ მთიბელაშვილი იხსენებს: „ერთ-ერთ ჩვეულებრივ, „არაფორმალურ“ ფილოსოფიურ საუბარში – რომლის სული და გული, როგორც წესი, თ. ბუაჩიძე იყო – მან დიდი მოწონებით ისაუბრა ერთ-ერთი რუსი პოეტის ლექსზე, რომელშიც ეს პოეტი „აღწერდა“ ღვთის ძიების საკუთარ თავგადასავალს: იმას, თუ როგორ იხილა ზეცაში და ჰორიზონტს მიღმა ხანგრძლივი და უნაყოფო ძიების შემდეგ, უეცრად, თავისთვისაც მოულოდნელად, სრულიად ჩვეულებრივი ხის, ასევე ჩვეულებრივი ფოთლების შრიალში იგი (ღმერთი) – რეალური (მიწიერი), ცოცხალი“ (კრ., 2001).

ასეთ ცნობიერებაში ერთმანეთს კვეთს-ხოლმე პოეტური ხილვა და ფილოსოფიური წიაღსვლა, რასაც აღნიშნავდნენ, განსაკუთრებით, ჯერ ნიცშე და მერე – ჰაიდეგერი (და, ალბათ, ეს იასპერსის „შიფრების“ თეორიაშიცაა), როცა რაიმე თავისთავს ჰგავს, ე. ი. ოპტიმალურად უახლოვდება თავისთავს, ესაა ღვთაებრივი რამ; ესაა ყოფიერების ესთეტიკური ღირსება, როგორც მიაჩნდა ნიცშეს. თანაც, ეს არის სიკეთის ხედვა, უშუალოდ ხედვა, როგორც გოეთე ხედავდა-ხოლმე. თვით ასეთი ხედვაა სიკეთე.

ასეთი თვალთახედვა საფუძველსა ქმნის ერთმანეთს უახლოვდებოდეს ფილოსოფოსი და ლიტერატორი (ესთეტიკოსი). რევაზ თვარაძე წერდა: „მე ჩემდათავად დიდი შრომა გავწიე, რათა მიმხვდარიყავი, თუ რა არის დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულება. ბოლოს იმ აღმოჩენამდე მივედი, რომ დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულება არის დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულება. შევეცდები ავხსნა ეს პარადოქსი... როდესაც ამა თუ იმ ადამიანის წინაშე მშვენიერი მწვანე ხე შრიალებს, ის ადამიანი დარწმუნებულია, რომ მის წინაშე მშვენიერი მწვანე ხე შრიალებს... როდესაც მე ესა თუ ის ნაწარმოები მომწონს, მხიბლავს, მიყვარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩემთვის აქვს დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულება“ („სჯანი“, 2001, II, 4-5).

ნიცშეს ერთხელ, შვეიცარიის ერთი სოფლიდან მიმავალს, გზად რომ ისვენებდა და ხედავდა პირამიდისებურ კლდეს, გონებრივ გასხივოსნებაში სწვევია იდეა „მარადიული უკუმიბრუნებისა“ (გალაკტიონის გარდათქმით, „რომ ყოველივე მიმდინარეობს, და ამავე დროს დგას ყოველივე“) (ნიცშე, თურმე, ამ იდეას ჩურჩულით იმეორებდა ხოლმე).

„ხილვა და რწმენა“ თ. ბუაჩიძის ნააზრევსა და მისსავე პიროვნებას წარმართავს იქითკენ, რასაც, ნიცშეს კვალობაზე, ვუწოდეთ „ადამიანური, ერთობ ადამიანური“. თ. ბუაჩიძე „კარგად გრძნობდა სიტყვის მაგიურ ძალას, რომელსაც სიტყვის ბიბლიური გაგება შეიძლება ეწოდოს“ (რ. კვარაცხელია, კრ., 173).

თ. ბუაჩიძე „იმედოვნებდა ორიგინალური ფილოსოფიური სისტემის შექმნას... თამაზი მკითხველს ანდობს ამ სისტემის სახელმძღვანელო პრინციპს: „პირადად მე რომ მკითხონ, ფილოსოფიის კურსს ასე ავაგებდი: განხილვის ცენტრში მოვათავსებდი ყველასთვის საინტერესო საკითხს. ადამიანის პრობლემას“ (გ. ხეოშვილის საუბარი გ. თევზაძესთან, კრ., 164).

ამ კრებულმა მრავალმხრივ წარმოაჩინა, თუ როგორი დიდი გავრცელება ჰქონდა და აქვს ნიცშეს ფილოსოფიას საქართველოში. ამისი არსობრივი გააზრება მოცემულია თენგიზ ირემაძის ნარკვევში – „ნიცშეს გაგების ძირები საქართველოში“ (კრ. 12-23). (ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ვრცელი თავი წიგნიდან: ე. ელიზბარაშვილი, ნიცშე, „ფილოსოფიის კულისები“ და სიმულაციები“, 2005). აქვე ყურადსაღებია დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას „ნიცშეს ნაშრომთა ქართველი მთარგმნელები და თარგმანები“. ფრიად მდიდარია ქართული ნიცშელოგია და ამ ფონზე მოულოდნელად მწირია თარგმანებით. სრულიად განსაკუთრებულია „ზარატუსტრას“ ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანი, რომელიც 1988-89 წწ. ნ. ჭავჭავაძის თაოსნობით გამოქვეყნდა „მაცნეში“ და მერე (1993 წ.) წიგნადაც გამოიცა. მას დაერთო თ. ბუაჩიძის მნიშვნელოვანი განმარტებანი.

ერეკლე ტატიშვილისათვის ნიცშეს „ყოველი აზრი პერსონაჟია, რომელიც ლანდის სახით კვლავ იზიდავს მას მომხიბლავი მაცდურებით შემეცნების წარმტაც, მაგრამ სახიფათო მწვერვალებისაკენ... ნიცშე უკიდურესობის ჯადოქარია, ახალი სიტყვის მაუწყებელი. მასში ბრძენი, მეცნიერი და მსახიობი ერთმანეთს გამარჯვებას ეცილებიან“. ეს ნათქვამია დაახლოებით 1920-იან წლებში და ასეთი გაგება ასახულია ნიცშეს „ზარატუსტრას“ ე. ტატიშვილისეული თარგმანის ენობრივ მსოფლხედვაში.

ე. ტატიშვილის მიერ ყურადღებული – „აზრი როგორც პერსონაჟი“, ალბათ, უფრო მეტია, ვიდრე ე. წ. „პერსონიფიცირებული იდეა“. ეს ჩანს ჟილ დელიოზის წიგნიდანაც – „ნიცშე“ (1965 წ. ამისი რუსული თარგმანი 1997 წელს გამოქვეყნდა). თ. ბუაჩიძისთვისაც ფილოსოფია, მეტადრე, „სიცოცხლის ფილოსოფია“, ვითარცა „იდეათა დრამა“, გულისხმობს შინაგან წინააღმდეგობას, სასურველსა და

საჭირო წინააღმდეგობას, რომელიც ქმნის საფუძველს, არჩევითობისათვის. ესაა „ადამიანური, ერთობ ადამიანური" რამ, რომელიც სჭარბობს ნებისმიერ ფილოსოფიურ სისტემას. „ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრებისა, მასში გათქვეფილი, საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანისა, მდორე უშფოთველი არსებობისა, „პანია" ბედნიერებისა და „პანია" კეთილდღეობისა", – წერდა თ. ბუაჩიძე (გვ. 245).




ნიშანდობლივია, რომ ნიცშესადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქართული მწერლობა, რაც განხილულია თ. ირემაძის, ს. სიგუას, დ. დალაქიშვილის სტატიებში (დ. დალაქიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „ნიცშეს ფილოსოფიითაცააო შთაგონებული ნ. სამადაშვილის პოეზია". გვ. 43. ნიცშეს წარმოჩენას ე. ტატიშვილისადმი მიძღვნილ ლექსებში აღნიშნავს რ. ნიშნიანიძეც. არსებობს ასეთი ცნობაც: 1987 წელს ერთ გამოსვლაში „ზვიად გამსახურდიამ ნიკოს შემოქმედება ნიცშეს ლექსებს შეადარაო". – მზია სამადაშვილი). ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი იყო კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის და გ. ქიქოძის მხატვრული ნაწარმოებები და ესეები. ყოველივე ამას უნდა დაემატოს გალაკტიონის მიმართება ნიცშესადმი, რაც საინტერესოდაა წარმოჩენილი ვენერა კავთიაშვილის ნარკვევებში („ლიტერატურული ძიებანი", XXIV, 2003 და „გალაკტიონოლოგია", II, 2004).

აქვე მოვიხმობთ ჩვენს მიერვე ადრეაღნიშნულიდან შემდეგს:

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ჩანს კულტურული სუბიექტის თვითუარყოფა, თვითდაძლევა, ნიცშეს მიხედვითაც ხომ – ადამიანი არის ის, რაც უნდა დაიძლიოსო (ე. ი. უნდა ამაღლდესო). ნიცშე ამბობს: „ჩემი უძლიერესი თვისებააო თვითდაძლევა". თვითგვემა, თვითუარყოფა, თუ „თვითგადალახვა", ნიცშესთან ერთობ მძლავრობდა. ეს მიდის-ხოლმე თითქმის სალოსობამდე. ნ. სამადაშვილთანაც გვხვდება „პოეტური სალოსობის" მაგვარი რამ, ხან მაშინ, როცა ფიქრობს საკუთარი განკითხვის დღეზე ან თავის ორეულზე: „მე ვნახე ორეული, ოდნავ გადარეული" („ყველიერის შაირი") ან როცა ლექსში („უკულმართობა") „ზეკაციც" გამოჩნდება და „საყდრის გლახა", ან კიდევ, როცა „გიჟი ღმერთები დასევიან საწყალ ბეთჰოვენს" („კარების გაჯახუნება").

არის კიდევ ერთი ფრიად რთული საკითხი, გასააზრებელი თ. ბუაჩიძის და სხვა უცხოელ თუ ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომების გათვალისწინებით. ესაა ნიცშეს მიმართება ქრისტიანობასთან. ადრე, თვით ჰაიდეგერის ჩათვლითაც-კი, მიიჩნეოდა, რომ ნიცშე იყო პირწმინდად ანტიქრისტე. ირკვევა, რომ ეს არაა სულმთლად ასე. ნიცშე დაცემულ ადამიანში ხედავს ანტიქრისტეს და ეს გადააქვს თავისთავზე (როგორც დაცემული ცნობიერების მატარებელ სუბიექტზე, რომლის განსახიერებადაც მიიჩნევს თავის თავს). თანაც, ეს არ ხდება ოდენ გაუბრალოებით ცნობილი პრინციპისა – „ვინაც დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდესო". აქ შემოდის სალოსობისმაგვარი რამ, რამდენადაც არსებობს „ნებაყოფლობითი სალოსობა" (Алексей Кузнецов. Юродство и столиничество, 2000, с. 90, 150), სალოსობა, როგორც თვითუარყოფა, როგორც უარყოფა ამქვეყნიური სიბრძნის ამაოებისა; და ამისი ირონიზირებაც-კი ხდება. პოეტური სალოსობაც დამდაბლებაა ამქვეყნიური სიბრძნისა და არა ქრისტიანობის უარყოფა. ასე შეემსგავსება-ხოლმე ნ. სამადაშვილი „ნიცშეანურ სალოსობას".

ნიშანდობლივია ისიც, რომ ნიცშეს ხშირად ეხმიანებოდა ქართველ ავტორთა არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებები, არამედ ფილოსოფიურ-ესთეტიკური თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური ნაშრომები, რაც კარგად ჩანს ამ კრებულიდანაც (კერძოდ, თ. ირემაძის, რ. გორდეზიანის, გ. ბარამიძის, გ. ხეოშვილის, დ. დანელიას, ი. წერეთლის, ნ. კვარაცხელიას, ი. კალანდიას, მ. ბიჭიაშვილის, ე. ბარათელის და თ. მთიბელაშვილის სტატიები). სხვაგანაც ჩანს მსგავსი თვალსაზრისი, რომელსაც გ. ხეოშვილი ასე აყალიბებს: „ნიცშეს ფილოსოფიის ათვისების მხრივ დღეისათვის ჩვენში არსებული მდგომარეობის აღსაწერად ყველაზე უკეთ ლიტერატურული ჰერმენევტიკა შეიძლება გამოდგეს" (129). ამიტომაც ყურადღებულია, ე. ელიზბარაშვილის წიგნი, სადაც ავტორი ნიცშეს ფილოფოსიის პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაციის პოპულარიზაციას ცდილობს" (კრ. 131).

ასევე ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც საინტერესოა ზ. კაკაბაძისადმი მიძღვნილი სტატია გ. ბარამიძისა და ეკატერინე ნაცვლიშვილისა, რომელიც განიხილავს ა. პოპიაშვილის მიერ ნიცშეს ფილოსოფიის კვლევას.

თ. ბუაჩიძის ფილოსოფიის გასააზრებლად სასურველ კონტექსტსა ქმნის გ. ბარამიძისა და ლ. მჭედლიშვილის სტატიები.

რ. გორდეზიანი სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს ირაციონალობის კატეგორიაზე კ. კაპანელის ორგანოტროპიზმში. აქ შეიძლება დავინახოთ, რომ ირაციონალური არაა მისტიკა, ირაციონალური ზოგჯერ კიდევაც ჩანს, შეიძლება მისი ხილვა, მაგრამ არა წვდომა. სწორედ ასეთია იდუმალების ესთეტიკა.

ირაციონალურობას ნიცშეს ფილოსოფიაში პოეტური ტიპის ცნობიერება შეაქვს, რაც მას ტრადიციული პანლოგიზმიდან განარიდებს და „სიცოცხლის ფილოსოფიას" თავისუფლებას ანიჭებს, ანიჭებს სილაღეს.

ამ თვალსაზრისით, ნიცშეს „სიცოცხლის ფილოსოფიაზე" შეიძლება ითქვას, რომ ესაა „სიბრძნე მალალობელი", ვახტანგ VI-ის მიერ გალექსილი ერასტი თურქესტანიშვილის თარგმანის, ალბათ, თვით ვახტანგისეული სახელდების კვალობაზე. ესაა სოკრატეს აპოფთეგმატური

(აფორისტული) კრებული. საბოლოოდ, ეს ფილოსოფოსთა გადასაწყვეტია, მაგრამ, ჩვენდათავად, ვფიქრობთ, რომ ნიცშეს ნაწარმოებს, რომლის სათაურად რუსულ თარგმანშია – „Весёлая наука", აჯობებდა „სიბრძნე მალაღობელი". ნიცშეს ნაწარმოები ლექსად დაწერილი აფორიზმებია. დედანში ჰქვია – „Die Froehliche Wissenschaft". მგონი, ამ პოეტური ნაწარმოების სახელდებისას – wissenschaft-ის სემანტიკაში შედის „სიბრძნე" და არა „მეცნიერება", როგორც ეს რუსულ თარგმანშია. თანაც, ნიცშე, თურმე ამ თავისი ნაწარმოების სახელდებისას ითვალისწინებდა პროვანსალურ – „La gaya scienza"-ს, რომელიც აერთიანებდა. „მომღერალს, რაინდს და თავისუფალ მოაზროვნეს" (კ. ა. სვასიანის შენიშვნა).

ასე რომ, „სიბრძნე მალაღობელი" გულისხმობს ღრმა ფილოსოფიურ სიბრძნეს, რომელსაც სილაღეს ანიჭებს თავისუფლება („სილაღე") აზროვნებისა. და ეს შეიძლება ითქვას თამაზ ბუაჩიძის ნააზრევზედაც.

აღნიშნულ კრებულს მსჭვალავს სიკეთე, ყადრი თამაზ ბუაჩიძისეული მაღალი ღირსებით აღბეჭდილი უბრალოებისა, რაც არის „ადამიანური, ერთობ ადამიანური".

## ახალი თარგმანები

ჯოზეფ ჰელერი 1923 წლის 1 მაისს ნიუ-იორკში რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელების ოჯახში დაიბადა. 1941 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ საჰაერო ძალებში ჩაეწერა. მისი საბრძოლო დანაყოფი იტალიაში, კორსიკაზე იყო განთავსებული. როგორც ბომბარდირმა, ჰელერმა სამოცი მისია შეასრულა. სამხედრო სამსახურის შემდეგ უნივერსიტეტში ჩააბარა, 1949 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი მიიღო, სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ პენსილვანიისა და იელის უნივესიტეტებში კითხულობდა ლექციებს.

პირველი მოთხრობები სტუდენტობის დროს დაწერა, ორმოცდაათიან წლებში დაიწყო მუშაობა „შესწორება-22"ზე, რომანი 1961 წელს გამოქვეყნდა, განსაკუთრებით აქტუალური კი ვიეტნამის ომის დროს გახდა. სტუდენტები, რომლებიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, უნივერსიტეტების კამპუსზე სამხედრო ტანსაცმლით დადიოდნენ, რომელსაც სამკერდეზე რომანის მთავარი გმირის იოსარიანის სახელი ეწერა. ჰელერი თვითონ გამოდიოდა უნივერსიტეტებში ვიეტნამის ომის წინააღმდეგ.

რომანში კაპიტანი იოსარიანი ცდილობს სიგიჟე მოიმიზეზოს და თავი აარიდოს ომში მონაწილეობას, აქ აწყდება წინააღმდეგობას, შეშლილს შეუძლია ჯარიდან დაეთხოვოს, მაგრამ ასეთი ცნობა მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია მოითხოვოს. „შესწორება-22" ჰელერის რომანის შემდეგ ლექსიკონში შევიდა და აბსურდული, გამოუვალი სიტუაციის სინონიმად იქცა.

მომდევნო რომანი „რაღაც მოხდა" მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ შექმნა. ასევე დაწერა რომანები „ოქროსავით კარგი", „ღმერთივით", შექმნა რამდენიმე პიესა და კინოსცენარი, თუმცა არცერთ ნაწარმოებს არ მიუღწევია ისეთი წარმატებისთვის როგორც „შესწორება-22"-ს. გარდაიცვალა 1999 წელს.

ჯოზეფ ჰელერი

# ტეხასელი

*

### რომანიდან „შესწორება-22"

ერთი ნახვით შეუყვარდა.

იოსარიანს ერთი ნახვით სიგიჟემდე შეუყვარდა მღვდელი.

საავადმყოფოში ღვიძლის ტკივილის გამო იწვა, მაგრამ სიყვითლე არ ჰქონდა. ექიმებს ეს აკვირვებდათ. ასე რომ ყოფილიყო, მკურნალობას დანიშნავდნენ. ტკივილი რომ გამქრალიყო, საავადმყოფოდან გაწერდნენ. ის ფაქტი, სიყვითლე რომ არ ჰქონდა, აბნევდათ.

ყოველ დილით სამი სერიოზული და საქმიანი კაცი, კომპეტენტური სახითა და არაკომპეტენტური თვალებით, შემოვლაზე დადიოდა; თან მკაცრი და სერიოზული ექთანი დაკეტი ახლდათ – საავადმყოფოს ერთ-ერთი ექთანი, რომელსაც იოსარიანი არ უყვარდა. ამოწმებდნენ საწოლთან გამოკრულ დაფას და ტკივილის შესახებ მოკლე შეკითხვებს უსვამდნენ. ღიზიანდებოდნენ, როდესაც პასუხად იღებდნენ, ყველაფერი ძველებურადააო.

– არანაირი ცვლილება? – იკითხა მსუქანმა პოლკოვნიკმა მომთხოვნი ხმით. ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს, როცა პაციენტმა თავი გაიქნია.



– მიეცით წამალი. – ექიმმა დაკეტს ანიშნა, რომ იოსარიანისთვის კიდევ ერთი აბი მიეცათ.

შემდეგ ოთხივემ მომდევნო საწოლთან გადაინაცვლა. არცერთ ექთანს არ უყვარდა იოსარიანი. აი, რა ხანია, ტკივილი აღარ აწუხებდა, მაგრამ არაფერი უთქვამს და ექიმებსაც ეჭვი არ შეპარვიათ.

საავადმყოფოში იოსარიანს ყველაფერი ჰქონდა, რასაც მოისურვებდა. საჭმელი არც ისე ცუდი იყო, თანაც საწოლში მიჰქონდათ. ზოგჯერ ახალ ხორცს დამატებით აძლევდნენ. შუადღეს, როცა ძალიან ცხელოდა, მას და სხვა პაციენტებს ხილის ცივ წვენს ან გაყინულ შოკოლადის რძეს ასმევდნენ. ექთნებისა და ექიმების გარდა, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ანუხებდა. დილით, ცოტა ხანს, წერილების შემოწმებით იყო დაკავებული, შემდეგ შეეძლო მთელი დღე უსაქმურად წოლილიყო სუფთა სინდისით. საავადმყოფოში თავს კომფორტულად გრძნობდა, თანაც თავისუფლად შეეძლო იქ დარჩენილიყო, რადგან სიცხე ყოველთვის 101 ჰქონდა. თავს უფრო კომფორტულად გრძნობდა, ვიდრე დანბარი, რომელიც იძულებული იყო დროდადრო სახით დაცემულიყო, რათა მისთვის სადილი საწოლში მიეტანათ.

მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა დარჩენილი ომი საავადმყოფოში გაეტარებინა, ყველას, ვისაც იცნობდა, წერილი მისწერა, სადაც ატყობინებდა, რომ საავადმყოფოში იწვა, მაგრამ არ ამბობდა – რატომ. ერთ დღეს უკეთესი იდეა ენვია, ყველას მისწერა, რომ ძალიან სახიფათო მისიის შესასრულებლად აგზავნიდნენ: „მოხალისეები სჭირდებათ. ძალიან სახიფათოა, მაგრამ ვიღაცამ უნდა იტვირთოს. როგორც კი დავბრუნდები, მოგწერთ." ამის შემდეგ აღარავისთვის მიუწერია.

საავადმყოფოში ყველა ოფიცერი იძულებული იყო შეემოწმებინდა წერილები, რომლებსაც იმავე საავადმყოფოში მყოფი ჯარისკაცები წერდნენ. ეს საქმიანობა საკმაოდ მონოტონური იყო. იოსარიანი უსიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა, რომ ჯარისკაცების ცხოვრება ოდნავ თუ იყო ოფიცრების ცხოვრებაზე საინტერესო. პირველივე დღის შემდეგ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. ერთფეროვნების დასარღვევად თამაშები გამოიგონა. ერთ დღეს ბრძოლა გამოუცხადა ყველა მსაზღვრელს – ყველა წერილში, რომელიც ხელში მოხვდა, ზედსართავები ამოშალა. მეორე დღეს არტიკლებს გამოუცხადა ომი. მესამე დღეს მისმა შემოქმედებითმა მიდგომამ მწვერვალს მიაღწია – წერილებიდან ყველაფერი ამოშალა არტიკლების გარდა. მისი აზრით, ეს მეტ დინამიურ დაძაბულობას ქმნიდა ხაზებს შორის და თითოეულ წერილს უნივერსალური შეტყობინების მნიშვნელობას სძენდა. მალე მისალმებისა და ხელმოწერების განადგურებას შეუდგა, ტექსტს ხელუხლებლად ტოვებდა. ერთ-ერთი წერილიდან ყველაფერი ამოშალა გარდა მისალმებისა „ძვირფასო მერი" და ბოლოში მოაწერა „შენკენ მოვილტვი ტრაგიკულად". ტ. თეფმენი, მღვდელი, აშშ არმია. თეფმენი ქვედანაყოფის მღვდელს ერქვა.

როცა წერილებში ყველა შესაძლებლობა ამოწურა, კონვერტებზე წარწერილ სახელებსა და მისამართებს შეუტია, შლიდა სახლების ნომრებსა და ქუჩებს, ერთი ხელის მოსმით აქრობდა უზარმაზარ ქალაქებს.

შესწორება-22 მოითხოვდა, რომ ყველა შემოწმებულ წერილზე შემმოწმებელი ოფიცრის ხელმოწერა ყოფილიყო. წერილების ძირითად ნაწილს საერთოდ არ კითხულობდა, იმ წერილებს, რომლებსაც არ კითხულობდა, საკუთარ სახელს აწერდა. წერილებს, რომლებსაც კითხულობდა, უოშინგტონ ირვინგის სახელით აწერდა ხელს; როცა მობეზრდა – ირვინგ უოშინგტონის.

კონვერტების ცენზურას სერიოზული უსიამოვნება მოყვა და სადღაც, მითიურ სამხედრო ეშელონებში, უკმაყოფილების ტალღა გამოიწვია. საავადმყოფოში სასწრაფოდ აფრინეს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი პაციენტის ამპლუაში. ყველამ იცოდა მისი თანამდებობის შესახებ, რადგან მუდმივად სვამდა შეკითხვებს ვიღაც ოფიცერზე, რომელსაც ირვინგი თუ უოშინგტონი ერქვა, ასევე პირველივე დღეს უარი თქვა წერილების შემოწმებაზე, ეს საქმიანობა ძალიან მონოტონური ეჩვენა.

საავადმყოფო ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო იყო მათ შორის, სადაც მასა და დანბარს ოდესმე დაუსვენიათ. მათთან ერთად ამჯერად 24 წლის მფრინავი კაპიტანი იმყოფებოდა, ოქროსფერი, შეთხელებული ულვაშით. კაპიტანი შუა ზამთარში ადრიატიკის ზღვაში ჩამოაგდეს და არც კი გაციებულა. ახლა ზაფხული იდგა, კაპიტანი არავის ჩამოუგდია და მაინც ამტკიცებდა, გაციებული ვარო.

იოსარიანის მარჯვენა მხარეს მუცელზე საყვარლად იწვა გაოცებული კაპიტანი, სისხლში მალარია ჰქონდა და საჯდომზე – მოსკიტის ნაკბენი. გასასვლელის მეორე მხარეს დანბარი იწვა, დანბარის გვერდით კი – არტილერიის კაპიტანი, რომელსაც იოსარიანი ჭადრაკს აღარ ეთამაშებოდა. კაპიტანი კარგი მოთამაშე იყო, თამაში კი ყოველთვის საინტერესო. იოსარიანი აღარ ეთამაშებოდა, რადგანაც თამაში ისეთი საინტერესო იყო, სისულელემდე მიდიოდა. იქვე ლოგინზე განათლებული ტეხასელი იწვა, რომელიც რომელიღაც ფერადი ფილმის გმირსა ჰგავდა და, როგორც პატრიოტი, თვლიდა, რომ შეძლებულ ხალხს მეტი საარჩევნო ხმა უნდა ჰქონოდა, ვიდრე მაწანწალებს, მეძავებს, კრიმინალებს, დეგენერატებს, ათეისტებსა და უგვანო ადამიანებს, ანუ ადამიანებს, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ.

იმ დღეს, როცა ტეხასელი შემოიყვანეს, იოსარიანი წერილებში რითმებს ეძებდა. ეს ერთ მშვიდ, ცხელ, უშფოთველ დღეს მოხდა. სიცხე სახურავს აჭერდა, სულისშემხუთველი სიჩუმე იდგა. დანბარი გაუნძრევლად იწვა ზურგზე და ჭერს უმოძრაო თვალებით უყურებდა. იგი მთელი ძალით ცდილობდა სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა, ამას მოწყენილობის განსაკუთრებული გამძაფრებით ახერხებდა. დანბარი ისე ცდილობდა საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას, რომ იოსარიანს მკვდარი ეგონა. ტეხასელი შუა პალატაში დააწვინეს, ძალიან მალე მოსაზრებების გამოთქმა დაიწყო.

დანბარი წამოჯდა.

– ეს სწორედ ის არის, – დაიყვირა აღელვებულმა, – რაღაც ყოველთვის აკლდა, ყოველთვის ვგრძნობდი რაღაცის ნაკლებობას, ახლა ვხვდები, – მუშტი მეორე გაშლილ ხელზე დაირტყა, – პატრიოტიზმი! – განაცხადა.

– მართალი ხარ, – ყვირილითვე უპასუხა იოსარიანმა, – მართალი ხარ, მართალი. ჰოთ დოგი, ბრუკლინის დოჯერები, დედის გამომცხვარი ვაშლის ნამცხვარი. ყველა იბრძვის ამისთვის, მაგრამ ვინ იბრძვის წესიერი ადამიანებისთვის? ვინ იბრძვის იმისათვის, რომ წესიერ ადამიანებს მეტი ხმა ჰქონდეთ? პატრიოტიზმი გაქრა, სწორედ ესაა საქმე და პატრიოტიზმიც.

ამ ყველაფერს იოსარიანს გვერდით მწოლიარე ოფიცერზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია: ყველა ფეხებზე მკიდია, – თქვა მან დაღლილი ხმით და გვერდზე გადაბრუნდა დასაძინებლად.

ტეხასელი კარგი ხასიათის, გულუხვი და სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა. სამი დღის შემდეგ ვერავინ იტანდა.

მას თეთრი ჯარისკაცის გარდა ყველა გაურბოდა, თეთრ ჯარისკაცს კი არჩევანი არ გააჩნდა. თავიდან ფე-

ხებამდე თაბაშირსა და სახვევებში იყო გახვეული. ორი უსარგებლო ხელი და ორი უსარგებლო ფეხი ჰქონდა. პალატაში ღამით შეიყვანეს, არავინ იცოდა მისი არსებობის შესახებ. ვიდრე დილით გაღვიძებულები ორ უცნაურ, ჰაერში გაშეშებულ ფეხს დაინახავდნენ და ორ უცნაურ პერპენდიკულარულად დაკიდებულ ხელს. ოთხივე კიდური საწონების სიმძიმით იყო გაწონასწორებული, არც ერთი არ მოძრაობდა. სახვევით შეფუთულ ორ იდაყვს შორის ხვრელი იყო გაკეთებული, რომელშიც სუფთა ქურქლიდან სითხე შედიოდა. ორგანიზმიდან გამომავალი ნარჩენები ნაწლავებიდან საგანგებო მილით იატაკზე მოთავსებულ სუფთა ქურქელში ჩადიოდა. როცა ორივე ქურქელი შეივსებოდა, ცვლიდნენ და მასა ისევ მის ორგანიზმში ჩადიოდა. ერთადერთი, რასაც დანარჩენი პაციენტები ხედავდნენ, შავი ხვრელი იყო იმ ადგილას, სადაც, სავარაუდოდ, პირი უნდა ყოფილიყო.

თეთრი ჯარისკაცი ტეხასელის გვერდით დააწვინეს. ტეხასელი საკუთარ ლოგინზე მის მხარეს იჯდა და მთელი დილა, შუადღე და საღამო სასიამოვნო, თანაგრძნობის გამომხატველი ხმით მშვიდად ელაპარაკებოდა. სულაც არ ეუხერხულებოდა, რომ პასუხს ვერ იღებდა.

პალატაში პაციენტებს სიცხეს დღეში ორჯერ უზომავდნენ – დილით ადრე და ნაშუადღევს. ექთანი კრამერი თერმომეტრებით სავსე თასით შემოდიოდა და ჯერ ერთ მხარეს განლაგებულ პაციენტებს ჩამოუვლიდა და თერმომეტრს მიაწოდებდა, შემდეგ – მეორე მხარეს. თეთრი ჯარისკაცისათვის სიცხის გაზომვას პირის ადგილას არსებულ ხვრელში თერმომეტრის ჩადებით ახერხებდა. შემდეგ პირველ საწოლზე მწოლიარე ავადმყოფთან მიდიოდა, თერმომეტრს უკან ართმევდა და მის ტემპერატურას იწერდა, შემდეგ მომდევნო საწოლთან ინაცვლებდა და ასე აგრძელებდა გზას პალატის ბოლომდე. ერთხელ, ნაშუადღევს, როცა პირველ წრე დაასრულა და მეორედ მიუახლოვდა თეთრ ჯარისკაცს, თერმომეტრი შეამოწმა და მიხვდა, რომ თეთრი ჯარისკაცი მკვდარი იყო.

– მკვლელო, –თქვა დანბარმა ჩუმად.

ტეხასელმა ახედა, სახეზე გაოცებული ღიმილი ჰქონდა.

–მკვლელო, –თქვა იოსარიანმა

– რაზე ლაპარაკობთ? –ნერვიულად იკითხა ტეხასელმა.

– შენ მოკალი, – თქვა დანბარმა.

– შენ მოკალი, – თქვა იოსარიანმა.

ტეხასელმა უკან დაიწია:

– თქვენ ორივე გიჟები ხართ, არც კი შევხებივარ.

– შენ მოკალი, – თქვა დანბარმა.

– მე გავიგონე, როგორ მოკალი, –თქვა იოსარიანმა.

– მოკალი იმიტომ, რომ ზანგი იყო, – დანბარმა თქვა.

– ორთავე გიჟები ხართ! –ტეხასელმა ყვირილი დაიწყო, – აქ ზანგებს არ უშვებენ, მათთვის ცალკე პალატაა.

– სერჟანტმა შემოაპარა, – თქვა დანბარმა.

–კომუნისტმა სერჟანტმა, – თქვა იოსარიანმა, – შენ კი ეს იცოდი.

თეთრ ჯარისკაცთან დაკავშირებულ ინციდენტს ოფიცერზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მასზე არაფერი არ ახდენდა შთაბეჭდილებას. საერთოდაც, ხმას მხოლოდ უკმაყოფილების გამოსახატავად თუ იღებდა.

ერთი დღით ადრე, ვიდრე იოსარიანი მღვდელს შეხვდებოდა, სასადილო დარბაზში ღუმელი აფეთქდა და სამზარეულოს ერთ მხარეს ცეცხლი გაჩნდა. ძლიერი სიცხის ტალღა წამოვიდა. იოსარიანის პალატაში სამასი მეტრის მოშორებითაც კი იგრძნობოდა ხანძარი და ცეცხლმოკიდებული ხის ტკაცუნი ისმოდა. ბოლი სტაფილოსფრად შეღებილ ფანჯრებშიც გავიდა. თხუთმეტ წუთში ცეცხლთან საბრძოლველად მოვარდნენ ავარიული სატვირთო მანქანები. დაახლოებით ნახევარი საათი გიჟურ ბრძოლაში გავიდა, შემდეგ მეხანძრეებმა ცეცხლის შესუსტება შეძლეს.

სწორედ ამ დროს საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებული ბომბდამშენი თვითმფრინავების მონოტონური გუგუნი მოისმა, მეხანძრეები იძულებული გახდნენ, შლანგები აეკრიფათ და მინდორზე დაბრუნებულიყვნენ იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე თვითმფრინავი ჩამოვარდებოდა და ცეცხლი მოეკიდებოდა. თვითმფრინავები უსაფრთხოდ დაეშვნენ. როგორც კი უკანასკნელი თვითმფრინავი დაჯდა, მეხანძრეებმა მანქანები შემოაბრუნეს და ცეცხლთან საბრძოლველად საავადმყოფოში დაბრუნდნენ. როცა საავადმყოფოსთან მივიდნენ, ხანძარი ჩამქრალი დახვდათ. ცეცხლი თვითონ ჩაქრა ისე, რომ მბჟუტავი კერაც კი არ დარჩენილა სადმე, რათა მეხანძრეებს წყალი მიესხათ. გულდაწყვეტილ მეხანძრეებს ნელ-თბილი ყავის დალევისა და მედდების შებმის მეტი საქმე აღარ დარჩათ.

მღვდელი ხანძრის მეორე დღეს ჩამოვიდა. იოსარიანი წერილებიდან სიტყვების ამოშლით იყო დაკავებული, ამჯერად სასიყვარულო სიტყვების გარდა ყველა სიტყვას შლიდა, მღვდელი საწოლებს შორის სკამზე დაჯდა და ჰკითხა, თავს როგორ გრძნობო. იოსარიანისკენ ნახევრად შემობრუნებული იჯდა ისე, რომ იოსარიანი მხოლოდ მის კაპიტნის სამხრეებს ხედავდა. იოსარიანს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ეს კაცი და გადაწყვიტა, მორიგი ექიმი ან მორიგი შეშლილი იქნებაო.

–გმადლობთ, საკმაოდ კარგად, –უპასუხა, –მხოლოდ ღვიძლის მცირე ტკივილი მაწუხებს, ამით განვსხვავდები სხვებისგან ალბათ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ.

–ეს კარგია, –თქვა მღვდელმა.

–დიახ, –თქვა იოსარიანმა, –ეს კარგია.

–უფრო ადრე მინდოდა მოსვლა, –თქვა მღვდელმა, – მაგრამ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი.

–ცუდია, –თქვა იოსარიანმა.

–უბრალოდ თავი გამიცივდა, –სასწრაფოდ დასძინა მღვდელმა.

–100 და ერთი გრადუსი მაქვს სიცხე, –ასევე სასწრაფოდ დასძინა იოსარიანმა.

–ძალიან ცუდია, –თქვა მღვდელმა.

–დიახ, ძალიან ცუდია, –დაეთანხმა იოსარიანი.

მღვდელი შეწუხდა:

– შემიძლია თქვენთვის რამე ვილონო? –იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

–არა, არა, –იოსარიანმა ამოიოხრა, – ექიმები ყველაფერს აკეთებენ რაც შესაძლებელია... ალბათ.

– არა, – მღვდელი ოდნავ წამოწითლდა, – არა, მე სხვა

რამე ვიგულისხმე, მაგალითად, სიგარეტი, წიგნები ან სათამაშოები.

– არა, გმადლობთ, – თქვა იოსარიანმა, – ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება, ყველაფერი, ჯანმრთელობის გარდა.

– სამწუხაროა.

– დიახ, სამწუხაროა, –თქვა იოსარიანმა.

მღვდელი ისევ შეიშმუშნა. აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე ჭერს შეხედა, ძირს დაიხედა. ღრმად ჩაისუნთქა.

– ლეიტენანტმა ნათალიმ მოკითხვა შემოგითვალათ, – თქვა ბოლოს.

იოსარიანს არ ესიამოვნა საერთო მეგობრის აღმოჩენა. ეს ნიშნავდა, რომ მათ საუბარს გარკვეული წინაპირობა ჰქონდა.

–ლეიტენანტს იცნობთ? – იკითხა შეწუხებულმა.

– დიახ, ლეიტენანტ ნათალის კარგად ვიცნობ.

– ცოტა შეშლილია, არა?

მღვდელს ღიმილიანი გამომეტყველება შეეცვალა:

– ვშიშობ, ასე ახლოს არ ვიცნობ.

– შეგიძლიათ მენდოთ, – უთხრა იოსარიანმა, – ნამდვილი სულელია.

ცოტა ხნით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მღვდელმა დაარღვია მოულოდნელი შეკითხვით: თქვენ კაპიტანი იოსარიანი ხართ, ხომ ასეა?

– ნათალიმ ცუდად დაიწყო, ის კარგი ოჯახიდანაა.

– მაპატიეთ, –მღვდელმა მორცხვად შეაწყვეტინა – შეიძლება დიდი შეცდომა მომდის. თქვენ კაპიტანი იოსარიანი ხართ?

– დიახ, – აღიარა იოსარიანმა, – მე კაპიტანი იოსარიანი ვარ.

– 256-ე ქვედანაყოფიდან?

– 256-ე საბრძოლო ქვედანაყოფიდან, –უპასუხა იოსარიანმა, – არ ვიცოდი, სხვა კაპიტანი იოსარიანებიც თუ არსებობდნენ. რამდენადაც ვიცი, ერთადერთი კაპიტანი იოსარიანი ვარ, რომელსაც ვიცნობ. თუმცა, რამდენადაც ვარ საქმის კურსში...

– გასაგებია, –თქვა მღვდელმა უბედური ხმით.

– შემთხვევით, ჩვენი დანაყოფის შესახებ სიმბოლისტური ლექსის დაწერას ხომ არ აპირებთ? – იკითხა იოსარიანმა.

– არა, – ამოღერღა მღვდელმა, –სიმბოლისტური ლექსის დაწერას თქვენი დანაყოფის შესახებ არ ვაპირებ.

იოსარიანი უცებ გასწორდა, როცა სტუმრის მეორე საყელოზე პატარა ვერცხლის ჯვარი შენიშნა. ძალიან განცვიფრებული იყო, მანამდე მღვდელთან არასოდეს ულაპარაკია.

–თქვენ მღვდელი ხართ! – წამოიყვირა ექსტაზში, – არ ვიცოდი, რომ მღვდელი იყავით.

–არ იცოდით, რომ მღვდელი ვიყავი? – მიუგო მღვდელმა.

–არა, არ ვიცოდი – იოსარიანი სტუმარს ფართო, გაოცებული ღიმილით მიაჩერდა, – მღვდელი არასოდეს მინახავს.

მღვდელი ისევ წამოწითლდა და საკუთარ ხელებს დააშტერდა. ჩია კაცი იყო, დაახლოებით ორმოცდაორი წლისა, წაბლისფერი თმითა და მორცხვი თვალებით. სახე ვიწრო და საკმაოდ ფერმკრთალი ჰქონდა, ორივე ლოყა – ნაყვავილარი. იოსარიანს მოუნდა, რომ რამით დახმარებოდა.

– შემიძლია რამე მაინც ვიღონო თქვენთვის? – ჰკითხა მღვდელმა.

იოსარიანმა თავი გაიქნია, სახეზე ისევ ღიმილი აღბეჭდოდა:

– ვწუხვარ, მაგრამ ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება და თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ. სინამდვილეში, ავადაც კი არა ვარ.



მხატვარი გიგა ზაალიშვილი

–ძალიან კარგი; – როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, მაშინვე ინანა, მაგრამ იოსარიანს ხმა არ ამოუღია, მღვდელი იმედგაცრუებული დარჩა. – ჯგუფში სხვა ადამიანებიც არიან, რომლებიც უნდა მოვინახულო, – მოიბოდიშა ბოლოს, – ალბათ ხვალ ისევ გინახულებთ.

– დიახ, თუ შეიძლება, –თქვა იოსარიანმა.

– მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვალ, თუ თქვენ გსურთ, – მღდელმა თავი დახარა, – შევამჩნიე, რომ ადამიანები თავს უხერხულად გრძნობენ ჩემთან.

იოსარიანს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა:

– მინდა, რომ მოხვიდეთ, სულაც არ ვიგრძნობ თავს უხერხულად.

მღვდელმა მადლიერი ღიმილით უპასუხა და პატარა ფურცელს დახედა, რომელსაც მოსვლის წუთიდან ხელში მალავდა. პალატაში საწოლები გადათვალა, რაც მისი ტუჩების მოძრაობიდან ჩანდა. ყურადღება დანბარზე შეაჩერა, თუმცა ყოყმანობდა.

– შეიძლება გკითხოთ? –ჩაიჩურჩულა – ეს ლეიტენანტი დანბარია?

– დიახ, – ხმამაღლა უპასუხა იოსარიანმა, – ეს ლეიტენანტი დანბარია.

– გმადლობთ, – ჩურჩულით თქვა მღვდელმა, – დიდი მადლობა. უნდა ვინახულო. ჯგუფის ყველა წევრი უნდა ვინახულო, ვინც კი ჰოსპიტალში წევს.

– სხვა პალატებში ვინც წევს, ისინიც? – ჰკითხა იოსარიანმა.

– სხვა პალატებში ვინც წევს, ისინიც.

– სხვა პალატებში ფრთხილად იყავით, მამაო, –გააფრთხილა იოსარიანმა, – სხვა პალატებში ფსიქიურად დაავადებულები არიან, ის პალატები სავსეა მთვარეულებით.

– არ არის აუცილებელი „მამაო" დამიძახოთ, –აუხსნა მღვდელმა – მე ანაბაპტისტი ვარ.

– სხვა პალატების შესახებ სერიოზულად გაფრთხილებთ, – განაგრძო იოსარიანმა სერიოზული ხმით, – სამხედრო პოლიცია ვერ დაგიცავთ, ისინი ყველაზე უარესი გიჟები არიან. წამოგყვებოდით, მაგრამ ძალიან მეშინია. სიგიჟე გადამდებია. ეს ერთადერთი პალატაა მთელს ჰოსპიტალში, სადაც გიჟები არ არიან. ჩვენს გარდა ყველა გიჟია. პრინციპში, ამ თვალსაზრისით, ეს ერთადერთი ჯანმრთელი . პალატაა მთელს მსოფლიოში.

### ვოლტერი „ანტიმაკიაველის" შესახებ

პრუსიის მეფე ფრიდრიჰ II-ის თხზულების „ანტიმაკიაველის" შესახებ ვოლტერი ამბობდა, რომ იგი აფურთხებს თეფშში, რათა სხვებს მადა წაართვას.

მღვდელი სწრაფად ადგა და იოსარიანის საწოლს მოშორდა, დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია იოსარიანს და შემრიგებლური ღიმილით შეპირდა, შესაფერისი სიფრთხილით მოვიქცევიო. – ახლა ლეიტენენტი დანბარი უნდა ვინახულო, –ისევ მერყეობდა – როგორ არის ლეიტენეტი დანბარი? – იკითხა ბოლოს.

– ძალიან კარგად, – დაარწმუნა იოსარიანმა – ნამდვილი პრინციპით. ერთ-ერთი საუკეთესო, ყველაზე ნაკლებად თავდადებული ადამიანია მსოფლიოში.

– ეგ არ მიგულისხმია, –ისევ წაიჩურჩულა მღვდელმა, – ძალიან ავადაა?

– არა, არ არის ძალიან ავად, პრინციპში, საერთოდ არ არის ავად.

– ძალიან კარგი, – მღვდელმა შვებით ამოისუნთქა.

– დიახ, –თქვა იოსარიანმა, – ძალიან კარგი.

– მღვდელი, – თქვა დანბარმა, როცა მღვდელმა ინახულა და წავიდა, – დაინახე? მღვდელი იყო.

–კაი ტიპი იყო, არა? – თქვა იოსარიანმა, – მას ალბათ სამი ხმა უნდა მისცენ.

– ვინ უნდა მისცეს? – დანბარი დაეჭვებული ჩაეკითხა.

პალატის ბოლოს, პატარა კერძო განყოფილებაში, მწვანე გამყოფი ფარდის უკან, შუა ხნის პატივცემული პოლკოვნიკი იწვა, რომელთანაც ყოველდღე მოდიოდა სასიამოვნო გარეგნობის, ნაზი, ქერა, თმაში ჭაღარაშერეული, ხვეულთმიანი ქალი. ქალი არც მედდა იყო, არც ქალთა საბრძოლო ქვედანაყოფის წარმომადგენელი და არც წითელი ჯვრისა. მიუხედავად ამისა, ყოველდღე, შუადღეს, ერთგულად მოდიოდა პიანოზას ჰოსპიტალში, უცვლელად ლამაზი საზაფხულო ღია ფერის კაბები ეცვა და ლამაზი თეთრი ტყავის ქუსლიანი ფეხსაცმელი, ნაკერები ყოველთვის იდეალურად სწორი ჰქონდა. პოლკოვნიკი კომუნიკაციების განყოფილებაში მსახურობდა და ამიტომ დღე და ღამე დაკავებული იყო: შინაგანი ორგანოებიდან მიღებულ შეტყობინებებს ოთხკუთხედ ბინტში ახვევდა და ღამით საწოლთან მდგარ სათლში ათავსებდა. პოლკოვნიკი გამორჩეული გარეგნობის კაცი იყო. ვეებერთელა პირი, ჩავარდნილი ლოყები, სევდიანი, უსიცოცხლო თვალები ჰქონდა, შუბლი – მუდამ შეკრული და სახეზე ვერცხლისფერი დაკრავდა. ჩუმად, მორიდებულად ახველებდა და სახვევს მექანიკურად იფარებდა პირზე.

პოლკოვნიკი მუდამ გარშერტყმული იყო ექიმთა ყურადღებით, რომლებიც ცდილობდნენ გაერკვიათ, რა აწუხებდა. თვალებში ანათებდნენ მხედველობის შესამოწმებლად, ნერვებში ნემსებს ურჭობდნენ, რათა შეემოწმებინათ მგრძნობელობა. ენდოკრინოლოგი ჯირკვალს უმოწმებდა, ფსიქოლოგი – ფსიქიკას, დერმატოლოგი – დერმას, პათოლოგი – პათოლოგიას, კისტოლოგი – კისტას. მელოტი, პედანტი სეტოლოგისტი, ჰარვარდის ზოოლოგიის კათედრიდან, რომელიც გამომთვლელი მანქანის შეცდომის შედეგად მოხვდა სამედიცინო ნაწილში, თავის მორიგეობას მომაკვდავ პოლკოვნიკთან ატარებდა და ცდილობდა მასთან „მობი დიკზე" ესაუბრა.

პოლკოვნიკი მართლა ბოლომდე იქნა გამოკვლეული. მისი სხეულის ყველა ორგანო სათითაოდ იქნა შესწავლილი, გაშუქებული, გაწელილი, შეცვლილი, გადაღებული. ფაქიზი, მოწესრიგებული, წელში გამართული ქალი ხშირად ეხებოდა, როცა საწოლთან ეჯდა და ყოველთვის, როცა იღიმებოდა, ღირსეული მწუხარების სიმბოლოს ემსგავსებოდა. პოლკოვნიკი მაღალი, გამხდარი, მოხრილი კაცი იყო. როცა სასეირნოდ დგებოდა, კიდევ უფრო იხრებოდა, ფრთხილად გადმოდგამდა ფეხებს და მილიმეტრობით ამოძრავებდა, ისიც მხოლოდ მუხლებს ქვემოთ. თვალებქვეშ იასამნისფერი უპეები ჰქონდა. ქალი ძალიან წყნარად ელაპარაკებოდა, კიდევ უფრო ჩუმად, ვიდრე პოლკოვნიკი ახველებდა, არცერთ კაცს პალატაში არ გაუგონია მისი ხმა.

ათ დღეზე ნაკლები დასჭირდა ტეხასელს, პალატა რომ დაეცარიელებინა. პირველი არტილერიის კაპიტანი გაიქცა, რომელმაც მეტი ველარ გაუძლო, ამის შემდეგ მასობრივი გაქცევა დაიწყო: დანბარი, იოსარიანი და მებრძოლი კაპიტანი ერთ დილას გაეწერნენ. დანბარს აღარ აწუხებდა თავბრუსხვევა და კაპიტანმაც ცხვირი გამოიწმინდა. იოსარიანმა უთხრა ექიმებს, ღვიძლში ტკივილი გამიქრაო. ასე მარტივად მოხდა ყველაფერი. ოფიცერიც კი გაიქცა. ათ დღეზე ნაკლები დასჭირდა ტეხასელს, რათა ყველა თავის საბრძოლო მოვალეობას დაბრუნებოდა. მხოლოდ დაზვერვის ოფიცერი დარჩა პალატაში, რომელსაც კაპიტნისაგან გადაედო გაციება და პნევმონია დაემართა.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**ლია ჯამბურიამ**

# გაკვეთილები გამომცემლისა

სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ 1931 წელს გამოსცა შვიდასგვერდიანი წიგნი „ქართული ხალხური პოეზია. I – ხევსურული".

ოცდაათგვერდიანი წინასიტყვაობა გამომცემლისა არაფრით ჩამოუვარდება რომელიმე სოლიდურ გამოკვლევას. ორიოდე სიტყვით გამოთქმული დებულებანი და დაკვირვებანი არაერთ ფიქრს აღუძრავს მკითხველს და არაერთ აზრს ბადებს. ეს წინასიტყვაობა ორიენტირად გამოადგებათ არა მარტო ფოლკლორისტებს, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებსაც – ისტორიკოსი იქნება თუ ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი თუ ფილოლოგი.

აკაკი შანიძეს მკაფიოდ ჩამოუყალიბებია ის პრინციპები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ხალხური პოეზიის ჩამწერმა და მკვლევარმა. უწინარეს ყოვლისა, მან მკაცრად უნდა დაიცვას სიზუსტე და თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება-შესწორებას თავი ანებოს.

ამ მხრივ სანიმუშოა, რომ პირველი მსოფლიო ომის ამსახველი ლექსები პირველქმნილი ელფერით არის მოყვანილი წიგნში. რომელიმე თავგამოდებულ პურისტს, ცხადია, აღაშფოთებს რუსიციზმებით დახუნძლული ტექსტი: „დაოლნა გერმანიაო... საცა გრანიცის პირია... როტნი კამანდირ გვეტყოდა... მივედით ბალნიცაშია... მოვიდეს სესტრიცეები", და ა.შ. მაგრამ ყველა ეს სიმახინჯე თუ შევასწორეთ ანდა დაუნდობლად ამოვაგდეთ, მაშინ ხომ გაუფასურდება პირველ მსოფლიო ომში მობილიზებული ხევსურის ამონაკვნესი: „სადაური ვარ? სად ვკვდები? აქ რა მაქვ დაკარგულია?!"



ელენე ახვლედიანი *შატილი*

აგერ, უშუალო შთაბეჭდილება საზარბაზნე ხორცად განწირული კაცისა: „ბევრ ვაშკაც დარჩა მინდორთა, აქვ პირი დაღებულია. აიმ დროს მიაც მამარტყეს ტყვია, რუსულად პულია".

ეს ლექსი თავდაპირველად რომელიღაც გაზეთში დაუბეჭდავთ და რედაქტორს ასე გაუსწორებია: „ტყვია ცეცხლმოდებულია". ვითომდა, ქართულ ლექსში „პულიას" რა ესაქმებაო!

აკაკი შანიძეს, რა თქმა უნდა, არც კი მოელანდებოდა ხალხური ლექსის „შელამაზება" ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასაჭურისება. ამგვარი მანიპულაციები ხომ ისტორიის წაშლა იქნებოდა და წარსულზე ჩვენს ცოდნა-წარმოდგენას გაალარიბებდა.

დიდებულ მეცნიერს არც სკაბრეზული ლექსებისთვის უკრავს ხელი, ვინაიდან მეცნიერებას სხვა კრიტერიუმები მოეპოვება და „ბონტონის" თვალთმაქც ადეპტებს არაფრად აგდებს. ამიტომაც არის, რომ აღნიშნულ კრებულში, სადაც კაშკაშებს უკვე XX საუკუნეში შექმნილი გენიალური გაგრძელება ვეფხვის და მოყმის ბალადისა, თავისი მოკრძალებული ადგილი უჭირავს უცენზურო სტრიქონებსაც: „ქალას შავსთხოვე, არ მამცა, რუსულად მითხრა: ნიატო. მინითამც ამოგევსება ჩემდ ძვირო, სხვისთვინ იაფო!" (ჩაწერილია 1913 წლის 20 აგვისტოს, სოფელ ხახმატში).

მისასალმებელი პედანტურობით ჩერდება მკვლევარი ყოველ საჭოჭმანო თუ ასახსნელ საკითხზე. აგერ, ერთ ლექსში ღვინის ხსენება დააეჭვებს და თავის კომენტარში შენიშნავს, ღვინო ხევსურეთში არ იცისო, სხვა ვარიანტებში ლუდია ნახსენები და მისთვის ეს უფრო ბუნებრივი არისო. მეორე ლექსში კი ქალის ძუძუს შედარებას ვაშლთან ასე განმარტავს: „მთაში საზოგადოდ ვაშლი წვრილია ძალიან".

ყოველ ნაბიჯზე გრძნობს მკითხველი, რომ წინ მიუძღვის გამოცდილი მეგზური.

„ვაჟკაცსა გული რკინისა" – ილია ჭავჭავაძეს ჩაუწერია, როგორც „მთიულისაგან გაგონილი".

აკაკი შანიძეს ეჩოთირება თუნდაც მცირეოდენი გაურკვევლობა და შენიშნავს: ამ „მთიულში" უფრო მთის კაცი უნდა იგულისხმებოდეს საზოგადოდ (მაშასადამე – ფშაველიც, ხევსურიც, მოხევეც და სხვაც), ვიდრე ერთი ტომისა, მლეთა-ფასანაურს შორის მცხოვრებიო და თავისი მოსაზრების სასარგებლოდ იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ პოპულარული ლექსის აღნიშნულ ვარიანტს უპირისპირდება მეორე – „ბარში გაგონილი". ამრიგად, „მთიულის" ნაცვლად „მთიელი" უნდა იყოსო.

კერპთაყვანისმცემლობა უცხო ხილია ჭეშმარიტი მეცნიერისათვის.

ახლა იუმორს არ იკითხავთ?

კრებულში შეტანილია ერთი ლექსი, ვინმეს შესაძლოა მკრეხელობად რომ მოეჩვენოს: „პატრონის დედას გიტირებ მარიანობის მარხვაო. ხევსურაი ორ ძირადა, კარგად ვერ შეგინახაო".

კომენტარში აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ ხევსურეთში ქრისტიანობის გავლენა იმდენად სუსტი ყოფილა, არათუ მარიამობის მარხვას, არამედ დიდ-მარხვასაც არ ინახავდნენო. ერთი ხევსურისათვის უკითხავს: მარხვა იცით თუ არაო? ხევსურს თითქოსდა ვერ გაუგია, რას ეკითხებოდნენ და პასუხად უთქვამს: როგორ არა, ვიცითო – როცა მოკვდება ვინმე, ვმარხავთო.

ხალხური პოეზიის დიდი ამაგდარი თავს როდი იტყუებს და ამბობს: ამ კრებულში ბევრი სუსტი ლექსიც გვხვდებაო. მერე ღიმობიერად დასძენს: რა მოხდა, სუსტი ადგილები ვეფხისტყაოსანშიც კი არის და არც ვაჟაა იმათგან თავისუფალიო (მანამდე ხალხური პოეზიის შედევრებს აღტაცებით უტოლებს იმავე ვეფხისტყაოსანსა და ვაჟას პოემებს).

...აკაკი შანიძეს მადლობა ეკუთვნის ყოველი ქართველისგან, ვისაც სჯეროდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც კი სჯერა, რომ „პოეზია – უპირველეს ყოვლისა" ლიტონი სიტყვები არ არის და თუკი ჩაწიხლულ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, ქართული ლექსიც იცოცხლებს მარადჟამს და სამარის კარამდე გაჰყვება ყოველ ჭეშმარიტ ქართველს, როგორც ერთგული თანამგზავრი და მეგობარი.

# ამერიკელი ჯვაროსანი

მკითხველი ამ სათაურს რომ დახედავს, რასაკვირველია, გაუკვირდება და ეგებ წამოიძახოს კიდეც: რის ჯვაროსანი, რომელი ჯვაროსანიო! იმხანად ამერიკა ჯერ არ იყო აღმოჩენილი და ამერიკელი ჯვაროსანი საიდან გაჩნდებოდაო?!

მაგრამ აგერ ამერიკელი მხედართმთავრის, მეორე მსოფლიო ომის გმირის (მერე პრეზიდენტიც რომ გახდა) დუაიტ ეიზენჰაუერის მემუარებს ასე ჰქვია: „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაში". დიახ, თუკი შუა საუკუნეთა ჯვაროსნები წმიდა მიწას ათავისუფლებდნენ მაჰმადიანთა ხელთაგან, XX საუკუნეში ამერიკელი ჯვაროსნები ნაცისტთა უღლიდან ევროპის გათავისუფლების მისიას ემსახურებოდნენ.

განსაკუთრებული პოპულარობა მოუხვეჭია გენერალ ჯორჯ პატონს. როგორც წერენ, მან დაიმსახურა თავის ჯარისკაცთა უსაზღვრო აღტაცება და ხელქვეით ოფიცერთა მხურვალე სიყვარული. კეთილმოსურნენი უწოდებდნენ ჯვაროსან რაინდს, ავყია ჟურნალისტები – ჯიპზე ამხედრებულ კოვბოის, მაგრამ უშიში რომ იყო, ვითარცა უხორცო, ამაში არავის ეპარებოდა ეჭვი. მისი სახელი სიცოცხლეშივე შეიმოსა ელვარე ლეგენდებით.

პატონის პირდაპირი, უეშმაკო, ალალმართალი, გულწრფელი და ზოგჯერაც გულუბრყვილო ბუნება საყოველთაო გაოცებას იწვევდა.

გენერალი ომარ ბრედლი, მეგობარი და თანამებრძოლი პატონისა, აღნიშნავს, რომ თავისი ხასიათის წყალობით ჯორჯი არაერთხელ გაბმულა ხლაფორთში.



*გენერალი ჯორჯ პატონი*

1943 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს სიცილიაში მყოფი ჯორჯ პატონი მიეშურებოდა ბრედლის სამეთაურო პუნქტზე და გზად შეჩერებულა კორპუსის საველე ჰოსპიტალში, დაჭრილნი რომ მოენახულებინა.

მისალებ კარავში მიუახლოვდა ერთ პაციენტს, რომელსაც სხეულზე არც არტახები ჰქონდა, არც სახვევი. ჰკითხა, რა დაგემართაო? მაგრად მაციებსო, იყო პასუხი. ჯორჯს კრინტი არ დაუძრავს და მიადგა მეორე პაციენტს, რომელიც თხემით ტერფამდე ცახცახებდა. შენ რაღა დაგემართაო? – ჰკითხა. ნერვებიო, სერ, – ასეთი იყო პასუხი. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. რაო, რაო? – ჩაეკითხა გენერალი. პაციენტმა ზლუქუნით წარმოთქვა: ნერვები, სერ, არტილერიის ცეცხლქვეშ ყოფნა აღარ ძალმიძსო.

ჯორჯმა დაუღრიალა:

– ეშმაკმა წაიღოს შენი ნერვები! შენ უბადრუკი ლაჩარი ხარ და მეტი არაფერი.

ჯარისკაცი ატირდა. ჯორჯმა სილა გააწნა.

– მოკეტე! მე არ მინდა, რომ გულადმა მეომრებმა, დაჭრილნი რომ იტანჯებიან, უყურონ დედალ ნაბიჭვარს.

კიდევ ერთხელ თხლიშა. მერე მიმართა მორიგე ოფიცერს:

– მე არ მინდა, რომ ჰოსპიტალი გაავსონ წუწულმა ძაღლიშვილებმა, ცეცხლის რომ ეშინიათ.

მიუბრუნდა პაციენტს და უთხრა:

– თუ წინა ხაზზე არ წახვალ, კედელს მიგაყენებ და ჩემი ხელით დაგხვრეტ.

ამ ინციდენტმა დიდი აურზაური გამოიწვია და მთელი შეერთებული შტატები ააფორიაქა.

მაგრამ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა ეიზენჰაუერმა საყვედური აკმარა პატონს და ბოდიში მოახდევინა მე-7 არმიის პირად შემადგენლობასთან.

ბრედლის სიტყვით, რადგანაც სამხედრო კონფლიქტები გარდუვალია, პატონი თვლიდა, რომ უნდა შევურიგდეთ მათ და მივესალმოთ კიდეც. გულადი გენერლისათვის გაუგებარი იყო, რომ ნორმალური მამაკაცი ვერ უძლებდა თუნდაც უზარმაზარ ფსიქიკურ დაძაბულობას. მისთვის აქსიომა იყო, რომ ის, ვისაც არ სურს ომი, ლაჩარია და მეტი არაფერი. თუკი შეარცხვენ ლაჩარს, შეიძლება გამოასწორო.

1944 წლის მარტში ინგლისის რომელიღაც ქალაქში გაიხსნა კლუბი მოკავშირეთა ჯარისკაცებისათვის. პატონს სთხოვეს, სიტყვით გამოსულიყო. იმის ნაცვლად, რომ გაემეორებინა ანბანური ჭეშმარიტებანი ინგლის-ამერიკის მეგობრობაზე, მან რიხიანად წარმოთქვა:

– იდეა, რომელსაც ეფუძნება ამგვარი კლუბების შექმნა, ძალზე დროული გახლავთ, რამეთუ, უეჭველია, რომ ბედმა ჩვენ გვარგუნა წილად მთელი მსოფლიოს მართვა-გამგებლობა.

როგორც ჩანს, პატონი მიმიკრიას არ იყო ჩვეული. ამ განცხადებას დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. აშშ სენატმა გადადო პატონისათვის მორიგი წოდების მინიჭება. მას ისევ მოუწია ბოდიშის მოხდა. ეიზენჰაუერმა კი ბრძანა: ჯორჯის თავშეუკავებლობა ყელში ამომივიდაო.

მაგრამ პატონი არა ცხრებოდა. ვითომც არაფერიო, ისე დაარღვია მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის ბრძანება, რომელიც კრძალავდა ყოფილი ნაცისტების გამოყენებას ეკონომიკის აღდგენით ფრონტზე.

ჟურნალისტებს ასე აუხსნა:

– ნაცისტებსა და არანაცისტებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ჩვენში რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის. გერმანიაში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ნაცისტები იყვნენ და, ეშმაკმა დალახვროს, ძნელი გასარჩევია, ვინ იყო ნაცისტი და ვინ – არა.

ეიზენჰაუერმა შეასრულა თავისი მუქარა და პატონი დააქვეითეს.

ჯორჯს კუბოს ფიცრამდე არ დავიწყებია აიკის „უმადურობა".

ბრედლის სიტყვით, ძალზე ცოტანი თუ აღემატებოდნენ პატონს ბრძოლის ველზე, მაგრამ მას ჰყავდა ერთი მტერი, რომელსაც ვერ ამარცხებდა. და ეს მტერი ყოფილა მისი გრძელი ენა.

# „კითხვა მიყვარს და იმიტომ ვწერ“

„დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი კი – აღმოსავლეთი“... და ისინი შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს... როგორც ეს თურქი მწერლის ორჰან ფამუქის შემთხვევაში მოხდა... თურქეთის ლიტერატურული პარნასიდან მსოფლიო მწერლობის ორბიტაზე „აკიაფებული ეს ახალი ვარსკვლავი“, როგორც „ნიუ-იორკ თაიმსის“ „წიგნის მიმომხილველმა“ უწოდა, დღეს მრავალი გახმაურებული რომანისა და სკანდალური განცხადების ავტორი, არაერთი საერთაშორისო პრიზის, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდოს, 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატია.
2006 წლის 7 დეკემბერს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე **ორჰან ფამუქის** მიერ წაკითხულ სანობელო ლექციაში – **„მამაჩემის ჩემოდანი“** – ვკითხულობთ:

„მოგეხსენებათ, ჩვენ, მწერლებს ერთობ ხშირად გვისვამენ კითხვას, რითაც ასე ძალიან იწონებენ თავს: – რატომ წერთ? მეწერება და იმიტომ! იმიტომ ვწერ, რომ სხვებივით ნორმალურ საქმეს ვერ ვაკეთებ! ჩემნაირ წიგნებს თუ ვინმე დაწერს, წავიკითხავ-მეთქი, ვამბობ და ვწერ. ყველაფერზე, ყველაზე ძალიან, ძალიან გაბრაზებული ვარ და იმიტომ ვწერ. ერთობ მიზიდავს ოთახში ჯდომა და მთელი დღე წერა და, იმიტომაც ვწერ. დღემდე რომ არ იცვლება, იმ სინამდვილის ასატანად ვწერ. მე, სხვებმა, ჩვენ – ყველამ სტამბოლში, თურქეთში, როგორ ვიცხოვრეთ და ვცხოვრობთ, მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს-მეთქი, და ვწერ. ქაღალდის, კალმის, მელნის სუნი მიზიდავს და იმიტომ ვწერ, მთელი არსებით მწამს ლიტერატურის, რომანის ხელოვნებისა და ვწერ. სახელი და პოპულარობა მხიბლავს და იმიტომაც ვწერ. განმარტოებისთვის ვწერ. ეგებ როგორმე გავარკვიო, ყველაზე, თითოეულზე ასე ძლიერ რატომ ვბრაზობ-მეთქი, და ვწერ. კითხვა მიყვარს და იმიტომ ვწერ. ერთხელ დაწყებულ რომანს, ნაწერს, გვერდს ბარემ დავასრულებ-მეთქი, და ვწერ. ჩემგან ყველა ამას ელის, და მეც ვწერ. ბიბლიოთეკების უკვდავებისა და წიგნების თაროზე შემოდების ბავშვური რწმენის გამო ვწერ. ცხოვრება, სამყარო წარმოუდგენლად მიმზიდველი და მშვენიერია, და იმიტომაც ვწერ. ცხოვრების საოცრებათა, მისი მრავალფეროვნების სიტყვებით გადმოცემა მწადია და იმიტომ ვწერ. ამბის გასაგებად არა, ამბის ასაგებად ვწერ. ერთი ადგილია, ყველა უცილობლად რომ უნდა ეწვიოს და სიზმარში როგორც ხდება ხოლმე, სწორედ იმგვარად, თითქოს იქამდე ვერა და ვერ ვაღწევ. ამ გრძნობისაგან გათავისუფლება მწადია, იმისათვის ვწერ. ბედნიერებას ვერა და ვერ ვეწიე, იმიტომ ვწერ. ბედნიერი რომ ვიყო, იმისთვის ვწერ.“

ცხადია, „ბედნიერი რომ ვიყოს“ ქვეტექსტად მოიაზრება სამყაროს ერთიანობის იდეა და ამით მისი მხარეებად დაყოფა უგულებელყოფილია. მწერალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადაკვეთის წერტილების ძიებაშია. ძიების პროცესს განსაკუთრებით ათვალსაჩინოებს მისი რომანი „თეთრი ციხესიმაგრე“, რომელსაც თავად ავტორი „დოპიოს“ უწოდებს („დოპიო“ იტალიური სიტყვაა და ნიშნავს წყვილს, ორმაგს) მხატვრულ-ფილოსოფიური ხერხებით ფამუქი სამყაროს მთლიანობის ციხესიმაგრეს აღმართავს. გამომცემლობა **„ინტელექტმა“** ახლახან **„ნობელის პრემიის ლაურეატების“** სერიით გამოსცა თურქი ნობელიანტის ეს ნაწარმოები. თურქულიდან თარგმნა **ქეთევან ტომარაძემ.**




ინგლისურ ენაზე თარგმნილი **„თეთრი ციხესიმაგრე“** პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდა ამერიკის წიგნის ბაზარზე და მალე აშშ-ის ლიტერატურულ მოვლენად იქცა. ნაწარმოები „მსოფლიო სოფლის“ განცდას ბადებდა და კოსმოპოლიტიზმის ახლებურ ხედვას სთავაზობდა მკითხველს. პრესა აღმატებულ ეპითეტებს არ იშურებდა და მწერალს ადარებდა **ვულფს, ფოლკნერს, ბორხესს, პრუსტს...** დიდია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მწერლის ავტორიტეტი დასავლეთისა და აზიის მრავალ ქვეყანაში. იგი თარგმნილია მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ენაზე.

„თეთრი ციხესიმაგრის“ გარდა, დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი თხზულება **„სტამბოლი“, „თოვლი“ „ჩემი სახლი წითელია“, „შავი წიგნი“, „ფანჯრიდან ყურება“** და სხვ. ავტორისათვის დამახასიათებელია სივრცული აზროვნება, სტილის გრძნობა და ჰარმონიისაკენ სწრაფვა, ლაკონიზმი და დახვეწილი ფრაზირება, ისტორიული კონტექსტის გამოყენება. ნაწარმოებების სახელწოდებებს მწერალი ხშირად ფერთან აკავშირებს. ერთი სიტყვით, „ის არც იდეოლოგია, არც პოლიტიკოსი, არც ჟურნალისტი – ორჰან ფამუქი დიდი რომანისტია“ – წერდა „ნიუ-იორკ თაიმსი“.

ორჰან ფამუქი 1952 წელს სტამბოლში შეძლებულ ოჯახში დაიბადა. რობერტ კოლეჯის (სტამბოლის ამერიკული ეროვნული სასწავლებელი) დამთავრების შემდეგ ორჰან ფამუქი სამი წლის მანძილზე ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტორის სპეციალობას ეუფლებოდა. ერთი წლის წინ ფამუქი იძულებული გახდა სტამბოლი დაეტოვებინა და საცხოვრებლად აშშ-ში გადასულიყო.

**ორჰან ფამუქისთვის** ნობელის პრემიის მინიჭება თურქული მწერლობის აღიარებასაც მოასწავებდა, რომელიც უკვე რამდენი წელია, ძალისხმევას არ იშურებს მშობლიურ წიაღში დასაბრუნებლად და მსოფლიო ლიტერატურაში საკუთარი ნიშას მოსაპოვებლად. ორჰან ფამუქი სტამბოლის აზიური და ევროპული ნაწილების შემაერთებელი ხიდივითაა სამყაროს გაერთიანებისათვის.

**ნინო ჟულოშვილი**

b 131/30



პარიზი

ელენე ახვლედიანი